# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№ 20 (265) ◆ 15-21 მაისი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ქართველები ცხინვალის „წითელ ზონაში“




...ამ ციხეს აქაურები „ყვარყვარეს ციხეს“ ეძახიან;

...თავისი ხელით შეავსეს „ჩვენი ჩვენება“ და — პოლიტიკურზე გიშვებთ — თქვენ საქართველოს ჯაშუშები ხართო;

...ტუალეტში გავყავართ და საათს ინიშნავენ — ორ წუთში უნდა მოასწრო ყველაფერი...

...მაფრთხილებენ — ხვალ 9 მაისია, დათვრებიან და აუცილებლად მაგრად გვცემენ...

...„გასეირნებისას“ სხვა ქართველები დაგვანახვეს — ზოგიერთს ისიც ვერ გაურკვევია რისთვის იხდის „სასჯელს“.

გვ. 3-5

## საქართველოს ხელისუფლების და დასავლეთის „თაფლობის წლებს“ დაესრულა წერტილი...

— საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერც ერთ ფუნქციას ვერ ასრულებს;

— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა ნულამდეა დასული...

— თუ ხელისუფლება რისკზე არ წავიდა, სახელმწიფო უარესად დაძაბუნდება;

— სამხრეთ კავკასიაში საქმე ვერ წავა უკეთესობისკენ.

გვ. 3 გია ნოდია

## ვასახელებთ ყველაზე კაცურ კაცს

გვ. 27

მკითხველის პრიცინცი

ვ.ლ. — ზურიკო, თვალს მოვხუჭავ თუ არა, სულ ვირთხები მელანდება.

ზ.ქ. — დაწყნარდი ბატო ვაჟა, ახლა ბატო არსენიშვილს მოელანდება. გვ. 27

ფოტოპალიტრა

## შევარდნაძემ ერთი მუშტის დარტყმით გააქრო ჟვანიას „უძლეველობის მითი“...

„სკანდალად კომისიის შექმნაზე ხელისმომწერების შეგროვება კი არა, ის უნდა ვაქციოთ, რომ ჩვენი მინისტრები ხაზინის ქურდები არიან“.

*კობა დავითაშვილი*

„ექვსი თვის წინ წამყვან ბიზნესმენად ვითვლებოდი... დღეს?

შეიძლება ადამიანის მიმართ დამოკიდებულების ასე სწრაფად შეცვლა?“

გვ. 6 *ლევან გაჩეჩილაძე*

## გვიან გამსახურდიას სიკვდილის ზოგიერთი გაუხმაურებელი დეტალი

...პრეზიდენტმა თავი მოიკლაო... გაცეცხლებულ გულზე ჭკუიდან გადავედი, იარაღი შევაყენე, კინაღამ ცოდვა ჩავიდინე — რობინზონისთვის უნდა მესროლა, როგორ თუ თავი მოიკლა-მეთქი.

*გოჩა კეკენაძის ნაამბობიდან*

...მკვლელი შეიპარა, როცა ყველას ეძინა და პრეზიდენტის მკვლელობა იმგვარად განახორციელა, რომ მას თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მისცემოდა.

გვ. 7

## სამხედრო თემაზე: ომის გავრცელება მთელ კავკასიაში სურთ...



თავდასხმა ამჯერად ინგუშეთის ტერიტორიაზე განახორციელეს და დემობილიზებული 22 რუსი ჯარისკაციდან, რომელთაც ჩეჩნეთის ომში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა, 19 დაიღუპა...

თავდამსხმელებმა ოპერაცია 100%-იანი წარმატებით განახორციელეს.

გვ. 9

## ნუთუ ის არავისი არ არის?



იგი სამიოდე კვირაა დილმის მასივში ჩანს... ვერ მეტყველებს, არც სმენა აქვს და ვერც სახელს დაგიწერთ... არც სამათხოვროდ იწვდის ხელს და არც საჭმელს ითხოვს...

მიუსაფარი ბიჭის ბედით ვერავინ დაინტერესდა... ხალხო! ნუთუ ის არავისი არ არის? გამოგვეხმაურეთ!

გვ. 6

## ეს უცნაური ადამიანი გინესის წიგნშია შესაყვანი...



მშობლებმა სამშობიაროს ფანჯრიდან გადმოაგდეს და მოიტაცეს... თორემ ახლა ის ახალშობილ მდგომარეობაში კოლბაში იქნებოდა დასპირტული და სტუდენტებს უამბობდნენ, რამდენი პათოლოგიით დაიბადა ეს უნიკუმი...

გოჩა ბექაური დღეს 33 წლისაა და 35 სახის დაავადება აქვს...

გვ. 8

## „რჩევები დამწყები ბანდიტებისათვის“

ვერსია

ცნობილი კანონიერი ქურდის — „სლავა ბიძიას“ ახლად გამოსული ბესტსელერიდან:

— სერგოს (აბულაძეს) ქურდად ყოფნა არ მონდომებია, თორემ ამ სფეროში აუცილებლად წარმატებებს მიაღწევდა...

— იგი 1974 წელს მოკლეს, ციხეში... ადმინისტრაციამ მას ქურდებზე მეთვალყურეობა უბრძანა; სერგომ უარი განაცხადა და ცემაში ამოხადეს სული.

გვ. 10

## შაჰ-აბასმა თეიმურაზ მეფეს ცოლი სთხოვა...

...შაჰ-აბასმა სასწრაფოდ შეუთვალა ქართველთ მეფეებს — გონს მოდით და „ჩემი განრისხებული სულის“ დასამშვიდებლად ხორეშანი ისპაანს მომგვარეთო... ამაო იყო შაჰის მოლოდინი...

გვ. 20


შპს „ევროამერიკან“-ი

ხმარებაში მყოფი IBM 486 და Pentium-ის ტიპის კომპიუტერები



კომპლექტშია: სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა

IBM 486 კომპლექტის მინიმალური ფასია 110$

Pentium კომპლექტის მინიმალური ფასია 190$

დანარჩენი კომპლექტების ფასები დამოკიდებულია პარამეტრებზე. ანგარიშსწორება შესაბამისი კურსით ლარებში.

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23 ☎94-28-33

ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 18 ☎2-21-16

ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №11


## ერიდეთ, თორემ დაისჯებით!

სამ-ნახევარი წლის ბიჭები არიან, მაგრამ ნუ დაუპირისპირდებით, აუცილებლად დაისჯებით... ისინი სუპერბავშვები არიან და ბადალი არ ჰყავთ... 12 წლისანი ალბათ ყველაფერს ხელში ჩაიგდებენ.

გვ. 19


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



ALLIGATOR
EXCALIBUR
APS
MAGNUM



დისტანციური სიგნალიზაციის, შუშების ამწევის მონტაჟი

შეღავათიან ფასად

გარანტია 1-5 წლამდე

მის: ვაჟა-ფშაველას 37

☎: 899-50-31-52


საკვირაო



ტელე-კინოგიდი 15-21 მაისი

გვ. 14-15

Неделя
КОММАНДОС
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
Stern
Сегодня
Клюква
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro Magazine
Paris Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
daily
Le nouvel Observateur
Итоги

იკითხეთ „კვირის პალიტრის“ ახალი ჟურნალი — „გზა“

## საქართველოს თავისუფალი მასმედიის მიმართვა

***საქართველოს ხელისუფლებას, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს***

ა/წლის 8 მაისს, დაახლოებით საღამოს 18 საათზე, სოფელ ერგნეთთან, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე მოხდა შემაშფოთებელი ფაქტი — კერძოდ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა დააკავეს და ცხინვალის მიმართულებით საკუთარი ავტომანქანითვე გაიტაცეს რეპორტაჟის მოსამზადებლად ჩასული „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი გიორგი აბდალაძე და ამავე გაზეთის თანამშრომელი კიაზო ბიჩინაშვილი.

ჟურნალისტებს ავტომანქანაში ჩამოართვეს ყოველგვარი აპარატურა (მობილური, პეიჯერი, ფოტოაპარატი), მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბრალად(!) საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობა დასდეს(!).

ე.წ. სამხრეთ ოსეთის შსს-ში მიყვანის შემდეგ, ოსმა ძალოვნებმა თავადვე დაწერეს ზემოთ მოყვანილი ბრალდების „დამადასტურებელი“ ახსნა-განმარტებითი ბარათი და დატყვევებულებს იარაღის მუქარით ხელი მოაწერინეს... განუკითხაობა ამით არ დამთავრებულა — დაცინვისა და აბუჩად აგდების შემდეგ ქართველი ჟურნალისტები ცხინვალის ციხეში ცალ-ცალკე საკანში გამოამწყვდიეს და „შესანიშნავ მომდევნო დღეებს“ შეჰპირდნენ...

9 მაისს, 15 საათზე „კვირის პალიტრის“ რედაქციისა და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ოსურ მხარესთან პირადი ურთიერთობის საფუძველზე, მოხერხდა ჟურნალისტების გათავისუფლება.

უკანონო ტყვეობიდან დახსნილი ჟურნალისტების თქმით, ცხინვალის ციხეში არაადამიანურ პირობებში საქართველოს მოქალაქეები, მათთვის გაურკვეველი მიზეზით „იხდიან სასჯელს“. მათი ადგილსამყოფლის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას და ზოგჯერ ოჯახებსაც კი არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ.

აქ მოტანილი ფაქტები თავისთავად მეტყველებს, რომ წყლის ნაყვა გამხდარა ჩვენში ადამიანის უფლებების დაცვაზე საუბარი...

დაუცველნი აღმოჩნდნენ ჟურნალისტები დედაქალაქიდან ერთი საათის სავალზე. მათ „შემორიგებული მეზობელი“ იჭერს, როგორც ჯაშუშებს.

ძალიან მაღალი თანამდებობის პირთა (ორივე მხრიდან) ჩარევა შეიქნა საჭირო მათ დასახსნელად და თურმე ნუ იტყვით, მათ ბედი ჰქონიათ — ყოფილა შემთხვევები, როცა ანალოგიური გატაცება ზოგს სიცოცხლის ფასად დასჯდომია.

მოგმართავთ თქვენ, ვისაც ქვეყნის მართვის სადავეები გიპყრიათ! იქნებ დროა, როგორმე ჩვენთან ერთად იფიქროთ ამ შემზარავ ინციდენტზე, იქნებ მივხედოთ ქართველს საქართველოში!

## ნაგებული არავინ დარჩება

14 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა აღმასრულებელი ხელისუფლების კანდიდატთა სია, რომელიც ამთავითვე შეიძლება ითქვას, არათუ „დიდ ბატალიებს“, არამედ ნამდვილ სასეირო სანახაობას გვპირდება პარლამენტში მიმდინარე კვირის მანძილზე (სხვა საქმეა, აქვს თუ არა სასეიროდ საქმე ქვეყანას), როცა ახალი მთავრობის კანდიდატურათა განხილვა-დამტკიცება-არდამტკიცების პროცედურა დაიწყება. ჯერ სიის შესახებ:

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, სულხან მოლაშვილის ინფორმაციით, სამინისტროების ხელმძღვანელთა პოსტების დასაკავებლად წარდგენილნი არიან შემდეგი კანდიდატურები:

1. საგარეო საქმეთა მინისტრი — ირაკლი მენაღარიშვილი
2. მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი — მერაბ ჩხენკელი
3. სათბობენერგეტიკის მინისტრი — დავით მირცხულავა
4. შემოსავლების მინისტრი — მიხეილ მაჭავარიანი
5. ლტოლვილთა საქმეთა და განსახლების მინისტრი — ვალერი ვაშაკიძე
6. განათლების მინისტრი — ალექო კარტოზია
7. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრი — ავთანდილ ჯორბენაძე
8. ქონების მართვის მინისტრი — მიხეილ უკლება
9. ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრი — ვანო ჩხარტიშვილი
10. კულტურის მინისტრი — სესილი გოგიბერიძე
11. ფინანსთა მინისტრი — ზურაბ ნოღაიდელი (პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავ-რე).
12. განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრი — მალხაზ კაკაბაძე
13. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი — ბაკურ გულუა
14. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი — მერაბ ადეიშვილი
15. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი — ნინო ჩხობაძე

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ სიასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ მთავრობის ახალი შემადგენლობა არათუ რამე კრიტიკას, არამედ ელემენტარულ ლოგიკასაც არ ემორჩილება. თავი დავანებოთ იმას, რომ პრეზიდენტმა შეგვიარულა დანაპირები და „ძირითადი ბირთვი“, მათ შორის აშკარად კომპრომეტირებული მინისტრები კვლავ წარმოადგინა დასამტკიცებლად. მაგრამ თუ კორუფციასთან ბრძოლის ჟინით „ანთებული“ მმართველი ძალის უპირველესი პირები ამ სენის აღმოსაფხვრელად ბრძოლას იწყებენ მხოლოდ ლადო პაპავას, ვალერი ასათიანისა და თამარ ბერუჩაშვილის „პენსიაზე გაშვებით“, ანუ იმ მინისტრებისა, რომლებიც „ფრთიან ანგელოზებად“ ჩანან ხელისუფლებაში არსებული კორუფციული ჯოჯოხეთის ფონზე, მართლაც რომ ვაი, ჩვენი ბრალი! ხოლო კატასტროფული საბიუჯეტო-ეკონომიკური კრიზისით მოცულ ქვეყანაში №1 მინისტრის, ანუ ფინანსთა მინისტრის პოსტზე განათლებით ფიზიკოსისა და ნახევარგამტარების სპეციალისტის ზურაბ ნოღაიდელის დანიშვნას (ეს რომ ასე მოხდება, უეჭველია), აბსურდამდე დაჰყავს დღემდე ისედაც გაურკვეველი საკადრო პოლიტიკა. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ აქ უფრო გარიგებებთან გვაქვს საქმე, ვიდრე პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ნიშნით მინისტრთა კანდიდატების შერჩევაზე...

## გადაწყდა დიპლომატის ექსტრადაციის საკითხი

ქართველ დიპლომატს გიგა მახარაძეს, რომელიც აშშ-ის ციხეში იხდის სასჯელს, მალე გადმოიყვანენ საქართველოში სასჯელის დარჩენილი ვადის მოსახდელად. დიპლომატის საქართველოში ექსტრადაციის გადაწყვეტილება აშშ-ის იუსტიციის მინისტრმა ჯანეტ რინომ მიიღო და მახარაძის გადმოყვანისათვის უკვე მხოლოდ ფორმალური პროცედურების გავლაღაა საჭირო. ექსპერტთა მტკიცებით, ამერიკელ სამართალდამცავთა მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილების მიღება ძალზე იშვიათია და აშშ-ში გასამართლებული უცხოელი მოქალაქეები, როგორც წესი, სასჯელს ბოლომდე ამერიკის ციხეებში იხდიან.

## საქართველო ევროპელების სამშობლო ყოფილა?!

გაუთავებელი შინაპოლიტიკური ბატალიებითა და ნაირ-ნაირი კრიზისით გაწამებულ საქართველოს ერთი ფრიად სასიამოვნო და საამაყო ინფორმაცია ეწვია მსოფლიოს სამეცნიერო წრეებიდან და მასმედიიდან: შარშან, დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ნაშთების ასაკი უძველესი აღმოჩნდა არა მარტო ევროპაში, არამედ მთლიანად აფრიკის კონტინენტის გარეთ. ასეთი დასკვნა გააკეთა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებამ და ეს სათანადო სტატიებით დაადასტურა ყველაზე ავტორიტეტულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ და გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“. მოკლედ, დამტკიცდა, რომ საქართველო პირველი ევროპელი ადამიანების სამშობლოა, რომლებიც აქ ერთი მილიონ 700 ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ!

## სუმგაითის ტრაგედიის გამოძახილი

ფოთის პორტს მოულოდნელად მიადგა 12 წლის წინ სუმგაითში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად გამოქცეული სომეხთა 200 კაციანი ჯგუფი, რომლებიც აქამდე სომხეთში ცხოვრობდნენ. ისინი კატეგორიულად მოითხოვენ ქართველი მესაზღვრეებისა და პორტის ადმინისტრაციისაგან ფოთში ჩამომდგარ ბორანზე ასვლას, რომლითაც ჯერ ბულგარეთში, იქიდან კი ბელგიასა და ჰოლანდიაში აპირებენ გამგზავრებას, ლტოლვილთა სტატუსით. მათი თქმით, ისინი სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეები არიან და დღეს სამშობლო აღარ აქვთ! ლტოლვილებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოში სომხეთის ელჩი და საქართველოს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

## დახმარების ნაცვლად... წიხლები!

დედაქალაქის მერიაში კუთვნილი დახმარებების მისაღებად მისული მრავალშვილიანი დედები მას შემდეგ, რაც რამდენიმე აქცია გამართეს და ყურადღება არავინ მიაქცია, მერიაში შეიჭრნენ და დახმარებების ნაცვლად, მუჯლუგუნები, წიხლები და გარეთ გამოყრა მიიღეს. დედები მომხდარში მერიის დაცვის უფროსს და იქაურ ჩინოვნიკებს ადანაშაულებენ...

## სქოული სადამსჯელო აქციებს აგრძელებს

„აი-ეს-თელასის“ მიერ განხორციელებულმა სადამსჯელო აქციებმა მალე შეიძლება ისეთ ზღვარს მიაღწიოს, რომ მოსახლეობა ქუჩებში გამოიყვანოს. იმის გარდა, რომ უფულობით გაწამებულ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელი საშუალება, სადენებს უჭრიან და წყვდიადში ამყოფებენ, სქოულის ხალხი იმდენად გათავხედდა, რომ თბილისის მე-5 საავადმყოფოს შუქი გამოურთო მაშინ, როცა იქ უმძიმესი ოპერაცია მიმდინარეობდა. სქოულს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, გადაახდევინოს საფასური მოვალე საავადმყოფოს. არც ის აინტერესებს, რა შეიძლება მოჰყვეს 1 ივლისიდან ელექტროენერგიის კილოვატსაათზე ტარიფის გაზრდას (12 თეთრით). მოკლედ, ყველანაირი წინა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ქვეყანაში მომწიფდეს ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური არეულობა.

## „მითხარი ვინ ხარ და გეტყვი...“

გენეალოგიური დეკლარაციის შემოღების მოთხოვნის ინიციატივით გამოვიდა თბილისის საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქციის თავმჯდომარე ვიქტორ მოსიძე. ამ ახალი ტიპის დეკლარაციაში მთავრობის წევრთა წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა უნდა დაფიქსირდეს. ვიქტორ მოსიძის თქმით, აუცილებელია, ქვეყანამ და ხალხმა იცოდეს, ვინ და რა წარმომავლობის არიან ჩვენი ხელისუფალნი და, საერთოდ, საიდან და ვისგან მოდიან!

ზემოთქმულთან დაკავშირებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუ აღნიშნული საკითხის განხილვა მართლაც დადგა დღის წესრიგში, იოლი წარმოსადგენია, რა ტყუილების ბუქი დადგება. ხომ ფაქტია, რომ ჩინოვნიკთა ქონებრივ დეკლარაციებში ჩაწერილი ამა თუ იმ ჩინოვნიკის ქონებრივი მონაცემები აშკარად არ შეესაბამება მათი უზარმაზარი ქონების, ცხოვრების მაღალი დონის რეალურ მაჩვენებელს. რა გარანტია გვაქვს, რომ მოქმედი თუ მომავალი ჩინოვნიკები პატიოსნად ჩაწერენ გენეალოგიურ დეკლარაციებში, თუ ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რა ეროვნებისა და რა რელიგიური აღმსარებლობისა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ინიციატივას, ჯერჯერობით, არ გამოხმაურებიან ორგანიზაციები, უწინარესად, თავისუფლების ინსტიტუტი...

## ადამიამ გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთა

მერაბ კოსტავას საზოგადოების ლიდერს ვაჟა ადამიას სატრანსპორტო პროკურატურისა და პოლიციის თანამშრომლები შინ შეუცვივდნენ, რათა ამას წინათ კოსტავას საზოგადოების წევრების მიერ რკინიგზის ხაზის გადაკეტვის ფაქტის გამო აღძრულ საქმეზე იძულების წესით დასაკითხად წაეყვანათ. თანამშრომლებს ბინაში შესვლისას არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენიათ და ვაჟა ადამიამაც, რომელიც იმ წუთებში ისვენებდა, უცნობი პირების გასაფრთხილებლად ორჯერ ისროლა ჰაერში, რადგან მის დანახვაზე თანამშრომლებს ჯიბისაკენ წაუღიათ ხელი. მომხვდურებმა დატოვეს ადამიას ბინა, თუმცა კოსტავას საზოგადოების ლიდერი აფრთხილებს მათ, რომ მსგავსი ინციდენტის გამეორების შემთხვევაში, ის ჰაერში გამაფრთხილებელ გასროლას აღარ გააკეთებს!

## ჭორი თუ...?!

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა პეტრე ჩხეიძემ, რომელიც უკვე რვა წელიწადია ამ თანამდებობაზე იმყოფება, კატეგორიული უარი განაცხადა შეთავაზებულ წინადადებაზე — ჩამოსულიყო თბილისში და დაეკავებინა განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრის პოსტი! ჩხეიძის თქმით, იგი აშშ-ში რჩება! მოგვიანებით, მასმედიით გავრცელდა საწინააღმდეგო ინფორმაცია, რომ ჩხეიძისათვის მსგავსი წინადადება არავის შეუთავაზებია თბილისიდან და ატეხილი მითქმა-მოთქმა არ შეესაბამება სიმართლესო.

## ვინ არის მართალი?!

გრძელდება სკანდალი საქართველოში შემოსული პიროლიზებული ფისის ირგვლივ და უკვე იქამდეც მივიდა საქმე, რომ პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლები შეასკდნენ ერთმანეთს, კერძოდ, შევარდნაძის მძახალი გურამ ახვლედიანი და შევარდნაძის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე. გაირკვა, რომ პიროლიზებული ფისი გურამ ახვლედიანის ოჯახის კუთვნილი ფირმა „ინაკოსათვის“ იყო განკუთვნილი და სწორედ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა ბენზინის იმპორტიორმა მაგნატმა ნუგზარ შევარდნაძემ, რომელმაც გარემოს დაბინძურებასა და ხალხის მოწამვლაში დაადანაშაულა პიროლიზებული ფისის მიმღებ-გადამამუშავებელნი და გარემოს დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე. საქმე ის არის, რომ საბაჟო არ ახდენდა შემოტანილი პიროლიზებული ფისის განბაჟებას და ეს მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, რაც ნინო ჩხობაძის უწყების ნებართვა მიიღო, არადა იგივე ჩხობაძე ცოტა ხნის წინ წინააღმდეგი იყო ამ მომწამვლელი ნივთიერების შემოტანისა(!). ნუგზარ შევარდნაძე ირწმუნება, რომ ჩხობაძეზე ზეწოლა მოახდინეს და მანაც ამიტომ გასცა ნებართვა პიროლიზებული ფისის განბაჟებაზე, თუმცა ვალდებული იყო, სპეციალური კომისია გაეგზავნა შემოტანილი ნედლეულის შესამოწმებლად და ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე ემოქმედაო...

საქმეში პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაიაც ჩაერია, რომელმაც არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო უწოდა ჩხობაძის გადაწყვეტილებას და დაადანაშაულა იმაში, რომ მომწამლავი ნივთიერების შემოტანაზე ნებართვის გაცემით მან დაარღვია კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში. ჩიტაიასა და ჩხობაძის დავა გაგრძელდა გარემოს დაცვის კომიტეტშიც... თავად ჩხობაძე აცხადებს, რომ მის წერილს საბაჟოს დეპარტამენტისადმი პიროლიზებული ფისის განბაჟებაზე ნებართვის შესახებ იურიდიული ძალა არ ჰქონდა, რადგან განბაჟება უნდა მომხდარიყო ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვის საფუძველზეც! კობა ნარჩემაშვილმა კი საკმარისად მიიჩნია ჩხობაძის წერილი განბაჟების დასაწყებად. მოკლედ, მთელ ამ კარუსელში ერთი შეხედვით ყველა მართალია. დაველოდოთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

## ინჯიას საქმე შეუჩერეს

უზენაესმა სასამართლომ შეაჩერა სისხლის სამართლის საქმე დავით ინჯიას წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მოტივით. სასამართლო ექსპერტთა განცხადებით, დავით ინჯია ქრონიკული ავადმყოფია, მას დიაბეტი, გულის იშემია და არასტაბილური სტენოკარდია აქვს, შესაბამისად, სასამართლო პროცესმა ამჟამად შეიძლება ინფარქტი გამოიწვიოსო. სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა ინჯიას ადვოკატის შუამდგომლობა საქმის შეჩერების შესახებ, რასაც პროკურორიც უჭერდა მხარს... ექიმთა თქმით, არ არის გამორიცხული, რომ დავით ინჯიას შეიძლება ქირურგიული ოპერაციაც დასჭირდეს... ინჯია კარდიოლოგიურ კლინიკაში მკურნალობს.

## „მხედრიონმა“ სარჩელი აღძრა

„სვობოდაზე“ გამოსული მხედრიონელთა ლიდერი კი მომავალი პოლიტიკური ბატალიებისთვის ემზადება. „მხედრიონი“ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, იმავდროულად აკრიტიკებს პრეზიდენტს და „უწუნებს“ განზრახვას მის მიერ ეკონომიკურ საკითხებში უფლებების გაფართოების მოთხოვნასთან დაკავშირებით... იოსელიანის თქმით, პრეზიდენტმა სახეირო ვერაფერი გააკეთა 8 წლის მანძილზე და ვერც მომავალში გააკეთებსო!

საკონსტიტუციო სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა „მხედრიონის“ სარჩელი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობის კანონში ცვლილებებს მოითხოვს, მაგრამ საქმე ის არის, მიიღებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს განსახილველად. „მხედრიონი“ მოითხოვს, რომ მოქალაქეს ნებისმიერ დაბასა თუ სოფელში მიეცეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა. დღეს მოქმედი კანონის თანახმად კი, თუ დაბასა ან სოფელში არის 2 ათას მოსახლეზე ნაკლები, სწორედ მაშინ შეიძლება კაცმა მიიღოს მონაწილეობა მაჟორიტარ კანდიდატად, მაგრამ თუკი 2 ათას მოსახლეზე მეტია, მაშინ მაჟორიტარად არჩევნებში მონაწილეობის უფლება არავის აქვს და აუცილებელია ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის სიით გასვლა არჩევნებში. „მხედრიონის“ აზრით, მოქმედი კანონით ირღვევა მოქალაქის უფლებები და ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს.

## ვის არ აძლევს ხელს?

აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება გადადგომას, ხოლო საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“ პარლამენტის დატოვებას აპირებს, თუ ხელისუფლება არ მიიღებს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისათვის მათ მიერ შემუშავებულ პროგრამას, რაც სხვა არაფერია გარდა იმისა, რომ აფხაზეთში იძულებითი მშვიდობის დასამყარებლად დაიწყოს მოძრაობა და აფხაზეთის კონფლიქტი გამოცხადდეს და შეფასდეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტად. „7-8 წლის მანძილზე ჩვენ ერთი სანტიმეტრითაც ვერ წავიწიეთ წინ“, — აცხადებს თამაზ ნადარეიშვილი და მოითხოვს სეპარატისტებთან აქამდე არსებული მოლაპარაკებების ფორმის შეცვლას, რადგან აფხაზური მხარის წარმომადგენლები მოლაპარაკებებზე დამნაშავენი და კრიმინალები არიან! ფრაქცია „აფხაზეთის“ დეპუტაციის განცხადებით, სეპარატისტებს ძალიანაც აძლევთ ხელს მშვიდობა აფხაზეთში, ისევე როგორც რუსებს, მაგრამ ეს არ აძლევს ხელს საქართველოს! ამიტომ საქართველო არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეურიგდეს დღევანდელ ვითარებასო!

## სომხები ბუნტით იმუქრებიან!

ახალციხის რაიონის სომხურმა მოსახლეობამ კი ნამდვილი ბუნტი მოაწყო ახალციხის პოლიციის შენობასთან. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ადგილობრივმა სამართალდამცავებმა დააკავეს დიდი ხნის მანძილზე ძებნილი ადგილობრივი სომეხი ახალგაზრდა, რომელიც ყაჩაღობაშია ეჭვმიტანილი. ამ ფაქტით აღშფოთებული სომეხი მოსახლეობა მიაწყდა პოლიციის შენობას და დაიმუქრა, თუ არ გაათავისუფლებენ დაკავებულს, მაშინ ახალციხის რაიონის 19 სომხური სოფლისა და მთელი ახალქალაქის რაიონის სომხობა დავდგებით ფეხზეო.

## ფრიდონ ხალვაში ქრისტიანულად მოინათლა

16 მაისს, სიონის საკათედრო ტაძარში, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფრიდონ ხალვაში, დაბადებიდან 75-ე წლისთავზე, მართლმადიდებლურად მოინათლა. მისი ნათლიები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძე იყვნენ. როგორც ბატონმა ფრიდონმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, იგი არა იცვლის, არამედ უბრუნდება თავის სარწმუნოებას — „50 წელია ვემსახურები ქართულ მწერლობას, რომელიც ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა. დღეს ფორმალურად ვინათლები, თორემ სულით ხორცამდე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ“, — დასძინა პოეტმა.




## სალმან რადუევი ბრალდებას უარყოფს

**(კავკას-პრესი)** საველე მეთაური სალმან რადუევი უარყოფს თავის მონაწილეობას საქართველოს პრეზიდენტზე, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმაში. მისი თქმით, ყველა ეს განცხადება „ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფი და საინფორმაციო ტრიუკია“. შეგახსენებთ, რომ ადრე, ტელეარხ ნტვ-ის საშუალებით, რადუევმა განაცხადა, რომ 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა, რომელშიც ჩეჩენი მოქალაქეები მონაწილეობდნენ, მისი პირადი ბრძანებით მოეწყო და რომ ამის შესახებ საქართველოში ინფორმირებული იყო რამდენიმე მაღალი რანგის პოლიტიკოსი.

# საქართველოს ხელისუფლებისა და დასავლეთის „თაფლობის წლებს“ დაესმება წერტილი...

*საქართველოს ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების კანდიდატების ვინაობა ცნობილია (ვრცლად იხ. გვ.2) და, მართალი გითხრათ, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების ფონზე მკრეხელობაა შინასახელისუფლებო ინტრიგებზე, ურთიერთჩაშვება-ჩაძირვასა და „გარკვეულ“ პოლიტიკურ ძალთა პერსპექტივებზე სიტყვის თქმაც კი, როცა უამრავ ცოდვასთან ერთად სწორედ მათი, ანუ მთელი ხელისუფლების კისერზეა ისიც, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოგვარება ბედის ანაბარაა მიგდებული! აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ მაშინღა გაახსენდება ხოლმე, როცა ამ ძირძველ ქართულ პროვინციებში ვიღაცას მოკლავენ, გაიტაცებენ ან „კონსტრუქციული დიალოგი“ გაიმართება კონფლიქტების მონაწილე მხარეებს შორის. ამ „კონსტრუქციული დიალოგების შედეგი“ კი არის ის, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესი არათუ ადგილიდან არ იძვრის, არამედ პერმანენტული ადამიანური უბედურებების კერადაა გადაქცეული ორივე რეგიონი, რომელთა სეპარატისტული რეჟიმების მიერ წარმოებული ანტიქართული იდეოლოგია მსხვერპლად იწირავს ყველა თვალსაზრისით დაუცველ რიგით ქართველობას...*

*ამ საჭირბოროტო საკითხებზე ვესაუბრები მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პოლიტოლოგ* ***გია ნოდიას,*** *რომლის მოსაზრებებიც ერთგვარი გამოხატულებაა ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი საგანგაშო განწყობილებისა და რისი გაუთვალისწინებლობის გარეშეც მომავალი აღმასრულებელი ხელისუფლებაც ისევე სამარცხვინოდ ჩაბარდება ისტორიას, როგორც წინა მთავრობა. ამასთან, ნათქვამი საკანონმდებლო ხელისუფლებასაც ეხება...*

— აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დღევანდელ ვითარებას „გაყინული კონფლიქტების“ კვალიფიკაცია შეესაბამება და, საუბედუროდ, არც მათი გადაწყვეტის პერსპექტივა ჩანს. დღევანდელი საქართველო არის უსუსტესი სახელმწიფო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჯარი ჰყავს სუსტი, არამედ თითქმის ვერც ერთ ფუნქციას, რომელიც სახელმწიფოს და მის ხელისუფლებას აკისრია, ვერ ასრულებს. ბუნებრივია, ვერ ასრულებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნების ფუნქციასაც. ხელისუფლება მუშაობს მხოლოდ აქა თუ იქ მოულოდნელად აღმოცენებული პრობლემებისადმი რეაგირების რეჟიმით: ანუ მოხდება რაღაც არეულობა აფხაზეთში და სწორედ მაშინ ამოქმედდება ხელისუფლება; გაიტაცებენ და სცემენ ჟურნალისტებს ან სხვა მოქალაქეებს და მხოლოდ ამ კონკრეტული ფაქტების მიმართ მოახდენენ რეაგირებას; რუსეთი დაგვბომბავს ან სავიზო რეჟიმის შემოღებით დაგვემუქრება და მაშინვე ამ მიმართულებით დაიწყება რაღაც ზომების მიღება, ანუ აქტიური თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ჩამოყალიბებული პროგრამის საფუძველზე განხორციელდება, დიდ პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე ხელისუფლების ცენტრალიზაცია, ანუ, ფაქტობრივად, არც ერთი სერიოზული გადაწყვეტილება არ მიიღება ერთი პიროვნების, ედუარდ შევარდნაძის გარეშე. ესეც არის მიზეზი, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების მოგვარება გაუთავებლად ჭიანურდება! შედეგად — სახეზე გვაქვს დაუძლურებული ქვეყანა, გაბოროტებული საზოგადოება, კორუფციის ფანტასტიკური და გამანადგურებელი მასშტაბი და ნულამდე დასული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა...

— *რა ფუნქციას ასრულებს იმავე ცხინვალის რეგიონში წლების მანძილზე მყოფი ეუთოს მისია? თავი დავანებოთ კონფლიქტის მოგვარებას, მაგრამ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების შემთხვევებზე რატომ არ რეაგირებს თუნდაც ელემენტარული განცხადებების გაკეთებით?..*

— საუბედუროდ, ჩვენ კარგად დავინახეთ, თუ რისი მაქნისია იგივე გაერო, რომელიც ეუთოსთან შედარებით უფრო ძლიერი ორგანიზაციაა და მსოფლიოს ვერც ერთ რეგიონში ვერ ახდენს გავლენას კონფლიქტებსა და პროცესებზე. 2-3 წლის წინ იყო შემთხვევა, როცა პირად საუბრებში ეუთოს მისიის წარმომადგენლები ოპტიმიზმს გამოთქვამდნენ, რომ უკვე შესაძლებელი ხდებოდა ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, მაგრამ მათივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა შანსი იმისა, რომ მიღებული ყოფილიყო დოკუმენტი, რომელშიც თუნდაც ფორმალურად დაფიქსირდებოდა — საქართველოს შემადგენლობაში ცხინვალის რეგიონის ფართო ავტონომიური უფლებები. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დარღვევების კონკრეტულ ფაქტებს, რა თქმა უნდა, აქ შეიძლება დიდი ხმაურის ატეხა და ამ პროცესს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად საერთაშორისო ორგანიზაციებმაც უნდა მისცენ ბიძგი, მაგრამ საქმე ის არის,



რომ ამ ღონისძიებამ შეიძლება იმუშაოს კარგად და შეიძლება არც იმუშაოს! პრობლემა ის არის, რომ თუ საერთაშორისო თანამეგობრობას შეუძლია მკაცრად მოსთხოვოს პასუხი, ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლებას მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მომხდარი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, იმავე საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიძლება ვერაფერი მოუხერხოს რაღაც უკონტროლო და აუღიარებელ სეპარატისტულ რეჟიმებს, რომლებიც გარიყულნი არიან საერთაშორისო სამყაროსგან. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ და არც აინტერესებთ, თუ, ვთქვათ, თქვენი კოლეგების ცხინვალში გატაცება-ცემის ფაქტს სადღაც საფრანგეთში ან სხვა ქვეყანაში დაგმობენ... ადამიანის უფლებების დასაცავად კი, დასავლეთი შეიარაღებულ ძალას კავკასიაში არ გამოიყენებს, რადგან ამით არცთუ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბალკანეთში, თანაც კავკასია შორს არის მათგან.

— *ანუ იმის თქმა გსურთ, რომ ჩვენი გასაკეთებელი საქმე, უწინარესად, ჩვენვე უნდა ვაკეთოთ, მაგრამ რა ქნას ხალხმა, საზოგადოებამ, როცა ხედავს, თუ რას სჩადის საკუთარი ხელისუფლება... მარტო ერგნეთის ბაზრობა თუ საბაჟოს მაგალითი რად ღირს, სადაც უკვე ისეთი მასშტაბები მიეცა კონტრაბანდას, საკმარისია, რაღაც მექანიზმებით აღიკვეთოს იგი, რომ ამ უზარმაზარ შემოსავალს მოკლებულმა ოსმა სეპარატისტებმა ახალი კონფლიქტი გააჩაღონ...*

— თავიდათავი კვლავ სახელმწიფოს და ხელისუფლების სისუსტეა. სუსტი სახელმწიფო რაიმე ქმედითი კანონიერი ეკონომიკური სანქციების გატარებას ვერ შეძლებს სეპარატისტული რეჟიმების წინააღმდეგ, რადგან ამ ეკონომიკურ ნაბიჯებს უმალ დაუდებენ პოლიტიკურ სარჩულს და გაჩნდება კონფლიქტის განახლების საშიშროებაც. მეორე მხრივ, თუ რაღაც რისკზე არ წავიდა ხელისუფლება, მაშინ სახელმწიფო კიდევ უფრო დაძაბუნდება, რასაც ჩვენი მტრები თავის სასარგებლოდ ეფექტურად გამოიყენებენ.

— *არადა თუ კარგად გავაანალიზებთ არა მარტო საქართველოში, არამედ, საერთოდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, აშკარად დავინახავთ, რომ საშიშროება მართლაც რეალურია...*

— საუბედუროდ, უახლოეს მომავალში სამხრეთ კავკასიაში საქმე ვერ წავა უკეთესობისკენ. თუ 90-იანი წლების პირველი ნახევარი ომების პერიოდი იყო, შემდგომ ვითარება რეგიონში სტაბილური გახდა. დღეს კი სტაგნაციის პერიოდი დადგა. სამივე ქვეყანაში უკიდურესადაა შესუსტებული სახელმწიფო ინსტიტუტები. აგერ, სომხეთი, რომელიც შედარებით უფრო სტაბილური და შეკრული სახელმწიფო იყო, დღეს იქაც ეშინიათ დიდი კონფლიქტის დაწყებისა, რადგან ქოჩარიანსა და სამხედროებს შორის დაპირისპირება დღითი დღე მწვავდება... აზერბაიჯანის პრეზიდენტი კი დაბერდა, თანაც მძიმედაა ავად და ვერავინ იტყვის, რამდენ ხანს გაძლებს ამ პოსტზე ალიევი — ალიევს სურს, რომ მისმა ვაჟმა დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი. ჩვენ ვხედავთ, რომ შევარდნაძეს არანაირი ოპოზიცია არც ჰყავს და არც ჩანს „ცის კაბადონზე“, სწორედ ეს იწვევს გარკვეულ სტაგნაციას: ხელისუფლება ვერ ბედავს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას კორუფციის აღმოსაფხვრელად. შედეგად — საქართველო, ფაქტობრივად, გაკოტრებულია და ეს პროცესი კატასტროფული სისწრაფით ღრმავდება. ერთადერთ იმედად და ხელჩასაჭიდ ფაქტორად პრეზიდენტ შევარდნაძეს კვლავ რჩება დასავლეთის დაინტერესება კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებით. მაგრამ თუ დასავლეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ბოლო პერიოდი „თაფლობის წლები“ იყო, დღეს საქართველო უახლოვდება იმ ზღვარს, როცა ამ „თაფლობის წლებს“ საკმაოდ მკვეთრი ჟესტით შეიძლება დაუსვას წერტილი დასავლეთმა, იმდენად შეიბღალა და გაიტეხა სახელი ჩვენმა ხელისუფლებამ.

— *კასპიის ენერგორესურსები ახსენეთ... ბოლო დროს ყაზახეთში ირანის დელეგაციებმა მოუხშირეს სიარულს და ნაზარბაევი უკვე თანახმაა, თენგიზის საბადოდან ერთი ნავთობსადენი ირანის მიმართულებით აშენდეს, რაც ბაქო-ჯეიჰანზე ორჯერ ნაკლები თანხა ჯდება. მეორე ნავთობსადენი ნოვოროსიისკის მიმართულებით შენდება უკვე! მეტიც, აზერბაიჯანის ოფიციალურ წრეებშიც გაისმის ხმები, რომ აზერბაიჯანის დიდი ნავთობი სამხრეთის მიმართულებითაც წავიდეს! სწორედ ამ საკითხზეც ექნება მოლაპარაკება ირანის პრეზიდენტ ხათემისთან ჰეიდარ ალიევს, რომელიც თვის ბოლოს ეწვევა ირანს ვიზიტით... ანუ ბაქო-ჯეიჰანის პროექტს, რომელიც, ჯერჯერობით, კვლავ ქაღალდზეა, გამოუჩნდა რეალური კონკურენტები...*

— თავისთავად ირანის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთმოლაპარაკებები არ არის გადამწყვეტი. ალიევი ყოველთვის იყო მომხრე ირანის მარშრუტისა, რადგან ეს გზა მართლაც მომგებიანია ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ აქ გადამწყვეტია აშშ-ისა და ირანის გართულებული ურთიერთობების ფაქტორი... ერთ-ერთი შემაკავებელი მიზეზი, ბაქო-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაციის დაწყებისა, არის ის, რომ ნავთობკომპანიებმა შესანიშნავად იციან, რამდენად მომგებიანია ირანის მარშრუტი და ამიტომ თითქოს ცდილობენ დროის გაჭიანურებას. პრეზიდენტ ხათემის დემოკრატიულობამ გააღვივა იმედი ნავთობკომპანიებში, რომ აშშ-ირანის ურთიერთობების გამოსწორების შედეგად შეძლებენ ირანის მარშრუტის განხორციელებას. ახლა დროის ფაქტორს ენიჭება დიდი მნიშვნელობა და იმასაც, თუ როგორ განვითარდება შინაპოლიტიკური პროცესები აშშ-ში. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, არ არის იმისი ნიშნები, რომ ვაშინგტონმა შეასუსტოს პოლიტიკური მხარდაჭერა ბაქო-ჯეიჰანის პროექტისადმი. ვფიქრობ, საბოლოოდ ყველა კითხვას გაეცემა პასუხი თეთრ სახლში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ... მანამდე კი საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა მიმართოს რაღაც არაორდინარულ, რადიკალურ ნაბიჯებს უწინარესად — კორუფციის წინააღმდეგ და მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეულ რისკზეც წავიდეს. თუ ეს არ გაკეთდა, გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ეს კარგად უნდა შეიგნოს ხელისუფლებამ!

— *გმადლობთ.*

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# ქართველები ცხინვალის „წითელ ზონაში“...

მკითხველმა ტელევიზიისა და პრესის საშუალებით ალბათ უკვე შეიტყო ჩვენი თანამშრომლების — კიაზო ბიჩინაშვილისა და ფოტოკორესპონდენტ გიორგი აბდალაძის ოსი „სამართალდამცავების“ მიერ გატაცებისა და ცხინვალის ციხეში გამომწყვდევის შესახებ. მოკლედ მაინც შეგახსენებთ საქმის არსს. 7 მაისს, „კვირის პალიტრის“ დამატების, ჟურნალ „გზის“ სარედაქციო დავალებით ჩავედი ცხინვალთან ახლოს, სოფელ ერგნეთში მდებარე ბაზრობაზე, რომელიც ფაქტობრივად ორ ნაწილადაა გაყოფილი — ერთს, რომელზეც სასურსათო ბაზრობაა გაშლილი, ქართული მხარე აკონტროლებს, ხოლო მეორეს, ბენზინით მოვაჭრეთა ბირჟითურთ — ოსური. ეს არის სწორედ ის ადგილი, რომელიც სამართლებრივ ნონსენსს ქმნის ქართულ ეკონომიკაში და რომლის შესახებაც განსხვავებულ აზრთა შეხლა-შემოხლა დღესაც გრძელდება: იქ ნაყიდი ბენზინი მცირე (იშვიათად — დიდი) პარტიებით შემოაქვთ თბილისში წვრილ მოვაჭრეებს და როგორც საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი ირწმუნება, განბაჟების თანხის გადაუხდელობის გამო მილიონობით ლარს აკლებენ ქვეყნის ბიუჯეტს.

ნონსენსი კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კონტრაბანდისტებსაც (თუკი შეიძლება კონტრაბანდა ვუწოდოთ 100 ლიტრ ბენზინს) აქვთ არგუმენტი: ერგნეთი საქართველოს ტერიტორიაა, ამიტომ იქ ნაყიდი საქონელი კონტრაბანდად არ უნდა ჩაითვალოს, ხოლო თუ იქამდე ოსებს განუბაჟებლად მოაქვთ, ეს ხელისუფლების პრობლემაა და არა ჩვენი, ჩვენ ის დამცირებაც გვეყოფა, რასაც ოსებისაგან ვიღებთ, როდესაც მათ გასამდიდრებლად ვმუშაობთო — გადათელილი „დაბალი ღობის“ როლში გამოდიან ისინი.

ერთი სიტყვით, რეპორტაჟი მომზადდა (და დაიბეჭდა კიდეც ჟურნალ „გზაში“), მაგრამ ფოტომასალის მოსაპოვებლად მეორე დღეს ჩვენი თანამშრომლები გაემგზავრნენ, რომლებიც დატყვევებულნი იქნენ ოსების მიერ და დივერსიის ბრალდებით იმყოფებოდნენ ცხინვალის ციხეში. ჟურნალისტებს არც ოჯახებთან, არც რედაქციასთან დაკავშირების საშუალება არ მისცეს — წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როდესაც მათ ჩამოსვლას საღამოს შვიდი-რვა საათისათვის ველოდებოდით და ისინი კი მეორე დღესაც არ ჩანდნენ, მობილურები ორივეს გამოურთეს.

ორმაგად შემზარავია გაურკვევლობისა და საკუთარი უძლურების შეგრძნება მაშინ, როდესაც იცი, რომ ეს ხდება საქართველოს მთავარი ავტომაგისტრალიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც ჩვენი ხელისუფლების განცხადებებით, სიტუაცია თითქოს დარეგულირებულია და თითქოს საქართველოს ერთადერთი მოუგვარებელი პრობლემა — აფხაზეთია.

— Вы думаете, в рай попали, вы думаете, это Грузия?! — ეუბნებოდნენ ქართველ ჟურნალისტებს ოსი „სამართალდამცავები“ და ცინიკურად აუწერდნენ იმ „პატივისცემას“, რომელიც მათ ელოდათ. როცა აბდალაძემ და ბიჩინაშვილმა აგვიწერეს ცხინვალის ციხე და ზედამხედველთა დამოკიდებულება პატიმრებისადმი, არ შეიძლებოდა „ყვარყვარეს ციხე“ არ გახსენებოდა კაცს (იქ მყოფი ქართველი პატიმრები თურმე მართლაც ასე უწოდებენ).

მხოლოდ ქართველ სამართალდამცავთა, — შიდა ქართლის პოლიციის რეგიონალური სამმართველოს უფროსის ნოდარ დალაქიშვილის, გორის რაიონის პოლიციის უფროსის გელა ცალქალამანიძის და ამავე რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის შამილ ხაჩიურის პირადი კონტაქტების საშუალებით მოხერხდა მათი გამოხსნა. ამ ადამიანებმა გულთან ახლოს მიიტანეს რედაქციის თანამშრომელთა მდგომარეობა და ქმედითი დახმარება გაუწიეს, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

12 მაისს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა პრესკონფერენცია.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კოლეგების თავგადასავალი უკვე საკმაოდ ფართოდ გაშუქდა პრესისა და ტელევიზიის მიერ. ამიტომ პრესკონფერენციის ძირითადი მიზანი მათი ტყვეობის პერიპეტიების, იქ ქართველი პატიმრების ყოფნისა(!) და მათი გაურკვეველი მდგომარეობის გაცნობასთან ერთად, ცხინვალის რეგიონში არსებული სიტუაციის ანალიზიც იყო — ჩვენ შევეცდებით ობიექტურად დაგანახვოთ პრობლემა და მისი გადაწყვეტის შესაძლო გზებზე გაგიზიაროთ როგორც გატაცებულთაგან ერთ-ერთის, ასევე კომპეტენტურ პიროვნებათა აზრი.

**გიორგი აბდალაძე**: — ერგნეთში ჩასულებმა გადავწყვიტეთ,— ჯერ ოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია გადაგვეღო, რისთვისაც ე.წ. ნეიტრალური ზონა შევარჩიეთ, — ჩემი აპარატურა საკმაოდ დიდი მანძილიდან გადაღების საშუალებას იძლევა. კიაზო მანქანიდან გადავიდა, რათა სიტუაცია ენახა და გადაღების ობიექტი შეერჩია. მე ფოტოკამერით ჯერ არ ვაპირებდი გადასვლას, თან მისი მანქანაში უყურადღებოდ დატოვება არ მინდოდა. კიაზო რამდენიმე წუთში ოთხ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ ავტომატიანთან ერთად დაბრუნდა. მათ საბუთი მომთხოვეს. პრეზიდენტის პრესსამსახურში აკრედიტაციის ბარათი ვაჩვენე და ვუთხარი, რომ ერგნეთის ბაზრობის გადასაღებად ჩამოვედი. ამის შემდეგ მკითხეს — მქონდა თუ არა ოსეთის პრეზიდენტის, ჩიბიროვის ნებართვა, ამის გარეშე გადაღების უფლება არავის აქვსო. კიაზო საჭესთან დასვეს, თვითონაც ჩასხდნენ და მილიციის განყოფილებაში წავედით. გზაში გვცემდნენ და გვაგინებდნენ.

არ ვიცი, რაში მჭირდებოდა, ალბათ ჟურნალისტური ინსტინქტი იყო — დიქტოფონი ჩავრთე და ჯიბეში დავმალე. ეს შემდეგ ძვირად დაგვიჯდა. როდესაც განყოფილებაში მიგვიყვანეს, გაგვჩხრიკეს და თავისი ხმა რომ მოისმინეს ჩაწერილი, — სასტიკად გვცემეს. მე მოვითხოვე, ადგილობრივი ტელევიზია მაინც მოიყვანეთ-მეთქი. ამაზე გულიანად იცინეს. ამის შემდეგ მიბრძანეს ტანსაცმელი გამეხადა და შეამოწმეს, მქონდა თუ არა ნარკოტიკის ხმარების კვალი (კიაზო უკვე სხვა ოთახში ჰყავდათ გაყვანილი) და იქ ისე „საფუძვლიანად“ მირტყეს, რომ მანამდელი მოფერებად მომეჩვენა. მერე შავფორმიანი (ალბათ, ომონელი) შემოვიდა. რევოლვერი გადატენა, შუბლზე მომაბჯინა და მკითხა: „აბა თუ მიხვდები, გავისვრი თუ არა?“ სასხლეტს გამოჰკრა, იარაღმა „ასეჩკა“ მისცა — ალბათ წინასწარ ასე ჰქონდა მომზადებული, მაგრამ მე ჩემი დამემართა. შემდეგ ჩემ თვალწინ ჩადო ტყვია, ხელი ძალით დამადებინა მაგიდაზე — ამ ხელით ჩართე დიქტოფონიო? — სროლას აპირებდა. მეორე ეცა ხელში და არ ესროლოო უთხრა, ამაზე გაბრაზებულმა სამაგიეროდ იარაღის ტარით მცემა. შემდეგ ოთახიდან გამიყვანეს და დერეფანში მეორე ოთახიდან გამოყვანილი კიაზო გაატარეს, რომელმაც მოასწრო ეთქვა: პირველი ჩვენება მივეციო — შეთანხმებული ვიყავით, რომ ეს ნიშნავდა — სიმართლე უნდა გვეთქვა ყველაფერი რედაქტორის გვარისა და სხვა წვრილმანების ჩათვლით. ამ ჩვენებების დამთხვევამ კიდევ ერთ ცემას გადამარჩინა.

ახლა შეიძლება ცოტა სასაცილოდაც ჟღერდეს, ამდენჯერ რომ ვახსენე ცემა, მაგრამ მაშინ ნაღდად არ მეცინებოდა — ჩვენების მიცემის შემდეგ, რომელიც თვითონ დაწერა და მე მხოლოდ ხელი მომაწერინა, უკვე თვით უფროსმა მირტყა „ყოველი შემთხვევისათვის“.

„ჩვენების მიცემის“ შემდეგ მე და კიაზო დაგვსვეს ერთ ოთახში. ჩვენთან ერთად ერთი უფროსი ლეიტენანტი დარჩა. კიაზომ უთხრა, რომ ვითომ დედა ჰყავდა ოსი და ამაზე ის ცოტა მოლბა და მითხრა: ამ კაცს უმადლოდე, თორემ „პედერასტების“ კამერაში შეგაგდებდითო. „უაზით“ ციხეში წაგვიყვანეს. სამსართულიანი შენობაა. იქ რაღაც ქაღალდები შეავსეს და საკნებში დაგვანაწილეს, სარდაფში — მე მეექვსე საკანში, კიაზო — პირველში.

საკანი ცალკე აღწერის ღირსია. ბოდიში და, მოსასაქმებელი მოწყობილობა ამოვსებულ-გაჭედილი, ე.ი. „ეს საქმეც“ ციხის ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ უნდა გვეკეთებინა — ტუალეტში დღეში ორჯერ, დანიშნულ დროს გავყავდით. შუქი დღე-ღამეში 2 საათით მოდის.

საკანში სამი კაცი დამხვდა. ერთი ადგილობრივი ოსი, რომელსაც თითქმის სულ ეძინა და, როგორც თავად მითხრეს, ორი გორელი ქართველი. ზედამხედველმა ჩემი შეყვანისას იმათ უთხრა, ყველა წესი აუხსენითო. ამიხსნეს, რომ ეს არის ე.წ. „წითელი ზონა“, ე.ი. ისეთი საპყრობილე, სადაც „ქურდული კანონები“ არ მოქმედებს და ადმინისტრაციის „ბეზპრედელია“, რაც გამოიხატება სულ მცირე დარღვევისათვის სასტიკ ცემასა და მინიმუმ ათი დღით კარცერში ჩამწყვდევაში. კარცერი, როგორც მითხრეს, არის მესამე სართულზე მოთავსებული ერთი ბეწო ოთახი, შუაში ჩაბეტონებული რკინის სკამით, ამ სკამზე მხოლოდ

***(გაგრძელება იხ. გვ. 5)***

# მოულოდნელი სიხარული

14 მაისს და 22 დეკემბერს რუსული მართლმადიდებელი ეკლესია ზეიმობს „მოულოდნელი სიხარულის ხატის“ („Нечаянная радость“) დღეს. ეს ხატი ერთადერთია საქართველოში და იგი ვერაზე, იოანე ღვთისმეტყველის ტაძარშია დასვენებული. ხატმწერს შესანიშნავად აღუბეჭდავს სიუჟეტი. ხატი საკმაოდ დიდია. მასზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მის წინ მუხლმოყრილი ცოდვილი.

X-X საუკუნეებში მოღვაწე წმიდანი დიმიტრი როსტოველი ამ ხატისა და ამ დღის სასწაულზე გვიამბობს: თურმე, ერთი ცოდვილი ეკლესიაში დადიოდა, სანთელსაც ანთებდა, ლოცულობდა, მაგრამ მაინც ისევ თავის ცოდვილ გზას ადგა და ცოდვას ცოდვაზე სჩადიოდა.

ერთხელ, ღვთისმშობლის ხატთან მუხლმოდრეკილმა საოცრება იხილა: ყრმას იარებიდან სისხლი სდიოდა... ამ სანახაობით შეძრწუნებულმა შეჰყვირა, — ეს ვინ გაბედა, ეს ვინ ჩაიდინაო?.. რაზეც მაცხოვარმა მიუგო: — შენ და შენისთანების ცოდვებმა კვლავ ჯვარს მაცვეს და ისევ ვეწამებიო...

ცოდვილი დაემხო ხატის წინაშე, მის ტანჯვას საზღვარი აღარ ჰქონდა... ნანობდა... შესთხოვდა უფალს პატიებას, მაგრამ შენდობა აღარ ეძლეოდა.



იმედგადაწურულს და უსასოოს სიცოცხლე ტანჯვად ექცა...

მხოლოდ ღვთისმშობელმა შეისმინა და დედური გულმოწყალებითა და სასოებით სთხოვა მაცხოვარს, — შეენდო ამ ცოდვილისთვის. მაცხოვარმა მხოლოდ და მხოლოდ დედის თხოვნით შეუნდო, რადგანაც დედის გულს ყველაფრის პატიება შეუძლია.

და სიხარული, რომელიც მიიღო უპოვარმა, სრულიად მოულოდნელი იყო.

დამეთანხმებით, მოულოდნელი სიხარული უფრო მეტ სიხარულს იტევს, ვიდრე ჩვეულებრივი — მოულოდნელი სიხარულის მადლი მოგეცეთ, დედებო, დაბრუნებული შვილებისგან, განწირული ავადმყოფის გამოჯანმრთელებით, დაკარგულის პოვნით, გზააბნეულის სასიკეთოდ შემობრუნებით, — ასე დალოცა მრევლი დეკანოზმა ლეონტიმ.

***დოდო იორდანიშვილი***


## ფოტო მომსახურება: სწრაფი და ხარისხიანი ბეჭდვა

**წახალისების სისტემა. ფასდაკლება პროფესიონალებზე და მაგთის აბონენტებზე**

**ა) გარანტია**
**ბ) აქსესუარები**
**გ) ჩართვა მაგთი GSM**

**მისამართები:**

1. ალმაშენებლის გამზ. 71 (ნოკია სერვის-ცენტრი) საგარანტიო და სერვისული მომსახურება. შეკვეთების მაგიდა. ტელ/ფაქსი: 94-15-66; 899-555-035

2. მარჯანიშვილის ქ. 15, ფოტო-სალონი ფუჯი ტელ/ფაქსი: 95-80-03

3. რუსთაველის გამზ. 31, ფოტო-სალონი ფუჯი (ცენტრალური ფოსტის შენობაში) ტელ/ფაქსი: 99-53-83


### ანუ რისი ეშინია მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს

ტკივილი, რომელიც შენიანის უღირსი საქციელითაა გამოწვეული, მთლიანად გიპყრობს, სულს გიფორიაქებს და არ გასვენებს წრიალა კითხვა: „რატომ? რაღა ჩვენში? რაღა ჩვენიანი?

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში (№19) „დედათბილისის“ გვერდში დაიბეჭდა მკითხველის რეპლიკა, სადაც ავტორი თავის აღშფოთებას ვერ მალავდა გამოჩენილი ქართველი ოფთალმოლოგის ივანე სიხარულიძის მემორიალური დაფის გაუჩინარების გამო. პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე რედაქციაში დარეკა ჩვენი სასიქადულო მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილმა, ქალბატონმა რუსუდანმა და გვაუწყა, რომ სწორედ აღდგომამდე, რამდენიმე დღით ადრე მწერლის მემორიალური დაფა გაქრა მათი სახლის კედლიდანაც.

გამოდის, რომ თბილისში რაღაც ჯგუფი მოქმედებს, დაძრწის ქალაქის ცენტრალურ უბნებში, იქ, სადაც ცნობილი, ჩვენთვის საამაყო მამულიშვილები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. ისინი ხსნიან მემორიალურ დაფებს. მიზანი მარტივია, მაგრამ აღმაშფოთებელი: ვინაიდან მემორიალური დაფები, ძირითადად, სპილენძისგან ან ბრინჯაოსგან მზადდება (არის მარმარილოს დაფებიც) და მათზე გაკეთებული წარწერაც ასევე სპილენძ-ბრინჯაოსია, ისინი უკვე წონის მიხედვით რაღაც ღირებულებას წარმოადგენს. არსებობს ეჭვიც, რომ ქალაქის ერთ-ერთ განაპირა ადგილას არალეგალური „მიმღები პუნქტი“ ფუნქციონირებს, რომელიც იღებს ჯართს, ხოლო ამ „ჯართში“ სულერთია რას აღმოაჩენენ: „გაფცქვნილ“ სატელეფონო კაბელს, ელექტრომავთულს, გამოუსადეგარ ძველებურ სპილენძის ქვაბს თუ მემორიალურ დაფას. მთავარია, ყველაფერი ერთად ტონას ან ტონაზე მეტს აღწევდეს, სამაგიეროდ, 1 ტონა ჯართში თურმე 50 დოლარს იძლევიან. მოგეხსენებათ, 10 ლარი ოფიციალურ სამსახურებში სანატრელია, იმასაც რამდენიმე თვის დაგვიანებით იღებენ, ამიტომაც ზოგიერთებმა საქმე იოლად ააწყვეს, ხუმრობა ხომ არ არის, ერთ ღამეში ყოფილა შესაძლებელი 10 ლარის „გაკეთება“. „ღამის მუშები“ ათვალიერებენ მემორიალურ დაფებს, სხვათა შორის, სასაფლაოებსაც. მათ თვალს არსად გამორჩება „საკბილო“ და მაშინ, როდესაც თბილისს ღრმა ძილით სძინავს, ისინი სპეცხელსაწყოებით შეიარაღებულნი (შიშველი ხელებით შეუძლებელია მათი ჩამოხსნა) „მუშაობენ“. მთავარია, ვრცელი წარწერა იყოს დაფაზე გაკეთებული, რადგან ამ შემთხვევაში დაფაც დიდია და სიტყვათა რაოდენობაც. დღევანდელი ყოფით გაბეზრებული ზოგიერთი „გულმოწყალე“ ადამიანი, ალბათ, იტყვის: აბა, რა ქნას მშიერმა კაცმა, თუკი საარსებოდ არანაირი პირობა არა აქვსო. ამის პასუხად ერთი კონტრკითხვა არსებობს მხოლოდ: განა ამ სამარცხვინო და უღირსი გზით მოპოვებული პურის ფული ბოლომდე შეერგებათ? არ გაუგიათ, ის ძველქართული გამოთქმა — ბაბუის ნაჭამმა მკვახე ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილი?

ამ რამდენიმე დღის წინ პირადად მე ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მკითხველი დამიკავშირდა და ცრემლით მომითხრო გაუგონარი ვანდალიზმის შესახებ: პატარა გოგონას საფლავი შელანძღული და წაბილწული იყო, მარმარილოს ლობე ზოგან ჩატეხილი, ზოგიც მოპარული დამიხვდაო.

ნუთუ ამის ჩამდენთ ღვთის რწმენა და შიში არა აქვთ? ნუთუ ისე გაიწყვიტეს სინდისის ძარღვი, რომ მცირეოდენი თანხის (ან თუნდაც სოლიდურის) გამო მიცვალებულთა სამუდამო განსასვენებელს მიადგნენ ახლა?

„კვირის პალიტრა“ დაინტერესდა ამ მტკივნეული თემით და სანამ ცნობილი პიროვნებების მემორიალურ დაფებს მოვინახულებდით, დიღმის სასაფლაოს სახელოსნოდან გამოსულ ხელებდაკაპიწებულ ქვისმთლელს გავესაუბრეთ. მან გვითხრა: ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებიც გვაბარებენ მარმარილოს ან ტუფის „ნაჭრებს“ და გვეუბნებიან, რომ რემონტიდან და მშენებლობიდან შემორჩათ. ჩვენც ძალიან იაფად ვიბარებთ და როცა დამკვეთი მოდის, მას განახლებული სახით ვთავაზობთ. ძნელია იმის მტკიცება და დაბრალება, რომ მან მოიპარა ქვა, თუმცა ხშირ შემთხვევაში, მოტანილს დაფის სახე აქვს და კუთხეებიც დაზიანებულია. მე რა შუაში ვარ, ვინც იპარავს, პასუხიც იმას მოსთხოვეთო.

ხელოსანმა მომპარავს იოლად შეაწმინდა ხელები და პასუხისმგებლობაც აიცილა თავიდან, მაგრამ „ღამის მუშას“ მისი ან სხვა „ჩამბარებლის“ იმედი რომ არ ჰქონოდა, ხომ არ ჩამოხსნიდა მემორიალურ დაფას? ხომ არ დაანგრევდა სხვის უკვე აშენებულ-გაკეთებულ საფლავს? ამიტომ საერთო ძალისხმევით ყველამ ერთად უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა ამ ახალდაბადებულ სენს, თორემ სამომავლოდ თბილისი მხოლოდ ბიზნესმენთა, ვაჭართა და მოქეიფეთა ქალაქს დაემსგავსება, რადგან კომერციული, სავაჭრო და დუქან-რესტორანთა მიმანიშნებელი ტრაფარეტებიღა შემორჩება თბილისს, თითქოსდა აქ არასოდეს უცხოვრია ხელოვანს, მწერალს, მომღერალს თუ სხვა მრავალ ღვაწლმოსილ, ამაგდარ ადამიანს.

ჩვენ ქალბატონ რუსუდან ჯავახიშვილსაც ვესტუმრეთ. მასპინძელს უკვე მოეძია და დაეზუსტებინა იმ მემორიალური დაფების სია, რომელიც წინასააღდგომო დღეებში გაუჩინარდა:

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. ნიკო შიუკაშვილი
3. ივანე სიხარულიძე
4. სიმონ ჯანაშია
5. კირილე ზდანევიჩი
6. შოთა მანაგაძე
7. გურამ რჩეულიშვილი
8. ნიკოლოზ ჩაჩავა
9. პორფილე ჩანჩიბაძე
10. ივანე ჯავახიშვილი
11. კონსტანტინე გამსახურდია (იაშვილის ქუჩიდან, სადაც მწერალი ცხოვრობდა კოლხურ კოშკში გადასვლამდე).

„ეს ის სიაა, რომელიც მე დავადგინე“, — ამბობს ქალბატონი რუსუდანი, — „მაგრამ რამდენია კიდევ ისეთი, რაც დაუზუსტებელია“.

***მარინა ბაბუნაშვილი***







(დასაწყისი იხ. გვ3)

წელში მოხრილად მჯდომს შეუძლია ყოფნა. დღეში რამდენჯერმე ისედაც გაყინულ ტუსაღს (პატიმრებს იქ თითქმის შიშველს ამყოფებენ) ორ ვედრო ცივ წყალს ასხამენ. კვება საერთოდ არ არსებობს — მხოლოდ „პერედაჩებით" საზრდოობენ. წყალი კვირაში ერთხელ მოდის ნახევარი საათით — ჩვენს საკანში 50-მდე „კოკა-კოლას" ბოთლი ჰქონდათ და მთელი კვირის დასაბან და დასალევ წყალს იმაში აგროვებდნენ. ერთ-ერთმა ჩემმა თანასაკნელმა „პრიანიკი" მომცა, მანუგეშა, თანაც გამაფრთხილა — ქართველი ხარ და ერთ ცემას აქაც ვერ ასცდები დღესო. მეორე წუხდა — ხვალ 9 მაისია, სადღესასწაულოდ დათვრებიან და აუცილებლად სასტიკი ცემა მოგვიწევსო.

დილის 6 საათზე „პადიომია", წუთით დაგვიანებისთვისაც კი ათდღიანი კარცერია. საღამოს ძალიან აცივდა და ერთ-ერთმა თავისი ქურთუკი მომცა — ლოგინზე, ე.წ. ნარზე მხოლოდ ერთი ზეწარი იყო — ლეიბიც ის იყო და საბანიც. დაძინება მოვახერხე, მაგრამ თხუთმეტიოდე წუთში სიცივემ გამაღვიძა. „პადიომამდე" ორმოციოდე წუთით ადრე, ისევ ჩამეძინა. როდესაც 6 საათი შესრულდა და დაიძახეს, წამოვხტი, „ლოგინი" სასწრაფოდ გავასწორე და ბიჭები მე გავაღვიძე. მითხრეს, მესამე სართულიდან იწყება ტუალეტში გაყვანა, ნუ ღელავ — კიდევ ნახევარი საათი გვაქვსო. ტუალეტში წაგვიყვანეს, საათს ინიშნავენ — ორ წუთში უნდა მოასწრო ყველაფერი, ტუალეტს აღარ აღვწერ — თვითონ წარმოიდგენთ ყველაფერს. დავბრუნდით კამერაში, კუსტარული, ტომრის ნაგლეჯებისაგან შეკრული ცოცხით დაგავა ერთ-ერთმა საკანი — მორიგეობაა დაწესებული. ერთ საათში „გასეირნება" გვქონდა. ეს ხდება პატარა, ოთახის ხელა ეზოში. კიაზო იქ პირველად დავინახე მას შემდეგ, რაც ციხეში მიგვიყვანეს, მაგრამ აქაც ვერ დაველაპარაკე — ჩვენი ამბავი უკვე ყველამ იცოდა ე.წ. ციხის ტელეგრაფის საშუალებით — მეორე მხრიდან ვიღაც ოსმა პატიმარმა დაცინვით გადმომძახა: „Что журналист, мемуары писать будешь?" ამ გასეირნებისას დამანახვეს ჩემმა თანასაკნელებმა სხვა ქართველი პატიმრები და მითხრეს — უმეტესობის ამბავი არავინ იცის და თვითონაც არც განაჩენი და არც რაიმე სხვა ინფორმაცია არ გააჩნიათ, რაზე სხედანო. ერთ-ერთმა მათგანმა მოახერხა ასანთის კოლოფის გადმოცემა, რომელზეც თბილისში მისი ოჯახის ტელეფონის ნომერი ეწერა (როდესაც ჩამოვედი, დავურეკე და მისი ამბავი შევატყობინე).

საკანში დაბრუნებულებმა ჩაი მოვადუღეთ, თუმცა ზედამხედველს რომ გაეგო, სასჯელი არ აგვცდებოდა. სანთლის გამოყენების ორიგინალური ხერხი ვისწავლე: სანთელს ჯერ ქსოვილის ნაჭერი შემოახვიეს, შემდეგ სიგარეტის ვერცხლისფერი ქაღალდი, ე.წ. ფოლგა და ცეცხლის მოკიდების შემდეგ გაზქურასავით ამოდიოდა ცისფერი ალი. ჩაიმ ცოტა მომამაგრა. ორ საათზე სრულიად მოულოდნელად გაისმა საკნის კარის სარკმლიდან: „Абдаладзе и Бичинашвили с вещами!". ჩემი ერთი თანასაკნელი ბიჭიკაშვილი იყო, საწყალს ეგონა, რომ მას ეძახოდნენ და სიხარულისაგან გაოგნებული ჩემთან ერთად გამოვარდა საკნიდან. წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, როდესაც გაიგო, რომ მას კი არა, კიაზო ბიჩინაშვილს ეძახდნენ.

ისე, მეც შიშით გავდიოდი, რადგან გაფრთხილებული ვიყავი, შეიძლება „ს ვეშჩამი" დაგიძახონ და სინამდვილეში საცემად გაჰყავდეთო. ციხიდან გამოსვლისას ერთ-ერთმა ზედამხედველმა გარდაცვლილი მამის ნაჩუქარი ხის ჯვარი შემამჩნია კისერზე და დამტვრევას უპირებდა, დიდი ხვეწნის შემდეგღა დამიბრუნა.

„ნივით" წაგვიყვანეს „სამხრეთ ოსეთის" უშიშროების კომიტეტში. იქ კომიტეტის თავმჯდომარემ ისე გვკითხა, ცუდად ხომ არ მოგეპყრნენ, ხომ არ გცემესო — ჩვენი პასუხიც თავისთავად იგულისხმებოდა: როგორ გეკადრებათ, გადაგვყვნენ ზედო. სხვათა შორის, ყველაფერი დაგვიბრუნეს, რაც ციხეში ჩამოგვართვეს. მხოლოდ კიაზოს მანქანიდან დაიკარგა მისი პირადი ნივთები: ფოტოაპარატი, მზის სათვალე და რაღაც წვრილმანი.

უკან ჩვენივე მანქანით წამოვედით ე.წ. საზღვართან რედაქციის ხელმძღვანელობა და გორის რაიონის პოლიციელები გველოდნენ...

აღნიშნულ ფაქტსა და სამაჩაბლოში შექმნილი სიტუაციის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ იმ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამ საკითხში კომპეტენტურნი არიან (ან სამსახურებრივად ევალებათ კომპეტენტურნი იყვნენ):

**ნოდარ დალაქიშვილი:** რა თქმა უნდა, უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ 1993 წლის შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში, რაც გულისხმობს ქალაქ ცხინვალის და მის გარშემო თორმეტკილომეტრიან სივრცეს, ყოველგვარი გადაღება სამშვიდობო ჯარების ნებართვით უნდა მოხდეს, რაც ჩვენი, — სამხარეო პოლიციის საშუალებით ხორციელდება.

— **ე.ი. ერგნეთის ბაზრობაზე, ან ქარელის(!) და გორის(!) რაიონის იმ სოფლებში, რომლებიც თორმეტ კილომეტრზე ახლოს მდებარეობენ ცხინვალიდან, უნებართვოდ რეპორტაჟი ვერ უნდა მოვამზადოთ?**

— სამწუხაროდ, ასეა!

**მაია მოლიძე** შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი (მან ოფიციალურად განგვიცხადა, რომ მისი ნათქვამი შეგვიძლია კახა თარგამაძის მოსაზრებად ჩავთვალოთ): ჯერ კიდევ გასარკვევია, მართლაც არის თუ არა ცხინვალის ციხეში ვინმე იმ ორი ადამიანის გარდა, რომლებზეც ჩვენ გვაქვს ინფორმაცია — ესენი არიან ხუბულური და კაჟაშვილი, დანარჩენები ყველანი ცხინვალის რეგიონის მცხოვრებნი არიან.

— **კი, მაგრამ, ჩვენი კოლეგები გვეუბნებიან, რომ თბილისელებთან ერთად ისხდნენ საკანში.**

# ქართველები ცხინვალის „წითელ ზონაში"...

— ეს ჯერ კიდევ გასარკვევია. საჭიროა პროცესუალური ნორმების დაცვა — მათი ახლობლები უნდა მოვიდნენ და ჩვენთან შემოიტანონ განცხადება, რომ ეჭვი აქვთ ცხინვალის ციხეში მათ ყოფნაზე.

**ელენე თევდორაძე:** აღშფოთებული ვარ ამ ფაქტით, დამიჯერეთ, გულწრფელად გეუბნებით — ეს ჩემი ბრალია, პირადად ვიღებ პასუხისმგებლობას. გუშინაც დამირეკა ეუთოს წარმომადგენელმა, ჩვენთან მყოფი ოსი პატიმრის მდგომარეობის შემოწმება მომთხოვეს — ნაცემიაო.



9 მაისი; ერგნეთი; გავათავისუფლეთ...

როდესაც ცხინვალში ვიყავი, მოსახლეობასთან მქონდა ძალიან თბილი შეხვედრა და ე.ი. თვალი ამიხვიეს — მე ძალიან შევცდი, როცა კატეგორიულად არ მოვთხოვე ეუთოს, ციხეში შევეყვანე. ამას ვერაფრით ვპატიობ ჩემს თავს. გპირდებით, რომ ორშაბათს სამუშაო დღეს ამით დავიწყებ: შევალ პრეზიდენტთან, საქმის კურსში ჩავაყენებ და მოვითხოვ ეუთოს მისიის ხელმძღვანელობის გამოძახებას თბილისში.

კიდევ ერთხელ ძალიან გთხოვთ დაწერეთ, რომ არ ვიხსნი ჩემს წილ პასუხისმგებლობას.

იქნებ ამ საკითხზე ირაკლი მაჭავარიანთანაც გესაუბრათ — მას უშუალოდ ევალება ამ საკითხებზე მუშაობა და ჩიბიროვთანაც აქვს მუდმივი კონტაქტი.

ბატონ ირაკლი მაჭავარიანთან დაკავშირება მხოლოდ გვიან ღამით მოვახერხეთ, თუმცა საუბარი სხვა, ისეთ საკითხსაც შეეხო, რომელიც ცალკე პრობლემაა და ამიტომ ამ საუბარს ბოლოს შემოგთავაზებთ.

**მამუკა არეშიძე:** ეს ფაქტი ცხადია, შემაშფოთებელია, მაგრამ ჩემთვის თვისებრივად ახალი არ არის. ოთხი შემთხვევა ვიცი ერგნეთის ბაზრობიდან ადამიანების გატაცებისა. ოღონდ იქ ქართველები მონაწილეობდნენ — ტყვეებს ყიდდნენ. „გადამყიდველების" თანმიმდევრობა ასეთი იყო: ქართველები-ოსები-ინგუშები-ჩეჩნები. ეს იყო აგვისტოში.

იყო ასეთი პიროვნება — მურად თედეევი — ქართული სოფლის დამარბეველი, სადისტი — პირადად ჩავიყვანე ცხინვალში — იმიტომ კი არა, რომ გასაშვები იყო, არამედ იმიტომ, რომ მე და გილიგაშვილს შეთანხმება გვქონდა იქაურ პროკურორ პარასტაევთან — ტყვეთა გაცვლის შესახებ.

არ დააფასეს, ხომ?! — ძალიან კარგია, რომ ამხელა აჟიოტაჟი ატეხეთ. ეს ოსებისთვის შემაშფოთებელი იქნება და არა გამაღიზიანებელი — გაიგონ, რომ შეგვიძლია სხვა ზომებს მივმართოთ. სხვა ზომებში საპასუხო ზეწოლას ვგულისხმობ და არა ძალის პოზიციას. უფრო ეფექტური ზომებიც არსებობს, მაგალითად მათთვის ყოველგვარი დაფინანსების შეწყვეტა — ფართო საზოგადოებამ არც იცის, რომ მათი ე.წ. „პარლამენტის" წევრები ჩამოდიან აქ და კრედიტებს „ჩალიჩობენ", ერთ-ერთი იქაური მაღალჩინოსნის უდავოდ ნიჭიერი შვილი თბილისში დადის ჭადრაკზე და ფულს აქაურები უხდიან, გახდება მერე დიდი მოჭადრაკე და ვისი სახელით იასპარეზებს, თავად დაასკვენით... ჰოდა, იცოდნენ, რომ ამ ყველაფერს შეიძლება გამოეთხოვონ.

**ნოდარ ნათაძე:** ეს არის ფაქტი, რომელმაც უნდა გაგვარისხოს, მაგრამ არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ეს არის იქაური მდგომარეობის ლოგიკური შედეგი — სამაჩაბლოს პრობლემა ხომ მხოლოდ ეუთოს მისიაზეა მიგდებული. ეს წარმომადგენლობა კი რაც არის, ახლავე მოგახსენებთ, არსებობს 1992 წელს შექმნილი და ორი წლის შემდეგ რედაქტირებული დოკუმენტი — „საქართველოში ეუთო-ს მისიის რეკომენდაციები სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით (გამოქვეყნებულია მხოლოდ „Свободная Грузия"-ში), იქ მითითებულია მათი ძირითადი პრინციპები: 1. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა ფაქტების ისტორიას, არამედ თვით ფაქტებს, ე.ი. რადგან დეფაქტო არსებობს სამხრეთ ოსეთი ეთნიკური ოსების უმეტესი მოსახლეობით, — მათ ეკუთვნით ავტონომია ფართო უფლებებით.

2. ფაქტებმა გვიჩვენა, რომ ოსებს საქართველოში არა აქვთ ცხოვრების პირობები (ხდება მათი დარბევა-დისკრიმინაცია), ამიტომ უნდა ჰქონდეთ ავტონომია, თანაც თვითონვე უნდა აირჩიონ ამ ავტონომიის სახელწოდებაც და ფორმაც.

3. ახალგორის რაიონიც კი არ უნდა შეუერთდეს უშუალოდ საქართველოს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ უმეტესობა ქართველია.

4. ავტონომიის შექმნის შემდეგ მკვეთრად გაიმიჯნოს ცენტრისა და ავტონომიის უფლებები.

რაც დრო გადის, მით უფრო „გვშორდება" სამაჩაბლო — ახალ თაობას, რომელსაც არ ჰქონია საქართველოსთან ურთიერთობა, სულ უფრო ძნელად წარმოუდგენია საქართველოს ფარგლებში ცხოვრება. კიდევ უფრო წარმოუდგენელი იქნება შემდეგი თაობისათვის.

**გურამ შარაძე:** ეს ფაქტი, ცხადია, არის ლოგიკური შედეგი სამაჩაბლოში არსებული სიტუაციისა, რომელიც (და ამას კატეგორიულად ვამტკიცებ) უარესი თუ არა, უკეთესიც არ არის აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობაზე. ამ პრობლემების ცალ-ცალკე სიბრტყეში განხილვა აბსურდი და დემაგოგიაა.

ეუთოსადმი სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს — მათი იქ ყოფნის მიზანი, სხვა — უარესი თუ არა, ის მაინც არის, რომ მაღალი ხელფასები აიღონ, როგორც ცხელ წერტილებში მომუშავეებმა. იგივეს ვფიქრობ არასამთავრობო ორგანიზაციებზეც, რომლებიც მხოლოდ გრანტების მისაღებად „მოღვაწეობენ".

რაც შეეხება გამოსავალს, ვთვლი, რომ მოლაპარაკების მომხრეები ტყუილად ლაყბობენ, ძალისმიერი მეთოდის მომხრეები კი, ტყუილად იქადნებიან — იარაღის გამოყენებას იარაღის დამჭერი სჭირდება.

ახლა გთავაზობთ ბატონ **ირაკლი მაჭავარიანის** კომენტარს ჩვენი კოლეგების დაკავების ფაქტზე, საერთოდ სამაჩაბლოში არსებულ სიტუაციაზე და ბოლოს, რაც მთავარია, მის აზრს ჩვენზე — ქართველ ჟურნალისტებზე (მოკლედ იმიტომ, რომ იმ 24-წუთიანი ტირადის გადმოსაცემად, რომელიც მან წამიკითხა ტელეფონში, საგაზეთო ფართი არ გვეყოფა): მე არ ვიცი, რა სიტუაციაა ერგნეთის ბაზრობაზე, იქ მხოლოდ გავლით ვყოფილვარ და მამუკა არეშიძის მოყვანილი ფაქტის — ადამიანთა გატაცების შესახებ არაფერი მსმენია.

რაც შეეხება თქვენი ჟურნალისტების ამბავს, — შეგეძლოთ, ყოველგვარი პოლიციის ჩარევის გარეშე, ჩემთვის დაგერეკათ და ორ საათში გამოვაშვებინებდი. არ იყო ამხელა ამბის ატეხა საჭირო, საერთოდ, პრესაში ამაზე წერა არ შეიძლება — მიმდინარეობს მოწესრიგება, არის რეალური შედეგები და თქვენ ხელს უშლით ამ მოწესრიგებას.

ოფიციალური პროტოკოლით, ისინი მოვალენი არიან, პატიმრები გაგვიცვალონ და ასეც მოხდებოდა, მაგრამ მე არ მჯერა არაფერი, რასაც თქვენი ჟურნალისტები ყვებიან. კი, სეპარატიზმი ცუდია, მაგრამ როგორ ადარებთ აფხაზეთს? ყველა, მთელი საქართველო, ხედავს, რომ განსხვავება — უკეთესობა — არის და თუ თქვენ ვერ ხედავთ, მით უარესი თქვენთვის. ამ შემთხვევაში გაუფრთხილებლობა მავნებლობაა და თქვენ სწორედ ამას აკეთებთ.

თქვენთვის ხომ მთავარი სენსაციის გამოცხობა და პრესკონფერენციებია — რამდენიც გინდათ, იმდენი მოიწვიეთ.

თქვენ, ჟურნალისტებს, ფეხებზე გკიდიათ თქვენი ქვეყნის ბედი!

...გაზეთის ფურცელზე, ალბათ, ვერ გადმოვეცი ის პათოსი, რომელსაც აუდიოჩანაწერის მოსმენისას შეიგრძნობს კაცი, მაგრამ ბატონ ირაკლის აზრი ჟურნალისტების შესახებ, ვფიქრობ, ცხადია.

ალბათ გასაგებია, რომ ამის შემდეგ ჩვენს რესპონდენტთა აზრითაც დავინტერესდი მაჭავარიანის „იდეებთან" დაკავშირებით:

**ე. თევდორაძე:** ეს ირაკლი მაჭავარიანის სტილია, ის ამბიციური პიროვნებაა.

ქართველ ჟურნალისტებს რაც შეეხება, ერთს გეტყვით — თქვენ ყველაზე ნათელი წერტილი ხართ ქართულ სინამდვილეში.

**ნ. ნათაძე:** ირაკლი მაჭავარიანი არის მეცნიერებაში ხელმოცარული ადამიანი. ქართული პრესა ერთადერთი ადგილია, სადაც ქართული ინტერესების დაცვა ხდება.

**გ. შარაძე:** მე მაჭავარიანზე საუბარი დავამთავრე ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ, როდესაც პრეზიდენტს ვუთხარი, — კაცი, რომელიც თვითონ არის კონფლიქტური პიროვნება და რომელსაც შეუძლია მშვიდი სიტუაცია დამუხტოს, არ უნდა მუშაობდეს კონფლიქტების მომწესრიგებლად. ის ახლაც, უკვე მასმედიასთან, ცდილობს კონფლიქტის გაღვივებას.

პრესაზე ჩემს აზრს რაც შეეხება — კიდევ თქვენი შიშით არის, რომ ბეწვზე მაინც ჰკიდია საქართველო.

ბოლოს, ორიოდე დღის წინ პრესის შესახებ პრეზიდენტის მიერ ნათქვამი გავიხსენოთ: „საჭიროა 180 გრადუსით შემობრუნება პრესასთან მიმართებაში. მას არა მარტო მხარდაჭერა, არამედ რჩევაც სჭირდება. განა ნორმალურია, რომ ოთხი წელია ვსაუბრობთ და ჯერ არა გვაქვს კანონი პრესის შესახებ?! კანონი უნდა იყოს და თუ მას დაარღვევს ან პრესის ან თუნდაც ჩემი კანცელარიის თანამშრომელი, — მას კანონიერი პასუხი უნდა მოეთხოვოს".

პრეზიდენტის ეს ფრაზა ჟურნალისტებმა სხვანაირად აღვიქვით, მაგრამ ირაკლი მაჭავარიანი კანცელარიის თანამშრომელია და, ალბათ, მან უკეთ იცის, რას გულისხმობდა სახელმწიფოს მეთაური.

*ზვიად გურული*


MBG - Microfinance Bank of Georgia

**საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი**



- MBG გაიხსნა 1999 წლის 13 მაისს;
- MBG-ს მთავარი დამფუძნებელია გერმანიის სახელმწიფო ბანკი **KfW**, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და წამყვანი ქართული ბანკები;
- MBG მუშაობს გერმანული სტანდარტებით;
- MBG-ს მიზანია საქართველოში ბიზნესის განვითარება;

**სიახლე**

**დეპოზიტები გარანტირებული მოგებით, MBG-სთან ერთად.**

თქვენ მიკროსაფინანსო ბანკის სასურველი კლიენტი ხართ.

MBG გთავაზობთ ვადიან დეპოზიტებს სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, გერმანული მარკა, ევრო). ვადით 1 თვიდან 1 წლამდე. მოქნილი საპროცენტო



განაკვეთი - 10%-მდე, დამოკიდებულია ვადაზე, დეპოზიტის სიდიდეზე, ვალუტაზე და სხვა პირობებზე .

**დეპოზიტის თანხის მიღება გარანტირებულია მოთხოვნისთანავე.**

თბილისი, 380012, თამარ მეფის გამზ. 18,
ტელ.: 92 16 16, 25 05 76, 25 05 77, 25 05 78; ფაქსი: 25 05 80.

# „შევარდნაძემ ერთი მუშტის დარტყმით გააქრო ჟვანიას ძლევამოსილობის მითი...“

განვლილი საპარლამენტო კვირა სკანდალით დაიწყო, რომლის საბაბი „მოქალაქე“ კობა დავითაშვილის ერთობ თამამი, ჩვენი აზრით, საკმაოდ ლოგიკური ინიციატივა გახლდათ. მმართველი პარტიის „ახალმა სახემ“ პარლამენტის კონსტიტუციის 56-ე მუხლის საფუძველზე საგამოძიებო კომისიის შექმნა მოინდომა, რომელიც მთავრობის საქმიანობის შესწავლასა და კონკრეტული მინისტრების დანაშაულის გამოვლინებას ითვალისწინებდა. როგორც ჩანს, ეს წინადადება მისასალმებელი აღმოჩნდა უმრავლესობის და არა მარტო უმრავლესობისათვის, რადგან 120-მა დეპუტატმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი.. თუმცა, მათი კეთილმოსურნე ინიციატივა არც პარლამენტის თავმჯდომარემ და არც პრეზიდენტმა არ მოიწონეს. უფრო მეტიც, ურჩ დეპუტატებს ჯერ სტრასბურგიდან ჩამოსულმა პირველმა კანონმდებელმა მოსთხოვა პასუხი, როგორ გაბედეთ უნებართვოდ ასეთი რამის ჩადენაო, ხოლო მოგვიანებით თავად პრეზიდენტმა დაუწუნა ესოდენი კადნიერება.

ქვეყნის პირველი პირები იმან აღაშფოთა, რომ საკუთარი პარტიის წევრის ინიციატივის შესახებ მათ მასმედიის საშუალებით შეიტყვეს. სწორედ ამიტომ პარლამენტარებს პარტიის თავმჯდომარის წინაშე მობოდიშება მოუხდათ. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი ერთგული დარჩა იმ აზრისა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციის გამო კონკრეტულმა პიროვნებებმა უნდა აგონ პასუხი. ყოველივე ამას 9 კომიტეტის თავმჯდომარის გადადგომა მოჰყვა, რომელთაგან ექვსი პარლამენტის თავმჯდომარის თხოვნით კვლავ დაუბრუნდა საკუთარ თანამდებობას. ძველი პოსტების შენარჩუნება მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის და ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტების თავმჯდომარეებმა, ლევან გაჩეჩილაძემ და დათო გამყრელიძემ არ ისურვეს.

ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა პოზიციას დაიჭერს ელენე თევდორაძე, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, განაგრძოს თუ არა კომიტეტის თავმჯდომარეობა.

ასეთი სახე მიიღო სკანდალმა სახელმწიფო მინისტრისა და ახალი მთავრობის დამტკიცების წინ. კულუარებში საკმაოდ ხმამაღლა საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრეზიდენტსა და უმრავლესობას შორის ცალკეული მინისტრის კანდიდატურების გამო სერიოზული დაპირისპირება არსებობს. შესაძლოა, ქვეყნის პირველმა პირმა პარლამენტს ისეთი კანდიდატურები შესთავაზოს, სრულიად რომ არ აწყობს მოქალაქეთა კავშირის ელიტას, რომელსაც ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურა ჰყავს.

და მაინც ვის აძლევდა ხელს ეს სკანდალი? ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს გარედან შემოგდებული იდეა იყო, რასაც თავად კობა დავითაშვილი კატეგორიულად უარყოფს: „ჩემთვის არავის არ ჩაუჩურჩულებია ასე მოიქეციო და არც ისეთი პიროვნება ვარ, რომელიც გარედან შემოგდებული იდეებით მუშაობს. მე გახლავართ





დეპუტატი, რომელმაც სავსებით გულწრფელად მივიჩნიე, რომ როდესაც ქვეყანაში ასეთი სერიოზული საბიუჯეტო პრობლემებია, როცა არსებობს კონტროლის პალატის სათანადო დასკვნა ამის შესახებ, როცა დაირღვა მთავარი ეკონომიკური კანონი, პასუხი უნდა მოეთხოვოს კონკრეტულ პირებს. სკანდალად ხელმოწერების შეგროვება კი არა, ის უნდა ვაქციოთ, რომ ჩვენი მინისტრები ხაზინის ქურდები არიან“.

**— გააფრთხილეთ ხელმომწერნი, რომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული არ იყავით?**

— ნამდვილად არ ვიცოდი, თუ პარტიაში ასეთი შინაგანაწესი იყო, წესდებაში ცვლილებები ახლა შეგვაქვს. მე შევადგინე ტექსტი და თითოეულ დეპუტატს ვთხოვე, ყურადღებით წაეკითხა და ისე მოეწერა ხელი, რაც 120-მა კაცმა ხალისით გააკეთა. ნამდვილად არ ველოდი ასეთ მხარდაჭერას. ამგვარი ერთსულოვნების შემდეგ კი რაღა განხეთქილებაზეა საუბარი?

თუმცა, ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემ გამო ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, ამიტომ ბოდიშიც მოვუხადე მათ...

ამ ფაქტის შემდეგ მმართველი პარტია შინაპარტიული კონტროლის გამკაცრებაზე ალაპარაკდა. მიუხედავად ამისა, ორი კომიტეტის ურჩი თავმჯდომარეები, ჯერჯერობით, პოზიციას არ თმობენ და კაბინეტებში დაბრუნებას არ აპირებენ. „ეს იყო აურზაური არაფრის გამო. ერთი კვირის წინ კონტროლის პალატის შემაშფოთებელი ინფორმაცია მივიღეთ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. ამიტომ მივიჩნიეთ, რომ დაუყოვნებელი მოქმედება იყო საჭირო. კონკრეტული პირებისაგან პასუხი უნდა მოგვეთხოვა, მაგრამ, რატომღაც, ფრაქციის ხელმძღვანელობამ რაღაც კლანებთან კავშირში დაგვადანაშაულა და ჩვენი ნდობის საკითხი



საჭოჭმანო გახადა. ასეთ პირობებში მუშაობას აზრი ნამდვილად არა აქვს. 6 თვის წინ წამყვან ბიზნესმენებად ვითვლებოდით, დღეს კი? ასე სწრაფად როგორ შეიძლება ადამიანის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს?“ — განაცხადა **ლევან გაჩეჩილაძემ**.

სხვათა შორის, ლევან გაჩეჩილაძე სოფლის მეურნეობის მინისტრობის ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად სახელდებოდა, თუმცა ამ ინციდენტის შემდეგ მას მინისტრის პორტფელს უკვე აღარ შესთავაზებენ. მოქალაქეთა კავშირი, ჯერჯერობით, ცდილობს, რომ როგორმე იგი პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელს დაუბრუნდეს. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ნინო ბურჯანაძის აზრით, თუკი გამყრელიძე და გაჩეჩილაძე არ შეიცვლიან პოზიციას, ეს ცუდი იქნება იმ კომიტეტების მუშაობისათვის, სადაც ისინი პროფესიულად და კეთილსინდისიერად უძღვებოდნენ საქმეს.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია** ამ სკანდალს პარლამენტის თავმჯდომარეს უკავშირებს: „ფაქტია, რომ ოპერაციის ხელმძღვანელი ჟვანია იყო. კობა დავითაშვილი ჟვანიასა და სააკაშვილის გარეშე ლამის ლუკმას არ იდებს პირში და ამიტომ ყოვლად წარმოუდგენელია კობასგან ასეთი დამოუკიდებელი ინიციატივა. სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ადამიანი (ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე, ელენე თევდორაძე) მიხვდა, რომ გაუგებრობაში მოხვდა. დანარჩენებმა, მართალია, თავიდან საქმის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ, მაგრამ ყველაფრის გარკვევის შემდეგ ჩვეულებრივად დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს და ბოდიშიც მოიხადეს „უმსგავსო საქციელის“ გამო.

**— გამოდის, რომ ამ სიტუაციით პრეზიდენტმა ისარგებლა და მორჩილი, მკაცრად კონტროლირებადი უმრავლესობა შექმნა?**

— შევარდნაძემ ეს პროცესი თავდაპირველად თავის ნებაზე მიუშვა და ბოლო მომენტში დაჰკრა მუშტი. ამით მან გააქრო მითი — პარლამენტის თავმჯდომარის ძლევამოსილების შესახებ, თანაც კარგად გამოჩნდა, თუ რამდენად იცავს მოქალაქეთა კავშირი თავის პრინციპებს. ჩემი აზრით, მხოლოდ ორი ადამიანი აღმოჩნდა მზად საკუთარი ღირსების დასაცავად, ხოლო მესამე (ელენე თევდორაძე) ჯერ კიდევ ფიქრობს, არის მზად თუ არა. ჟვანია საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეიფორიაშია. მან საინფორმაციო საშუალებების დიდ ნაწილზე კონტროლი მოიპოვა. მას დაავიწყდა, რომ მასმედია დღეს მე-4 ხელისუფლება არ არის და პირველი, მეორე და მესამე ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ ახდენს.

საინტერესოა, მორჩილი იქნება თუ არა დატუქსული და მკაცრად დისციპლინირებული უმრავლესობა მიმდინარე კვირაში. მთავრობის ფორმირების პროცესი კიდევ ერთხელ მოჰფენს ნათელს, თუ რამდენად უწევს პრეზიდენტი ანგარიშს საკუთარი პარტიის რეფორმატორთა გუნდს, რამდენად გაითვალისწინებს იგი „მოქალაქეთა“ კანდიდატურებს მინისტრების პოსტზე. თუმცა, ძნელად წარმოსადგენია პრეზიდენტს საპარლამენტო უმრავლესობისათვის ყველაზე მიუღებელი კანდიდატურის წარდგენისას მაინც რომ შეხვდეს წინააღმდეგობა. მოქალაქეთა კავშირი ამის შემდეგ მაინც ისწავლის ჭკუას, დამოუკიდებელ ინიციატივებზე უარს იტყვის და შეუთანხმებლად არც ერთ კანდიდატურას არ ჩააგდებს.

***ნათია გოგსაძე***

# ხელისუფლება ორ ცეცხლს შუა



აშკარაა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის შექმნამ, რომელმაც უნდა დაარეგულიროს და გარკვეულ ჩარჩოში ჩასვას საქართველოში მოღვაწე სექტებისა და სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობა, გარკვეული დილემის წინაშე დააყენა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად მომზადებული იყო კანონპროექტი — „სინდისის თავისუფლების და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და ბატონი თედო ნინიძე აწერდა ხელს. ეს კანონ-პროექტი მაშინ განსახილველადაც არ გასულა პარლამენტში, რადგანაც დიდი უკმაყოფილება და აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში.

საერთოდ მსოფლიოში, ისეთი დოკუმენტის მიმართ, როგორიცაა „სინდისის თავისუფლების და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ კანონი!“, არსებობს ერთი სტანდარტული მიდგომა, რომელიც მშრალად ეყრდნობა მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებს და არ ითვალისწინებს ამ პრინციპების მორგებას (რაც სავსებით შესაძლებელია და ეს უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ხელისუფლების საზრუნავია), ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე, მენტალიტეტზე, ისტორიულად დამკვიდრებული რელიგიის როლზე ქვეყნის ისტორიაში და ა.შ. ყველაფერ ამას მოკლებულ კანონპროექტში ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეროვნული ინტერესებისათვის საზიანო მომენტებიც დაინახა. სამაგიეროდ, მისი მიღებით საკმაოდ ნასიამოვნები დარჩებოდნენ გარკვეული დასავლელი წრეები. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას აშშ-ზე, ხოლო თუ როგორ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს აშშ, კარგად ჩანს, კლინტონის მიერ 1998 წელს ხელმოწერილი დოკუმენტიდან, სადაც ამერიკის პრეზიდენტი ვალდებულია ყოველგვარი კავშირი გაწყვიტოს (ჰუმანიტარული და სხვადასხვა სახის დახმარებები), თვით დიპლომატიურიც კი იმ ქვეყნებთან, სადაც არ სრულდება კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აშშ-ს არ უჭირს საკითხებისადმი ორმაგი სტანდარტით მიდგომა. რა თქმა უნდა, ის ამ პოზიციით ვერც ისლამურ ქვეყნებს მიუდგება და ვერც, თუ გნებავთ, საბერძნეთს, სადაც მართლმადიდებლობა საერთოდ სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული, ხოლო რაც შეეხება დაბეჩავებულ საქართველოს, აქ კი...

აქედან გამომდინარე, რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ კანონის ამოქმედების გაჯანჯლების მიღმა, შეიძლება ის ფაქტორი იმალებოდეს, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა.

თუმცა საქართველოში მოპარპაშე სექტებს და ათასი ჯურის რელიგიურ ორგანიზაციებს, სრულებითაც არ უშლის ხელს მოღვაწეობაში ამ კანონის არარსებობა (დიდ როლს აქ არსებული კორუფციაც თამაშობს. ყველა სექტა და რელიგიური ორგანიზაცია ხომ უცხოეთიდან ფინანსდება და საკმაოდ სოლიდურადაც).

სექტებთან დაკავშირებული პრობლემა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებაც ისაუბრეს, საქართველოში ვიზიტით მყოფმა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსმა გარეგინ - მ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია -მ. ერთობლივ მიმართვაში ისინი ამბობენ: „...ჩვენი ეკლესიები დღეს ერთი და იმავე საზრუნავისა და პრობლემის წინაშე დგანან — დაძლიონ 70-წლიანი ათეისტური ყოფის შედეგები, წინ აღუდგნენ უცხო სექტათა ექსპანსიას, სულიერად დააპურონ და უწინამძღვრონ სამწყსოს სულიერ აღორძინებას.

***მამუკა გიორგაძე***

დღეს უპატრონო, მაწანწალა ბავშვების არსებობა უცხო არ არის. ბევრ ჩვენგანს შეხვედრია სამათხოვროდ ხელგამოწვდილი, თავის სარჩენად მეტროში გაზეთებითა და წვრილმანი ნივთებით მოვაჭრე, ქურდაბაცაცა და პროსტიტუციის მიმდევარი ბავშვებიც...

არაფერი რომ აღარ გვაკვირვებს და გვაძრწუნებს, ესეც არ არის ალბათ ახალი. მაგრამ განა ნორმალურია, არაფერზე აღარ გვქონდეს რეაქცია ღვთის შვილთ?

# ერთი მიუსაფარი ბავშვის ამბავი...



სამი კვირა იქნება, რაც დიღმის მასივში ერთი მიუსაფარი, სუფთად ჩაცმული ცამეტიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. იგი ვერ მეტყველებს, არც სმენა აქვს და ვერც თავისი სახელის დაწერას ახერხებს. ქუჩაში ცხოვრება მისთვის სულაც არ არის ჩვეული და ბუნებრივი... არც სამათხოვროდ იწვდის ხელს და საჭმელსაც ვერავის სთხოვს, თუ თავად არ გამოიჩინა ყურადღება ვინმემ. მოკლედ, აშკარად დაკარგული ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს. გულმოწყალე მოსახლეობა ეხმარება, საჭმელს აწვდის, მაგრამ ეს ხომ არ არის საკმარისი.

ბიჭს არ აქვს ღამის გასათევი ადგილი, გაჭუჭყიანდა, ფეხები დაუსივდა... თუ ვინმე მიეფერება და რაიმეს მიაწვდის, მადლიერებით სავსე ხელებზე საკოცნელად ეტანება...

მის დასახმარებლად პოლიციას მიმართეს — იქნებ, დააფიქსიროთ, რომ დაკარგულია ან თავშესაფარი უშოვოთო...

მოსახლეობას უპასუხეს, — ეს საკითხი პოლიციას არ ეხება და ჩვენ უპატრონო ბავშვებს შინ ვერ წავიყვანთო.

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ტელეკომპანიაში დარეკვის შემდეგ კი ასეთი პასუხი მიიღეს: მონაცემებს ჩავიწერთ, თუ ტელეარხი დაინტერესდება, დაგირეკავთო.

რა თქმა უნდა, არავის დაურეკავს.

სატელეფონო ცნობარში ნანახ სოციალურად დაუცველი ბავშვების დამხმარე და საქართველოს ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ნომერზე კი სულ სხვა ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელიც თურმე უკვე ერთი წელია, ფუნქციონირებს და ზემოხსენებული ცენტრის ასავალ-დასავალიც კი არ იცის.

ერთი დაკარგული ავადმყოფი ბავშვით არც იწყება და არც მთავრდება განწირულთა სია. ეს ბიჭი თურმე არც არავისია და არც არავის „ეხება“.

და ვიდრე უპატრონო ეკლესიას პატრონი გამოუჩნდება, ბიჭი ქარიან, და წვიმიან ღამეებს ქუჩაში ატარებს, კეთილ ხალხსა და ბედს მინდობილი.

P.S. იქნებ ვინმემ იცნოს ეს ბავშვი, ან იქნებ რომელიმე ორგანიზაცია პასუხისმგებელია, რომ დახმარება აღმოუჩინოს მიუსაფარ ბიჭუნას?

***ლელა ჯიყაშვილი***

# თანამედროვე ფილანტროპია

I — ბატონებო, თქვენ იცნობდით ძნელაძეს?

II — რასაკვირველია!

III — რომელს, იმ გამრჯე ადამიანს, მასწავლებელს?

IV — რატომ კითხულობთ?

V — ეს ის ძნელაძეა, რომ შიმშილობდა, არა?

I — სწორედ ის, მაშ იცნობდით, არა?

II — როგორ არა.

I — იგი შიმშილით მოკვდა!..

III — ღმერთო ჩემო, რატომ ჩემთან არ მოვიდა...

IV — ყოველდღე ძაღლებს ვაჭმევ ორ კილო ხორცს...

V — ეჰ, რომ მცოდნოდა... გუშინ კარტში ორი ათასი წავაგე... არ სჯობდა მისთვის მიმეცა!

II — მართალი გითხრათ, მე ვიცოდი, რომ ვიღაც მასწავლებელი შიმშილით კვდებოდა, გაზეთშიც წავიკითხე, მაგრამ რა მექნა, მისამართი არ მქონდა... ფრიად საწყენია...

III — მე კი გუშინ ფრანგულ რესტორანში ერთ ქალს ათას ხუთასი ლარი დავახარჯე.

I — ბატონებო! ახლაც არ არის გვიან, ადამიანი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, შეეწიეთ!

II — იცით რა, მე ამ თვეში უამრავი გადასახადი მაქვს დასაფარავი, სხვა გადასახადი არ მეხება.

III — მე რესტორნის ვალებიდან ვერ ამოვსულვარ, რომელ ადამიანურ ვალზე მელაპარაკებით!

IV — მე ტოტალიზატორს ვყიდულობ, აქეთ მესაჭიროება დახმარება...

V — მე, მე... ახლა ერთი გროშის მოცემაც არ შემიძლია, აი, თუ მოიცდის, ერთი, ორი, სამი წლის შემდეგ...

***მოიძია და მცირე შესწორებებით დაურთო მარინა ვეფხვაძემ***

# ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ზოგიერთი გაუხმაურებელი დეტალი...

საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება დღემდე ბურუსითაა მოცული. არსებობს ვერსიები და შესაბამისი კითხვის ნიშნები — მოკლეს თუ თავი მოიკლა? ზოგი იმასაც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა იგი ცოცხალი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოში დაბრუნდეს. თუმცა, დროთა განმავლობაში, ეს ფანატიური იმედი თუ სურვილი საზოგადოებამ ნელ-ნელა მიივიწყა და მაინც, როგორია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების რეალური სურათი? ჩვენდა სამწუხაროდ (თუ სამარცხვინოდ!) პროკურატურას დღემდე არ აღუძრავს საქმე საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების დეტალების გასარკვევად და გამოსაძიებლად. არადა, ისტორია თავისას ითხოვს. ეპოქის „მამათა“ წაყრუების შედეგად დახვავებული ამოცანების ამოხსნაზე თაობები შემდგომ თავს იმტვრევენ ხოლმე. პირადი ინტერესით თუ საქართველოს ისტორიაში ამ მხრივ არსებული დანაკლისის კომპენსაციის მიზნით ჟურნალისტური მოკვლევა აწარმოა გამსახურდიასთან თავის დროზე ძალზე დაახლოებულმა პირმა, პრეზიდენტის მაშინდელი პრესსამსახურის ტელეჯგუფის რედაქტორმა, ჟურნალისტმა **ლეილა კვირიკაშვილმა**. „კვირის პალიტრას“ იგი საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ზოგიერთი დეტალის შესახებ უამბობს:

— **გამსახურდიას გარდაცვალების რამდენიმე ვერსია არსებობს. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ის ცოცხალიც კი ეგონათ. რატომ იყო მისი სიკვდილი საზოგადოებისთვის ასე დაუჯერებელი?**

— ვფიქრობ, რომ ეს ჭორი თავიდანვე პროვოცირებული იყო სპეცსამსახურების მიერ. მათ ხელს აძლევდათ ასეთი ხმების გავრცელება. ამ ფაქტისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცათ, ამბობდნენ, თითქოს გამსახურდია საზღვარგარეთ იმყოფებოდა ორ პიროვნებასთან, ბესო ჭინჭარაულსა და ირაკლი გოგაძესთან ერთად. მართლაც, დაცვის ეს ორი ერთგული წევრი დღემდე დაკარგულია და კაციშვილმა არ იცის, სად არიან, ან საერთოდ ცოცხლები არიან თუ არა. თუმცა, არსებობს ვერსია, რომ ისინი მხედრიონთან შეტაკებისას დაიღუპნენ, როცა მორიგი გადაადგილების დროს ტყეში ტერიტორიებს ზვერავდნენ.



ზვიად გამსახურდია და ლეილა კვირიკაშვილი 1991 წელი

— **რა მიზანს ემსახურებოდა ასეთი ხმების გავრცელება?**

— ასეთი რამ ხელს აძლევდა გარკვეულ ძალებს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ფაქტის გამო არეულობა და მღელვარება არ შექმნილიყო. თავისებური დატვირთვა ჰქონდა იმასაც, რომ ცნობა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ თავდაპირველად რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს და ისიც მხოლოდ გარდაცვალებიდან 6 დღის შემდეგ (გამსახურდია გარდაიცვალა 1993 წლის 31 დეკემბერს ღამით, ინფორმაცია კი გავრცელდა 1994 წლის 5 იანვარს). აქედან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვი — მართლა მოკვდა თუ ცოცხალია?! საზოგადოებამ აიტაცა ეს უკანასკნელი ვერსია და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრმა დაიჯერა კიდეც.

— **მისი გარდაცვალება დღემდე ბურუსითაა მოცული. არსებობს ორი ვერსია. მაინც რომელია უფრო რეალური — მოკლეს თუ თავი მოიკლა?**

— ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო პრეზიდენტის და მისი გარემოცვის დევნა-შევიწროება. ახლა დააკვირდით, ხდებოდა ასეთი რამ: მდევართა რაზმები მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ მიადგებოდნენ ხოლმე იმ ოჯახს, სადაც ისინი ღამეს ათევდნენ. ეკითხებოდნენ, იყვნენ თუ არა მათთან გამსახურდია და სხვები, ემუქრებოდნენ, ზოგს სცემდნენ კიდეც. შემდეგ ეს ოჯახი ატყობინებდა ზვიადს და მის გარემოცვას, ფრთხილად იყავით, ჩვენთან იყვნენ და გიკითხესო. ასევე მეორდებოდა სხვაგანაც. ერთი სიტყვით, მათ დევნა-შევიწროებას უფრო ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა.

— **გამოდის, რომ მათ შეეძლოთ გამსახურდიას დაჭერა, მაგრამ განგებ არ იჭერდნენ?**

— დიახ, სწორედ ასე იყო. რომ დაეჭირათ, ფაქტობრივად, ვერაფერს მიიღებდნენ. ხელს აძლევდათ მხოლოდ და მხოლოდ მისი სიკვდილი, ვინაიდან ცოცხალი ზვიად გამსახურდია, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი იყო.

— **თუკი გამსახურდიას მოკვლა ჰქონდათ ჩაფიქრებული, რატომ გაუშვეს იგი ბუნკერიდან? როგორც ცნობილია, სპეციალური „კორიდორი“ გაკეთდა, რათა უვნებლად გაეტარებინათ.**

— სიცრუეა. არანაირი „კორიდორი“ არ გაუკეთებიათ. და თუ ეს მართლა ასე იყო, რატომღა დაადევნეს მას შეიარაღებული რაზმები? რატომ ჩახოცეს ახალგაზრდა ბიჭები სოფელ ოკამთან, რატომ ჩაცხრილეს მეტეხთან მთელი ავტობუსი. წითელ ხიდზეც ერთი ფეხით გადაასწრეს მდევარს, რომელიც შემდგომ დაჟინებით სთხოვდა სომხეთის ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ დაეკავებინათ და გადმოეცათ ისინი საქართველოსთვის. ზვიად გამსახურდიას კონფიდენციალურად შეატყობინეს, რომ მზადდებოდა „ბუნკერის“ აღების გეგმა. რამდენიმე ადამიანის დახმარებით მან შეუმჩნევლად დატოვა იქაურობა. ასე რომ, არანაირი დერეფანი არ გაუკეთებიათ. ამას „პუტჩისტები“ არც კი მოელოდნენ. სხვათა შორის, პიროვნება, რომელმაც ზვიადს ეს ინფორმაცია მიაწოდა და შემდგომ დაეხმარა კიდეც ბუნკერიდან მშვიდობით გასვლაში, რამდენიმე ხნის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა — მასზედ შური იძიეს.

— **ვინ ახლდა გამსახურდიას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში?**

— ბევრი ხალხის გადაადგილება საკმაოდ ძნელი იყო, ამიტომ პრეზიდენტმა თავისთან სულ რამდენიმე კაცი დაიტოვა. ესენი იყვნენ: რობინზონ მარგველანი — მისი დაცვის უფროსი, გოჩა კეკენაძე, ზაზა ბურჯანაძე და ბაჩუკი გვანცელაძე. მასთან იყო აგრეთვე ბესარიონ გუგუშვილი. დეკემბრის ბოლო დღეებში, ჯიხაშკარში ყოფნისას მათთან მივიდნენ ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრის მერაბ ჩუხუას მამა და ბიძა, რომლებმაც შესთავაზეს მორიგი ოჯახი, სადაც შეეძლოთ გადასვლა და ღამის გათევა. ისინი იყვნენ „გაზ-24“ მარკის ავტომანქანით. მოხდა ასეთი რამ — ფაქტობრივად, ავტომანქანაში ორი ადამიანი უკვე იჯდა (ჩუხუას მამა და ბიძა). მაქსიმუმ ოთხ კაცზე მეტი, იქ უბრალოდ, ვეღარ ჩაეტეოდა. ჩაჯდა პრეზიდენტი, ბესო გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე. ხოლო დაცვის დანარჩენი 2 წევრი — გოჩა კეკენაძე და ზაზა ბურჯანაძე ადგილზე დატოვეს.

**ნაწყვეტი გოჩა კეკენაძის საუბრიდან:** *პრეზიდენტს ვთხოვე, იქნებ როგორმე ჩვენც წაგვიყვანოთ-მეთქი, თუმცა თავადვე ვნახე, რომ ეს შეუძლებელი იყო. ბატონმა ზვიადმა გვითხრა, აქ იყავით, ჩვენ კაცს გამოგიგზავნით და წაგიყვანთო. მე და ზაზა პრეზიდენტის სიტყვას ვერ გადავუხვევდით. იძულებული გავხდით, დავრჩენილიყავით.*

— **გამსახურდიამ იცოდა, სად მიდიოდნენ?**

— არ იცოდა და, სხვათა შორის, ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. პრეზიდენტმა იცოდა მხოლოდ, რომ მიდიოდნენ მერაბ ჩუხუას ახლობლის ოჯახში.

— **ე.ი. გამსახურდია ენდობოდა ჩუხუას?**

— ალბათ ენდობოდა, თორემ აბა, რატომ გაჰყვებოდა?

— **ჯიხაშკარში დარჩენილ დაცვის ბიჭებს რა ბედი ეწიათ?**

— მათ, როგორც თავად მითხრეს, გადაიტანეს უდიდესი ნერვიულობა, რადგანაც იმ ორი დღის განმავლობაში მათთან არავინ გამოჩენილა. მხოლოდ მესამე დღეს მივიდა კაცი. ამ დროს პრეზიდენტი უკვე მკვდარი იყო.

— **განგებ ხომ არ დატოვეს ისინი?**

— როგორც გოჩამ მითხრა, მათი დატოვება არავითარ ეჭვს არ იწვევდა, რადგანაც თვითონვე ნახა, რომ სხვა გზა არ იყო.

**გოჩა კეკენაძის ნაამბობიდან**: *დარჩენაზე მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ თვითონ პრეზიდენტმა გვთხოვა. იმ ორი დღის განმავლობაში ლოდინით გული გადაგველია. უკვე 31-ში მოვიდა ჩვენთან კაცი და გვითხრა, ჩქარა ბიჭებო, უნდა წამოხვიდეთო! ისეთი სახე ჰქონდა, მივხვდი, რომ რაღაც უბედურება მოხდა. გზაში რობინზონ მარგველანი შეგვხვდა. ადამიანის ფერი არ ედო. გვითხრა პრეზიდენტმა თავი მოიკლაო, თავზარი დამეცა. გაცეცხლებულ გულზე ჭკუიდან გადავედი, იარაღი შევაყენე და კინაღამ ცოდვა ჩავიდინე — რობინზონისათვის უნდა მესროლა, როგორ თუ პრეზიდენტმა თავი მოიკლა-მეთქი.*

— **რას ამბობენ გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში მის გვერდით მყოფნი?**

— ბოლო ორ დღეზე კომენტარები ვთხოვე როგორც დაცვის წევრებს, ისე ბესო გუგუშვილს. მათი საუბრიდან ჩემთვის ბევრი რამ გაურკვეველი შეიქნა.

— **რატომ, რაიმე შეუსაბამობა აღმოაჩინეთ?**

— დიახ, სწორედაც შეუსაბამობა. წარმოიდგინეთ, ორსართულიანი კერძო სახლი, სადაც მკვლელობა თუ თვითმკვლელობა განხორციელდა. ქვედა სართულზე ცხოვრობდა ოჯახი, ზვიადს და მის გარემოცვას კი მეორე სართული დაუთმეს. ფანჯრებზე ჩამოფარებული იყო მუქი ფარდები, რათა გარეთ შუქი არ გასულიყო და რაიმე ეჭვი არ აღეძრა. მეორე სართულზე იყო ორი ერთმანეთში გამავალი ოთახი, რომლებიც ერთმანეთთან კარით კი არ იყო დაკავშირებული, არამედ უბრალო თხელი ფარდით. ფარდა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კარი შეიძლება ისე ჩარაზო, მეორე ოთახში ხმა არ გავიდეს, მაგრამ ფარდით ამის მოხერხება შეუძლებელია. ერთ ოთახში სძინავთ გამსახურდიას და გუგუშვილს, მეორეში კი — დაცვის ორ წევრს. მათი მონაყოლის თანახმად, გასროლა განხორციელდა პრეზიდენტის კუთვნილი „სტეჩკინით“. ახლა წარმოიდგინეთ, შუაღამეა, ყველას სძინავს და ამ დროს ბესო გუგუშვილს ესმის „რაღაც ხმა“. მე არ ვიცი, რამდენად შეიძლება, რომ სროლის ხმა სხვა ხმაში შეგეშალოს. ცოტა ხანში ბატონი ბესო აღვიძებს დაცვის იმ ორ წევრს და ეუბნება — ზვიადი სისხლშია, მე მგონი, თავი მოიკლა! საგულისხმოა, ერთი დეტალი, რამაც შემდგომ გამოიწვია ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტმა თავი კი არ მოიკლა, არამედ მოკლეს. საერთოდ, მარჯვენა ხელით საფეთქელზე დამიზნებული ტყვია თვითმკვლელობის დროს თავის ქალის ახდას იწვევს. ამ შემთხვევაში კი თავის ქალა კი არ იყო ახდილი, არამედ ტყვია მეორე მხარეს ყურის ბიბილოსთან გამოდიოდა. ვფიქრობ, სწორედ ტყვიის ტრაექტორიამ წარმოშვა ეჭვი და მთელი გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს. ძალიან ვწუხვარ, რომ თავის დროზე არ ჩატარდა დამოუკიდებელი, კვალიფიციური ექსპერტიზა.

— **მაინც, რა მოხდა იმ ღამეს თქვენი ვერსიით?**

— ერთ-ერთი ვერსიით, ღამით იმ ოთახში, სადაც ზვიადს და გუგუშვილს ეძინათ, შეიპარა ვიღაც და განახორციელა მკვლელობა იმგვარად, რომ შემდგომ მას თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მისცემოდა. დააკვირდით, რა მზაკვრულად არის ყველაფერი მოფიქრებული: მის გვერდით მყოფნი დარწმუნებულნი იქნებოდნენ, რომ ზვიადმა თავი მოიკლა. სხვები კი მათ არ დაუჯერებდნენ და იფიქრებდნენ, რომ ზვიადი მოკლეს ან ბესო გუგუშვილმა და ან დაცვის რომელიმე წევრმა. ეს იყო ვითომდა კარგად, მაგრამ არცთუ ნიჭიერად დადგმული სპექტაკლი. აქ სპეცსამსახურების ხელი რომ იგრძნობა, აშკარაა.

— **კი, მაგრამ, როგორ შეიძლებოდა ეს ოპერაცია ისე ჩაეტარებინა მკვლელს, რომ იმავე ოთახში მყოფ ბესო გუგუშვილს მაინც ვერაფერი გაეგო?**

— მკვლელი ყველა ამ ოპერაციას ასრულებს უკუნეთ სიბნელეში. ოთახში იპარება, პოულობს ზვიადის ჩანთას, საიდანაც იღებს მის იარაღს და კლავს მას. ვთქვათ, გასროლა მოხდა დახშული ლულიდან. საგულისხმოა, რომ ბესო გუგუშვილი ვერ ხვდება, რა ხმა იყო ეს და ამბობს — მგონი, გასროლის ხმა იყოო. იცით რა, როდესაც ბესო გუგუშვილს გაუჭირდა გაერჩია, რისი ხმა იყო, არ გამოვრიცხავ, რომ ისინი იყვნენ მოწამლულები ანდა გათიშულები გაზით ან სხვა რაიმე ნივთიერებით. წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში მათ ისეთი ძილით სძინებოდათ, ვიღაცის შემოსვლა და, მით უმეტეს, გასროლის ხმა ვერ გაეგოთ.

— **გამსახურდიას ოჯახი ამ დროს გროზნოში იმყოფებოდა. გარდაცვალებამდე მათთან თუ ჰქონდა ზვიადს სატელეფონო საუბარი?**

— როგორც ვიცი, გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე დაურეკავს მისთვის გიორგის რაციით. მოგეხსენებათ, რაციებით საუბრების მოსმენა ძალიან ადვილია, ამიტომ მათი პაროლი იყო „დიში“ (გამომდინარე „ოდიშიდან“, თანაც რუსულთანაც კავშირი იყო „Дыши“ — ქართულად, ისუნთქე!). ზვიადი შვილს არ დალაპარაკებია. ზოგისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს და ბევრმა გააქილიკოს — შვილს არ დაელაპარაკაო, მაგრამ... ეტყობა მას უჭირდა იმ დროს შვილებთან საუბარი და პასუხის გაცემა კითხვებზე: სად ხარ, როგორ ხარ, როდის ჩამოხვალ და ა.შ.

— **არსებობს თვითმკვლელობის ვერსიაც. არადა, ამ ვერსიის მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ გამსახურდია თავს არ მოიკლავდა, რადგანაც ის მორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო.**

— არ გამოვრიცხავ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, ვინაიდან ის, როგორც უკვე გითხარით, მუდმივ ფსიქოლოგიურ ტერორში იყო. ერთი საკმაოდ ცნობილი ქალბატონი იმასაც კი ამბობდა, გამსახურდიას ჩამოვიყვანთ, გალიაში ჩავსვამთ და ისე ჩამოვატარებთო. ვის შეუძლია ახლა განსაზღვროს ასეთ სიტუაციაში თვითმკვლელობა უფრო დიდი გმირობაა თუ იმ საშინელებების ყურება, რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა. რა თქმა უნდა, თვითმკვლელობა ცოდვაა, მაგრამ როდესაც ხარ დამარცხებული მხედართმთავარი და მხედრული სიკვდილით აღესრულები, ეს ცოდვა აღარ არის. ამიტომ ხელაღებით იმის მტკიცება, რომ გამსახურდია ქრისტიანი იყო და ამის გამო თავს არ მოიკლავდა, არ შეიძლება.

— **ე.ი. თქვენ არც თვითმკვლელობას გამორიცხავთ?**

— დიახ, ხანდახან ისეთ ჭკუაზე ვდგები, რომ ამასაც არ გამოვრიცხავ. ლამისაა დავიჯერო, რომ ზვიადმა მართლა თავი მოიკლა. სხვათა შორის, ბატონმა ბესო გუგუშვილმა გროზნოში ასეთი რამ თქვა — მან თავისი სიკვდილით ჩვენ სიცოცხლე გვაჩუქაო. არსებობდა КГБ-ს ცნობილი ფორმულა — „ყველას მინუს ერთი“(!) ეს „ერთი“ ზვიად გამსახურდია იყო. მოგვიანებით ეს ფორმულა ჯაბა იოსელიანს ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს წამოსცდა. ცხადზე უცხადესი იყო, რომ როგორც კი ზვიადი ცოცხალი აღარ იქნებოდა, დანარჩენებზე დევნა შეჩერდებოდა. დაკრძალვის ცერემონიალზე დუდაევმაც განაცხადა, გამსახურდია მხედრული სიკვდილით აღესრულა, მან თავი მოიკლაო. სხვათა შორის, დუდაევი ძალიან ნერვიულობდა. ის გრძნობდა, რომ გამსახურდიას სახით კავკასიაში საყრდენი გამოაცალეს. როდესაც მასთან ინტერვიუ ჩავიწერე, ძალიან ნაღვლიანი იყო. მაგიდაზე მუშტიც კი დაჰკრა — ვეუბნებოდი, არ წასულიყო საქართველოშიო.

— **დაცვის წევრებსაც გროზნოში შეხვდით?**

— დიახ და, სხვათა შორის, იყო იქ ისეთი მომენტები, რამაც ჩამაფიქრა. კერძოდ, როდესაც მანანა არჩვაძესთან და დაცვის წევრებთან ერთად მიმდინარეობდა საუბარი ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი რამ ჩემთვის ბუნდოვანი შეიქნა. აი, მაგალითად, როდესაც ქალბატონი მანანა მათ ეკითხებოდა, სად იყო დიპლომატი და პრეზიდენტის ბეჭედი, რომელიც ზვიადს ჰქონდა, ისინი ეუბნებოდნენ, შენახულიაო. ხოლო შეკითხვაზე, სად არის შენახულიო, ვერ პასუხობდნენ. მანანა არჩვაძე აგრეთვე ეკითხებოდა, უკანასკნელ დღეებში წერდა თუ არა ზვიადი რამეს, ისინი ამბობდნენ, რომ წერდა, მაგრამ შემდეგ წვავდა! ასეთმა პასუხებმა ჩემში გარკვეული გაუგებრობანი წარმოშვა.

— **გაუგებრობები თუ ეჭვები მისი გარემოცვის მიმართ?**

— იცით რა, გაუგებრობა ყოველთვის ეჭვის წინაპირობაა და შეიძლება ამ ეჭვმა ცილისწამებამდეც კი მიგვიყვანოს, მაგრამ დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ ზვიად გამსახურდიას არავითარ შემთხვევაში არ მოკლავდა არც ბესო გუგუშვილი და არც დაცვის რომელიმე წევრი.

— **რატომ ხართ ასე დარწმუნებული? იქნებ ზვიადთან ერთად აქეთ-იქით სიარულით დაიღალნენ კიდეც და დეპრესიაში მყოფებმა იგი მოკლეს?**

— ძალიან მიჭირს ამაზე კატეგორიული პასუხის გაცემა, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა — აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შვილი არავითარ შემთხვევაში არ მოკლავდა კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ზვიადთან ძალდატანებით არ ყოფილან. ბოლომდე ჰქონდათ გააზრებული, რა მოელოდათ და თავიც ჰქონდათ გადადებული.

— **როგორც ვიცი, ზვიად გამსახრდიას მკვლელობასთან დაკავშირებით პროკურატურაში საქმე არ აღძრულა.**

— დიახ, სამწუხაროდ ასეა. საქმე არ აღძრულა და უფრო მეტიც, თუ არ ვცდები, გამსახურდიას გარდაცვალებიდან 3-4 წლის განმავლობაში კიდევ არ იყო საქმე შეწყვეტილი მის წინააღმდეგ — აი, ეს ფაქტიც გახდა საზოგადოებაში ეჭვის საფუძველი. ფიქრობდნენ, რომ თუ ზვიად გამსახურდია მართლა გარდაიცვალა, რატომ არ შეწყვეტს მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს პროკურატურა? ეს ფაქტი კიდევ უფრო მიძლიერებს ეჭვს, რომ იგი ნამდვილად სპეცსამსახურების მიერ იყო მოკლული და კვალის დაფარვის მიზნით შეგნებულად ხდებოდა ამ მითის საზოგადოებაში გავრცელება, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო — მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, ზვიად გამსახურდია მაინც რჩება დღევანდელი ხელისუფლების მიერ დამხობილ, დევნილ და მოკლულ პრეზიდენტად, იმიტომ, რომ სწორედ ამ რეჟიმის მიერ დატრიალებული კატაკლიზმების მსხვერპლი შეიქნა.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# გინდა ნახვიდე ამერიკაში? — გაივარჯიშე ნერვული სისტემა

როგორ ფიქრობთ, რაზეა დამოკიდებული, წახვალთ თუ არა ამერიკაში? ნორმალურ ქვეყნებში ეს ადამიანის სურვილსა და ფინანსებზეა დამოკიდებული, საქართველოში კი კონსულზე, უფრო სწორად იმაზე, როგორ გუნებაზეა სტივენ ფეიგენი, მოეწონები თუ არა, გენდობა თუ არა, ანუ დაარწმუნებ თუ არა, რომ ამერიკაში დარჩენა არ გინდა.

ჩემმა ნაცნობმა ზვიად გრძელიძემ ამერიკაში წასვლა გადაწყვიტა — იგი მიიწვია დეიდაშვილმა, რომელიც კარგა ხანია, ამერიკაში ცხოვრობს.

აი, რა გვიამბო მან ამერიკის საკონსულოსთან ურთიერთობის შესახებ:

— კონსულმა დამისვა ხუთი კითხვა: მყავს თუ არა ოჯახი, რატომ მივდივარ ამერიკაში, სად ვმუშაობ, რამდენი მაქვს შემოსავალი და ვარ თუ არა ნამყოფი ამერიკაში. მე მთელი ევროპა მაქვს მოვლილი. ნამყოფი ვარ არგენტინაში, ჩილეში, აზიაშიც. მას არც დაუხედავს ამ ვიზებისთვის. კითხვებზე პასუხის შემდეგ კონსული მეუბნება, — თქვენ ვერ წახვალთ ამერიკაში, რადგან ვერ დამარწმუნეთ, რომ იქ სამუშაოდ დარჩენა არ გინდათო. ვეკითხები, — ეს როგორ დაასკვენით-მეთქი, თქვენ დამისვით ხუთი კითხვა, მე გიპასუხეთ, რომ მყავს ცოლი და სამი შვილი, მაქვს სამსახური, ნამყოფი ვარ თითქმის ყველა ქვეყანაში და ყველა კონტინენტზე. ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი რომ გამეცა, მომცემდით წასვლის ნებას-მეთქი? კითხვები არაფერ შუაშია — მიპასუხა მან, — მე ფსიქოლოგი ვარ და მივხვდიო. ამ „ფსიქოლოგს“ კი ჩემთვის მთელი საუბრის მანძილზე ერთხელაც არ შემოუხედავს. გასაუბრებაზე ჩემზე წინ გასული მოჭიდავე, რომელიც ტურნირზე იყო მიწვეული, არ გაუშვა, — შენ მოჭიდავეს არ ჰგავხარო, — მიახალა. გაგიჟდა კაცი! მის მწვრთნელს კი ვიზა მისცა, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რა უნდა ეკეთებინა მწვრთნელს ტურნირზე მოჭიდავის გარეშე. მასზე წინ კი ერთი ებრაელი გავიდა, რომელმაც კონსულს უთხრა, — თანაკლასელთან მივდივარ, 15 წელი ერთ მერხზე ვისხედითო...



**— შენი ამბავი როგორ დამთავრდა?**

— არანაირად. კონსულს ვუთხარი, — ფსიქოლოგი კი არა, უცოდინარი ხარ, ამდენი ხანია საქართველოში ცხოვრობ და ისიც არ იცი, ჩვენში 15 წელი სკოლაში არ სწავლობენ-მეთქი. მითხრა, ასეთი განწყობით თქვენ ვერასოდეს წახვალთ ამერიკაშიო. სიმართლე გითხრა, თუ ამერიკას ეს ადამიანი განასახიერებს — ცივი, ქედმაღალი, რომელიც ადამიანებს ისე ექცევა, — თითქოს ისინი აბეზარი მათხოვრები იყვნენ, ამერიკაში წასვლა აღარც მინდა. გასაუბრება ერთ პატარა ოთახში ხდება, ერთ მხარეს ზის კონსული მეორე მხარეს — სამოცი კაცი! და ამ მილეთის ხალხის თანდასწრებით გიწევს პასუხი გასცე კონსულის კითხვებს, რომელსაც ვერანაირად უწოდებ ვერც ზოგადს და ვერც კორექტულს, უნდა უპასუხო ინტიმურ კითხვებსაც, რაც საშინლად დამამცირებელია. და კიდევ, საინტერესოა, რაში ახდევინებენ ხალხს 45 დოლარს? როგორც საელჩოში აგვიხსნეს, ეს არის მომსახურების თანხა. რომელი მომსახურებისა, როცა ელემენტარულად სკამსაც კი არ გიდგამენ და კონსულს სკოლის მოსწავლესავით ფეხზე მდგარი ელაპარაკები!“

მსგავსი ამბავი მარტო ჩემს ნაცნობს არ შემთხვევია. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც კონსულთან საუბრის შემდეგ ძალიან დიდხანს იყვნენ დეპრესიაში.

სტატისტიკური მონაცემებით, 1998 წელს აშშ-ში გასამგზავრებელ ვიზაზე უარი უთხრეს 51,7%, 1999 წელს — 73,5%-ს.

თუმცა ქართველებმა ამერიკაში წასვლის სხვა გზაც იპოვეს. თბილისში ფუნქციონირებს რამდენიმე ფირმა, რომელიც ამ ქვეყანაში ხალხს აგზავნის. ერთ-ერთი მათგანის მესვეურებს საკმაოდ დავუახლოვდი და გავარკვიე, რომ ეს ფირმა მოქალაქეებს ამერიკაში უშვებს კონსულთან გასაუბრების გარეშე, ანუ აგროვებს საბუთებს და კონსული აძლევს მათ ვიზებს. ეს, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია. მე თავად ვიცნობ სამ ადამიანს (მათ ვიზა 1999 წლის ნოემბერში მიიღეს და უკვე ამერიკაში არიან), რომლებმაც ამ ხერხით მიიღეს აშშ-ში გასამგზავრებელი ვიზა, ერთ-ერთმა მათგანმა ჩემგან გაიგო, რომ ამისათვის კონსულთან გასაუბრება იყო საჭირო(!). ამ სამიდან ადრე არც ერთი არ იყო ნამყოფი არათუ ამერიკაში, საერთოდ, საქართველოს საზღვრებს გარეთ. მათ ასევე მითხრეს, რომ მათნაირად ვიზა დაახლოებით 15-მდე ადამიანმა მიიღო. ფირმა „№“-ის მესვეურებმა (მათ არ იცოდნენ თუ ჟურნალისტი ვიყავი) გულახდილად მითხრეს — კონსულთან არანაირი ურთიერთობა არა გვაქვს, ამ საკითხებს საკონსულოში მომუშავე ახლობლის ხელით ვაგვარებთ, რომელიც ვიზის ღირებულების (რომელიც თბილისში არაოფიციალურად 5 ათასი დოლარი ჯდება) 30%-ს იღებსო. სამწუხაროდ, ამის დადასტურება ოფიციალურად ვერ ხერხდება, ვინაიდან, როდესაც გაიგეს ჩემი კორესპოდენტობის შესახებ, თავისივე ნათქვამი უარყვეს, ერთ-ერთმა კი განზე გამიყვანა და დამანამუსა — ახლობელი ხარ და იმედი მაქვს, არაფერს გვავნებო და დაუმატა, თუმცა მაინც ვერაფერს დაამტკიცებო.

ვინ არის შუაკაცი, საქართველოს მოქალაქეა თუ ამერიკელი, ქალია თუ კაცი, მათ გულახდილობისასაც არ უთქვამთ. ამერიკის კონსულ სტივენ ფეიგენთან შეხვედრისას გაირკვა, რომ არ არსებობს არანაირი ოფიციალური, ჩამოყალიბებული პირობები, რის მიხედვითაც ამერიკის კონსულს აქვს ან არა აქვს უფლება, მოგცეთ ვიზა. ეს მთლიანად მის ნებაზეა დამოკიდებული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ის, უბრალოდ, ვალდებულია ყველა ადამიანი განიხილოს, როგორც ამერიკაში პოტენციური დამრჩენი.

ასე რომ, ბატონებო და ქალბატონებო, ვისაც გსურთ წახვიდეთ ამერიკაში, კარგად გაავარჯიშეთ ნერვული სისტემა და როცა დარწმუნდებით, რომ ის წესრიგშია, აირჩიეთ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი:

ვარიანტი, ოფიციალური — გადაიხადეთ 45 დოლარი, დადექით საკონსულოში რიგში (თუ რიგში დგომა არ გინდათ, გადაიხადეთ 500 დოლარი და ურიგოდ ჩაგწერენ). როცა რიგი მოგიწევთ, შეხვდებით კონსულს, უპასუხეთ ყველა კითხვას, რომელიც მას თავში მოუვა, აიტანეთ მისგან დამამცირებელი დამოკიდებულება და ამ ყველაფრის გადატანის შემდეგ ალბათობა იმისი, რომ ვიზას მოგცემენ, ძალიან მცირეა.

ვარიანტი — გადაიხადეთ 5.000 დოლარი, მიაკითხეთ „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ — ამ შემთხვევაში ის შეიძლება იყოს ადამიანი ან ფირმა და დამამცირებელი პროცედურის გარეშე (კონსულთან საუბარს ვგულისხმობთ) შეიძლება მოხვდეთ ამერიკაში ისიც დაიმახსოვრეთ, რომ თუ ვიზა არ მოგცეს, შეიძლება ფირმა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ თქვენთვის ცნობილ მისამართზე აღარც აღმოჩნდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ 5 ათასი დოლარი წყალში გადაყარეთ.

შენიშვნა: როგორც სტივენ ფეიგენი აცხადებს, იანვრიდან ვიზების გაცემა ფრიად გართულებულია.

ბევრის აზრით, ფირმა „კვაჭი კვაჭანტირაძეების“ მომრავლება იმ აუტანელი სიტუაციის ბრალიცაა, რომელიც ამერიკის საკონსულოშია გამეფებული. ტყუილად ნუ ეცდებით, იპოვოთ დამნაშავე და ნურც კონსულზე გაბრაზდებით. უბრალოდ სტივენ ფეიგენი სავიზო რეჟიმის იმ მოთხოვნებს ასრულებს, რომელიც ამერიკის კონგრესმა შეიმუშავა და დაადგინა.

როგორც ჩვენთვის შეიქნა ცნობილი, ადამიანებმა, რომლებმაც გადაიტანეს უამრავი დამცირება ამგვარი სავიზო რეჟიმის გამო, გადაწყვიტეს შექმნან საზოგადოება, რომელიც შეეცდება დაიცვას ქართველი მოქალაქის ღირსება. ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი ბატონი ლადო კაკაბაძე აცხადებს, რომ ისინი აპირებენ, მიმართონ ამერიკის კონგრესს თხოვნით, შეიცვალოს სავიზო რეჟიმი და ამ პროცესში აქტიურად ჩართავენ ჩვენი ქვეყნის პარლამენტარებს.

ყველა ქვეყანას აქვს უფლება გადაწყვიტოს, ვინ შეუშვას თავის ქვეყანაში და ვინ არა. უბრალოდ ყველა ქვეყანამ პატივი უნდა სცეს სხვა ქვეყნის მოქალაქეების პატივსა და ღირსებას.

***ეკა ჯანაშია***

# „მშობლებმა სამშობიაროს მესამე სართულიდან გადმომაგდეს — მომიტაცეს...“

ექიმების მიერ მსოფლიოს მერვე საოცრებად შერაცხული, თბილისელი, 33 წლის გოჩა ბექაური ყოველგვარი სამედიცინო დასკვნებისა და ლოგიკის მიხედვით დღეს ცოცხალი არ უნდა იყოს. მას 35 სახის დაავადება აქვს და ყველა სიცოცხლისთვის საშიში. მათგან ზოგი თანდაყოლილია, ზოგიც შეძენილი.

ამ უცნაური ადამიანის ცხოვრება უცნაურადვე დაიწყო, თუმცა სჯობს თავად მას მოვუსმინოთ:

— როცა გავჩნდი, ექიმებმა მამას უთხრეს, არ იცოცხლებსო... მაგრამ საინტერესო ორგანიზმი აქვს და სახლში ვერ გაგატანთ — კოლბაში ჩავსვამთ და სტუდენტებს ვანახებთო. მამას უარი უთქვამს. ერთ პროფესორს დიდძალი ჰონორარიც შეუთავაზებია. მაინც არ დაეთანხმნენ მშობლები — პირველი ვაჟი ვიყავი.

თბილისის მეორე სამშობიაროში დავიბადე 1966 წელს. რადგან ექიმები სახლში არ მიშვებდნენ, მშობლებმა მომიტაცეს. მამამ ბლომად სახვევებში კარგად გამახვია და მესამე სართულიდან გადმომადგო. ქვემოთ ეზოში ბიძა იდგა და მან დამიჭირა. დავბადებულვარ სრულიად ლურჯი, უფრო შავი. მქონდა თანდაყოლი გულის ხუთი მანკი, დექსტრაკარდია (ყველა ორგანო შებრუნებულ მდგომარეობაში), ოთხის ნაცვლად სამკარიანი გული — ერთი საერთო სარქველით. პარკუჭთა შორის ძგიდე არ მაქვს, ამას ბაყაყის გულს ეძახიან. ვენური და არტერიული სისხლი ერთმანეთს ერევა, დაბადებიდან მაქვს ციანოზი, ორგანიზმის ქრონიკული უჟანგბადობა. მერე დამიქვეითდა მხედველობა -11; შევიძინე ვარიკოზი, თრომბი, მრავლობითი აბსცესი (ჩირქოვანი პარკუჭები), თირკმელი კი რამდენიმე წლის წინ ამომაჭრეს.



**— ბავშვობა როგორი გქონდათ?**

— რაღა როგორი?! მაშინაც და ახლაც წელიწადში რვა თვეს საავადმყოფოში ვატარებ. ოთხი წლიდან ექვს წლამდე სიცხეები მქონდა — 40-42 გრადუსი. ქუჩაში პალტოთი და ქუდით დავდიოდი — მციოდა. ხალხს გიჟი ვეგონე. სიცხე გლანდებით იყო გამოწვეული, მაგრამ ექიმები ხელს არ მკიდებდნენ, გული მარჯვნივ აქვს და ოპერაციას ვერ გადაიტანსო. მერე ოპერაცია მაინც გავიკეთე, 12 წლამდე კარგად ვიყავი, მაგრამ სიცხეები ისევ დამეწყო. მშობლებმა მთელი საბჭოთა კავშირი შემომატარეს, ფინანსურად არ გვიჭირდა. ვერაფერი მიშველეს. ბოლოს სეფსისის ცენტრში მოვხვდი ბოჭორიშვილთან. მან მომარჩინა. სიცხე ახლა თითქმის აღარ მაწუხებს. ისე, ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი. მეც ვთამაშობდი, დავრბოდი და ვჩხუბობდი კიდეც.

**ვახტანგ ბოჭორიშვილი** — აკადემიკოსი, სეფსისის სპეციალისტი:

— ბექაური ბუნების ისეთი საოცრებაა, ამოხსნა ჰიპოკრატესაც გაუჭირდებოდა. ჰიპოკრატემ თქვა — ჩირქი ორგანიზმიდან იზოლირებული უნდა იქნეს. ბექაურის ორგანიზმმა კი ჩირქი შეიწოვა და გადარჩა. ჩემთან ბავშვობაში ხშირად მკურნალობდა. მერე, უკვე ცოლშვილიანი იყო, კიდევ რომ მომაკითხა, თავის ტვინში 8 აბსცესი ჰქონდა. ნორმალური ადამიანისთვის ერთიც კი მომაკვდინებელია, რვა კი უკვე ასფიქსიას ნიშნავს. ვფიქრობდი, თუ ოპერაციას გავუკეთებდით, ნორმალური აზროვნების არ დარჩებოდა, მაგრამ ბექაურის ორგანიზმმა კიდევ ერთი საოცრება მოახდინა — 6 თვის შემდეგ პარკუჭების უმრავლესობა აღარ იყო. თუმცა მანამდე ორი პარკუჭი გაიხსნა და გადავწყვიტეთ ოპერაცია ჩატარებულიყო. წესისამებრ, აპარატზე უნდა ჩაგვერთო. სწორედ ამ დროს ავადმყოფმა თვალი გაახილა და თქვა — არ მინდა, არ ჩამრთოთო. 50 წელზე მეტია მედიცინას ვემსახურები, კაცი დავბერდი და მსგავსი არც წამიკითხავს და არც მინახავს.

**— გოჩა, მაინცდამაინც აპარატზე შეერთებისას რატომ მოხვედით გონს?**

— შეიძლება არ დამიჯეროთ და ამდენი დაავადების პატრონს აპარატის შიში მაქვს. როცა საოპერაციოდ მამზადებდნენ, თითქმის ვერ ვაზროვნებდი. მხოლოდ ხმებით ვარჩევდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ. ხოლო, როგორც კი ხელოვნური სუნთქვის აპარატი მოაგორეს საწოლთან, გონება გამეხსნა და ხმა ამოვიღე.

**— თირკმელი რატომ ამოგკვეთეს?**

— ჩვენი სამართალდამცავების წყალობით. ქუჩაში გამაჩერეს, ტუჩები ლურჯი გაქვს, გამხდარი ხარ და ნარკომანი იქნებიო. მოკლედ, მცემეს. ცემისას თირკმელში სისხლი ჩამექცა. ექვსი თვის შემდეგ სისხლი ჩირქად იქცა. ქირურგები ოპერაციაზე ძლივს დავითანხმე. არ ეგონათ, თუ მაგიდიდან ცოცხალს გამიყვანდნენ. თანაც წნევა მქონდა დაბალი 30-20-ზე(?!) განვითარებული მქონდა ჰემატომა, პარანეფრიტი, მაღალი სიცხე. ექიმებმა ცოლს და მამაჩემს ხელწერილი დააწერინეს, რომ ოპერაციაზე თანახმანი იყვნენ. მერე ბავშვი მომიყვანეს და გამომამშვიდობეს. ოპერაცია სამ საათს გაგრძელდა. გადავრჩი იმიტომ, რომ სიცოცხლე ძალიან მიყვარს და მინდა.

გინდა კურიოზი დაარქვით, გინდა ტრაგედია. თითქმის ყოველ კვირას სასწრაფოს ვიძახებ. ექიმი მსინჯავს მარცხენა მხარეს და მეუბნება, გული აჩქარებული არ გაქვსო, მერე მარჯვნივ ღვიძლს მისინჯავს და მეუბნება გადიდებული არ არისო. არადა, გული მარჯვნივ მაქვს, ღვიძლი მარცხნივ. თანაც ღვიძლი 10 სანტიმეტრით მუდმივად გადიდებული მაქვს. ამის მერე იძულებული ვარ ექიმი გვერდზე გავწიო, ხანდახან შეიძლება მიმართვა უხეშიც გამომივიდეს. ვუძახებ ექთანს და ვეუბნები, რომელი წამალი რა დოზით გამიკეთოს.

**— თქვენით უცხოელები არ დაინტერესებულან?**

— ერთი პროფესორი დადიოდა ჩვენთან — მამის მეგობარი იყო. ის მეუბნებოდა, საზღვარგარეთ რომ წახვიდე, სამედიცინო ცენტრები შეგისწავლიან და დიდ ფულსაც გადაგიხდიანო. იმასაც მეუბნებოდა, გინესის წიგნში მოხვდებიო. ახლა უცხოელი ექიმები აქ ჩამოდიან, მაგრამ თავმოყვარეობა და სიამაყე არ მიშვებს, რომ მათ თავი შევაცოდო, მოვისაწყლო, — მიშველეთ-მეთქი. ასეთი რამ ჩემს ბუნებაში არ დევს — მთიელი კაცი ვარ.

**— გინესის რეკორდსმენებს სოლიდურ თანხას აძლევენ.**

— ჰო, მეც გამიგონია, გინესის რეკორდსმენებს თითქოს მილიონ-ნახევარს აძლევენ. ჩემს ბიჭს გეფიცებით, ამ ფულის ნახევარზე მეტს ინვალიდთა სახლებს, გაჭირვებულ ხალხს დავახარჯავდი. ინფექციურში რომ ვიწექი, პალატაში 11 კაცი ვიყავით. აქედან 9 ისეთი მოკვდა, რომლის გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო ექიმს დროზე ვერ მიაკითხეს. ორი კი ისეთი გადავრჩით, ყველაზე ნაკლებად რომ ელოდნენ.

როგორც აღმოჩნდა, გოჩა ბექაურს საკუთარი თავის არაორდინარულობის შეგრძნება ნამდვილად აქვს. ალბათ სწორედ ამიტომ, თავის დაავადებებს ხშირად დასცინის კიდეც. მისი მსგავსი ერთი მაინც რომ აპოვნინა, უკეთესად გაერთობოდა. მაგრამ ექიმები პაციენტს ვერაფრით ანუგეშებენ.

— ერთხელ ერთ ცნობილ ქირურგთან მივედი, ცუდად ვიყავი და დანიშნულება ვთხოვე. მითხრა, რა შემაწუხე, კაცო, შენისთანები იცი რამდენიაო?! ვუპასუხე — ერთი მაინც მანახე და შენც და იმასაც რესტორანში კარგად გაქეიფებთ-მეთქი. ვერ მაქეიფებ, ყველანი სასაფლაოზე წვანანო... სსრკ-ის ცნობილი ექიმები თავზე მეხვია ბავშვობაში, მაგრამ ისინიც ასე ამბობდნენ. ჩემი სიცოცხლის ზღვრული მაქსიმუმი, მათი გაანგარიშებით, 15 წელს ვერ ასცილდებოდა.

**— როგორ ცხოვრობთ, რა სახსრებით?**

— ძალიან მინდოდა ექიმი გავმხდარიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. ჩემი დღევანდელი შემოსავალი სახელმწიფოს დანიშნული პენსიაა, რომელსაც ვერ ვიღებ. კიდევ კარგი, წვრილ ბიზნესს მივსდევ და ოჯახს ამით ვარჩენ. ერთი პერიოდი სავალუტო ჯიხურში ვმუშაობდი მოლარედ. სამჯერ დამაყაჩაღეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი წამართვეს. ფულს ჯიბით არ ვატარებდი. საქმე არ აღმიძრავს. მთავარია, რომ ცოცხალი გადავრჩი. ჩემს ცემას დიდი ღონე არ სჭირდება, მაგრამ დედის ცუდად ხსენებას არავის ვაპატიებ. შეიძლება შევაკვდე კიდეც. იმ პოლიციელებმა დედა შემაგინეს და მეც ხურდა დავუბრუნე, თორემ თირკმელი ამოსაკვეთი არ გამიხდებოდა.

გოჩა ბექაურს ჰყავს მეუღლე ფატი და 13 წლის ვაჟი გიგა. ექიმებს კიდევ ერთი სასწაული ელოდათ, როცა პაციენტს ჯანმრთელი შვილი ეყოლა. ბავშვის სიჯანსაღეზე ვერც ერთი ექიმი გარანტიას ვერ იძლეოდა. მთელი ცხრა თვის განმავლობაში ცოლ-ქმარი გულის კანკალით ელოდა პირმშოს.

— ფატი საავადმყოფოში გავიცანი. მაგნიტოფონის კასეტა გაწყდა და ბიჭებმა მეზობელი პალატის პაციენტ გოგონას ფრჩხილების ლაქი სთხოვეს. ასე გავიცანი. გაცნობიდან ორი თვის შემდეგ „მოვიტაცე“ და მოსკოვში წავიყვანე. ფატი რომ არ ყოფილიყო, დღეს ცოცხალი არც ვიქნებოდი.

დედა რომ გარდამეცვალა, ნევროზი დამემართა. ჩემზე დარდმა მოკლა. ბოლო დღემდე თავისი ხელით მაჭმევდა. იმიტომ კი არა, რომ მე არ შემეძლო... უბრალოდ საჭმელი არ მინდოდა, ვერ ვჭამდი. დედის ხელით მოწოდებული კი გემრიელი მეჩვენებოდა და ხათრსაც ვერ ვუტეხდი. ფატიმ დეპრესიიდან გამომიყვანა.

**— რა აცოცხლებს გოჩა ბექაურს?**

— ყოველთვის, როცა მწვავე შეტევა მაქვს და ფეხზე ადგომას ვერ ვახერხებ, იმაზე ვფიქრობ, რომ ცოლისთვის და შვილისთვის საჭირო ვარ, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და წინ გრძელი გზა მიდევს. მწამს, რომ ღრმა მოხუცებულობამდე ვიცოცხლებ. მთიელებს ერთი სალოცავი გვაქვს — ფუთისმზის პირისანგელოზი. იმას ვეხვეწები შეწევნას.

მიუხედავად ყველაფრისა, გოჩა ბექაური განსაკუთრებულ დიეტას არ იცავს. სვამს და ჭამს იმას, რაც გაეხარდება და ხანდახან აბსცესიან თავს ბურთსაც ურტყამს.

— თირკმლის ოპერაციიდან მეორე დღეს ჩემს ძმას ხინკალი და ორი ლიტრი ღვინო მოვატანინე. რამდენიმე წვეთოვანი და „დრენაჟი“ მედგა. სამი ცალი ხინკალი რომ შევჭამე, ექიმმა შემომისწრო და კინაღამ ჭკუიდან გადადგა, სიკვდილი გინდაო? მე ვუთხარი, სიკვდილი რომ არ მინდა, იმიტომ ვაკეთებ-მეთქი. სმას ახლაც არ გავურბივარ. გულწრფელად რომ გითხრათ, ცოტა კიდეც მიყვარს. სამი ლიტრის დალევა შემიძლია, თანაც პახმელია არ ვიცი.

**ვახტანგ ბოჭორიშვილი:**

„ბექაურს ჯერ თავისი რწმენა აცოცხლებს და მერე მედიკამენტები. მედიცინაში ასეთი რამ ხდება, მაგრამ იმდენად დიდი შინაგანი და სულიერი ძალაა საჭირო, რომ მას პაციენტი იშვიათად თუ პოულობს თავის თავში. მე ვმუშაობდი უდიდეს სპეციალისტ ბრაუდესთან. ნამდვილად ვიცი, ბრაუდეს ბექაურის მსგავსი პრაქტიკაში არ ჰყოლია და არც შეუსწავლია. ვფიქრობ, რომ ამ კაცისთვის მედიცინას ჯერ ზუსტი სახელი არ მოუძებნია. ყველაზე ზუსტი და მაინც გაურკვეველი სახელი ის არის, რომ ბექაური ბუნების საოცრებაა“.

გოჩა ბექაურის ახლობლები კი უბრალოდ თვლიან, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც დაბადებისთანავე სძლია სიკვდილს.

P.S. როცა გოჩა ბექაურთან ამ ინტერვიუს ვიწერდით, მას 39 გრადუსი სიცხე ჰქონდა. რესპონდენტი ამას არად აგდებდა — უბრალოდ გუშინ მთელი ღამე გზაზე ვიყავი და მანქანაში ცოტა შემცივდაო.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# ომი, რომლის გავრცელება მთელ კავკასიაში სურთ...

ხუთშაბათს, 11 მაისს მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო — მორიგი საბრძოლო ოპერაცია რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ამჯერად უკვე არა ჩეჩნეთის, არამედ მეზობელი ინგუშეთის ტერიტორიაზე განხორციელდა.

ინგუშეთის რესპუბლიკის სოფელ გალაშკისთან რუსეთის შინაგანი ჯარების 99-ე ცალკეული, საგანგებო დანიშნულების დივიზიის ერთ-ერთ, 22 კაციან დანაყოფს თავს დაესხნენ. რუსი სამხედროები ორი სატვირთო УРАЛ-ით მიემგზავრებოდნენ, მათ ერთი ჯავ-


ინგუშეთში თავდასხმის შემდეგ რუსი სამხედროები გზებზე გადაადგილებისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ.

შანტრანსპორტიორი БТР-Д იცავდა. სოფლის მისადგომებთან თავდამსხმელებმა ჩვეულ მეთოდს მიმართეს. ჯვარედინი ცეცხლით მათ მწყობრიდან, თავდაპირველად, სამივე მანქანა გამოიყვანეს (ძირითადად, ყუმბარსატყორცნების კუმულიატიური ჭურვებით), ხოლო შემდეგ ავტომატური იარაღის ჯერით დაბნეული ჯარისკაცები ჩახოცეს.

არადა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამ რუს ჯარისკაცებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა ჩეჩნეთის ომში, უკვე დემობილიზებულნი იყვნენ და დღე-დღეზე შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ.

გაკვირვებას ის ფაქტიც იწვევს, რომ სამხედროების სატვირთო მანქანების დაცვას ჯავშნიანი БТР-Д ახორციელებდა. ამ კლასის ჯავშანტრანსპორტიორები მხოლოდ მედესანტეების შეიარაღებაშია და როგორ აღმოჩნდა შინაგანი ჯარების განკარგულებაში, საოცარია. ამასთან, БТР-Д-ს რაიმე სერიოზული შეიარაღება არ გააჩნია და როგორ უნდა დაეცვა სატვირთო მანქანები, ესეც ცოტა ძნელი წარმოსადგენია.

ჩასაფრების შედეგად, 22 სამხედროდან 19 დაიღუპა, ორი დაიჭრა და ერთი (სხვათა შორის, მეთაური) ცოცხალი გადარჩა. ფაქტობრივად, თავდამსხმელების მიერ საბრძოლო ოპერაცია თითქმის 100%-იანი წარმატებით განხორციელდა. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც რუსი სამხედროები ერთ და იმავე ფანდზე წამოეგნენ — მოსკოვმა, ჯერჯერობით, ვერ მიაგნო სწორ ტაქტიკას, რაც გზებზე მისი სამხედროების უსაფრთხოებას დაიცავდა.

ეს, რაც შეეხებოდა საბრძოლო შეტაკების შეფასებას წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისით. გალაშკის ინციდენტს ბევრად უფრო მეტი, პირველ რიგში კი, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

თუკი გალაშკისთან ჩასაფრება ჩეჩენმა მებრძოლებმა მოაწყვეს, მაშინ თავის მიზანს მიაღწიეს კიდეც — რუსები არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ ჩრდილო კავკასიის ვერც ერთ გზაზე თავს სრულ უსაფრთხოებაში დღეის შემდეგ ვერ იგრძნობენ, რაც მათი გადაადგილებისა და განსაკუთრებით, მომარაგების საკითხს მნიშვნელოვნად გაართულებს. წარმოიდგინეთ, რა უსაფრთხოების ზომების მიღება დასჭირდებათ რუს სამხედროებს დაღესტნის, ინგუშეთისა ან თუნდაც სტავროპოლის მხარეში, კოლონების გაცილებისას.

მეორე მხრივ, შეიძლება წარმოუდგენლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ კრემლს შეიძლება ხელს აძლევდეს კიდეც (სულაც თავადაც თუ არ მოაწყო ინსპირირება) თავდასხმა თავის სამხედროებზე და ისიც ინგუშეთის ტერიტორიაზე.

საქმე ის არის, რომ დაღესტნისგან განსხვავებით, ინგუშები დღესაც თანაუგრძნობენ ჩეჩნებს. ამით თავად ინგუშეთის პრეზიდენტი აუშევიც გამოირჩევა. მართალია, გენერალი აუშევი აშკარად არ ეხმარება პრეზიდენტ მასხადოვს, მაგრამ მორალურად (და შეიძლება ფინანსურადაც) მის გვერდით დგას. იგი თანახმაა, შუამავლის როლიც ითამაშოს პუტინსა და მასხადოვს შორის ჩეჩნეთის ომის შესაწყვეტად, რადგან მას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს — სამასი ათასამდე ლტოლვილი ჩეჩენი აუშევის ინგუშეთს (რომელსაც საკუთარი ლტოლვილებიც საკმაოდ ჰყავს) მძიმედ აწევს კისერზე.

პრეზიდენტ აუშევს სურს ჩეჩენი ლტოლვილები ინგუშეთიდან თავიანთ სახლებში დააბრუნოს, მაგრამ ეს მხოლოდ ომის შეჩერების შემთხვევაში თუ მოხდება. არადა რუსეთის გენერალიტეტს ომის შეწყვეტაზე სიტყვის გაგონება არ სურს — ომი ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მივიყვანოთო, — იხტიბარს არ იტეხენ რუსი გენერლები, თუმცა ქვეცნობიერად თავადაც ხვდებიან, რომ ამისთვის აღარც სახსრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტა ხანში შეიძლება არც საბრძოლო საჭურველი აღარ ეყოთ.

ასეთ სიტუაციაში ნელ-ნელა თვალშისაცემი ხდება რუსეთის გენერალიტეტის დაპირისპირება ინგუშეთის პრეზიდენტთან, იმავე გენერალ აუშევთან.

პრეზიდენტი პუტინი კი გენერლების მოსაზრებებს ყოველთვის ანგარიშს უწევს, სხვათა შორის, ინგუშეთის პრეზიდენტის ცოტა არ იყოს, ურჩობა, მასაც ყელზე ადგას, ამიტომაც გამორიცხული სულაც არ არის, რომ გალაშკიში მომხდარი თავდასხმის ფაქტით კრემლმა ისარგებლოს და პრეზიდენტ აუშევს დიდი პრობლემები შეუქმნას.

მოსკოვში ხვდებიან, რომ კავკასიის ხელახალი დამორჩილება მარტო ჩეჩნეთის მაგალითზე არ იკმარებს. რუსეთის პირველი პრეზიდენტის, ელცინის მიერ გამოცხადებული „სუვერენიტეტების აღლუმის“ შედეგად, მოსკოვის გავლენის ფაქტორი ჩრდილო კავკასიაში მკვეთრად დაეცა. დღეისათვის მოსკოვისთვის ყველაზე ურჩ რესპუბლიკას, ჩეჩნეთის შემდეგ, ინგუშეთი წარმოადგენს. ის ინგუშეთი, რომელსაც, თავის მხრივ, არანაკლები ტერიტორიული პრეტენზიები აქვს ჩრდილო ოსეთის — ალანიის რესპუბლიკასთან.

თუკი კრემლმა მოახერხა და ნელ-ნელა აღადგინა თავისი დაკარგული პოზიციები ჩრდილო კავკასიაში, მაშინ შემდეგ ეტაპად იქცევა მისი გავრცელება უკვე სამხრეთ კავკასიაში, მით უმეტეს, რომ მოსკოვი თავის ძირითად დასაყრდენ პოზიციებს — რუსულ სამხედრო ბაზებს საქართველოში ჯერ კიდევ ინარჩუნებს. სომხეთი, ძირითადად, ისედაც პრორუსულადაა განწყობილი, ხოლო აზერბაიჯანში „რუსული სულის“ აღზევება საკმაოდ გაჭირდება.

# რუსი მფრინავები ციდან ცვივიან

გასულ კვირას, რუსეთის ჩრდილოეთში, მურმანსკის ოლქის ქ. სევერომორსკთან ავარია განიცადა გამანადგურებელმა Су-33-მა. მისმა პილოტმა მოასწრო კატაპულტირება და ცოცხალი გადარჩა. როგორც წინასწარი გამოკვლევით დასტურდება, 2 კმ-ის სიმაღლეზე გამანადგურებლის მართვის სისტემა მწყობრიდან გამოვიდა, თვითმფრინავის მართვა შეუძლებელი შეიქნა და მფრინავიც იძულებული იყო, თავისთვის ეშველა.

33 ტ-იანი გამანადგურებელი Су-33 რუსებს ისედაც მხოლოდ 24 ერთეულამდე თუ ჰყავდათ. ეს თვითმფრინავები პირველ საბჭოთა, ამჟამად კი რუსულად წოდებულ ავიამზიდზე „ადმირალ კუზნეცოვზე“, ყოფილ „თბილისზე“ ბაზირებენ და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გემბანის გამანადგურებლებს წარმოადგენენ. სხვათა შორის, Су-33-ების ავიამზიდის გემბანიდან აფრენა-დაფრენის რთული პროცესი პირველად გენერალ-მაიორმა თემურ აფაქიძემ აითვისა. დღეს იგი ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვის“ საფრენოსნო ნაწილის მეთაურია.

თუმცა, რუსეთის სამხედრო ავიაციისთვის ზემოხსენებული გამანადგურებელი ბოლო ერთი თვის მანძილზე ერთადერთი დანაკარგი სულაც არ ყოფილა.

ოთხიოდე კვირის წინ სასწავლო-საბრძოლო ფრენიდან უკან აღარ დაბრუნებულა გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-31, რომელიც სადღაც ტაიგაში უგზო-უკვლოდ გაქრა. ორადგილიანი МиГ-31 დღემდე რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სიამაყედ ითვლება. იგი მსოფლიოში პირველი გამანადგურებელი იყო, რომელზეც ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგური დაიდგა. ითვლება, რომ ოთხ МиГ-31-ს 800-1000 კმ სიგანის ფრონტის საჰაერო სივრცის გაკონტროლება შეუძლია. ამ ძალზე ძვირადღირებული თვითმფრინავების შექმნა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი საზღვრის გაყოლებით ძალზე მცირე რაოდენობით იყო სტაციონარული რადიოლოკაციური სადგურები, არადა ამერიკელების ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტები სწორედ ჩრდილოეთიდან აპირებდნენ იერიშის მიტანას მოსკოვზე.

МиГ-31-ის გაუჩინარების პარალელურად, ჩრდილო კავკასიაში დაიმსხვრა რუსული Ми-8МТ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულ-



მფრენი. მისი ეკიპაჟი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის გენერალურ შტაბში ძალზე განიცადეს ეს ავარია.

ერთი შეხედვით, თითქოსდა დიდი არაფერი მომხდარა (მთავარია, ხალხი გადარჩა), თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ეს Ми-8МТ შვეულმფრენი ერთ-ერთი იყო იმ ორ შვეულმფრენისგან, რომლებზეც სპეციალურად კრემლის განკარგულებით ღამის ხედვის მოწყობილობა დააყენეს.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოშვებული შვეულმფრენები, გინდ საბრძოლო Ми-24 და გინდაც სატრანსპორტო Ми-8, მხოლოდ კარგ ამინდში და ისიც დღისით ასრულებენ საბრძოლო ამოცანას (ღამით მათ პილოტებს შეუძლიათ ფრენა, ოღონდ მხოლოდ წინასწარ დასახული მარშრუტით და ისიც კომპასისა და სხვა ხელსაწყოების დახმარებით). ეს კარგად იციან ჩეჩენმა მებრძოლებმაც და ძირითად გადაჯგუფებებს მხოლოდ ღამით ახორციელებენ.

სწორედ ღამით ჩეჩენთა რაზმების აღმოსაჩენად მზადდებოდა ორი Ми-8МТ შვეულმფრენი, მაგრამ ერთმა მათგანმა უკვე ავარია განიცადა, მეორეს, კენტად დარჩენილს კი ძალზე გაუჭირდება დასახული ამოცანის შესრულება.

7 მაისს, საქართველოს საზღვრის ახლოს, „გაუჩინარდა“ კიდევ ერთი რუსული სამხედრო თვითმფრინავი-მზვერავი Су-24MP.

Су-24MP-ები ერთადერთი ტიპის თვითმფრინავებია, რომლებსაც რუსი ფედერალები დღე-ღამისა და ნებისმიერი ამინდის შემთხვევაში იყენებენ ჩეჩნების პოზიციების აღმოსაჩენად და დასაზვერად. ეს მეორე დაკარგული მზვერავი თვითმფრინავია. პირველი Су-24MP მზვერავი ბომბდამშენი ჩეჩნებმა „სტრელით“ გასული წლის 4 ოქტომბერს ჩამოაგდეს გროზნოდან 20 კმ-ის დაშორებით.

ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე, ამ ორიოდე თვის წინ, აეროდრომის მომსახურე მძღოლი-ჯარისკაცი თავისი მანქანით შეეჯახა ერთ-ერთ Су-24-ს, რომელშიც რეზინის მილით საავიაციო ნავთი ისხმებოდა. ნავთი გადმოიღვარა, აალდა და ცეცხლმა სამი Су-24 ბომბდამშენი თვითმფრინავი გაანადგურა, რამაც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს არანაკლებ 50-60 მლნ დოლარის ზარალი მიაყენა. სხვათა შორის, ეს თვითმფრინავები ჩეჩნეთის დასაბომბად ემზადებოდნენ.

როგორც ჩანს, ბოლო სამ თვეში, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა არასაბრძოლო სიტუაციაში (თუ არ ჩავთვლით 7 მაისს საქართველო-ჩეჩნეთის საზღვართან ჩამოვარდნილ Су-24MP-ს, თუმცა დღემდე ბოლომდე დადგენილი არ არის თავად განიცადა ავარია რუსულმა მზვერავმა თუ მას ამაში ჩეჩნებიც „წაეხმარნენ“) დაკარგა არანაკლებ 7 საფრენი აპარატი, რომელთა საერთო ღირებულება 100 მლნ დოლარს აჭარბებს.

თუ ამას დავუმატებთ, წმინდა საბრძოლო დანაკარგებს, რომლებსაც რუსეთის ფედერალური ჯარები განუწყვეტლივ, ყოველდღიურად განიცდიან ჩეჩნეთის ომში, სავსებით მოსალოდნელია, რომ ცოტა ხანში რუსეთის სამხედრო ავიაცია სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ ახალი თვითმფრინავების შესყიდვა ხანდახან წლობით არ ხდება.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## რუსები საზღვარს აძლიერებენ

10 მაისს რუსეთის ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე დამატებით 300 მესაზღვრე გადმოისროლა.

შვეულმფრენებიდან გადმოსხმული მესაზღვრეები განთავსდნენ იმ გადმოსასვლელების ახლოს, რომლებიც საქართველოს ჩეჩნეთთან აკავშირებს. თოვლის დნობის პროცესის დაწყების შემდეგ ბევრი გადმოსასვლელი დღედღეზე გაიხსნება.



რუსმა მესაზღვრეებმა თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად დამატებით სამი ნაღმსატყორცნელი ბატარეაც განალაგეს, რაც მთებში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ იარაღს წარმოადგენს. გარდა ამისა, პარალელურად გრძელდება გადმოსასვლელი საცალფეხო ბილიკების დანაღმვა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით. მოსკოვს იმედი აქვს, რომ ეს ზომები საკმარისი იქნება საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ჩასაკეტად.

## აშშ-ის პრეზიდენტი GPS-ს „ათავისუფლებს“



რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა კლინტონმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სანავიგაციო კოსმოსური სისტემა GPS-ის მოხმარების უფლება მსოფლიოს ნებისმიერ მოქალაქეს ექნება. ამერიკულ ხელოვნურ თანამგზავრებზე განთავსებული გლობალური სისტემით „ნავსტარ“ დღემდე ისედაც ნებისმიერი მსურველი სარგებლობდა, მაგრამ მხოლოდ 100 მ-ის რადიუსის სიზუსტით. ამერიკელი სამხედროებისთვის კი ეს სიზუსტე სულ რაღაც 10 მ-ს შეადგენდა, რასაც პენტაგონი მშვენივრად იყენებდა „წერტილოვანი“ საჰაერო დარტყმების განსახორციელებლად (მათ შორის, იუგოსლავიაშიც).

დღეის შემდეგ, ნებისმიერს, რომელიც შეიძენს GPS-ის აპარატურას, შეეძლება განსაზღვროს თავისი ადგილმდებარეობა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ყოფნისას 10 მ-ის სიზუსტით.

დაახლოებით, ანალოგიური სანავიგაციო კოსმოსური სისტემა „გლონასს“-ი რუსებსაც აქვთ, მაგრამ „საიდუმლოების“ გამჟღავნების შიშით მოსკოვი არც თვითონ ხმარობდა და არც სხვას ახედებდა მასში. ამის გამო, დღეს ამერიკელები გლობალური სანავიგაციო კოსმოსური სისტემის მსოფლიოში სრული მონოპოლისტები ხდებიან, რაც მათ უზარმაზარ ფინანსურ მოგებას მოუტანს.

## ინდოეთს აზიის ცის გაკონტროლება სურს




ინდოეთის თავდაცვის მინისტრი მოსკოვთან აწარმოებს მოლაპარაკებას რამდენიმე რუსული А-50 თვითმფრინავის შესყიდვის შესახებ. რუსული А-50-ი ამერიკული E-3A „ავაქსის“ ანალოგია. ამ თვითმფრინავებზე განთავსებულ, თეფშის ფორმის მქონე რადიოლოკაციურ ანტენებს საჰაერო სივრცის გაკონტროლება 250-350 კმ-ის სიშორეზე შეუძლიათ (საბჭოთა პერიოდში და შეიძლება ახლაც, თურქეთის სამხედრო აეროდრომიდან ინჯილიკიდან აფრენილი NATO-ს „ავაქსები“ საქართველოს მთელ საჰაერო სივრცეს გამჭოლად აფიქსირებდნენ). ინდოეთს უკვე ჰყავს არენდით აღებული ორი რუსული А-50, თუმცა პაკისტანისა და, განსაკუთრებით, ჩინეთის ფაქტორის გავლენით, სურს მათი რაოდენობა საკუთარ შეიარაღებაში კიდევ გაზარდოს.

ისე საინტერესოა, რაღა დარჩებათ თავად რუსებს, რომლებსაც ისედაც არა უმეტეს 16 ცალი А-50-ისა ჰქონდათ შეიარაღებაში.

# „რჩევები დამწყები ბანდიტებისთვის...“

**ცნობილი კანონიერი ქურდების ავტობიოგრაფიული „ნაშრომები“ რუსეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. „კვირის პალიტრაში“ რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა სახელგანთქმული „გორბატის“ მოგონებები, ამჟამად კი შემოგთავაზებთ „შავ სამყაროში“ არანაკლებ ავტორიტეტული ადამიანის, ვლადისლავ კირპიჩოვის (იგივე „კირპიჩა“, იგივე „სლავა ბიძია“) მემუარებს. ეს წიგნი სულ ახლახან გამოსცეს მოსკოვში და იგი იმთავითვე არა მხოლოდ ბესტსელერად, არამედ ახალგაზრდა დამნაშავეთა სამაგიდო წიგნადაც იქცა — „სლავა ბიძია“, რომელიც ძველი თაობის ქურდების რიცხვს მიეკუთვნებოდა, დაწვრილებით აღწერს „პატიოსან ქურდთა“ ტრადიციებსა თუ თავგადასავლებს...**

დავიწყებ იმით, რომ საქვეყნოდ განთქმული ბანდიტი პავლენკო ჩემი ალალი ბიძა გახლდათ და ნათესავები სწორედ მას მამსგავსებდნენ, მაგრამ ბავშვობაში ნამდვილად არ მსურდა განგსტერი გამოვსულიყავი. ყველაზე მეტად მილიციელობაზე ვოცნებობდი... თუმცა ჯერ ბიძაზე მოგითხრობთ.

1942 წელს იგი ფრონტიდან გაიქცა და ჩამოაყალიბა ბანდა, რომელსაც სამხედრო რაზმად წარადგენდა. მართლაც, მათ წითელარმიელთა ფორმა ეცვათ, რუსული იარაღი ეჭირათ და საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. ამგვარად შენიღბულნი დაიარებოდნენ ევროპის ქალაქებში (მას შემდეგ, რაც იქ ნამდვილი ჯარი გაივლიდა) და ადგილობრივ მდიდრებს გვარიანად „ასუფთავებდნენ“. წარმოიდგინეთ, პოლკოვნიკის სამოსში გამოწყობილი პავლენკოს „სამხედრო შენაერთმა“ ბერლინამდე მიაღწია და სპეციალური ეშელონით იქიდან უზარმაზარი ქონება გამოზიდა! მხოლოდ დიდი სამამულო ომის შემდეგ შეძლო ბერიამ ბიძაჩემის ორგანიზაციის განადგურება.

... 9 წლის ლენინგრადელი ლაწირაკი პირველად დამიჭირეს და პურის ქურდობისთვის ორი წლით გორკის კოლონიაში გამომაწყვდიეს. იქიდან მალევე გავიქეცი, თითქმის ერთი წელი ჩემნაირებთან ერთად ვიწანწალე ვოლგაზე, მაგრამ კვლავ ქურდობის გამო დამაკავეს. ამჯერად უფრო სერიოზულად გამასამართლეს, 6 წელი მომისაჯეს და გამგზავნეს ბანაკში, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა პიონერულში. ისევ გავიქეცი, მაგრამ იმავე დღეს დამაბრუნეს უკან და კიდევ ორი წელი დამიმატეს.

— ნუთუ, ნამდვილად პავლენკოს დისშვილი ხარ? ის ჩემი ძმაკაცი იყო! — წამოიძახა უზარმაზარი ბანაკის ყველაზე პატივცემულმა კანონიერმა ქურდმა „უჩიტელმა“ და ყველა უცებ მიხვდა, რომ მშვიდობიანი მომავალი გარანტირებული მქონდა. თუ ეს ადამიანი შენზე შეფობას იღებდა, ე.ი. უბოდიშოდ კაციშვილი ვერ გაგცემდა ხმას. 17 წლისა უკვე მონათლული ქურდი ვიყავი — ბიძაჩემის მეგობარმა იზრუნა ჩემზე და ცხოვრებაში გზა გამიკაფა.

## „ათი მცნება“

ქურდის ტიტულის მოპოვება თითქმის 70-იანი წლების ბოლომდე შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანდიდატს მინიმუმ ერთი წელი მაინც ექნებოდა ციხეში გატარებული. სამწუხაროდ, შემდეგ ეს ტრადიცია დაირღვა და ამჟამად ინათლებიან ისეთებიც, ეკლიანი მავთული კინოშიც რომ არ უნახავთ. ტრანსფორმაცია განიცადა თავად ნათლობის რიტუალმაც.

უწინ ასე იყო: იკრიბებოდა ათი-თხუთმეტი ქურდი (მათ შორის აუცილებლად ისინიც, ვინც ახალ კანდიდატს წარადგენდა და მომავალში გარკვეულწილად პასუხსაც აგებდა მისი ქმედებების გამო) და განიხილავდა კანდიდატის ბიოგრაფიას, მის ხასიათს, თვისებებს, ნებისყოფას, ნიჭს.

სერგო აბულაძე 1974 წელს ციხეში მოკლეს. ადმინისტრაციამ მას ქურდებზე მეთვალყურეობა უბრძანა, სერგომაც, რა თქმა უნდა, მტკიცე უარი განაცხადა და ცემაში ამოხადეს სული. მთელი ციხე ავაჯანყეთ, მაგრამ დაღუპულს რაღას ვუშველიდით.

თუ დამსწრენი დარწმუნდებოდნენ, რომ ეს ადამიანი ღირსეულად გააგრძელებდა მათ ტრადიციებს, იწყებოდა ფიცის მიღების რიტუალი. ჩვენი ახალი ძმა დაახლოებით ასეთ ტექსტს წარმოთქვამდა: „პატიმრად ყოფნისას მტკიცედ გადავწყვიტე, დავდგომოდი ქურდობის გზას და თანასწორთა წინაშე ვფიცავ, რომ ვიქნები ღირსეული ქურდი, არასოდეს ვითანამშრომლებ ჩეკისტებთან“ და ა.შ. შემდეგ მას ყველა სათითაოდ ულოცავდა, ყველაფერი კი ზომიერი პურმარილით გვირგვინდებოდა.

დღეს ნათლობას ძალზე ხშირად მხოლოდ ერთი-ორი ქურდის თანდასწრებით ატარებენ და, როგორც წესი, არა ბანაკის ღარიბულ ატმოსფეროში, არამედ ფეშენებელურ რესტორანში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ კანონიერი ქურდის გვირგვინის მოპოვება, ფაქტობრივად, ყველას შეუძლია, ვინც კი ამისთვის გარკვეულ თანხას გაიმეტებს.

ქურდს ოდითგანვე ევალებოდა შეესრულებინა რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა:

— უპირველესი — ქურდობის, როგორც იდეის მედგრად დაცვა. ამ ძირითადი თეზისის დარღვევისთვის ქურდს ვერავინ გაამართლებდა, თუნდაც დამნაშავეს სიმთვრალეში ან მძიმე ავადმყოფობისას ჰქონოდა დაშვებული შეცდომა;

— არავითარი საზოგადოებრივი თუ ოჯახური ფუნქციები;

— არავითარი კონტაქტი სამართალდამცავ სისტემასთან. განსაკუთრებით იკრძალება სასამართლოში მოწმედ ან მოსარჩელედ გამოსვლა;

— სამართლიანობა საკუთარ კოლეგებთან მიმართებაში. დაუშვებელია ქურდის მიერ ქურდის შეურაცხყოფა, მით უმეტეს, სხვათა თანდასწრებით. იკრძალება კოლეგის გაქურდვაც;

— საპატიმრო ადგილებში სავალდებულოა წესრიგის დაცვა ქურდული კანონების მიხედვით. პირველი შესაძლებლობისთანავე აუცილებელია ციხიდან გაქცევა;

— ახალგაზრდათა შორის საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება, მათი მოზიდვა და დაინტერესება ქურდული სამყაროთი. ამის განხორციელება შეიძლება როგორც მათრახით, ასევე მოფერებითაც;

— იკრძალება პოლიტიკაში ჩარევა;

— სასურველია აზარტული თამაშების კარგი ცოდნა (ამით პატიმართა დამორჩილება უფრო იოლია), დამარცხების შემთხვევაში კი აუცილებელია წაგებული თანხის დროული გადახდა;

— ქურდთა საერთო სალაროს („კატიოლი“, „ობშჩიაკი“) მუდმივი შევსება;

— იკრძალება ფუფუნებაში ცხოვრება.

უდიდესი ყურადღება ენიჭებოდა ყოველგვარ სიმბოლიკას, განსაკუთრებით სვირინგებს. მონათლულ ქურდს უფლება აქვს დაიმშვენოს სხეული შესაბამისი ნახატით. ძირითადად ეს არის: რვაქიმიანი ვარსკვლავი, დანაგაყრილი გული და ჯვარში ჩახატული ტუზი (ნებისმიერი „მასტის“). თუ მსგავს სვირინგს ციხეში არაქურდს აღმოუჩენენ, ჩვენი კანონით, მას მკაცრი სასჯელი ელის. მონათლული ხშირად იკეთებს წარწერას: „Не забуду мать родную“, მაგრამ ეს არა მშობელი დედისადმი სიყვარულს, არამედ ქურდული ტრადიციებისადმი ერთგულებას ნიშნავს. ასევე მნიშვნელოვანია ბეჭედიც (ყველაზე ხშირად აქაც ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები ფიგურირებს), რომელსაც უწინ ჩვეულებრივი კალისგან (კალა შემდეგ ოქრომ შეცვალა) ვამზადებდით და მარჯვენა ხელის არათითზე ვატარებდით. და კიდევ ერთი: გარდაცვლილ ქურდს საფლავში დანას, არყით სავსე ბოთლს და კარტის დასტას აყოლებდნენ.

## დილემა

არის შემთხვევები, როცა ძნელი არჩევანის წინაშე დგახარ და შეცდომით წარმოთქმულმა სიტყვამ შესაძლოა დაგღუპოს კიდეც.

1980 წლის ზაფხულში, მოსკოვის (მაშინ იქ ვცხოვრობდი) ოლიმპიადის დაწყების წინ მოულოდნელად მესტუმრა МУР-ის ორი თანამშრომელი. ზონიდან ახალი გამოსული გახლდით და ვიფიქრე, ალბათ, ისევ მიჭერენ-მეთქი, თუმცა მათმა სამხრეებმა დამაეჭვა. უწინ ჩემს დასაკავებლად ყოველთვის უმცროსი ოფიცრები და რიგითები მოდიოდნენ, ესენი კი პოლკოვნიკები, ასე ვთქვათ, კაბინეტის ბიჭები იყვნენ. თავაზიანად მომიკითხეს და მერე მთხოვეს, საქალაქო კომიტეტში გამოგვყევიო. დარწმუნებული, რომ მაპატიმრებდნენ, პეტროვკა 38-ის ნაცვლად მართლაც მოსკოვის მერიაში მიმიყვანეს. ვეებერთელა კაბინეტში დედაქალაქის მესამე პირი მელოდა. მაშინვე საქმეზე გადავიდა — მოგეხსენებათ, მალე ჩვენს დედაქალაქში გრანდიოზული ღონისძიება, ოლიმპიადა იწყება, მთელი მსოფლიო აქ ჩამოვა და არ უნდა შევრცხვეთო. კი-მეთქი, დავეთანხმე. ჰოდა, თქვენც ასეთმა ავტორიტეტულმა ადამიანმაც, უნდა შეგვიწყოთ ხელიო. მივხვდი, რაც სურდა, მაგრამ მიამიტად ვკითხე, უფროსო, ეგ რანაირად-მეთქი. გაეცინა. მოეთათბირეთ თქვენს მეგობრებს, რომ მოსკოვში წესრიგი იყოსო.

მის წინადადებაზე ბევრი ვიფიქრე. ერთი მხრივ, ჩემი პროფესიის კაცისთვის, ხელისუფლებასთან მსგავსი კავშირები მიუღებელია. როგორც უკვე გითხარით, მიუღებელია ქვეყნის საქმეებში ჩარევაც, მაგრამ, მეორე მხრივ, სამშობლო სამშობლოა (და რაც უფრო შედიხარ ასაკში, მით უფრო გრძნობ ამას) და მის პრესტიჟს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. არ მსურდა, რომ უცხოელ სტუმრებს მოსკოვში პრობლემები შეჰქმნოდათ. მოკლედ, საგონებელში ჩავვარდი.

ორი დღის შემდეგ საჭირო ხალხს დავუკავშირდი და ქალაქგარეთ შეხვედრა ვთხოვე. თითქმის ოცი კაცი მოვიდა. ავუხსენი საქმის ვითარება და ჩემდა გასაოცრად, თითქმის ყველამ ერთხმად აღნიშნა, მართლაც კარგი იქნება, თუ საზღვარგარეთელ სპორტსმენებს ხელს არავინახლებსო. ერთმა, ჩვენს წრეებში მეტად გახმაურებული ამბავიც გაიხსენა — მოსკოვის მილიცია ამაოდ რომ ეძებდა ინგლისელი დიპლომატისთვის მოპარულ საბუთებს და შემდეგ ეს ქაღალდები კანონიერმა ქურდმა იპოვა და პატრონს დაუბრუნა.

საბოლოო სიტყვა მე მეკუთვნოდა და შეკრებილთ ვურჩიე, დროებით დაისვენეთ-მეთქი.

ოლიმპიადა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამის გამო მომავალში რამდენიმე კოლეგასთან უსიამოვნო საუბარი მელოდა, დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი. მე მილიციას არ მივეყიდე, უბრალოდ, უცხოელებს საშუალება არ მივეცი ჩემს საყვარელ ქალაქზე ცუდი რამ ეთქვათ.

„სლავა ბიძია“



## ორეული

კანონიერ ქურდს „როსტიკს“ გარეგნულად ძალიან ბევრი მამსგავსებდა. 1988 წელს ლენინგრადთან, მეგობრის აგარაკზე ყოფნისას, ვიღაც ტიპები მომადგნენ და სამოცი ათასი დოლარი მომართვეს, ეს თქვენი წილია ჩვენი ბიზნესიდანო. ხმა არ ამომიღია, მაგრამ რომ წავიდნენ, მეგობარს ვკითხე, რა ხალხია და რა საქმიანობას ეწევიან-მეთქი. მანქანის გამტაცებლები არიან, ქალაქ კოლპინოდანო. მერე, მე რა შუაში ვარ-მეთქი. მაგ დაჯგუფებას „როსტიკი“ კურირებს და მგონი, მას მიგამსგავსესო. დიდად არ გამკვირვებია, რადგან მსგავს სიტუაციებში მანამდეც აღმოვჩენილვარ, თანაც შედეგი ყოველთვის როდი იყო ასეთი მშვიდობიანი.

რამდენიმე წლით ადრე ყაზანში ვიღაც უცნობი ახალგაზრდა დამესხა თავს და დანით დამჭრა. თავდამსხმელი, ცხადია, იმავე დღეს დაისაჯა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ის ბიჭი „როსტიკზე“ ყოფილა განაწყენებული და ერთმანეთში ავერიეთ.

ამის შემდეგ ლენინგრადის მილიციამაც დამაკავა. შენ, „როსტიკმა“, მიხაილ ბოიარსკის ავტომანქანა მოჰპარეო. პასპორტი რომ ვუჩვენე, ვიღაცაში გეშლებით-მეთქი, ჯერ ბოდიში მომიხადეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მალევე გამოარკვიეს ჩემი პროფესია და მომახალეს, შენც არანაკლები ყოფილხარ და ამიტომაც გაპატიმრებთო.

მოკლედ, „როსტიკი“ (ის ჩემი საუკეთესო მეგობარია) სულ ბოდიშებს მიხდის ასეთი უხერხული სიტუაციების გამო, რაც შეეხება იმ 60 ათას დოლარს, ეს თანხა, რა თქმა უნდა, „როსტიკს“ ეკუთვნოდა და მას გადავეცი („არ მოპარო ქურდს“).

## სერგო

სერგო აბულაძე ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. კანონიერ ქურდად ყოფნა არასოდეს მოუნდომებია, თორემ ამ სფეროში ნამდვილად წარმატებებს მიაღწევდა. 70-იან წლებში ერთად გავქურდეთ ათობით ბინა და რომ არა საბედისწერო შემთხვევა, ყველაფერი შეგვრჩებოდა.

სერგოს არაჩვეულებრივი ინტუიცია ჰქონდა და საფრთხეს მუდამ გრძნობდა. მახსოვს, მორიგ ბინასთან მივედით და სპეციალური სალების საშუალებით კარის გაღებას შევუდექით. უცებ, აბულაძე შეჩერდა, მწევარი ძაღლივით ჰაერი დაყნოსა და მეუბნება, სლავა, ბინაში მგონი ვიღაც არის და აქედან წავიდეთო. არადა, „ნავოდჩიკის“ ინფორმაცია მქონდა, რომ სახლში ნამდვილად არავინ იყო. ვენდე მეგობრის ინტუიციას და გარეთ გამოვედით. ვდგავართ სანაპიროზე და თვალყურს ვადევნებთ გასაქურდ ბინას მესამე სართულზე. მალე ფანჯარაში მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. ყოჩაღ, სერგო! გადავრჩით.

1973 წელს, მორიგი სახლის „გასუფთავების“ შემდეგ, ნადავლი ერთ „ბარიგას“ გადავეცით, ის სულელი კი ადგა და ძვირფასი ქურთუკები საკომისიო მაღაზიაში ჩააბარა. ჩაავლეს და იმანაც მაშინვე გაგვყიდა.

სერგო აბულაძე 1974 წელს ციხეში მოკლეს. ადმინისტრაციამ მას ქურდებზე მეთვალყურეობა უბრძანა, სერგომაც, რა თქმა უნდა, მტკიცე უარი განაცხადა და ცემაში ამოხადეს სული. მთელი ციხე ავაჯანყეთ, მაგრამ დაღუპულს რაღას ვუშველიდით.

## გამოცდა

... აგერ, უკვე მეექვსე ღამეა, თვალი არ მომიხუჭავს. მუჭისხელა „კარცერში“ ვარ დაყუდებული და ბეტონის იატაკზე დაჯდომის საშუალებაც კი არ მაქვს. მედილეგეებმა სამი ვედრო ქლორიანი წყალი დამისხეს იატაკზე. დროდადრო გრძნობას ვკარგავ და ძირს ვეცემი, მაგრამ კვლავ ვდგები ფეხზე, სველ ტანსაცმელს მეათასედ ვწურავ და ბედს არ ვემორჩილები. როგორც იქნა, მიშვებენ, თუმცა პატიებისა და შეწყალების თხოვნებს ჩემგან მაინც ვერ ეღირსნენ.

საკანში „ქსივა“ მხვდება. ივანკოვი, „ასირიელთა სიძე“ მწერს: „გულთბილი სალამი ჩემს ძმას. დღედღეზე ახალი „მაწანწალა“ გესტუმრებათ. გაათბეთ და მოუარეთ, სანდოა. თვის ბოლოს ფულს გამოგიგზავნით, რომ მანდ არაფერი მოგაკლდეთ. შენიანებზე ნუ იდარდებ, ჩვენებისგან ყურადღება არ აკლიათ. ჰაერზე მომავალ შეხვედრამდე“.

ივანკოვის პროტეჟე მშვენივრად მივიღე და ჩემთან ახლოს მივუჩინე ადგილი. ამის გამო ისევ „კარცერში“ მომათავსეს.

## ქალი

ქურდი არასოდეს არ უნდა მოიხიბლოს თავისი კოლეგის ქალით! არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს და, ნათესავი, თუ უბრალოდ, მეგობარი. როდესაც პატიმარი ქურდისთვის მატერიალური დახმარების გაწევა მსურდა და ამ მიზნით მის ოჯახში მივდიოდი, არასოდეს ვუყურებდი კოლეგის დას. თვალს ვარიდებდი, სწრაფად გადავცემდი ხოლმე კონვერტს და უკან ვბრუნდებოდი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასეთ შემთხვევაში ქალს არშიყი დაუწყო. მსგავსი საქციელი ხშირად ტრაგიკულად მთავრდება და ამის ბევრი მაგალითიც ვიცი: სახალინელ „გიურზას“ ხელი მოჰკვეთეს, არამ ბარხუდარიანი ციხეში დაახრჩეს, „კასოი“ გრუზდევი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და ა.შ.

საერთოდ, ჩვენს სამყაროში ქალი მეორე, შესაძლოა, მესამეხარისხოვან ადამიანად ითვლება, მაგრამ მათ გამო ბევრი ცნობილი ქურდი გაუფუჭებიათ.

## ეროვნება

კანონიერ ქურდს ეროვნება არ გააჩნია. ის მხოლოდ და მხოლოდ ქურდია. მორჩა და გათავდა. მიკვირს, რომ გორბაჩოვის ე.წ. გარდაქმნის დროიდან ჩვენს სამყაროშიც მოხდა გარდაქმნა. დღეს სლავი ქართველსა და სომეხს ებრძვის, უზბეკი — ბალტიისპირელს და ა.შ. უნდა შევიგნოთ, რომ მსგავსი ომები თავად ჩვენ გვაუძლურებს, საფუძველს გვაცლის. სწორედ ამის გამოა, რომ კანონიერ ქურდს ბევრი უკვე აბუჩად იგდებს. იკარგება ათწლეულების მანძილზე დაგროვილი კოლოსალური ავტორიტეტი.

## არჩევანი

ბევრი მეკითხება, რაში გჭირდება მემუარებს რომ წერ, შენისთანა კაცისთვის ასეთი რამ მიუღებელიაო. მედალს ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ — მართლაც მიუღებელია, მაგრამ ბოლო ორი წლის მანძილზე სანქტ-პეტერბურგში ოთხჯერ დამესხნენ თავს. სასწაულებრივად გადავრჩი. დარწმუნებული ვარ, რომ კვლავაც მზვერავენ და ისევ შეეცდებიან ჩემს მოკვლას, მე კი მსურს, ახალგაზრდებს გამოცდილება გავუზიარო, ბევრი რამ ვასწავლო და ამ მიზნის მისაღწევად, ვფიქრობ, კალამიღა დამრჩა.

**1996 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 17 საათზე, „სლავა ბიძია“ ტრადიციისამებრ სანქტ-პეტერბურგის ცნობილ კაფეს „ჯოის“ ეწვია. მას მხოლოდ ერთი პირადი მცველი ახლდა. დასხდნენ, შეუკვეთეს სადილი, სიგარეტი გააბოლეს. მოულოდნელად მათ მაგიდას ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა, უბიდან პისტოლეტი ამოიღო და ოთხჯერ გაისროლა. ერთი ტყვია მცველს მოხვდა თავში, დანარჩენი — კირპიჩოვს. ორივე იქვე გარდაიცვალა. ქილერი გაუჩინარდა.**

**ასე გაისტუმრეს საიქიოში ცნობილი კანონიერი ქურდი, რომელმაც თავის მემკვიდრეებს 282-გვერდიანი რჩევა-დარიგება დაუტოვა.**

*გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „პოლიტიკურ-სპორტული“ ღალატი



2 მაისს თასის ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. დაძაბული მატჩი „საძმო“ ანგარიშით 1:1 დამთავრდა. ნახევრად უკმაყოფილო მაყურებელი ერთად ვტოვებდით სტადიონს. მოულოდნელად ორი ქუთაისელის საუბარს მოვკარი ყური:

— რაია ახლა ბუჯო ეგი, ნიჩეიზა ჩამევედით ამდენი ხალხი ამ სიცხეში ქუთეისიდან?

— ყველა არ გვათამაშენ და თერთმეტმა კაცმა მეტი ვერ მოახერხა — თავის გუნდს ნამუსს უწმენდდა მეორე.

— კაი, თუ ძმა ხარ. თბილისელებშიც თერთმეტი კაცით არ თამაშობდენ?

— კიე, მართალია, მარა არც შინაური გვზოგავს და არც გარეული.

— მაგი რაფრა გევიგო?

— რაღა რაფრა, მსაჯი იმგენის იყო, მაყურებელი იმგენის მხარეზე უფრო ყვიროდა და მეტი რა გინდა? შაშიაშვილიც (თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელია) იმგენთან თამაშობდა... არაა „პოლიტიკურ-სპორტული“ ღალატი მაგი? ოხ შაშო, შაშო!!!

***მურმან მერკვილიშვილი***

## — სვანი ვარ და მწყინსო...



სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობთ... თბილისიდან ბათუმში მივდივართ. წინ ქალი ზის ათი-თერთმეტი წლის ვაჟით. უკან ერთმა მეორე მგზავრს ანეკდოტი უთხრა სვანებზე... მეტიც არ უნდოდათ და ახლა სხვამ თქვა, ისევ სვანზე...

ერთი სიტყვით, ყველა, მთელი „მარშრუტკა“ ანეკდოტებს ყვებოდა სვანებზე. ამ დროს მობრუნდა ქალი და საყვედურით უთხრა დანარჩენებს, — ძალიან გთხოვთ, ნუ ყვებით, მე სვანი ვარ და მწყინსო...

შევიკავეთ ყველამ თავი... შუა გზაში გავჩერდით სადილისთვის...

სვანმა დედამ შვილს ბანანები უყიდა. ნასადილევები ამოვბრუნდით... ბიჭი ჭამს ჩქარ-ჩქარა ბანანს, ერთი მეორეზე. ცოტა ხნის შემდეგ ისმის მიჩუმებულ „მარშრუტკაში“ — დედი, ამ ბანანებს ვინ ღუნავს?

სიცილით ჩვენ კი არა, კინაღამ „მარშრუტკა“ გადაბრუნდა. მძღოლი დაბლა ჩავიდა და იქ ხარხარებდა ფეხების ბაკუნით.

***ზვიად ჟორჟოლიანი, თბილისი***

## სიმინდის მაგივრად კაკალი?

დილით ადრე დაწესებულებაში მისული თანამშრომლები საუბრობდნენ თავის ოჯახურ საქმეებზე. ერთი იმერელი გულდაწყვეტილი ლაპარაკობს: სოფელში გექტარი მიწა მოვხანი, დავფარცხე, გადარჩეული უმაღლესი ხარისხის სიმინდი დავთესე, ამდენი შრომა და ფული წავიდა და გულზე ვარ გამსკდარი. გაგიგონია კაცო ერთი კაკალი არ ამოვიდა. იქვე მდგომმა კახელმა, რომელმაც ბოლომდე მოისმინა დიალოგი გაბრაზებულმა წამოიძახა — ვააა, ეს ვინ არის კაცო, ნამდვილად გიჟია ეს ვერანა, თორემ როდის იყო სიმინდი დათესო და კაკალი ამოვიდეს ჰაა.



***ელიზბარ მათითაშვილი***

## „მალადოი“

ქარხნის ტერიტორიაზე მუშას, მეტსახელად „მალადოის“, შეხვდა ძმაკაცი და ეუბნება:

— გაიგე, კაცო, ინდირა განდი მოუკლავთ!

— სად, რომელ საამქროში მუშაობდა?

— რა საამქრო, რის საამქრო, ინდოეთის პრეზიდენტი იყო!

— ერთი იმის ცოლ-შვილიც...

***თამაზ ბარისაშვილი, თბილისი***



## აკვანი ტვინს ალაყებს



ალათი ბიცოლა ახლო ნათესავს ესტუმრა ახალშობილი ბავშვის სანახავად.

— ნენა! აი ბაღანა აკვანში რეიზა არ გიწევლარიენ? — იკითხა მოხუცმა, როცა გაიხედ-გამოიხედა და აკვანი ვერსად დაინახა.

— ჩემი ქმარი არ მანებებს, — უპასუხა ოჯახის რძალმა, — ვილაცას უთქვამს, აკვნის წარწებ-წამორწევაში ბავშვს ტვინი გაულაყდებაო.

— კი, სწორედ კი! მაგი კი უნდა იყოს მართალი, — თქვა ღიმილმორეულმა ალათი ბიცოლამ, — თვითონ აკვანშია გაზრდილი.

***ანა მზემთვარიშვილი***

## როგორ დაკარგა ოთარმა სახლი

მთელი თვე ვეხვეწე ჩემ ძმას — სახლში შესასვლელი კარები მოეხატა. დამპირდა, შაბათს მოვხატავო. შაბათს მთელი ოჯახით წავედით სოფელში. სახლის გასაღები ძმას დავუტოვე. ამის შესახებ ჩემმა მეუღლემ არაფერი იცოდა.

კვირა საღამოს დამხვდა ლამაზად მოგვირისტებული კარები. მე და ბავშვებმა მანქანიდან გადავზიდეთ რაც გამოგვატანეს სოფლიდან და შევედით შინ. გავიგონე გარაჟის კარების ჭრიალიც მაგრამ გადის დრო და ჩემი ქმარი არა ჩანს. გავიხედე ეზოში. დარბის კაცი, ხან შემოვა სადარბაზოში, ხან გავა ეზოში და ითვლის სადარბაზოებს. დგას საცოდავად ეზოში. გამოვაღე ფანჯარა და დავუძახე, — რატომ არ შემოდიხარ-მეთქი. რომ დამინახა, გაგიჟდა სიხარულით. თურმე ნუ იტყვი, სადარბაზოში შემოსულს თეთრი კარების მაგიერ მოხატული რომ დახვედრია, უფიქრია, სხვა სადარბაზოში შევედიო და ასე დარბოდა კარდაკარ.



***ნ. თვაური***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

გურიაში „უცნობის“ კონცერტია. გამოაკრეს აფიშა — მღერის „ვინცხა“

***გურული***

სვანი იჭედებს თავში ლურსმანს, იმერელი კი უყურებს და გაკვირვებული ეკითხება:

— რას შვრები კაცო?

— პარიკმახერს მანქანა უნდა გავუფუჭო.

***ირაკლი ადეიშვილი, ქუთაისი***



— დედათქვენის მამა რა ეროვნებისაა? — ებრაელი.

— დედის დედა? — სომეხი.

— მამის მამა? — ესტონელი.

— მამის დედა? — ჩეჩენი.

— რა გვარი ხარ? — ჯავახიშვილი.

— ?!

***გეგა გვიმრაძე***





მიხოს მეზობელი ხიდან ჩამოვარდა. გამოიძახეს ექიმი.

— ძირს რომ დაეცი, აზრი შეგრჩა თუ დაკარგე? — შეეკითხა ექიმი.

— აზრი მაგას თავიდანვე ჰქონდა დაკარგული, თორემ რა უნდოდა ამ სიმაღლე ხეზე, ესხა რამე თუ? — უპასუხა იქვე მდგომმა მიხომ.

***ლაშა, ზესტაფონი***



ობეხეს უფროსმა სამი ებრაელი გამოიჭირა მსხვილ ბნელ საქმეში. აქტი შეუდგინა და უთხრა, ოცდაათ წელს სამთავე გაიყოფთო. ებრაელებმა მარტო გამოიჭირეს უფროსი და დაუწყეს ვაჭრობა საქმის მოსპობას რამდენი დასჭირდებოდა. შეთანხმდნენ, რომ მის კარებთან ახალთახალი ტაოტიანი შავი ვოლგა უნდა დაეყენებინათ. ხანმოკლე დროში მართლაც იშოვეს ახალთახალი ვოლგა, მაგრამ თეთრი. — მოახსენეს უფროსს — შენს გარაჟში ახალთახალი ვოლგა დგას, თეთრია, მაგრამ შავად მოგახმაროს ღმერთმა, შავადო.

***ზაზა ხუნწარია***

სვანმა იყიდა მანქანა. ურეკავს ძმაკაცს მობილურით:

— მე უკვე ტრასაზე ვუბერავ!

— ვიცი, რადიოთი გადმოსცეს ერთი ვიღაც გიჟი „პროტივზე“ მიდის 120-ითო.

— რა ერთი?! აქ ბევრნი არიან, ძლივს ვახერხებ რომ არ დამეჯახონ.

***უავტორო***



კაცი ცოლს გაებუტა, ხმას არ სცემს. მეორე დილას მეგობრებთან ერთად სანადიროდ უნდა წასულიყო. ცოლს წერილი დაუწერა:

— დედაკაცო, დილაზე გამაღვიძე, 6 საათზე სანადიროდ მივდივარ!

გათენდა დილა. მეგობრები მიადგნენ მანქანით. ბრაზობს, რატომ არ გამაღვიძაო. დახედა წერილს და წაიკითხა ცოლის მინაწერი:

— გაიღვიძე, 6 საათია.

***რეზო გაჩეჩილაძე***



**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# „ინგილო" ახალგამაჰმადიანებულს ნიშნავს...

## (გიორგობაზე მოლამაც შემოყო თავი ტაძარში...)

გიორგობაზე საინგილოში ჩასულ ოცკაციან ქართულ დელეგაციას ყოველთა ქართველთა კონგრესის თავმჯდომარე, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე მეთაურობდა. დელეგაციაში შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად ოთხი ჟურნალისტიც ვიყავით, ჩვენი ობიექტური თვალით რომ დაგვენახა აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული, ოდესღაც ჩვენი პატარა სამშობლოს ერთი ულამაზესი კუთხის ცხოვრება.

### ქვეყანა ესე არს

„ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა... ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი და მზგავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით... მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებით ქართლისათა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი", — მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება".

საინგილო ოდითგანვე იყო კახეთის სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი. XV-XV სს-ში პოლიტიკურმა ცვლილებებმა კახეთის სამეფოში, ოსმალებისა და სპარსელების გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მის ადგილზე სახლდებოდნენ წახურელი და ავარიელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართული მოსახლეობის დაყმევებისა და გამაჰმადიანების პროცესი. ნაწილმა ქართველობამ ეროვნება შეიცვალა, გალეკდა.

თავად ტერმინი საინგილო მე-19 საუკუნეში დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. „ინგილო" ახალგამაჰმადიანებულს ნიშნავს. ეს სახელი კახელებს ლეკებმა და აზერბაიჯანელებმა შეარქვეს, რათა განესხვავებინათ ისინი XV საუკუნეში ამ ტერიტორიაზე ჩამოსახლებული მუსულმანი ტომის — მუღალებისაგან.

დროთა განმავლობაში საინგილო საერთოდ მოსწყდა კახეთის სამეფოს. 1921 წლიდან კი იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებშია. დღეისათვის საინგილოს შემადგენლობაში 3 რაიონი შედის: კახის, სადაც ცხოვრობენ ქრისტიანი ქართველები (6%), ლეკები და აზერბაიჯანელები, ხოლო ზაქათალისა და ბელაქნის რაიონში ცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველები, რომელთა რიცხვიც ქრისტიან ქართველთა რიცხვს აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველმა განათლებულმა აზერბაიჯანელმა კარგად იცის, საინგილო აზერბაიჯანული მიწა-წყალი არ არის, დიდი მონდომებით ავრცელებენ ჰიპოთეზას, რომ აზერბაიჯანელები ქრისტიანი ალბანელების შთამომავლები არიან და, ამდენად, ამ მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილი ეკლესია-მონასტრები მათი კუთვნილებაა, ინგილო ქართველები კი საქართველოდან შემოსული უცხო ტომებია. უსუსური ლოგიკაა, მაგრამ რას იზამ! რიგით აზერბაიჯანელს უნდა, რომ ასე სჯეროდეს.

### ქურმუხის ტაძარში მოლა სანთელს ანთებს

კახის ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია უწინ საკათედრო ტაძარი ყოფილა. აქ წელიწადში ორჯერ, გიორგობა დღეს, მთელი კახის რაიონის ქართველობა იკრიბება. მღვდელი ატარებს წირვა-ლოცვას.

ქართველ მორწმუნეებთან ერთად კი დილიდანვე აზერბაიჯანელი მოსახლეობაც მოდის და მოლაც შემოყოფს თავს სანთლის დასანთებად. აღსანიშნავია, რომ მოლას ხშირად უშიშროების წარმომადგენლები უმშვენებენ მხარს (აზერბაიჯანული უშიშროება, ამასთანავე, თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს საქართველოდან ჩასულ ქართულ



ივან-ბაბას საფლავი

დელეგაციას. სხვათა შორის, უშიშროება მის კონტროლს „მეტი უსაფრთხოებისათვის" უკვე საბაჟოდან იწყებს).

სად მოლა და სად ეკლესიაო? — იკითხავთ. როგორც გავერკვიე, ქრისტიანულ ტაძარში სიარულის სურვილი არც მას აქვს, მაგრამ მერე რა, რომ მოლაა? აბა, კაი დედ-მამის შვილია და ნუ მივა!.. მოლას ყურებას მართლმადიდებლურ ეკლესიაში უნდა შეაჩვიოს თვალი აქაურმა ქრისტიანმა...

უწინ ქურმუხის ტაძარში ძირითადად ქართველი მოსახლეობა დადიოდა. ამჯერად კი, დემოგრაფიული ვითარების ჩვენთვის სავალალო ცვლილების შესაბამისად, ქურმუხის ეკლესიაში მოსიარულე აზერბაიჯანელი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა იმატა. აქაური ხელმძღვანელობა ხშირად ხელს უწყობს, რათა აზერბაიჯანელები დილიდანვე მივიდნენ ტაძარში, მაშინ, როცა ამ დღეს ქართველ ბავშვებს სკოლებში აკავებენ.

თუმცა, აზერბაიჯანელებს რას ვერჩით, როდესაც საქართველოს ზოგი მაღალჩინოსანი ამ ფაქტს მხოლოდ დადებითად აღიქვამს და კითხულობს, — რითია ცუდი, თუ აზერბაიჯანელი მაჰმადიანი ქრისტიანად მოექცევა და ქრისტიანულ სალოცავში ივლისო. იგივე აზერბაიჯანელი პარალელურად მეჩეთშიც რომ დადის, ეს ჩინოვნიკებისთვის უმნიშვნელო დეტალია. ქურმუხის ეკლესიას ჭერი, სადაცაა, ჩამოექცევა. ადგილობრივი ხელისუფლება კი ქართველ მორწმუნეებს მისი შეკეთების უფლებას არ აძლევს. განა უსაფუძვლოა ქართველთა ეჭვი, რომ შესაძლებელია, აზერბაიჯანელები მის მეჩეთად გადაკეთებას ლამობდნენ? აღსანიშნავია, რომ 1997 წ. გიორგობის დღესასწაულზე ქურმუხის ეკლესიის ნახვა კახის რაიონში სტუმრობისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია -საც მოუსურვებია. თუმცა ადგილობრივი მმართველობა ყოველნაირად შეეცადა, რომ ქართველთა მწყემსმთავარი ქურმუხის ტაძარში არ ასულიყო.

### ქართველობა საეჭვოც და ხელისშემშლელიც?!

ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის დიდი მეგობრობა კარგადაა ცნობილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აზერბაიჯანშიც. კახის ერთ-ერთ ქართულ სკოლაშიც გვერდიგვერდ ჰკიდია მათი სურათები. თუმცა აზერბაიჯანში სტუმრობისას დარწმუნდებით, რომ შევარდნაძე უფრო დიდი დემოკრატია. ერთი მაგალითი: ბენზინგასამართი სადგურები აქ უფრო შორი-შორს არის განლაგებული და ყველა მათგანი, ალიევის ვაჟის ხელშია. ამბობენ, უახლოეს მომავალში ალიევი მას პარლამენტის თავმჯდომარედ დასვამს, შემდგომ კი პრეზიდენტად. და ეს სრულიად უმტკივნეულოდ მოხდებაო, თუმცა დემოკრატობა თავისთვის იყოს და, როდესაც საპატიო სტუმარი კახის რაიონის გამგეობაში ე.წ. „ალიევის ოთახს" დაათვალიერებს, უნდა თუ არ უნდა, კომუნისტების დროინდელი „ლენინის ოთახი" გაახსენდება. ალიევის ოთახში ალიევის ბიუსტი დგას ისევე, როგორც ლენინის ოთახში — ლენინის ბიუსტი იდგა.

რაც შეეხება აზერბაიჯანის ხელისუფლების დამოკიდებულებას საინგილოს მიმართ, სახელმწიფო კანცელარიაში ეროვნებათა შორის ურთიერთობის განყოფილების უფროსის თეიმურაზ ჭანტურიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციით: „ამას წინათ გამოსულ წიგნში „აზერბაიჯანცი", ინგილოებზე წერია, რომ ეს არის აზერბაიჯანულის მონათესავე ალბანური წარმოშობის მოსახლეობა(?! — ნ.ტ.)" და არავითარი ქართველი.

ბატონ თეიმურაზის ინფორმაციითვე, უწინ გამოცემულ საკმაოდ აკადემიურ აზერბაიჯანულ სახელმძღვანელოებში დაფიქსირებული იყო, რომ აზერბაიჯანში ქართველები ცხოვრობენ მხოლოდ ბაქოში. ქართველობა წინსვლისათვის ხელისშემშლელი პირობაა. მათ რიგიან თანამდებობაზე არავინ ნიშნავს. იმ სოფლების საკრებულოებშიც კი, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართველია, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე და წევრების 80%-ზე მეტი აზერბაიჯანელები არიან. კახის რაიონში კვლავაც განაგრძობს მუშაობას თხილის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა, ბენზინგასამართი, რაიონული მომარაგების ცენტრი, ბაზრობა, სამკერვალო ფაბრიკა, საავადმყოფო. ქართველები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც აქ ესაჭიროებათ. ორიოდე წლის წინ, ინგილოებს ხორბლის მოყვანა დაუპირებიათ, მაგრამ აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, ისეთი დიდი გადასახადი დაუწესებიათ მათთვის, ჩანასახშივე ჩამკვდარა ეს იდეა.

ეროვნული ნიშნით შეზღუდულობამ, მომავლის უპერსპექტივობამ და ეკონომიკურმა გაჭირვებამ ბევრი ინგილო აიძულა, გაეყიდა საკუთარი მიწა-წყალი, გადმოელახა აზერბაიჯანის საზღვარი და სხვაგან დასახლებულიყო. გაყიდული მიწების მეტ წილს, ბუნებრივია, აზერბაიჯანელი მოსახლეობა იძენს. 5-6 წელიწადში კახის რაიონში 1.000 ქართველი აღარ დარჩებაო, — ამბობენ იქაურები. აღსანიშნავია, რომ მიგრაციის პროცესს თითქოს ადგილობრივი ხელისუფლება ეწინააღმდეგება. ურჩევენ — არ წახვიდეთო. არ ხდება ამოწერა საცხოვრებელი ადგილიდან. თუმცა, როგორც გამარკვიეს, ეს თავისებური ხრიკი ყოფილა. რადგან ქართველმა თუ წასვლა გადაწყვიტა, ის ქრთამად მისაცემი 400 დოლარის გულისთვის უკან არ დაიხევს.

### იმედი

კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის მიერ მოწოდებული ცნობით, 2-3 თვეში საინგილოში დაიდგმება ტელეგადაცემების მაღალი კოშკურა და მოსახლეობას საშუალება ექნება, უყუროს საქართველოს არხის გადაცემებს. ბატონ თეიმურაზ ჭანტურიშვილის თქმით, უახლოეს ხანში კახში კულტურის ცენტრიც გაიხსნება.

ალბათ, თქვენ ხართ ნატრული ამ ქვეყნისა, ნათესავებისა და განსაკუთრებით შვილებისა, რადგან ქალისათვის ხომ უპირველესი ხატი შვილია მისი. ჩვენ კი ერთი გამოსავალი დაგვრჩენია—სიზმრად ნახვა თქვენი, რადგან სიზმარში მოვლენილი დედა, ბებია, ბიცოლა თუ დეიდა თქვენი სახით ყველას გვარიგებს, გვაფრთხილებს და გვმოძღვრავს. ესაა ერთადერთი ძაფი თქვენთან დაკავშირებისა, რომელიც ძალიან ძვირფასია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ამბობენ, გარდაცვლილი ადამიანი იმდენხანს ცოცხლობს, რამდენსაც მისი სულის შესანდობარს იტყვიან და ამქვეყნად არ დაივიწყებენო. თქვენი ხატება კი კიდევ მრავალ წელიწადს გვექნება თვალწინ ყველას.

თქვენ ჩენთვის სიკეთის განსახიერება იყავით, უფრო ახლობელი სხვებთან შედარებით. გემშვიდობებით ამ ბარათის საშუალებით და უფალს ვთხოვ თქვენნაირი სათნო და კეთილი ადამიანები მოუმრავლოს საქართველოს, გადმოვიდეს თქვენი მადლი თქვენს შვილიშვილებსა და ბადიშებზე და აღიზარდონ ისინი ღირსეული მამულიშვილნი.

***შენი ქეთინო***

## „ურჩევნიათ ინვესტიციები ჯიბეში ჩაიდონ“

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის ეკონომიკა, უმთავრესად, საკუთარი რესურსების ეფექტურად გამოყენებას უნდა ეყრდნობოდეს. საქართველოს ნამდვილად გააჩნია ასეთი რესურსები, აი მათ ეფექტურ გამოყენებაზე კი, უკაცრავად...

ერთ-ერთ ასეთ რესურსს წარმოადგენს ხე-ტყე, რომლის მარაგის 0,1% საქართველოს გააქვს ექსპორტის სახით (ოფიციალური მონაცემებით, რა თქმა უნდა). თავის დროზე, როდესაც ხე-ტყის კანონი გადიოდა პარლამენტში, დეპუტატთა ერთი ჯგუფი იბრძოდა, რომ აკრძალულიყო საქართველოდან ხე-ტყის გატანა მორის სახით. წინადადების ავტორები იმ მოსაზრებას ეყრდნობოდნენ, რომ თუ მორი გადამუშავდებოდა და პროდუქციის სახით გავიდოდა, დასაქმდებოდა უამრავი ადამიანი. ამ წინადადების ავტორები იყვნენ ბატონები ბესო ჯუღელი (ამჟამად ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის ლიდერი) და გია გაჩეჩილაძე (მწვანეთა პარტიის ლიდერი). როგორც ცნობილია, ამგვარი ფორმულირება კანონში არ მომხდარა.



# კომენტარი ორ თემაზე

თუმცა მთავარი მხოლოდ ეს არ არის. საინტერესო მონაცემებს გვაცნობს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბატონი **ბესო ჯუღელი:**

— თუ ავიღებთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ტერიტორიითა და მოსახლეობის რაოდენობით დაახლოებით უთანასწორდებიან საქართველოს, ხე-ტყის ექსპორტის მოცულობის შედარებისას ერთობ მოულოდნელ სურათს მივიღებთ; მაგალითად, შვეიცარიას, რომლის ტყის მასივიც 470.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს (საქართველოში ტყის მასივი 464.000 კვადრატული მეტრია, მონაცემები — თითქმის თანაბარი), თავისი მარაგის 1,1% გააქვს, ანუ საქართველოზე 11-ჯერ მეტი, პორტუგალიას — 43-ჯერ მეტი. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი გაცილებით მეტი გაიტანოს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ჩვენი კორუმპირებული ქვეყნიდან, ალბათ, ოფიციალურ მონაცემზე ბევრად მეტი არაოფიციალურად გადის, მაგრამ აქ საკითხი სხვა კუთხით დგას; როგორ გგონიათ, ისინი არ უფრთხილდებიან ტყეებს? როგორ არ უფრთხილდებიან, მაგრამ ასეთი რაოდენობის ექსპორტის საშუალებას მათ სპეციალური ტექნოლოგია აძლევთ. ფინური ტექნოლოგია 80.000 დოლარი ღირს, თავის ბულდოზერით, საბაგირო გზებით... ისე გამოაქვთ ტყის მასივებიდან ხე, რომ ერთი არ ფუჭდება. გარდა ამისა, ჩვენთან ერთ ხეს რომ მოჭრიან, 5-6 ხეს აფუჭებენ. არა გვაქვს მოჭრის და სიღრმიდან გამოტანის კულტურა, არ ხდება გამოხშირვა. თუ კულტურულ-ტექნოლოგიურად მივუდგებით ტყის მასივის დამუშავებას, უზარმაზარი რეზერვია ამ მხრივ საქართველოში, რასაც სწორად გამოყენება სჭირდება.

მთელი მსოფლიოს სამასხარაო რომ გავხდით ინვესტიციების ჯიბეში ჩადებით, არ სჯობდა 10 ფინური ტექნოლოგია ეყიდა სახელმწიფოს? რა არის 800.000 დოლარი, როცა ათეულ მილიონობით ინვესტიციას იღებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონი შევარდნაძე საქმის კურსში იყო. შევიდა მასთან ამ შინაარსის წერილი, ბრწყინვალე რეზოლუცია დაადო — საინტერესო საკითხია, ყურადღება მიაქციეთ, მოიძიეთო, მოკლედ მწვანე გზა მისცა, მაგრამ მერე დაიკარგა, იქიდან გამოსული. დაიკარგა იმიტომ, რომ ბევრს ხელს არ აძლევს ეს. ხელს აძლევს ინვესტიციის ჯიბეში და არა საქმეში ჩადება. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი მომენტია კიდევ გასათვალისწინებელი; ზუსტ მონაცემებს ვერ გეტყვით, მაგრამ ქართული ხის ნაკეთობას, დაახლოებით 100-ჯერ მეტი ბაზარი აქვს, ვიდრე იგივე ჩვენს ცნობილ მინერალურ წყალს. და რატომ? რახან შვეიცარიის მაგალითი მოვიტანეთ წეღან, ერთი საინტერესო დეტალი უნდა ვთქვა, — შვეიცარიის ტყის მასივებში დაახლოებით 90% წიწვოვანი ხეა, მხოლოდ 10%-ია ფოთლოვანი ჯიშები. საქართველოში კი 60% ფოთლოვანი ჯიშებია, რომლებიც მაღალი ხარისხის მასალად ითვლება. თუ გადავავლებთ თვალს ლონდონის ბირჟის მონაცემებს, ფოთლოვან ჯიშებზე მოთხოვნილება ძალიან დიდია. რაც შეეხება მინერალურ წყლებს, რომლითაც ძალიან მდიდარია საქართველო, აქ ბაზარი გაჯერებულია. თან შეღწევა ძალიან ძნელია, რადგან ცნობილი ფრანგული ფირმა „ვიში“, ასე ადვილად არ შეგიშვებს თავის ბაზარზე. ხოლო ხე-ტყის ბაზარი გაცილებით თავისუფალია.

## საქართველოს გაბანკროტება ელოდება?

ეს გახლავთ კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, რომელიც საქართველოს საგარეო ვალებს ეხება. რამდენად შესაძლებელია, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველომ ამ ვალების მომსახურება შეძლოს? ამ კითხვაზე რესპოდენტმა გვიპასუხა:

— წინათ ცუდი ამბის მომტანს თავს კვეთდნენ. ახლა თავს ნამდვილად არავინ მომჭრის... თუმცა არ მსიამოვნებს საქართველოს ეკონომიკური მომავლის მუქი ფერებით დახატვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხედავ, რომ საქართველო ბანკროტად გამოცხადდება („კვირის პალიტრის“ მკითხველს ჩვენ ადრე შევთავაზეთ ბატონ რომან გოცირიძის ანალიზი, თუ რა შედეგს გამოიღებს საქართველოს ბანკროტად გამოცხადება, სადაც განხილული იყო შემდგომი მდგომარეობის უარყოფითი და დადებითი მომენტები, — მ.გ.). იმის გათვალისწინებით, რაც საქართველოს დღეს აქვს, შეუძლებელია, რომ ჩვენ ამ ვალების გადახდა ოდესმე შევძლოთ.

გარკვეულ ეტაპზე ერთადერთი გამოსავალი ჩანდა, — საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი) ჩამოეწერათ განვითარებადი ქვეყნებისათვის თავისი ვალები. ჩვენც ამ კატეგორიაში გავდივართ. ეს ბატონმა შევარდნაძემაც განაცხადა ორჯერ, ამ ინიციატივით თავის დროზე კლინტონიც გამოვიდა, რომის პაპიც მიესალმა 2000 წელს ამ ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერას. თითქმის ყველას ჰქონდა იმედი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუმცა მგონია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მაინც გადადგამენ ამ ნაბიჯს. ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოებრივ ვალებს, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ვალების თითქმის ნახევარია, ამას არავინ ჩამოგვაწერს. მაგალითად, თურქმენეთი თავის 400 მლნ დოლარის ვალს არ გვაჩუქებს.

თუ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ვალები მაინც არ ჩამოგვაწერეს, რა მოჰყვება ამას, კომენტირებისაც კი მეშინია.

***მამუკა გიორგაძე***

# „ეტყობა, აღარ მესმის ბაზრის მუსიკა“ — ჯორჯ სოროსი

ამ დღეებში ერთი საიდუმლო გამჟღავნდა — ჯორჯ სოროსის საინვესტიციო იმპერია ჯერ არ დანგრეულა, მაგრამ ისე შეირყა, რომ სოროსმა იმპერიის კარდინალური რეორგანიზაცია გამოაცხადა.

ხუთმა ფონდმა, რომელსაც SOROS FUND MANAGEMENT-ი ხელმძღვანელობს, მიმდინარე წელს თავისი კაპიტალის 20% დაკარგა. ფონდი 22 მლრდ დოლარიდან 14,4 მლრდ-მდე „დაეშვა“. პრესკონფერენციაზე სოროსმა განაცხადა, რომ მისი იმპერიის ორი მთავარი მენეჯერი თავის პოსტს დატოვებს. „ეტყობა, აღარ მესმის ბაზრის მუსიკა“, — აღიარებს იგი გულახდილად. სოროსს და მის მრჩევლებს მიაჩნიათ, რომ ევრო დოლარზე უფრო მყარი გახდება. როგორც ჩანს, სოროსს ევროს საკითხში მისმა ნაქებმა ინსტინქტმა უმტყუნა. სოროსის არაოფიციალური ტიტული გახლდათ — „ადამიანი, რომელმაც ინგლისის გირვანქა სტერლინგს კისერი მოუგრიხა“. მაშინ მან ერთი მლრდ დოლარიც მოიგო. 1990 წელს სოროსმა სწორად განჭვრიტა იაპონური ფულადი ბაზრის კრიზისი და მაშინაც, კარგად მოითბო ხელი. არანაკლები მოგება მოუტანა 90-იანი წლების ბოლოს აზიაში ფინანსურმა კრიზისმაც. მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა ამ კრიზისის „ორგანიზებაც“ სოროსს დასწამა. საპასუხოდ სოროსმა განაცხადა: „როგორც ჩანს, მალაიზიის პრემიერ-მინისტრი მძიმე დეპრესიაშია. ჩემი მარცხის შემდეგ თავის შეცდომებს ველარავის გადააბრალებს“. სოროსმა თავისი საქმე კი არ დახურა, არამედ შეუდგა მის მოდიფიცირებას.

სოროსის ფონდები მისივე ხელმძღვანელობით ადგილზე რჩება, მაგრამ მთავარი ფონდი — QUANTUM FUND-ი პატარ-პატარა ფონდებად იყოფა და თითოეულ მათგანს „თავისი საკუთარი ფოკუსი“ ექნება. ფონდების ჯგუფს კვლავინდებურად QUANTUM ENDOWMENT FUND-ი დაერქმევა და სათავეში დანკენ ჰენირი ჩაუდგება (BANKERS TRUST-ის ყოფილი ხაზინადარი).

სოროსის იმპერიაში სტრუქტურული ცვლილებანი თვითმიზანი არ არის. ამის თაობაზე მაგნატი ამბობს — „მინდა მინიმუმამდე დავიყვანო ბაზრისგან ჩვენი დაუცველობა, მინდა ვიყო უფრო კონსერვატორი... უფრო დაბალ შემოსავალზეც თანახმა ვართ და ამიტომ ვამცირებთ „რისკის პროფილს“.

***იზვესტია №81***

# კითხვა-პასუხი



**გთხოვთ განგვიმარტოთ, რა დაავადებაა ენურეზი, ექვემდებარება თუ არა მკურნალობას და სად ვუმკურნალოთ ბავშვს?**

***ხაშური***

ენურეზი ღამით უნებლიე შარდვას ნიშნავს. მის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა იყოს ფსიქიკური ტრავმები, არარაციონალური ცხოვრების წესი და კვება. აგრეთვე, ორგანული ცვლილებები (ფიმოზი, საშარდე ბუშტის ნევროზი და სხვ.). ეს დაავადება წლობით გრძელდება და შესაძლოა, სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის გაიაროს. იმ შემთხვევაში, როცა არ აღენიშნებათ ორგანული ცვლილებები, კვების რაციონში უნდა შეიზღუდოს ჩაი, ყავა, ხილი, განსაკუთრებით, — საღამოს საათებში. ამასთან, პაციენტი არ უნდა გავალიზიანოთ. ენურეზის დროს გარკვეულ წილად კარგ შედეგს გვაძლევს ჰიპნოზით მკურნალობაც. საჭიროა ექიმის კონსულტაცია.

***მ. გოგიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ნიუ-იორკის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი***

**ვმუშაობდი სოფლის მასწავლებლად 1992 წლიდან. ამინაზღაურეს 4 თვის დეკრეტული შვებულება, 3 წლით კი უფასო შვებულება მომცეს. ამასობაში მეოთხე შვილიც შემეძინა და დეკრეტულის გაგრძელებაზე უარი მითხრეს სახსრების უქონლობის გამო, არც უფასო შვებულება გამიფორმეს, კანონი შეიცვალა და არ გეკუთვნისო. ჩემს ადგილზე კი სხვა მიიღეს. რამდენად კანონიერია ეს?**

***ეთერ ნიკოლეიშვილი-ხუციშვილი***

დეკრეტული შვებულებიდან კვლავ დეკრეტულში გასვლა დასაშვებია. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას წინა დეკრეტული შვებულების ვადა არ გასვლია და ისევ დეკრეტში გავიდა, თანხით აუნაზღაურდება ბიულეტენით გათვალისწინებული 126-დღიანი დეკრეტული შვებულების დღეები. რაც შეეხება უფასო შვებულებას, ამასთან მიმართებით კანონი არ შეცვლილა და იგი კვლავ გეკუთვნით. ხოლო დეკრეტულში ყოფნისას თქვენს ადგილას სხვა პიროვნების მიღება დასაშვებია, ოღონდ დროებით და დაბრუნებისას შეგიძლიათ აღდგეთ თქვენს თანამდებობაზე.

***ლიზა ზაზაძე, შრომის სამმართველო***

**მეუღლის გვარზე გადასვლა მის სიცოცხლეში არ მიფიქრია, შემიძლია თუ არა მისი გარდაცვალებიდან 10 წლის თავზე გადავიდე მეუღლის გვარზე და რაიმე პრობლემა ხომ არ შემექმნება ასე მოგვიანებით მის გვარზე გადასასვლელად?**

***მკითხველი, თბილისი***

გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით ხანდაზმულობას მნიშვნელობა არ აქვს. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიიღოთ მეუღლის გვარი და თქვენივე რაიონის მოქალაქეთა აქტების რეგისტრაციის განყოფილებას მიმართოთ განცხადებით, სადაც განმარტავთ გვარის გამოცვლის მიზეზს.

***ნოტარიუსი***

**1941-დან 1994 წლამდე ვმუშაობდი კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში. ომის პერიოდში ქარხანა აწარმოებდა სამხედრო დანიშნულების იარაღს. მეკუთვნის თუ არა პენსია, როგორც ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირს?**

***ქეშელაშვილი, თბილისი***

რაკი ზემოხსენებული ქარხანა მიეკუთვნება სამხედრო დანიშნულების ობიექტს და მეორე მსოფლიო ომის დროს ასრულებდა მოქმედი არმიისა და ფლოტისთვის სამხედრო მომსახურეობებს, ამ კატეგორიის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთ ეკუთვნით ომის მონაწილეებთან გათანაბრებულის პენსია.

***ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი***

**რა რაოდენობის C ვიტამინი არის აუცილებელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მისი ნაკლებობის შემთხვევაში ორგანიზმს რა საფრთხე ემუქრება?**

***ცინცაძე***

C ვიტამინი უჯრედთა შემაკავშირებელია, მისი ნაკლებობის დროს კუნთები (მათ შორის, თვალის კუნთიც) კარგავენ ტონუსს. ცუდი მხედველობა მოხუცებულობის ასაკში ძირითადად სწორედ ამ ვიტამინის ნაკლებობით აიხსნება. მისმა სიმცირემ კი შეიძლება გამოიწვიოს სიბრმავე, ქსოვილთა დაშლა, პიორეა, ალერგია და სხვ. რადგან ორგანიზმი C ვიტამინს თვითონ ვერ გამოიმუშავებს, აუცილებელია მისი ყოველდღიური მიღება, რომლის მინიმალური რაოდენობაც შეადგენს 100მგ-ს. C ვიტამინს შეიცავს ასკილი, კომბოსტო, ციტრუსი, წითელი და მწვანე წიწაკა, ყველა სახის კენკროვანი, ფოთლოვანი ბოსტნეული, ხახვი, პომიდორი, ისპანახი, ვაშლი, ანანასი.

***ლობჟანიძე, ექიმი-თერაპევტი***

**ჩემს სოფელში მსურს შევიძინო 1 ჰა მიწის ნაკვეთი. როგორ ხდება ეს პროცესი და რა ჯდება ამ ნაკვეთის ჩემს სახელზე გადმოფორმება?**

***ვ. შაქარაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფ. ვაზისუბანი***

მიწის ნაკვეთის პირად მფლობელობაში მისაღებად, კანონის შესაბამისად, საჭიროა საკუთრების მოწმობის აღება და რეგისტრაციის გავლა, რაც მიწის მართვის დეპარტამენტში 26 ლარი ღირს. ამის შემდეგ მიმართეთ საგადასახადო სამსახურს გადასახადის შესატანად, რისი თანხაც ნაკვეთის საერთო ღირებულების 2%-ით განისაზღვრება, საბოლოოდ კი ნოტარიუსში მოხდება ნაკვეთის პირად მფლობელობაში გადმოცემის დაფიქსირება.

***მიწის მართვის დეპარტამენტი***

# ბრინკი უფსკრულის პირასაა

ერთი თვის წინ ჰოლანდიური პრესა ნინა ბრინკს, „მსოფლიო პირდაპირი ხაზის“ კომპანიის ხელმძღვანელს — „ინტერნეტ პროვაიდერთა დედოფლის“ სახელით მოიხსენიებდა. დღეს კი იგივე პრესა მას „გაქნილს“ უწოდებს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბრინკმა თავისი როტერდამში ბაზირებული კომპანიის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. ინვესტორებმა აღმოაჩინეს, რომ მას აქციათა დიდი ნაწილი შვეიცარიული ფონდისათვის მიუყიდია. იმ ფონდისათვის, რომლის საქმიანობითაც ბრინკიც არის დაინტერესებული. ეს ცნობა ელვისებურად გავრცელდა ამსტერდამის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე. „მსოფლიო პირდაპირი ხაზის“ აქციების ფასი კატასტროფულად — 60%-ით დაეცა. რა თქმა უნდა, „მსოფლიო პირდაპირ ხაზში“ სახელის გატეხას მოერიდნენ — მოხდარი კონკურენტთა ხრიკებს დააბრალეს, ხოლო ნინა ბრინკი მრჩევლის თანამდებობაზე გადაიყვანეს. ამით მისი მძიმე დღეები არ დამთავრებულა. სამმა ადვოკატმა მის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და ამტკიცებენ, რომ ბრინკის ინვესტორებს შეცდომაში შეჰყავდათ და ატყუებდნენ მათ. ერთ-ერთი ამსტერდამელი კონსულტანტი აცხადებს, რომ „ადვოკატებს რამდენიმე წელიწადი ბანკეტების გადახდა მოუწევთ“.

***ნიუზუიქი, 24 აპრილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
13 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,990 |
| **გერმანული მარკა** | | 0,919 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 2,991 |
| **ევრო** | | 1,815 |
| **რუსული რუბლი** | | 0,070 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,032 |

ცნობილი მკურნალი **ირინა ლომთათიძე** თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
☞ბოტკინით დაავადებულებს;
☞ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
☞პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
☞ფრჩხილების სოკოს; ყელის კატარს;
☞ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
☞ფრჩხილების ჩაზრუნება; ფეხების ოფლიანობა;
☞თმის ცვენა, სებორეა; ბუასილი;
☞ტროფიკული წყლული, წითელი ქარი
ეფექტი გარანტირებულია 1 დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები
მაღალ დონეზე, ფასი 40 ლარი.
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“.
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტ: 77-68-50 (სახ.); 899-51-76-08

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

# პუტინი შუაღამისას გამოჩნდა

რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის რეპეტიციაში პუტინისა და ელცინის გარდა ყველა მთავარმა მოქმედმა პირმა მიიღო მონაწილეობა. გენერალურმა რეპეტიციამ კარგად ჩაიარა. ერთადერთი შენიშვნა, რა თქმა უნდა, ძალიან ტაქტიანად, მისცეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მარატ ბაგლაის, რომლის გაწელილმა სიტყვამ ორგანიზატორებს ლამის ძილი მოჰგვარა. როცა რეპეტიცია მთავრდებოდა, შუაღამისას, გაუფრთხილებლად მოვიდა ვლადიმირ პუტინი. სრულ სიჩუმეში მან გაიარა ის გზა, რომელიც მეორე დღეს ინაუგურაციაზე უნდა გაევლო. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ამბობენ, რომ იმ ღამეს პუტინს, როგორც ყოველთვის, მშვენივრად ეძინა. ბორის ელცინი კი ჩვეულებრივზე ადრე ამდგარა, დილის 5 საათზე. მისი ქალიშვილი ტატიანა დიაჩენკო ყვებოდა, მამა ძალიან ღელავდა, მაგრამ თვითონაც უკვირდა, რა მაღელვებსო. ბორის ნიკოლაევიჩი თავის კაბინეტში განმარტოვდა და რამდენჯერმე ყურადღებით წაიკითხა ცერემონიალის სცენარი. საუზმის შემდეგ ტატიანასთან ერთად დიდხანს ირჩევდა ჰალსტუხს და კოსტიუმს. თავიდან შავზე შეჩერდა, მერე იგი მეტისმეტად ნაღვლიანად მიიჩნია და მუქ-ლურჯი არჩია. რუსეთის პირველი პრეზიდენტი ინაუგურაციაზე წასასვლელად მზად იყო და ცოლსაც აჩქარებდა. მისი მღელვარება ყველას გადაედო...

ინაუგურაციის ცერემონია 30 წუთს გაგრძელდა.

პუტინი წელგამართული მოდიოდა, არავის არ უყურებდა, ზოგმა ეს მის მღელვარებას მიაწერა. სინამდვილეში კი, ეს სცენარით იყო გათვალისწინებული. პუტინს რომ ვინმესთვის შეეხედა, უნდა მისალმებოდა კიდეც, თუნდაც მარტო თავის დაქნევით. 1.500 დამსწრე — პოლიტიკოსები, სამხედროები, მსახიობები, მუსიკოსები, ჟურნალისტები ცდილობდნენ, წამით მაინც დაეჭირათ მისი მზერა, მაგრამ ამაოდ.

ბორის ელცინმა თავისი გამოსვლა ფაქტობრივად იმპროვიზაციით დაიწყო, რადგან ორი ტელემოკარნახე, რომლებითაც უნდა ესარგებლა პირველ პრეზიდენტს, ისე უხეიროდ იდგა, რომ სოფიტების შუქი ეცემოდათ და ეკრანზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყო. ბორის ნიკოლაევიჩი ცუდ დღეში აღმოჩნდა, მაგრამ პროფესიონალიზმმა უშველა: ორი წუთის იმპროვიზაციის შემდეგ უკან დაიხია და ისე დადგა, რომ ტექსტი დაენახა.

უსიამოვნო მოულოდნელობა პუტინს უკანა გზაზე ელოდა, როცა „ანდრეევსკის" დარბაზიდან „გეორგიევსკში" გადადიოდა. მის მცველ ვიქტორს წინა დღით უთხრეს, ფიცის დადების შემდეგ არც ერთი წუთით არ მოსცილდე პუტინსო. და ისიც არ მოსცილებია... ასე გაიარეს სამი დარბაზი. სხვა ყველაფერმა ლამაზად და საკმაოდ ეფექტურად ჩაიარა. სხვათა შორის, ვლადიმირ პუტინი არც მანამდე და არც ცერემონიის შემდეგ გახარებული არ ჩანდა, ეტყობა ნელ-ნელა მიხვდა, რაც მოხდა.

ცერემონიის შემდეგ ბორის ნიკოლაევიჩმა მეუღლითურთ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინთან და მის მეუღლესთან ერთად კრემლის ერთ-ერთ დარბაზში ჩაი მიირთვეს. ბორის ელცინმა ლამაზი სიტყვები უთხრა პუტინს, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა — მემკვიდრის არჩევაში არ შევცდიო.

***კომერსანტი №81***

# ცივილიზებულ სამყაროს „წმინდა ომით" ემუქრებიან

ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებების გამო ამ ბოლო დროს ბევრი უსიამოვნება აქვთ ერთმანეთში რუსეთსა და დასავლეთს. თუმცა, ევროპასა და ამერიკას ჩეჩნეთში აღელვებთ არა მხოლოდ „ჰუმანიტარული" ასპექტი ჩეჩნეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციებისა, არამედ ის ძალებიც, რომელსაც რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ებრძვის.



ამას წინათ ჩეჩნეთში იმყოფებოდა გერმანული დაზვერვის ხელმძღვანელი ავგუსტ ჰანინგი. ამ დღეებში კი ავღანეთში თალიბებმა დაიჭირეს „ამერიკელი შპიონები", რომლებსაც აინტერესებდათ ბასაევის დასახმარებლად გამზადებული ავღანელებისა და არაბების ზუსტი რაოდენობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩეჩნეთში რუსი ფედერალების წინააღმდეგ მოჯაჰედები იბრძვიან. ეს „ისლამის ჯარები" უერთდებიან „ჯიჰადს" („წმინდა ომი"). მათთვის სულერთია, სად და ვის წინააღმდეგ იბრძოლებენ. მათ მიაჩნიათ, რომ „ურჯულოები" არ არიან სიცოცხლის ღირსნი. დასავლეთში უკვე მიხვდნენ, რომ ჩეჩნეთის შემდეგ „ჯიჰადის" მორიგ პოლიგონად შესაძლოა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა იქცეს. მათ, გარდა „ურჯულოთა" სიძულვილისა, ამოძრავებთ ინტერესი ნავთობისა და ალმასის საბადოების მიმართ. ამერიკელების დაინტერესება „ჯიჰადით" შემთხვევითი არ არის. ბენ ლადენი ოპერაციის გეგმას შეადგენს, დააფინანსებს მათ, მაგრამ ტერაქტებს იგი არ მოაწყობს. ტერაქტის შემსრულებლები არიან „წმინდა ომის" იდეის ფანატიკურად ერთგული წვერებიანი ჯარისკაცები, რომლებმაც არ იციან არც დათმობა და არც შერიგება. ამერიკელებსა და ევროპელებს იტაცებენ და კლავენ აფრიკაში, აზიასა და მათივე სამშობლოშიც. სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, საიდან მოდის ბრძანება გასროლისა თუ აფეთქების შესახებ — ავღანეთის ბანაკიდან, ნომერ პირველი ტერორისტის — ბენ ლადენისგან თუ რანგით უფრო დაბალი ტერორისტის რეზიდენციიდან. დროა, გავიგოთ, რომ ცივილიზებული სამყაროს მიმართ გამოცხადებულია ნამდვილი „წმინდა ომი". ამ გამოწვევის იგნორირება დაუშვებელია.

***იზვესტია №83***



# თურქეთს ახალი — პრეზიდენტი ჰყავს

თურქეთის პარლამენტმა ქვეყნის ახალი პრეზიდენტი — ახმეტ ნეჯეთ სეზერი (საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე) აირჩია. ბ-ნი სეზერი 16 მაისს ოფიციალურად დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს როგორც წამყვანი პარტიის ლიდერებმა, ისე ოპოზიციამაც, მაგრამ მაინც საჭირო გახდა კენჭისყრის სამივე ტურის ჩატარება.

ბ-ნი სეზერი ცნობილია, როგორც კონსერვატორი პოლიტიკოსი. ამავდროულად იგი თურქეთის საერო გზით განვითარების მომხრეა. მისი უშუალო მონაწილეობით 1998 წელს აიკრძალა ისლამისტური „კეთილდღეობის პარტიის" ფუნქციონირება. დამკვირვებლების აზრით, სეზერის პრეზიდენტად არჩევა დააჩქარებს თურქეთში დემოკრატიულ გარდაქმნებს, რაც აუცილებელია ქვეყნის ევროკავშირში შესასვლელად.

***კომერსანტი №80***

# ისრაელ-ლიბანის ომი კვლავ გრძელდება

ისრაელ-ლიბანის საზღვარზე სიტუაცია კვლავ ძალზე დაძაბულია. ლიბანის „ჰესბოლაჰის" დაჯგუფების მებრძოლებმა რაკეტები დაუშინეს ისრაელის ჩრდილოეთ რაიონებს. ისრაელმა ერთი თვის შემდეგ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ლიბანის ტერიტორიიდან, ამიტომ ცდილობს, გასვლამდე რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს „ჰესბოლაჰის" მებრძოლებს. ამისთვის კი სამხრეთ ლიბანში რეგულარულად ატარებენ „წმენდას". ისრაელის ხელისუფლებამ ისიც კარგად უწყის, რომ საბოლოოდ „ჰესბოლაჰს" ვერ გაუმკლავდება, ამიტომ ცდილობს, ბეირუთსა და „ჰესბოლაჰს" შორის ურთიერთობა გაამძაფროს. თელ-ავივის აზრით, ლიბანის ხელისუფლება თავად გაანადგურებს ამ დაჯგუფებას, რადგან მებრძოლთა ნებისმიერ ოპერაციას მოჰყვება ისრაელის საპასუხო დარტყმა, რასაც ბევრი უსიამოვნება მოაქვს ლიბანელებისათვის.

ამჟამად ისრაელის ავიაციამ და არტილერიამ სერიოზულად დააზიანა ლიბანის ელექტროსადგურები. საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ისრაელის მინისტრების ერთი ნაწილი მოითხოვს „ლიბანის ტერიტორიის ნაცართუთად ქცევას", სხვები თავის შეკავებას ამჯობინებენ. მაგრამ როგორც ჩანს, რადიკალებმა თავისი გაიტანეს. ისრაელის ხელისუფლების მეთაურმა განაცხადა, რომ არც ერთი ქვეყანა არ მოითმენდა თავის სამრეწველო და სამოქალაქო ცენტრების დაბომბვას და, რომ უმოქმედობა დღეს ისლამისტების დახმარების ტოლფასია. ამიტომ დატოვეს ლიბანი ელექტროობის გარეშე. თავდასხმები ორივე მრიდან გრძელდება. ისრაელელებს ბომბსაფრიდან გამოსვლას არ ურჩევენ.

***ნოვიე იზვესტია №83***

# ლონდონმა მერი აირჩია

ბრიტანეთის ისტორიაში პირველად დემოკრატიული გზით აირჩიეს ლონდონის მერი. მეგაპოლისის ხუთმა მილიონმა მცხოვრებმა ხმა მისცა კენ ლივინგსტონს, რომელიც სოციალისტის მყარი რეპუტაციით გამოირჩევა. მან ჭირვეულის და ჩხუბისთავის სახელი მოიხვეჭა და მემარცხენე-რადიკალური შეხედულებებისთვის მეტსახელად „წითელი კენი" შეარქვეს. იგი, როგორც გამთიშველი პარლამენტარი, 5 წლით გააძევეს ლეიბორისტული პარტიიდან. ბრიტანელები კარგად იცნობენ „წითელ კენს": იგი „დიდი ლონდონის საბჭოს" მეთაურობდა, ამხელდა თავის იდეურ მოწინააღმდეგე კონსერვატორებს, განსაკუთრებით, კონსერვატორების ლიდერს მარგარეტ ტეთჩერს. ტეთჩერმა ვერ მოითმინა ამდენი კრიტიკა და გააუქმა „ლონდონის კავშირი" „ეკონომიის მიზნით". ასე მოიცილა თავიდან ლივინგსტონი. ბრიტანელებს იგი დაამახსოვრდათ იმითაც, რომ მან ლონდონი ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა, მხარს უჭერდა ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას და სექს-უმცირესობის უფლებებს იცავდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ხმამაღლა აცხადებდა: ლივინგსტონის მერის პოსტზე არჩევა ლონდონისათვის კატასტროფას ნიშნავსო. ბლერს, ალბათ, მოუწევს თავისი მარცხის აღიარება და „წითელ კენთან" საერთო ენის გამოძებნა, იგი ხომ მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ცენტრის უფროსია.



***სეგოდნია №100***

# ჩეჩნეთისათვის სტატუსი მოიფიქრეს: „ფედერალური რეჟიმის კოლონია"

ჩეჩნეთში „კონტრტერორისტული ოპერაციების" დაწყებიდან თითქმის ერთი წლის თავზე ფედერალურმა ხელისუფლებამ მისთვის ჩვეული გულმოდგინებით დაიწყო ზრუნვა თავისი ქმედებების სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის. გაზეთ „სეგოდნიას" ინფორმაციით, უახლოეს მომავალში ვლადიმირ პუტინი ხელს მოაწერს უშიშროების საბჭოში შემუშავებულ ბრძანებულებას „ჩეჩნეთში საპრეზიდენტო პირდაპირი მმართველობის შემოღების შესახებ". ეს ბრძანებულება იმოქმედებს მანამ, სანამ დეპუტატები საკანონმდებლო ბაზას ჩეჩნეთის სამართლებრივ სტატუსამდე არ მიიყვანენ.

არსებობს სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ეს სტატუსი. უშიშროების საბჭოს მდივანს სერგეი ივანოვს მიაჩნია, რომ ჩეჩნეთში პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება ნიშნავს პირდაპირ ფედერალურ მმართველობას. საერთოდ კი „პირდაპირი საპრეზიდენტო" თუ „პირდაპირი ფედერალური" მმართველობა რუსეთის კანონმდებლობაში არ არსებობს. საქმე ის არის, რომ ადმინისტრირების ამგვარი ფორმები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევითი პრინციპების უარყოფას ითვალისწინებს. მაშასადამე, სახეზეა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა. ძირითადი კანონის თანახმად, უფლებების ასეთი შელახვა დასაშვებია მხოლოდ „სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის" მიზნით.

ფაქტობრივად, კრემლი აპირებს ჩეჩნეთში სამხედრო დიქტატურის მსგავსი სისტემის დამყარებას. მით უმეტეს, 2-3 წელიწადი არ აპირებენ ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანას.

დღეს კრემლი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ ვინ გააკონტროლებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის აღსადგენად გამოყოფილ თანხებს. ჩეჩნეთის ხელმძღვანელს, რომლის განკარგულებაშიც იქნება მთელი ფინანსები, პრეზიდენტი დანიშნავს. ხოლო რესპუბლიკის ამ მეთაურის გასაკონტროლებლად შეიქმნება კიდევ ერთი ახალი, საკონტროლო კომისიის მსგავსი ორგანო, რომლის სათავეში დადგება პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეჩნეთში. როგორც ჩეჩნეთში ხელისუფლების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნიკოლაი კოშმანმა გვაუწყა, რესპუბლიკაში შეიქმნება ფედერალურ უწყებათა ქვედანაყოფები, რომელშიც შევა დედაქალაქის რამდენიმე მოხელე. სწორედ ისინი შეუდგებიან ჩეჩენი კადრების აღზრდა-შერჩევას. ასეთი მმართველობის სისტემა 2-3 წელიწადს იარსებებს; ამასობაში ჩეჩნეთში შეიქმნება ახალი ელიტა, რომლის ხელშიც მომავალში გადავა ძალაუფლება.

ჩეჩნეთის მეთაურის არჩევას 2002 წლამდე აზრი არა აქვს. ამ ზაფხულს ჩეჩნებს ნებას დართავენ, რომ აირჩიონ სახელმწიფო დუმაში თავიანთი წარმომადგენელი. ამ დღეებში ჩეჩნეთის სტატუსიც დადგინდება: ჩეჩნეთს რაღაც ფედერალური კოლონიის მსგავს ობიექტად გამოაცხადებენ.

***სეგოდნია №98***

# ევროპამ ჩეჩნეთის ომი წააგო

სტრასბურგში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სესიაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც რუსეთი ერთი სიტყვითაც კი არ არის გაკიცხული და არც მოსკოვის მიმართ შესაძლო სანქციებზეა რაიმე ნათქვამი.

მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, მისი ფორუმები საპროტოკოლო ღონისძიებებია, გადაწყვეტილებები კი წინასწარ შეთანხმებული. სესიის დამთავრების შემდეგ რფ საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა — ევროსაბჭოში რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი არც დამდგარა. დისკუსიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ წევრობის შეჩერება მეტად არაკონსტრუქციული ნაბიჯი იქნებოდა. მართალია დელეგატებმა გააკრიტიკეს ჩეჩნეთში აქტიური საბრძოლო მოქმედება, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ ამჟამად იქ ბრძოლა არ მიმდინარეობსო.

ჯერჯერობით ღიად დარჩა სესიაზე რუსეთის საპარლამენტო დელეგაციის დასწრების თარიღი. აპრილში, როცა სტრასბურგს ტოვებდნენ, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, ვიდრე ჩვენი უფლებამოსილება მთლიანად არ აღდგება, არ დავბრუნდებითო. ისე რომ, ახლა „პოზიტიურ სიგნალს" ელიან ევროსაბჭოდან. შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა.

***კომერსანტი №83***

# შრი-ლანკა დახმარებას ითხოვს

შრი-ლანკაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. სეპარატისტები თამილებისათვის ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ცდილობენ. (ქვეყნის მოსახლეობის 12%-ს თამილები შეადგენენ). „თამილ ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვების" ორგანიზაციამ ხელთ იგდო მთავარი რაიონები და ალყაში მოაქცია 35 ათასიანი არმია. პარტიზანები ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ და აპირებენ ხელში ჩაიგდონ ქალაქი ჯაფნა, რომელსაც თავიანთი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადებენ. ალყაში მოქცეული არმიის გასათავისუფლებლად ქვეყნის ხელისუფლებამ ინდოეთს დახმარება სთხოვა. დელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: 1990 წელს, სეპარატისტმეამბოხეთა განიარაღების დროს, შრი-ლანკაში ათასამდე ინდოელი ჯარისკაცი დაიღუპა. დელის პოზიციაზე ისიც მოქმედებს, რომ ინდოეთში 55 მლნ თამილი ცხოვრობს, რომელიც იზიარებს შრი-ლანკას თამილების ბედს. გარდა ამისა, დელისა და კოლომბოს ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება აქვთ დადებული უსაფრთხოების დარგში. არც „ვეფხვები" არიან „მამა აბრაამის ბატკნები", ყოველ წუთსაა მოსალოდნელი მათი მხრიდან ტერორი. ამიტომ გადაწყვიტა დელის ხელისუფლებამ ჩაატაროს სამხედრო მისია ჰუმანიტარული მიზნებით (მაგალითად, საბრძოლო რაიონებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა). ამასობაში კოლომბომ რუსეთს მიმართა თხოვნით, დაეხმაროს შეიარაღებაში. ლაპარაკია შვეულმფრენების, სატრანსპორტო თვითმფრინავების და სხვადასხვა სამხედრო მოწყობილობათა შესყიდვის შესახებ.

რასაკვირველია, რუსეთი მზად არის შეკვეთის მისაღებად, მაგრამ ამ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 800 მლნ დოლარს არ აღემატება და ამიტომ მსხვილ კონტრაქტებს არ უნდა ელოდოს.

***იზვესტია №85***

# მოკლედ

უჩვეულო ეკოლოგიური კატასტროფა დაატყდა თავს ქალაქ ლორენსბურგს ამერიკის შტატ **კენტუკიში**, სადაც იმავე დასახელების მდინარე დააბინძურა ვისკიმ. საწყობში მომხდარი ხანძრის შედეგად მდინარეში ჩაიღვარა ათასობით კასრი ვისკი.

**ევროკავშირმა** აღნიშნა ე.წ. შუმანის დეკლარაციის 50 წლისთავი, რომელმაც სათავე დაუდო ევროპის ინტეგრაციას.

**კანში** გაიხსნა 53-ე საერთაშორისო კინოფესტივალი. ჟიურის უხელმძღვანელებს ლუკ ბესონი. კინოდათვალიერების ყველაზე საპატიო სტუმრები არიან გრეგორი პეკი და ფილიპ ნუარე.

**შვედი** ექსპერტის ფრედერიკ ბიორკის საშუალებით მოიძებნა კომპიუტერული ვირუსის გამავრცელებელი, გერმანელი სტუდენტი ვინმე „მიხაელ", რომელიც ავსტრალიაში ცხოვრობს და სწავლობს გაცვლითი პროგრამით. ახალმა ვირუსმა მსოფლიოს უკვე 7 მილიარდის ზარალი მიაყენა.

**დელის** საფდარჯუნის საავადმყოფოში დაიბადა ინდოეთის მემილიარდე მცხოვრები — გოგონა, რომელსაც სახელად აშა (იმედი) დაარქვეს.

# სიყვარულისა და სიკვდილის სიმბოლო

ერთხელ, ზღაპრულ პრინცესას თითში თითისტარი შეერჭო და ღრმა ძილით დაიძინა. მასთან ერთად დაიძინეს მისმა მსახურებმა, ცხოველებმა, ბუნებამ. ცხოვრება დიდი ხნით შეჩერდა. შემდეგ კი გამოჩნდა მშვენიერი პრინცი და პრინცესა მისმა მხურვალე ამბორმა გააღვიძა... ჩვენი ცხოვრება კოცნაში გადის: ვკოცნით საყვარელ ადამიანს, ბავშვს, დროშას, ხატს, ავგაროზს, ძვირფას წერილს... ამქვეყნად მოსულებს კოცნით გვხვდებიან, კოცნასთან ერთად ვცხოვრობთ და ვკვდებით.

ამბობენ, კოცნის დროს ადამიანი თავისი სულის ნაწილს უზიარებს მას, რასაც თუ ვისაც ბაგეებით ეხებაო.

## ამბორი ერთგულებისა და პატივისცემის ნიშნად

უხსოვარი დროიდან თაყვანისცემის ნიშნად ღვთაებათა გამოსახულებებს ემთხვეოდნენ. დიდი ბედნიერებისა და მწუხარებისას, სიყვარულის ნიშნად ან სიცოცხლის ღვთიურ წყაროსთან — ბუნებასთან — დაახლოების მიზნით, ადამიანები მიწას კოცნიდნენ; მორჩილებისა და ერთგულების ნიშნად კოცნიდნენ გვირგვინოსნებს ხელზე ან სამოსის კალთაზე; მეომრები ბრძოლის წინ დროშას ემთხვეოდნენ, ეამბორებოდნენ იარაღს, შელახული ღირსების აღდგენისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებთო, — პირობას დებდნენ და იმისთვის, რომ შინ ისევ დაბრუნებულიყვნენ, საკუთარი სახლის ზღურბლს ეამბორებოდნენ.

## ამბორი მშვიდობის ნიშნად

ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე, მტრების შერიგებისას არსებობდა წესი — „დაზავების ამბორი". თითქმის XV საუკუნემდე შერიგებისას ამბორს ბეჭდის ძალა ჰქონდა. ტურნირებზე რაინდები ორთაბრძოლის შემდეგ ერთმანეთს გადაკოცნიდნენ. „მშვიდობა თქვენდა", — თქვა იესო ქრისტემ და ქრისტიანები ნაანდერძებ მშვიდობას ერთმანეთს სიმბოლური ამბორით გადასცემდნენ. პავლე მოციქული თავის ქრისტესმიერ ძმებს მოუწოდებდა — ერთმანეთს „წმიდა ამბორით" მისალმებოდნენ. წმიდა ფრანცისკ ასიზელს თურმე ერთხელ შეეზიზღა ვინმე კეთროვანი, მერე კი თავისი სიამაყისა შერცხვა, მუხლებზე დაეცა მის წინაშე და სნეულს ხელზე აკოცა. კეთროვანი გაქრა — ეს თავად ღმერთი იყო, რომელმაც წმინდანის შემწყნარებლობა და მოთმინება გამოსცადა.

თანდათანობით ამბორი საეკლესიო რიტუალების აუცილებელ ნაწილად იქცა: ნათლობის, აღსარების, ხელდასხმის, ჯვრისწერისას ამბორის საშუალებით ეზიარებოდნენ მორწმუნენი ჯვარსა და წმიდა რელიკვიებს. აუცილებელი სააღდგომო სამჯერ კოცნა სიტყვებით — „ქრისტე აღსდგა" — სიმბოლოა წმიდა სამების — მამის, ძის და სულიწმიდის მთხვევისა.

## სარიტუალო ამბორი

ამბორყოფის შემდეგ ადამიანს კანონიერი უფლებები ენიჭებოდა. ძველ რომში, თუ სასიძო ან საპატარძლო ნიშნობის დროს ერთხელ მაინც ეამბორებოდნენ ერთმანეთს, მაშინ, დაქორწინებამდე ერთ-ერთის სიკვდილის შემთხვევაში, აბრუნებდნენ საქორწილო საჩუქრების ნახევარს, დანარჩენი კი, კანონის თანახმად, მგლოვიარე შეყვარებულს რჩებოდა.

რომში ახალგაზრდებს ერთმანეთისთვის ხალხში კოცნა ეკრძალებოდათ — თვალი არ ეცესო, მაგრამ საქორწილო ლხინის შემდეგ პატარძალს სალამურის ამარა საწოლზე სვამდნენ და სტუმრები ნათესაურად ეამბორებოდნენ და ბედნიერებას უსურვებდნენ.

XV-XV საუკუნეებში გერმანიაში დოქტორის ხარისხის მომპოვებელს უნივერსიტეტის დეკანი ტუჩებში კოცნიდა, რაინდად კურთხევის დროს ჯერ ორდენის ახალ წევრს კოცნიდნენ, მერე კი ყველა იქ დამსწრეთ.

კოცნა მთავარ როლს თამაშობდა ამქართა რიტუალებშიც. გერმანიაში ამქარში ახალი ქარგლის მიღების დროს იგი პრეტენდენტი გოგონებიდან „საცოლეს" ირჩევდა, რომელიც ახალბედას ნახშირით ულვაშებს ახატავდა და თავზე „გვირგვინს" ადგამდა. შემდეგ გოგონა კოცნიდა მას, ხოლო უფროსი ოსტატი „ჭკუის სასწავლებლად" თავში წაჰკრავდა ხელს, ხოლო როცა შემდეგ ყველანი სუფრას მიუსხდებოდნენ — რიტუალი დამთავრებულად ითვლებოდა.

## ჰაეროვანი კოცნა

ჰაეროვანი კოცნა იმ დროს წარმოიშვა, როცა



მკაცრ მამებს ქალიშვილები შინ ჰყავდათ ჩაკეტილი და გოგონას თავისი რჩეულის მხოლოდ შორიდან ხილვა შეეძლო.

რა უნდა ექნათ შეყვარებულებს? შორ მანძილზე გრძნობების გასაზიარებელ ერთადერთ საშუალებად რჩებოდა ჰაეროვანი კოცნა — სუნთქვა, რომელსაც ხელის გულზე სტოვებდნენ და ჰაერში ისროდნენ, რომ მას, უხილავი საჰაერო ბურთის დარად, საყვარელ ადამიანამდე მიეღწია.

## ნაირგვარი კოცნა

მკაცრი რაბინები მხოლოდ სამი სახის კოცნას აღიარებდნენ: მისალმების, დამშვიდობებისა და პატივისცემის. რომაელები კი ფიქრობდნენ, რომ არსებობს კოცნა მეგობრული, სასიყვარულო და ვნებიანი.

კოცნა შეიძლება იყოს კეთილშობილური, ჯადოსნური, ცხელი, მწველი, ნაზი, უბიწო, ცეცხლოვანი, საპასუხო, ნიშნობის, მონანიების, შემრიგებლური, გულითადი, სევდიანი, საბედისწერო, ყალბი.

კოცნას ჩუქნიან, გლეჯენ, იტაცებენ, ხვეწნით მოიპოვებენ, ყიდულობენ. მავანთათვის იგი სამოთხეში შესასვლელი კარის გასაღებია, სხვებისათვის — ტანჯვა. ზოგი კოცნაში პოულობს თავდავიწყებას.

## ამბორი შვიდი გზის შესაყარზე

სულები გზაჯვარედინებზე სახლობენო, — ასე ფიქრობდნენ წინაპრები. იქ ჯადოქრები მკითხაობენ და ამ ადგილას კოცნა საშიშია, რადგან შეიძლება სასწაული მოხდეს — რომელიღაც სული აგედევნოთ და კოცნის გაგრძელება მოგთხოვოთო...

სულებს ხომ ძალიან უყვართ ყველანაირი სასიყვარულო ამბები...

## ხალხური რწმენით...

ჭექა-ქუხილის დროს პირჯვარი სამჯერ უნდა გადაიწეროთ და მიწას ემთხვიოთ, მაშინ მეხი არ დაგეცემათ.

თუ დილაადრიან ცარიელი ჭურჭლით მომავალი დედაბერი შეგხვდათ, უბედურების ნიშანია, მაგრამ თუ ლოყაზე ეამბორებით, ყველაფერი სასიკეთოდ შემოტრიალდება.

თუ ბავშვი ავად გახდა, მას ჭიპზე, მკერდსა და თავზე კოცნიან.

მტკივანი კბილი მოგირჩებათ, თუ ვირს დრუნჩზე აკოცებთ.

თუ პურის ნატეხი დაგივარდათ, აიღეთ და ემთხვიეთ მას, ეს სიღარიბისაგან დაგიფარავთ; თუ წიგნი დაგივარდათ — ისიც უნდა აიღოთ და აკოცოთ — უვიცობისგან დაგიცავთ.

არ აკოცოთ ფულს, თორემ ეშმაკი დაგიმონებთ.

## მარადისობის ამბორი

იტალიელები არ ამბობენ, — ადამიანი მოკვდაო, არამედ — დაიძინა ღვთის ამბორშიო, ჩვენში იტყვიან, — ღმერთს მიაბარა სულიო...

წესი იყო, სულთმობრძავისთვის აუცილებლად უნდა ეკოცნათ, რადგან სწამდათ, კოცნისას ადამიანი მომაკვდავს თავისი სულის ნაწილს აძლევდა და სიცოცხლეს უხანგრძლივებდა. მიცვალებულს სამარეში ჩასვენებამდე ვეამბორებით, რადგან მასთან ერთად ჩვენი ცხოვრებიდან რაღაც უსაზღვროდ ძვირფასი მიდის.

ბოლო კოცნას ჩვენ მარადიულობას ვუძღვნით.

*ორაკული №5*

# სუპერბავშვები

მწვრთნელი ფომინი ყოველთვის ოცნებობდა ნამდვილი სუპერმენების აღზრდაზე — ისეთი ბიჭებისა, შიშველი ხელებით ვეფხვს რომ შეებრძოლებოდნენ. თანაც ამბობდა: ბავშვის გაწვრთნა დაბადებისთანავე უნდა დაიწყო და ხელის შემშლელი არ უნდა გყავდესო. მართლაც, ფომინმა „ბავშვთა სახლში" ამოარჩია 8 ჩვილი, იქირავა ორი ძიძა და დაიწყო სუპერმენების აღზრდა.



სამ-ნახევარი წლის ბავშვები უკვე 5 კილომეტრიან დისტანციებზე დარბოდნენ, შეეძლოთ გაეკეთებინათ 20-ჯერ აჭიმი, ვარჯიშობდნენ ექვსკილოგრამიანი ჰანტელებით. ბავშვებთან ასეთი შედეგებისთვის ჯერ არავის მიუღწევია. ადრეული ასაკიდან ნავარჯიშები პატარებისთვის ფიზიკური დატვირთვა ჩვეულებრივი ამბავი იყო — მათ ყოველ დილას სამსაათიანი სირბილი არც კი ღლიდათ — ეს მათთვის მზის ამოსვლასავით ბუნებრივი რამ იყო. დღეში 8 საათს ვარჯიშობდნენ — დილას და საღამოს და ასე გრძელდებოდა ექვსი წლის მანძილზე.

იქ „არ მინდა — არ შემიძლიას" საკითხი არც დამდგარა. იტყვის მასწავლებელი — დაეკიდეთ ხეზე ცალი ხელით, ჰკიდიან ერთი საათი და მეტიც, ვიდრე ჩამოხტომის უფლებას არ მისცემენ. მერე ასჯერ აჭიმვას აკეთებენ, დანებით ჟონგლიორობენ. 8 დანიდან ერთი გალესილია. სულ გაფაციცებულნი უნდა იყვნენ — ერთი დანაც რომ დაუვარდეთ, ისჯებიან დამატებითი ფიზიკური დატვირთვით. ისე ძლიერი მუშტი აქვთ, რომ კედლის განგრევა შეუძლიათ და ანგრევენ კიდევაც.

ფომინის 8 წლის აღსაზრდელებიდან ნებისმიერს შეუძლია ნებისმიერი წონის მოწინააღმდეგესთან ბრძოლა. ბავშვებისთვის სულერთია, რა სიმაღლისაა მათი მეტოქე, პატარა ფინიებივით შეუვარდებიან მოწინააღმდეგეს ფეხებში და თავს იქით „გადაისვრიან" ხოლმე — ძიუ-დოს ტექნიკას ისინი სრულყოფილად ფლობენ.

ამ ბავშვების ძალა იმაშია, რომ ისინი არაფერზე ფიქრობენ — მათი ხელები და ფეხები ავტომატურად მოქმედებენ. თანაც ტანად პატარები არიან და ძალიან მოძრავნი. ფომინის მოწაფეებს ალბათ სროლაში მსოფლიო ჩემპიონიც კი ვერ მოახვედრებს ტყვიას.

მწვრთნელმა თავის ბიჭებს მოთმინების და ლოდინის უნარი გამოამუშავებინა. მათ შეუძლიათ 3 საათი და უფრო მეტიც, გაუნძრევლად იწვნენ ან იდგნენ, მერე კი უცებ წამოხტნენ და ორთაბრძოლაში ჩაებან.

ისინი სუსტები არიან მხოლოდ სუნთქვით ვარჯიშებში, — ამბობს ფომინი. მას არ აკმაყოფილებს, რომ მისი აღსაზრდელები წყალქვეშ მხოლოდ სამ ნახევარი წუთი ძლებენ. იდეალი, რომლისკენაც ისწრაფვის აღმზრდელი, არის 6-7 წუთი. ალბათ ბავშვები მალე ამასაც მიაღწევენ.

დღეს ბავშვები უკვე მზა მკვლელები ან, პირიქით, მცველები არიან, ხოლო უშიშროების სამსახურისთვის თითოეული მათგანი ნამდვილი განძი იქნება: მძევლების განთავისუფლების, დამნაშავეთა დაკავების საქმეში მათ ბადალი არ ეყოლებათ. 8 წლის ბიჭისგან საშიშროებას ხომ არავინ ელოდება, პატარასთვის კი საკმარისია მსხვერპლს სასიკვდილო დარტყმის მანძილზე მიუახლოვდეს. ისინი ისეთი სწრაფები არიან, რომ რამდენიმე წამში 5-6 ადამიანის დაჩოქება შეუძლიათ.

ფომინი თავისი საქმის გაგრძელებას აპირებს. პატარებთან კიდევ ოთხი წელიწადი იმუშავებს იმავე სპარტანულ გარემოში, იმავე ფიზიკური დატვირთვით.

როცა ბავშვებს 12 წელი შეუსრულდებათ, მათ უკვე ვერავინ და ვეღარაფერი შეაჩერებს.

*შპიგელი №18*

# პაპის პირველი და უკანასკნელი სიყვარული

მრავალი წლის მანძილზე ვატიკანში ვერავინ გაბედავდა ეთქვა, უყვარდა თუ არა ოდესმე რომის პაპს ვინმე. ახლახან ცნობილი გახდა, რომ კრაკოვში ცხოვრობს მისი პირველი და ერთადერთი სიყვარული.

60-ზე მეტი წლის წინ პოლონეთის მახლობლად მდებარე პროვინციული ქალაქის ვადოვიცას ახალგაზრდულ თეატრში შეხვდნენ ერთმანეთს შავგვრემანი ლამაზმანი ჰალინა კვიატკოვსკა, რომელიც შემდგომ ცნობილი მსახიობი გახდა და გამხდარი, მორცხვი ყმაწვილი, კრაკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი კაროლ ვოიტილა, დღეს — რომის პაპი იოანე-პავლე მეორე.

კაროლს და ჰალინას არაერთხელ მოუხდათ სცენაზე შეყვარებულების თამაში და არ არის გასაკვირი, რომ ამგვარ როლებს ისინი საკმაოდ დამაჯერებლად ასრულებდნენ — ახალგაზრდა მსახიობები ხომ ერთმანეთის მიმართ ნაზი გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.



— შეუძლებელი იყო, კაროლი არ შემყვარებოდა, — იგონებს ჰალინა, — ის ხომ საოცრად მიმზიდველი და ჭკვიანი იყო. ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. კაროლმა უამრავი პიესა და ლექსი დაწერა. უნიკალური მეხსიერების წყალობით შეეძლო, სულ რაღაც ორიოდ კვირაში უცხო ენა ესწავლა. კაროლს რომ სცენური კარიერა ამოერჩია, მსოფლიო ვარსკვლავთა პირველ ათეულში შევიდოდა. გარდასახვის საოცარი ნიჭი ჰქონდა და ნებისმიერ როლს ბრწყინვალედ შეასრულებდა.



რამდენიმე წლის მანძილზე კაროლი და ჰალინა განუყრელი მეგობრები იყვნენ და ჯვრისწერასაც კი აპირებდნენ, მაგრამ დაიწყო ომი. მოულოდნელად კაროლმა მღვდლობა მოინდომა. ვერც ახლო ნათესავებმა და ვერც საცოლემ ვერ გადააფიქრებინეს. ჰალინა ბოლო წუთამდე ხავსს ეჭიდებოდა, თუმცა იცოდა, რომ კაროლი არასოდეს ცვლიდა გადაწყვეტილებას. ერთადერთხელ დაარღვია დანაპირები, როცა უარი თქვა ცოლის მოყვანაზე იგი დარწმუნდა, რომ ჰალინაზე მეტად ღმერთი უყვარდა.

მას შემდეგ, რაც მათი გზები გაიყარა, ჰალინამ გადაწყვიტა თავისი ღმერთისათვის — თეატრისათვის მიეძღვნა თავი.

1996 წელს პაპმა ჰალინა და ბავშვობის რამდენიმე მეგობარი თავის რეზიდენციაში, განდოლკოს ციხესიმაგრეში მიიწვია.

სამშობლოში დაბრუნების წინ რომის პაპი ჰალინას მამაშვილურად ეამბორა შუბლზე...

*პოსლედნიე ნოვოსტი №15*

# კონიაკის უფროსი ძმა – არმანიაკი

არმანიაკი, კონიაკზე ნაკლებცნობილი და პოპულარულია, მაგრამ მასზე გაცილებით „ასაკოვანი" — პირველად მას XV საუკუნეში მოიხსენიებენ. ღვინო, როგორც ეს კონიაკის შემთხვევაში მოხდა, ტრანსპორტირებისთვის რომ გაეძლო, ხელმეორედ გამოხადეს. არმანიაკის ოლქში ხშირი მუხის ტყეები საუკეთესო საწვავი მასალა გამოდგა სახდელი აპარატურის გასაცხელებლად და კასრების გასაკეთებლად. მაგრამ ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეს შუა მოქცეული არმანიაკის ოლქის გეოგრაფიული მდებარეობა აძნელებდა სასმლის ზღვის სანაპირომდე გავრცელებას. ამიტომაც მიუხედავად საუკეთესო საგემოვნო თვისებისა, არმანიაკი დღეს უფრო ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე კონიაკი.

არმანიაკს საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, პროვინცია გასკონიაში ადგილობრივი თეთრი ღვინის ბაზაზე აყენებენ, იმავე წესით, როგორითაც კონიაკს. რამდენიმე მუხის კასრში ჩასხმულ არმანიაკს, თანდათან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ახალი კასრებიდან უფრო ძველში გადაასხამენ, რათა სასმელში ბევრი ტანინი არ იყოს. არმანიაკის დასავარგებლად მხოლოდ ადგილობრივი მუხა გამოდგება. საკასრე ფიცრებს ღია ცის ქვეშ „აწრთობენ". დავარგების შემდეგ არმანიაკს ზოგჯერ 10.000 ლ მოცულობის უზარმაზარ კასრებში გადაასხამენ, სადაც მისი დაძველების პროცესი ნელდება. არმანიაკიან კასრებს ადგილობრივი ქვისგან აშენებულ სარდაფებში, მიწურ იატაკზე ინახავენ. არმანიაკის დაძველება უმრავლეს შემთხვევაში 40 წელს მიმდინარეობს. ამის შემდეგ მას ბოთლებში ჩამოასხამენ, სადაც დაძველების პროცესი შეწყდება და სასმელი შესანიშნავ არომატს ინარჩუნებს.

არმანიაკს კონიაკის ან მისთვის საგანგებოდ განკუთვნილ ბოკალში ჩამოასხამენ. ბოკალი უნდა შეათბოთ ხელში, მერე მისი სურნელი შეისუნთქოთ: მაშინვე იგრძნობთ ვანილის, ყვავილებისა და, სხვათა შორის, პორტვეინის სურნელს, რასაც არმანიაკს დაძველების ხანგრძლივი პროცესი აძლევს. სასმელს ასევე დაჰკრავს ქლიავისა და მწიფე ატმის სუნი. სურნელით დატკბობის შემდეგ, დაცლილ ბოკალს კიდევ რამდენიმე ხანს აყოვნებენ ხელში, რათა დარჩენილი არომატი მთლიანად შეიგრძნონ.



არმანიაკის შესმის წესი გაცილებით „დემოკრატიულია", ვიდრე კონიაკისა. შეიძლება შესვათ ყინულის, წყლისა და ხილის წვენის თანხლებით.

არმანიაკი შესანიშნავად „ესადაგება" შამპანურს, ფორთოხლის წვენს, ყავას — ესეც მისი მრავალფეროვანი არომატის წყალობაა.

*ვოტ ტაკ №19*

## დავიწყებული — კონან დოილი



სამხრეთ აფრიკის ქალაქ ბლუმფონტენში, რომელიც ოდესღაც ორანჟის თავისუფალი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო (შეგახსენებთ, რომ ორანჟში, ტრანსვაალში, კაპიში, ძირითადად ბურები — ჰოლანდიელ მოახალშენეთა, აგრეთვე ფრანგ და გერმანელ კოლონისტთა შთამომავლები ცხოვრობდნენ), არსებობს უნიკალური სამხედრო მუზეუმი. მისი ექსპონატები და დოკუმენტები ინახავენ ტრანსვაალის პრეზიდენტის კრიუგერის და ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტის შტაინის ხსოვნას. აქ არის უინსტონ ჩერჩილის იმდროინდელი ფოტო, როდესაც 25 წლის ჭაბუკი ბურებს ჩაუვარდათ ტყვედ. გრძელია იმ ცნობილ ადამიანთა ნუსხა, რომლებიც ბურების ორ რესპუბლიკაში — ორანჟსა და ტრანსვაალში აღმოჩნდნენ 101 წლის წინათ.

ბლუმფონტენში იმყოფებოდა კონან დოილიც. ლონდონის გაზეთებში დაიბეჭდა სტატია — „შერლოკ ჰოლმსი ომში მიდის“. ბევრმა ალბათ არ იცის, რომ კონან დოილი ჯარში არ წაიყვანეს, აღარც ასაკი უწყობდა ხელს — უკვე 40 წლის იყო და აღარც ჯანმრთელობა. კონან დოილმა მაშინ თავისი სპეციალობა გაიხსენა და ომში ქირურგად წავიდა, ბურებთან ომში დაჭრილ ინგლისელ ჯარისკაცებს მკურნალობდა.

სხვათა შორის, მისი საფლავის ქვას აწერია: „შერლოკ ჰოლმსის შემქმნელი“. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ კონან დოილი სულაც არ მიიჩნევდა შერლოკ ჰოლმსის შექმნას თავისი ცხოვრების მთავარ საქმედ.

„გადავწყვიტე, მომეკლა შერლოკ ჰოლმსი — იგი უფრო მნიშვნელოვანი საქმეების გაკეთებაში მიშლიდა ხელს,“ — წერდა ის დედას, და ის მართლაც ასე მოიქცა. 1893 წელს გამოვიდა მისი წიგნი „შერლოკ ჰოლმსის ბოლო საქმე“. მკითხველთა მოთხოვნით, მწერალს მაინც მოუხდა მათი საყვარელი გმირის გაცოცხლება. მაგრამ ახალი წიგნები შერლოკ ჰოლმსზე მხოლოდ ჩვენი საუკუნის დამდეგს გამოჩნდა. კონან დოილს 70-მდე წიგნი აქვს დაწერილი, შერლოკ ჰოლმსი მხოლოდ რამდენიმეში ფიგურირებს. წოდება „სერ“ მას აფრიკის ომზე შექმნილი წიგნისთვის მიენიჭა.

ეს წიგნი იმ დროისათვის უზარმაზარი ტირაჟით — 63 ათასი ეგზემპლარი გამოიცა.

კონან დოილს ძლიერ უყვარდა სიცოცხლე, თავგადასავალი, რომანტიკა, სპორტი, გატაცებული იყო კრივით. სიტყვა „თავგადასავალი“ მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი იყო. სიკვდილის წინაც კი იხუმრა, — ჩემს სიცოცხლეში უამრავი თავგადასავალი მქონია, მაგრამ ყველაზე გასაოცარი ახლა მელისო.

აფრიკამ მის ცხოვრებაში ბურებთან ომამდე დაიკავა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი. ჯერ კიდევ 1882 წელს, 23 წლის ახალგაზრდა ექიმი კონან დოილი დასავლეთ აფრიკაში წავიდა, შემდეგ ეს მოგზაურობა აღწერა წიგნში „ჰერლდსტონის სავაჭრო სახლი“. 1895 წელს კი იტალიიდან ეგვიპტეში ჩავიდა და იქ ნახევარი წელი გაატარა — საჰარაში სამოგზაუროდ ემზადებოდა. როცა სუდანელებთან ინგლისელებმა ომი განაახლეს, კონან დოილმა სამხედრო კორესპონდენტობა გადაწყვიტა, მაგრამ ცოლის მძიმე ავადმყოფობის გამო ინგლისში მოუწია დაბრუნება. სახელგანთქმული ბრიტანელის ერთ-ერთი უკანასკნელი წიგნია „ჩვენი აფრიკული ზამთარი“. მასში აღწერილია კონან დოილის მოგზაურობა ცოლ-შვილთან ერთად აფრიკაში. წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ჩემი ოჯახისთვის მინდოდა მეჩვენებინა ის ადგილები, რომლებიც ბურებთან ომის დროს ვნახე“. კონან დოილი ინგლისელი პატრიოტი იყო და, რა თქმა უნდა, ამართლებდა თავის სამშობლოს ბურებთან მიმართებაში. თუმცა, ცდილობდა გაეგო იმათიც, ვინც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და არ სურდა ინგლისის კოლონია ყოფილიყო.

***ეხო პლანეტი №6***

## ფერინციანი პიერო

კერენსკი რევოლუციური რუსეთის ყველაზე ოდიოზური ფიგურა იყო. პიერო — შანტანების მეფე, ასე უწოდებდნენ მას. ეს იყო საოცრად ეგზალტირებული, არტისტული და დაუდგრომელი პიროვნება. სიტყვის ნამდვილი მაგი, ჯადოქარი გახლდათ, შეეძლო ნებისმიერი მოწინააღმდეგის სიტყვით მოხიბვლა, გადმობირება. თითქოს ანდერსენის ზღაპრის გმირივით ჯადოქრული სალამურის საიდუმლო იცოდა, ისე გაიყოლიებდა ათასობით ადამიანს. 1917 წელს, როცა შეიარაღებული ჯარისკაცების ბრბომ თავრიზის სასახლე აიღო და არავინ იცოდა, საით მიემართა იარაღი, კერენსკის წარბიც არ შეუხრია, აღტყინებული ხალხის წინაშე გამოვიდა, რევოლუცია მიულოცა და საკუთარი თავის დაცვა დაავალა, რაც შესრულდა კიდეც.



ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ რევოლუციის დროინდელი ეს ეგზოტიკური ეგზემპლარი, სწორედ ის, რომელზეც ამბობდნენ, ბოლშევიკებს ქალის კაბაში გადაცმული გაექცაო, ჩვენს დროში, 70-იან წლებში გარდაიცვალა, თითქმის 90 წლისა. მისი გარდაცვალების შემდეგ ერთი ემიგრანტული გაზეთი დაწერს, „ამ საოცარი ბედის კაცის ბიოგრაფია 1917 წლის რამდენიმე თვეს მოიცავს...“ ალბათ, ასეც იყო. თავისი 90 წლიდან 50 წელი კერენსკიმ ემიგრაციაში გაატარა, თითქოს თავისი სახელიდან განცალკევებულმა. გვარი არსებობდა, თავად კი თითქოს — აღარ. მაგრამ მაინც, სწორედ მან მოახდინა უდიდესი გავლენა რუსული წარმოშობის ახალგაზრდა ქალის გადაწყვეტილებაზე, გამხდარიყო 80 წლის მოხუცის არა მარტო მდივანი, არამედ ცოლიც კი!

ალექსანდრ კერენსკი დაიბადა 1881 წლის 22 აპრილს ქალაქ სიმბირსკში. მამამისი — ფიოდორ კერენსკი სწორედ იმ გიმნაზიის დირექტორი იყო, რომელშიც ვალოდია ულიანოვი სწავლობდა. როცა მისი უფროსი ძმა მეფეზე თავდასხმის გამო გაასამართლეს, ვალოდია ულიანოვს გიმნაზიიდან გარიცხვა დაუპირეს. კერენსკის მამა წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას, უფრო მეტიც, კარგი სწავლისთვის ოქროს მედლით დააჯილდოვა. კერენსკი-უმცროსს სწავლაში მართალია თავი არ გამოუჩენია, სამაგიეროდ, საოცრად ლამაზი ტემბრის ბარიტონი ჰქონდა და მომღერლის კარიერაზე ოცნებობდა. უყვარდა სათავგადასავლო და ისტორიული რომანები. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გეგმები გრანდიოზული ჰქონდა და ამიტომ ერთბაშად პეტერბურგის უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე — ისტორიულ-ფილოლოგიურსა და იურიდიულზე იწყებს სწავლას, თუმცა მხოლოდ იურიდიული დაამთავრა. პროფესიამ და ორატორულმა ნიჭმა ხელი შეუწყო მის თავბრუდამხვევ კარიერას. თანამედროვენი იხსენებენ, სიტყვით გამოსვლისას ისეთ ექსტაზში შედიოდა, გონებას კარგავდაო.

იუსტიციის მინისტრის პოსტი რომ დაიკავა, მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა სიახლეების დანერგვას, რომელთაგან ერთ-ერთი — საქმიან შეხვედრებზე უცნობი ადამიანებისათვის ხელის ჩამორთმევის წესი გახლდათ. ხშირად, როცა მოგზაურობიდან შინ ბრუნდებოდა, დიდხანს არ შეეძლო მუშაობა, წერა, რადგან ხელები აღარ ემორჩილებოდა. მას შემდეგ, რაც დროებითმა მთავრობამ კერენსკის მეთაურობით, ძალაუფლება დაკარგა, კერენსკი ლონდონში გაიქცა, სადაც სამჯერ მიიღო ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა, რომელმაც განუცხადა, რომ სწორედ იგი იყო მთელი რუსეთის პოლიტიკური ლიდერი. მაგრამ დასავლეთმა მალე დაკარგა ინტერესი მისი პიროვნებისადმი — მისი იდეები რუსეთის აღორძინების შესახებ აღარავის აინტერესებდა. ემიგრაციაში ყოფნისას კერენსკი შიშობდა, ლევ ტროცკის ბედი არ გაეზიარებინა. მაგრამ მას სულ სხვა ბედი ელოდა. ტანდაბალი, კაფანდარა, სამშობლოსგან მოწყვეტილი და უსაქმოდ დარჩენილი კაცი თავს არ ღალატობდა. პარიზში ხშირად ხედავდნენ დიდებულ ავტომობილში ელეგანტურ ქალბატონთან ერთად, ბულვარ სენ-ჟერმენზე, რუსი ემიგრანტის სალონში მიმავალს. უკანასკნელ დრომდე შეინარჩუნა ხმამაღალი ლაპარაკის, კოკაინის ყნოსვის ჩვევა. საზოგადოებაში თავი მედიდურად ეჭირა. ზინაიდა გიპიუსი „დეკადენტური მადონა“, როგორც ემიგრანტთა წრეში უწოდებდნენ, ამბობდა, კერენსკი პიეროს ჰგავსო. იქნებ, სწორედ ეს ასაკისთვის შეუფერებელი ახალგაზრდული მანერები ხიბლავდა ქალებს. საკმაოდ ხანში შესული იყო, როცა ინგლისელი ქალი შეირთო ცოლად. ბედნიერად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ ქალი გარდაიცვლებოდა. 80 წლისამ ყმაწვილი მდივანი ქალი მოხიბლა და ეჭვიანობით სიცოცხლეს უმწარებდა, რადგან იმ დროისთვის გამუდმებით საავადმყოფოებში იწვა. სიცოცხლის უკანასკნელი 10-15 წელი მისი ცხოვრების უმძიმესი წლები იყო. უძლურებას კიდევ ერთი უბედურება დაემატა — თეძოს ძვალი მოიტეხა. ტკივილებისგან გატანჯულმა საწამლავი მოითხოვა, მერე კი, როცა თვითმკვლელობა არ გამოუვიდა, სიკვდილისთვის გააფთრებული ბრძოლა დაიწყო და გაიმარჯვა კიდეც.

ა. კერენსკი 1970 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა, გამთენიისას. სამოქალაქო პანაშვიდზე სულ 350 კაცი მივიდა. ასე დაასრულა სიცოცხლე მან, ვისი სახელი მისსავე ბედისაგან დამოუკიდებლად განაგრძობდა არსებობას.

***ორაკული №5***

## კეთილი მეცენატი



ცნობილი მაკდონალდსის რესტორნების ქსელის დამაარსებლის, მილიონერ რეი კროკის მეუღლეს — ჯოან კროკს თავის მოვალეობად მხოლოდ ერთგული ცოლობა მიაჩნდა: მხოლოდ რეის თვალისა და გულის საამოდ იცვამდა და იხურავდა, მხოლოდ მის მიძღვნილ სამკაულებს და საყვარელ სუნამოს ხმარობდა. ჯოანმა ასე ბედნიერად და სიყვარულით მიაღწია 70 წლამდე. გარდაიცვალა მისი სათაყვანებელი რეი. გათავდა ცხოვრება... აზრი დაკარგა დღემაც და ღამემაც... მაგრამ, ეტყობა, ჯოანს ბევრი სიკეთე, ენერგია და... ფული დაუგროვდა... ან იქნებ რეის სული შთააგონებს... დაბრუნდა ცხოვრების სურვილი, სიკეთის კეთების სურვილი...

70 წლის ჯოან კროკი არ იშურებს მილიონებს. იგი მაკდონალდსის საქველმოქმედო ცენტრს ჩაუდგა სათავეში. ესეც არ იკმარა კეთილმა ქალბატონმა და 80 მლნ დოლარი ხსნის არმიას გადაურიცხა. სითბო არ მოაკლო უმწეო ბავშვებს — სან-დიეგოს მიტოვებულ უბანში აუგო მათ საციგურაო ცენტრი, ბავშვთა ბაღი და უზარმაზარი აუზი. ცოდნის მოყვარული ქალბატონი ჯოანი ახალგაზრდობისთვის ზრუნავს. იგი მაჰათმა განდის სახელობის (ძალიან აფასებს მის მოღვაწეობას) მშვიდობისა და სამართლიანობის ინსტიტუტს აშენებს. ამით არ ამოიწურება კეთილი მეცენატის ქველმოქმედება. ჯოანმა რამდენიმე ანტიალკოჰოლური პროგრამა შექმნა; დიდი თანხა გადაურიცხა წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთ, 3,5 მლნ დოლარი გადასცა უსახლკარო კათოლიკეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯოან კროკი უზარმაზარი ქონების მფლობელია (მისი უძრავი ქონება 2,1 მლრდ დოლარად არის შეფასებული), ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობს, გამოირჩევა განსაკუთრებული თავაზიანობით. ჯოანს ძალიან მოსწონს საჩუქრების მოულოდნელად მირთმევა და, საერთოდ, ქველმოქმედების გაწევა, უყვარს მადლიერების გრძნობის დანახვა დასაჩუქრებულთა სახეზე...

ჯოან კროკი იმედოვნებს, რომ მდიდრები მის გზას გაჰყვებიან.

***კომერსანტ დეილი №14***

## ადამიანი — დისკეტა

ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის რეიტინგის თანახმად, მსოფლიოს უდიდეს გამომგონებელთა ხუთეულში შედიან: არქიმედე, ფარადეი, მარია კიური, ტესლა და კომპიუტერული დისკეტის გამომგონებელი იაპონელი დოქტორი იოსირო ნაკამაცუ. იგი მოგვითხრობს:



— დედაჩემი დიდად განათლებული ქალი იყო. სიყრმიდანვე მაჩვევდა შემოქმედებით საქმიანობას. 3 წლისამ თვითმფრინავის მოდელირება დავიწყე, 5 წლისას პირველი გამოგონება მქონდა, 14 წლისამ გამოვიგონე ნავთით მომუშავე ტუმბო, რომლის გამოშვება იაპონიის მრეწველობამ დაიწყო და მგონი, ახლაც უშვებს. ჩემი ცხოვრების მანძილზე, მე კი უკვე 72 წლისა ვარ, 3 ათასზე მეტი გამოგონება მაქვს. დისკეტა, რომელსაც კომპიუტერებში იყენებენ, 24 წლისამ შევქმენი და მისი დამზადებისა და გამოყენების უფლება კომპანია „IBM“-ს მივყიდე. მანვე შეიძინა ჩემგან 16 ლიცენზია. ესეც თავისებური მსოფლიო რეკორდია.

დარწმუნებული ვარ, რომ გამომგონებლობა შეიძლება ჩვეულებრივ, საშუალო მონაცემების ადამიანსაც ასწავლო. ამისთვის შევქმენი გამომგონებლობის ფილოსოფია. თუ ადამიანი სიყმაწვილიდან შეითვისებს მას, სერიოზულ შედეგებს მიიღებს. ეს ფილოსოფია მარტო გამოყენებით მეცნიერებაში კი არა, ბიზნესისათვისაც შეიძლება სასარგებლო გამოდგეს. გამომგონებლობა ხომ ყველა დარგს სჭირდება. ადამიანი, რომელიც თავის ბიზნესს ნულიდან იწყებს, იძულებულია, გამოიგონოს რაიმე სრულიად ახალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონელი შეიძლება გაუყიდავი დარჩეს.

მსოფლიოში გამოგონება მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლება დამთავრებულად, თუ გააჩნია პატენტი და მიყვანილია იმ წერტილამდე, როცა მისი წარმოება შეიძლება. თუ იგი გამოსაცდელი ნიმუშის დონეზე რჩება, შეიძლება ითქვას, რომ შრომა წყალში ჩაიყარა.

მთავარი პრობლემა, რომელიც ამჟამად კაცობრიობის წინაშე დგას, ახალი ენერგიის გამოძებნაა. აუცილებლად უნდა შევწყვიტოთ გარემო სამყაროს დაბინძურება, მაგრამ ვერც ატომური ენერგია, ვერც ქარის ენერგია ნავთობს ვერ შეცვლის. და მაინც, მე ვიპოვე ალტერნატიული წყარო — ეს არის კოსმოსის ენერგია. თეორიული კვლევა-ძიება დამთავრებულია და 2001 წელს, ვიმედოვნებ, შეიქმნება ენერგეტიკული დანადგარის პროტოტიპი. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც მრეწველობაში, ასევე საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის.

გარდა ამისა, შევქმენი პატარა, წყლით მომუშავე ძრავი ავტომობილებისთვის. თუ როდის დაიწყებენ მათ მასობრივ დამზადებას, ეს უკვე საავტომობილო კონცერნებზეა დამოკიდებული. მისი დანერგვა უდიდეს გავლენას მოახდენს მსოფლიოზე. მკვეთრად დაეცემა მოთხოვნა ნავთობზე. ახლა მსოფლიო ახალი ნახტომისთვის ემზადება, ახალი ტექნოლოგიები თავიანთ რიგს უცდიან.

***ოჯი №5***

## ლეგენდები ღარიბთა ოჯახებშიც იბადებიან

**მიუნხენში გამოვიდა მე-20 საუკუნის ცნობილ მილიონერ ქალთა ბიოგრაფიების წიგნი. მისი ავტორი, გუნთერ ლეერი ასკვნის, რომ ამ ქალთა უმრავლესობას არა მარტო შემთხვევის წყალობით გაუღიმა ბედმა, არამედ ისინი საკმაოდ ალღოიანებიც იყვნენ.**

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მილიონერი ქალი **ნადინ დე როტშილდი** ღარიბ ფრანგულ ოჯახში დაიბადა. დედა მუშა ჰყავდა, მამას საერთოდ არ იცნობდა. 14 წლისამ პარიზის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს ლამაზ ნადინს ერთმა მხატვარმა მენატურეობა შესთავაზა. გავიდა ხანი და მავანმა კინორეჟისორმა ფილმში მიიწვია. ასე გახდა ნადინი მსახიობი. ერთხელ, მაღალი წრის წვეულებაზე, ბარონ ედმონდ დე როტშილდის გვერდით დასვეს... როგორც შემდეგ ორივემ აღიარა, ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ. საღამოს ედმონდმა ქალი ღამის პარიზში გაასეირნა, მერე ღამე ელისეს მინდვრებზე, ძვირადღირებულ სასტუმროში გაატარეს. რამდენიმე თვის შემდეგ ნადინი ბარონესა დე როტშილდი შეიქნა.



პალომა პიკასო მეუღლესთან ერთად

ბარონესა ნადინი შესანიშნავი დიასახლისი გამოდგა — ქმრის სასახლეები დიდებულად გააწყო, მისი მთავარი გატაცება ნადირობა იყო. დღემდე ნადინ როტშილდი ერთ-ერთ საუკეთესო მონადირედ მიიჩნევა ევროპაში. ბარონი მას „ჩემს ღვთაებრივ მონადირეს“ უწოდებდა. შვეიცარიაში მათი სახლი მოფენილია ნადინის მონადირებული ცხოველების ფიტულებითა და რქებით. ნადინმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქმრის კაპიტალი — დააწყებინა ღვინის წარმოება — წელიწადში მილიონ ბოთლ ღვინოს უშვებდნენ. ნადინს მიაჩნია, რომ ყველაფერს მიაღწია, რაც სურდა.

მეორე მილიონერმა ქალმა — **პალომა პიკასომ** წარმატება იღბლიანი ქორწინებით კი არა, მხოლოდ საკუთარი მიზანდასახულობითა და ნიჭით მოიპოვა — ეს მას მამისაგან ერგო მემკვიდრეობით. მისი სახელის მატარებელი საიუველირო ნაკეთობებისა და სუნამოების სერია მსოფლიოში საყოველთაოდაა ცნობილი. კოლექციებისათვის სუნამოებსა და ძვირფასეულობას ყველაზე სახელგანთქმული მოდელიერები უკვეთავენ: პალომა პიკასოს ყოველთვის უზადო გემოვნებით აცვია. 1983 წელს იგი „წლის ყველაზე ელეგანტურ ქალად“ აღიარეს.

პალომა ნიუ-იორკში ცხოვრობს. ამბობს: — ჩემი ცხოვრების სტილს ეს ქალაქი უფრო შეეფერებაო. მდიდრული, 15 ოთახიანი ბინა აქვს, გემოვნებით მოწყობილი შესანიშნავი ავეჯითა და ძვირფასი ხალიჩებით, რომლებიც პალომასა და პაბლო პიკასოს ნახატების მიხედვითაა მოქსოვილი. პალომა დიდი მხატვრის მეოთხე და საყვარელი შვილი იყო. ბავშვობაში მამას მაღალი საზოგადოების ყველა წვეულებაზე დაჰყავდა, ხშირად დაიარებოდნენ გამოფენებსა და კორიდაზე. მამის სიკვდილის შემდეგ პალომამ მემკვიდრეობად 139 მლნ ფრანკი მიიღო, რაც შემდგომ გააორმაგა.

კიდევ ერთი მილიონერი ქალი — **სიმონა დელ დიუკა** პარიზის ცენტრში, 18 ოთახიან ბინაში ცხოვრობს. აქვს რამდენიმე სახლი და ციხესიმაგრე საფრანგეთის სამხრეთსა და ჩრდილოეთში. მისი მთავარი გატაცებაა — ცხენები. ნორმანდიაში, საკუთარ მამულში, საუკეთესო ჯიშის ცხენები გამოჰყავს. თითქმის ყველა პრიზი აქვს მოგებული, რომლებიც კი ოდესმე არსებულა დოღში.

მომავალი მილიონერი ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ოჯახში დაიბადა. 18 წლისა სიყვარულით გაჰყვა ცოლად არც ისე მდიდარ, მაგრამ ჭკვიან იტალიელ ემიგრანტს. რამდენიმე წლის შემდეგ ჩინო დელ დიუკა საფრანგეთ-იტალიის პოპულარული გაზეთებისა და ჟურნალების გამომცემელი შეიქნა. მას „ბულვარული პრესის იმპერატორს“ უწოდებდნენ. რამდენიმე წელიწადში ცოლ-ქმარი მილიონერები გახდნენ. ქმრის გარდაცვალების შემდგომ საქმეს სიმონა აგრძელებს. გარდა ამისა, დაარსებული აქვს ფონდი, რომელიც ნიჭიერ მწერლებსა და მეცნიერებს სტიპენდიას უხდის. სიმონა დელ დიუკას მიაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველაფრის მიღწევა შეიძლება, ოღონდ ძალიან უნდა მოინდომო.

***პოსლედნიე ნოვოსტი №11***

მიხეილ სუმბაძის განთქმული ნატურალური სამკურნალო საშუალება უტყუარი და სტაბილური შედეგით

ღრძილების ელექსირი
მკურნალი სუმბაძე®
მწვანე აფთიაქი „ციბანა“

იმკურნალეთ საუკეთესოთი

მცენარეული ნაყენი პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადების სამკურნალოდ (ნებ. №FT-0104)

◆ღრძილების ანთება ◆პარადონტოზი ◆გინგივიტი ◆პიორეა ◆სტომატიტი ◆ჩირქოვანი გლანდები ◆ბრონქების გაწმენდა ნახველისა და ნიკოტინის დანალექებისაგან ◆სურდოს, გრიპისა და ხველების დროს.
◆წამალი მოთავსებულია 0,5 და 0,33 ლ. მინის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის 141 (9-18სთ.)
აღმაშენებლის 115 (10-18სთ.) კვირის გარდა
ტელ: 877-41-86-16; 69-18-38 (საღამოს)

ლალის კრისტალებით მინიჭებული მშვენიერება



ამ სამიოდე წლის წინ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ყველაზე მტკივნეული პრობლემის — ჭარბთმიანობის თავიდან აცილება მხოლოდ ელექტროეპილაციით და სხვა მეთოდების საშუალებით იყო შესაძლებელი. მოგეხსენებათ ბუნებაში უცვლელი არაფერია და გაუმჯობესებისა და მეთოდის დახვეწის პრინციპით თანამედროვე ტექნოლოგიამ ამ საკითხის გადასაჭრელად ლაზერული ეპილაცია შექმნა. ლაზერული ეპილაციის რამდენიმე სახე არსებობს. მათ შორისაა ლალის ლაზერიც. ლალის ლაზერი ყველაზე ბუნებრივ ლაზერად არის მიჩნეული. ის თმას საუკეთესოდ „ხედავს“ და თანაც „ორმაგი ქმედების“ პრინციპით ზემოქმედებს (სხივების კანში გატარების შემდეგ ზედმეტი ლაზერული სინათლე უკუშეიწოვება. ეს კი მეტად ეფექტურია).

მცდარია ის აზრი, რომ თითქოს ლალის ლაზერი კანის დამწვრობას ან შეფერილობის შეცვლას იწვევდეს. პირიქით, კანის სპეციალური ტესტირების სისტემით (EPI CHECK) ზუსტად განისაზღვრება — თქვენი კანის ტიპი, ფერი, თმის ხარისხი და მისი სიძლიერე. ამის გათვალისწინებით ზუსტად დოზირდება გამოყენებული ლაზერული სხივების რაოდენობა. და შედეგად კანის მგრძნობელობის მიუხედავად ეპილაციის კვალი რამდენიმე წუთის შემდეგ უკვალოდ ქრება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი ეპილაცია პრაქტიკულად უმტკივნეულო, ძლიერ სწრაფი და ამასთან უვნებელია.

ასე რომ, ენდეთ ლალის ლაზერულ ეპილაციას, ის თქვენი სილამაზისა და მშვენიერების საუკეთესო გარანტიაა.

საუკეთესო გერმანული ფირმის „ესკულაპ მედიტეკი“-ს ულტრა-თანამედროვე აპარატი „RUBY STAR“-ი.
მის: ირ. აბაშიძის ქ. №29 ტ: 25-18-88; 25-18-90



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

ექიმების, ბიოსამედიცინო დარგის მკვლევარების და მედიკოს სტუდენტების საყურადღებოდ
საქართველოს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს
ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრი
გთავაზობთ:

- საინფორმაციო ძიებას ინტერნეტში, Medline/OVID-სა და MDConsult-ში - 3500 ჟურნალის თეზისები, 60 ჟურნალის - სრულტექსტური სტატიები!
- სტატიების 48 სთ-ში მიღებას აშშ უნივერსიტეტებიდან ელექტრონული პროგრამა “Ariel”-ის მეშვეობით;
- ინტერნეტში და Medline-ში მუშაობას ყველაზე დაბალი ფასებით (1სთ – 0,75 ლ);
- სამედიცინო თეზისებისა და სტატიების განთავსებას ინტერნეტში;
- მულტიმედიური (CD-ROM) სამედიცინო პროგრამებით სარგებლობას;
- 130-მდე უახლეს სახელმძღვანელოს და კაპლანის ტესტებს (ინგლისურ ენაზე);
- ინფორმაციებს კონგრესების, კონფერენციების, სიმპოზიუმების შესახებ;
- ორკვირეულ ქართულ-ინგლისურ „ინტერნეტის სამედიცინო დაიჯესტს“;
- ელექტრონული ფოსტით (E-mail) სარგებლობას;
- სწრაფად შემსწავლელ კომპიუტერულ კლასებს სათანადო სერთიფიკატების გაცემით;
- ინტერნეტში სარეკლამო ფურცლების დამზადებას და **უფასოდ** განთავსებას ცენტრის ვებ-სერვერზე და საქართველოს ჯანდაცვის მონაცემთა ბაზაში;
- მომსახურების მოხერხებულ სააბონენტო სისტემას.

ინტერნეტში და მედლაინში მუშაობის ყველაზე დაბალი ფასები!!!

მომხმარებელთა მიღება: 12-16.30 სთ; კომპიუტერული კლასები: 16.30-18 და 18-19.30 სთ (წინასწარი ჩაწერა).
მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ.№51, II სართული
ტელ. 94-13-88, 94-13-86. ფაქსი: 94 13 91.
ელ-ფოსტა: nilc@nilc.org.ge ან hp@nilc.org.ge
http://www.nilc.org.ge
MDConsult OVID United States National Library of Medicine NLM Ariel

# დაიცავით მადასთან ბრძოლის წესები



ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანს აწუხებს ზედმეტი წონის პრობლემა. მხოლოდ ინგლისში 2,5 მილიონზე მეტი ადამიანი დადის ფიტნეს-ცენტრის გამაჯანსაღებელ კლუბებში, ტრენაჟორების დარბაზებში.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სპორტი ყოველთვის როდი უწყობს ხელს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეცადინეობები ტარდება არაკვალიფიციური პედაგოგის ხელმძღვანელობით.

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ მეცადინეობის დაძაბული რეჟიმი შეიძლება ადამიანისთვის დამღუპველი გამოდგეს.

— თუ ადამიანი სავარჯიშო დარბაზში მხოლოდ იმ განწყობით მოდის, რომ „დაიტანჯოს“ და ზედმეტი ქონი მოიცილოს, მაშინ ამგვარი სპორტული მეცადინეობით დაავადდება, შეიძლება დაეწყოს დეპრესია, ანორექსია ანდა, პირიქით, ბულიმია, როცა ნერვულ ფონზე ველარ აკონტროლებ კვების პროცესს. მსგავს მდგომარეობას უწოდეს „ზედმეტი ვარჯიშის სინდრომი, — ამბობს ინგლისელი სპორტული ფსიქოლოგი იან კოკერილი, — ინსტრუქტორებმა ან არაფერი იციან ამის შესახებ, ანდა განზრახ ხუჭავენ თვალებს, როცა ამჩნევენ ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლას.

ინგლისელ ექიმებს მხარი აუბეს ამერიკელმა კოლეგებმაც. მათი აზრით, საკმაოდ მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მწვრთნელთა რეკომენდაციები, რომლებიც, როგორც წესი, ვარჯიშთან ერთად მათზე მინდობილ ადამიანებს სთავაზობენ ბიოლოგიურად აქტიური „ბად“-ის დამატებას, რათა ვარჯიშმა ეფექტური შედეგი გამოიღოს.

37 წლის ქალი, 2 შვილის დედა ტრაგიკულად დაიღუპა. ის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ცუდად გახდა და 10 სთ-ის შემდეგ კლინიკაში ტვინში სისხლჩაქცევით გარდაიცვალა. გაკვეთამ გაარკვია, რომ ქალი მისი მწვრთნელის რჩევით იღებდა „ბადს“, რომელიც წონის დაკლებაში კი ეხმარებოდა, მაგრამ სასიკვდილო აღმოჩნდა ჰიპერტონიკი ქალისთვის, რადგან ამ კომპლექსში შედიოდა ეფედრინი...

ინგლისელი მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ სხვა წამლებთან ერთად მიღებულმა მცენარეულ საფუძველზე დამზადებულმა „ბადმა“ შეიძლება სერიოზული პრობლემა შეუქმნას პაციენტს. მაგ. პრეპარატი იოხიმბე, რომელიც სწრაფად წევს მაღლა სისხლის წნევას, ინგლისში აკრძალულია, ამერიკაში კი ნებადართულია. ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ალოევერას საფუძველზე შექმნილი „ბად“-ი ხელს უწყობს სიმსივნის ზოგიერთი ფორმის წარმოქმნას. არასასურველი შედეგები მიიღეს ვიტამინების ზედმეტი დოზით მიღებისას...

რა უნდა ვიცოდეთ, სანამ პირისკენ გავაქანებდეთ „მაცოცხლებელ აბებს?“

აუცილებლად საჭიროა, რომ წამალს ჰქონდეს სერტიფიკატი და არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ვიტამინები ექიმის რჩევის გარეშე. ნუ მოინდომებთ სწრაფ გამოჯანმრთელებას. სჯობს თანდათანობით მიაღწიოთ სასურველ შედეგს. ეს ეხება მათაც, ვინც იღებს სხვადასხვა აბებს წონის დასაკლებად.

*თაიმსი №71*

# გულის წასვლა

გულის წასვლა (სინკოპე) — ცნობიერების უეცარი დაკარგვაა. მისი საფუძველი თავის ტვინის მწვავე, მაგრამ მცირე ხნით განვითარებული სისხლნაკლებობაა. ეს კი, როგორც წესი, არტერიული წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითებით არის განპირობებული.

სტატისტიკური მონაცემებით, ცხოვრების მანძილზე გულის წასვლის ამა თუ იმ ფორმით გამოხატული ეპიზოდი ადამიანთა 50%-ს ერთხელ მაინც აღენიშნება.

განსაკუთრებით ხშირად მისდით გული ბავშვებს, ახალგაზრდა ქალებს, ფეხმძიმეებსა და მოხუცებს.

ის ვითარდება ნერვული გადაძაბვის, შიშის, გადაღლის, სისხლის დანახვის დროს; აგრეთვე გულის დაავადებების, მწვავე სისხლდენის, შიმშილის, ჩახუთულ ჰაერში ყოფნისას. ზოგჯერ გულის წასვლა ფეხზე დგომისას ანდა ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში უეცარი გადასვლის დროსაც აღინიშნება.

ამ დროს ადამიანი ფერმკრთალია, უმოძრაო, ოფლიანი, ვითარდება ჰიპოთერმია (სხეული ცივდება), სუნთქვა ზერელე და იშვიათია, არტერიული წნევა — დაქვეითებული.

საჭიროა გულწასულის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოთავსება. ამ შემთხვევაში ის სწრაფად მოეგება გონს. ტვინის სისხლმომარაგების გაუმჯობესების მიზნით სასურველია ადამიანს ფეხები ავაწევინოთ. ამ დროს სისხლი თავისკენ გადაინაცვლებს.

მცდარია, როდესაც ცდილობენ გულწასულის ფეხზე წამოყენებას. ეს შესაძლოა სინკოპის კვლავ განმეორების მიზეზიც გახდეს.

გაფრთხილდით! გახანგრძლივებული სინკოპის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ტვინის ინფარქტი.

ზოგჯერ გულის წასვლას თან სხვა სიმპტომებიც ახლავს. მაგ., გულმკერდის არეში ტკივილი — გულის იშემიურ დაავადებაზე მიუთითებს, გულის ფრიალი კი — შესაძლო არითმიაზე და ა.შ.

დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება სისხლის წნევის გაზომვას. მნიშვნელოვანია გულის წასვლისაგან სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული თავბრუსხვევის ეპიზოდების, კერძოდ, — ჰიპოგლიკემიის, ეპილეფსიური გულყრის, ისტერიული გულის წასვლის დიფერენცირება (გარჩევა). ამ დროს არტერიული წნევა და გულისცემა ნორმის ფარგლებშია. ადამიანს არა აქვს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: ოფლიანობა და სიფერმკრთალე.

**მკურნალობა.** ჰორიზონტალური პოზის მიღება გულის წასვლის ეპიზოდის დასრულების საფუძველია. ამ დროს სხვა რაიმე ღონისძიებების ჩატარება საჭირო არ არის.

ხშირი გულის წასვლის დროს კი ზოგჯერ ეფექტურია ჭარბი მარილის შემცველი საკვების მიღება, ვიტამინოთერაპია და ბოლოს, თუკი მისი გამომწვევი მიზეზი რაიმე სერიოზული პათოლოგიაა (გულის მანკი, გულის იშემიური დაავადება) საჭიროა ამ ძირითადი დაავადების მკურნალობა.

*მაია მუხიგული*

# თუ თქვენი შვილი ცაციაა, ნუ შეშინდებით



დამტკიცებულია, რომ ცაციები ნიჭითა და გონებრივი განვითარებით არაფრით განსხვავდებიან მემარჯვენეებისაგან. მარცხენა ხელით საქმიანობას ადამიანი ბავშვობიდან უნდა გადაეჩვიოსო, — ამბობდნენ ძველად და აძალებდნენ ბავშვს მარჯვენა ხელით წერას, ხატვას, ჭამას... რაც ძალზე მოქმედებდა მათ ნერვულ სისტემაზე. ახლა ამ საკითხს იოლად უყურებენ. ცაცია არც ისე ბევრია (10%-მდე), თუმცა გრძელდება დავა იმაზე, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა თუ პათოლოგია.

ცაციობა 4-5 წლის ასაკიდან ყალიბდება. ცაციები გონებრივად და ფიზიკურად ჩვეულებრივად ვითარდებიან, თუმცა მემარჯვენეებთან შედარებით შეიძლება ცოტა უფრო მოძრავნი და ცქვიტები იყვნენ; თუ შეამჩნევთ, რომ თქვენს პატარას უფრო ემარჯვება მარცხენა ხელის ხმარება, ძალით ნუ გადააჩვევთ, ხშირად ნუ მისცემთ შენიშვნას, სთხოვეთ ბაღის აღმზრდელს, ფაქიზად მოექცეს ბავშვს.

პაწია ნელ-ნელა, თამაშ-თამაშ შეაჩვიეთ მარჯვენა ხელის ხმარებასაც, კარგია ხელის მტევნისა და თითების გასავითარებლად ვარჯიშები. არ დაგავიწყდეთ — მარცხენა ხელით მუშაობისას მაგიდის ნათურა მარჯვნივ უნდა დადგათ. არ გაუმახვილოთ ბავშვს ყურადღება ცაციობაზე, მას არ უნდა რცხვენოდეს იმის გამო, რომ თანატოლთაგან განსხვავდება.

გამოკვლეულია, რომ ცაციობა მემკვიდრეობითია.

*ოტდოხნი №7*

# შოფინგი — საუკეთესო მკურნალი



ქალები დროს ყველაზე უკეთ მაღაზიებში ატარებენ. აქ ისინი დადიან არა მხოლოდ საჭირო ნივთების შესაძენად, არამედ სიამოვნებისთვისაც!

ამერიკელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან — შოფინგი (ანუ მაღაზიებში სეირნობა) ქალებისთვის ძალზე მნიშვნელოვანიაო. ამ „საქმიანობამ“ შესაძლოა, ქალის ორგანიზმსა და გუნება-განწყობაზე სასწაული მოახდინოს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ პოტენციურ მყიდველს სასურველი ნივთის დანახვისას სუნთქვა უხშირდება, გული გამალებით უცემს და თვალის გუგები უფართოვდება. სარკის წინ, ვთქვათ, კაბის მოზომებისას ქალის სისხლში უმალ მატულობს ადრენალინის რაოდენობა. ნივთის შეძენის შემდეგ ქალის ორგანიზმი განიცდის რელაქსაციას და პულსიც მშვიდდება. ქალი არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში, მაგრამ ფლანგვის ვნება თუ თვეში ერთხელ წამოუვლის, ამას ამერიკელი სპეციალისტები ნორმალურად მიიჩნევენ. შოფინგის თაყვანისმცემლები აცხადებენ, რომ მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდად უნდა დაინერგოს შოფინგიცა და ვიტრინების დათვალიერებაც; ეს კლიენტსაც არგებს და მაღაზიის მეპატრონესაც. ავსტრალიელი ფსიქოლოგები ქალებს ურჩევენ: უსათუოდ ხშირად იყიდონ რაიმე სასურველი ნივთი. თუ მას ვერ შესწვდებიან, რაიმე წვრილმანი მაინც შეიძინონ.

— გახსოვდეთ, ფული უნდა დაიხარჯოს (რასაკვირველია, ზომიერად), ფულის დაგროვება ნაკლებად სასარგებლოა, — ამბობენ ფსიქოლოგები.

მოკლედ, შოფინგი უნივერსალური ფსიქო-თერაპიული საშუალებაა შემოდგომა-ზამთრის დეპრესიის წინააღმდეგ, საყვარელ ადამიანთან განშორების შემდეგ დასამშვიდებლად და საერთოდ, უგუნებობის გამოსასწორებლად.

*ზა რუბეჟომ №5*

# ტესტი

## ნერვიულობთ, როცა...

**უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“**

1. გსურთ ადრესატთან დარეკვა, ნომერი კი მუდმივად დაკავებულია;
2. მართავთ ავტომობილს, თქვენ გვერდზე მჯდომი მგზავრი კი გამუდმებით რჩევებს გაძლევთ;
3. ვიღაცას ესაუბრებით, მესამე პირი კი მუდამ გერთვებათ საუბარში;
4. ვიღაც გაწყვეტინებთ ოცნებას;
5. გრძნობთ, რომ ვიღაც ყურადღებით გითვალთვალებთ;
6. თქვენი მოსაუბრე უმიზეზოდ იმაღლებს ხმას და საერთოდ ხმამაღლა ლაპარაკობს;
7. უყურებთ შეუხამებელ ფერთა გამას (ტანსაცმელში, დიზაინში);
8. თქვენი ხელის ჩამორთმევას უპასუხოდ ტოვებენ;
9. ელაპარაკებით ადამიანს, რომელიც თქვენს თითოეულ სიტყვას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს;

***თუ ხუთ კითხვაზე მეტს, დადებითი 5 პასუხი გაეცით, გაითვალისწინეთ, რომ თქვენ ნერვიული სტრესის ზღვარზე ხართ. გააანალიზეთ ამ მდგომარეობის მიზეზი, შეძლებისდაგვარად დამშვიდდით, დაისვენეთ, ან უბრალოდ, გამოიძინეთ.***

# ახალი ელენე მშვენიერი

ძველბერძნული მითი მოგვითხრობს, რომ ოლიმპოს სამი ქალღმერთი ერთმანეთს ეცილებოდა პირველობას სილამაზეში. მსაჯულად მიიწვიეს ტროელი უფლისწული პარისი, რომელმაც უმშვენიერესად აღიარა აფროდიტე და მისი მსჯავრით კმაყოფილი ქალღმერთი სიყვარულისა ცოლად დაჰპირდა მოკვდავ ქალთაგან ყველაზე მშვენიერს — ელენეს.

გამოხდა ხანი და პარისი გაუდგა გზას სპარტისაკენ, სადაც ცხოვრობდა მშვენიერი ელენე. ტროელ უფლისწულს აფრთხილებდნენ, შენც დაიღუპები და შენი სამშობლოც განადგურდებაო.

მისნობის ნიჭით დაჯილდოებულ კასანდრას ელანდებოდა მომავალი ომის შემზარავი სურათები: ცეცხლმოდებული ქალაქი, სისხლის მდინარეები და მიწაზე გართხმული დამცველები ტროისა. ნათელმხილველი კასანდრა უმწეოდ ჭვრეტდა, თუ როგორ მიჰყავდათ ცრემლშეუშრობელი ქალები გადამწვარი ტროიდან ტყვეობაში და ევედრებოდა პარისს, ცდუნებას ნუ აჰყვებიო. მაგრამ მშვენიერ ელენეზე ოცნებით შებორკილი პარისი აღარავის უგდებდა ყურს.



მენელაემ, ელენეს მეუღლემ, გულთბილად მიიღო სტუმარი და მის პატივსაცემად ლხინიც გამართა. პარისმა სწორედ მაშინ პირველად იხილა მშვენიერი ელენე და კიდევ უფრო მოიხიბლა. სინამდვილე უდავოდ აღემატებოდა საყოველთაოდ გავრცელებულ მითქმა-მოთქმას ელენეს მშვენებაზე. ტროელი უფლისწული აღტაცებით შეჰყურებდა ულამაზეს ქალს. პარისის შესახედაობამ ელენესაც მოსტაცა თვალი.

რამდენიმე დღის შემდეგ მენელაეს გამგზავრება მოუხდა კრეტას კუნძულზე. ტროელმა უფლისწულმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და მშვენიერი ელენე მოიტაცა.

გულთბილად მიღებული სტუმრის ამგვარმა მუხანათობამ, ცხადია, საშინლად აღაშფოთა მენელაე. მომხდარი ამბავი მყისვე აუწყა თავის ძმას, აგამემნონს და დაეკითხა, პარისზე შური როგორ ვიძიოო. აგამემნონმა ურჩია, შეეკრიბა საბერძნეთის გამოჩენილი გმირები ტროასთან საომრად.

ჯერ მოლაპარაკება სცადეს. მენელაე მოითხოვდა, რომ დაებრუნებინათ მისთვის მეუღლე, მაგრამ ამაოდ გაისარჯა.

და გაჩაღდა ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომი. ერთიმეორის მიყოლებით იღუპებოდნენ საბერძნეთისა და ტროის სახელოვანი გმირები, ომს კი დასასრული არ უჩანდა.

მეათე წელსღა აიღეს ბერძნებმა ტროა, მცირე აზიის ყველაზე ცნობილი ქალაქი.

მეუღლემ დაიბრუნა მშვენიერი ელენე...

სამეცნიერო ლიტერატურაში ტროის ომის ნამდვილ მიზეზად გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებია მითითებული და სწავლულთა ირონიულ ღიმილს იწვევს იმის მტკიცება, რომ ბერძნული სახელმწიფოები და მათი მხედართმთავარნი ათი წლის მანძილზე ებრძოდნენ ტროას მშვენიერი ელენეს გულისათვის.

მაგრამ ლამაზი ლეგენდა თავის პოზიციებს არ თმობს და სამუდამოდ დამკვიდრებულა კაცობრიობის მეხსიერებაში. ჩვეულებრივ მკითხველს, ეტყობა, სიყვარული უფრო მიმზიდველ მიზეზად ეჩვენება ომისათვის, ვიდრე ცხო ქვეყნის დაპყრობისა და ძარცვის წყურვილი.

ანალოგიური თქმულებანი მოიპოვება სხვა ხალხთა ისტორიაშიც და რა გასაკვირია, რომ ქართველი ქალის მშვენებაც გამხდარა წყარო ლეგენდისა, სადაც ვხვდებით ხელმწიფის სიყვარულსაც და სიყვარულითვე გამოწვეულ ომსაც.

აღმოსავლური ეგზოტიკით გატაცებული ევროპელი ავტორები ამგვარ საკბილოს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ!

## ჩემს ულმობელ რისხვას იგემებო

1632 წელს საქართველოში ჩამოსული იტალიელი მისიონერი კრისტოფორო კასტელი ხატავს ხორეშან დედოფალს, ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის მეუღლეს და მაშინვე აგონდება მშვენიერი ელენეს უკვდავი მითი.

ხორეშანის პორტრეტს ახლავს ასეთი წარწერა: „ეს ქართველთა დედოფალი ვარდისფერაა, თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსება, რომლის სიმშვენიერე გახდა სამეფოს დაქცევის მიზეზი, ისე რომ, შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე“.

მეორე ნახატისათვის დართული წარწერა ნათლად განმარტავს იმას, თუ რატომ გახდა მშვენება ქართველი დედოფლისა სამეფოს დაქცევის მიზეზი:

„დედოფალი ძალიან ლამაზია. შაჰ-აბასმა, სპარსეთის ხელმწიფემ, მისი შერთვა მოინდომა. თეიმურაზი არ დათანხმდა, რამაც განარისხა შაჰ-აბასი. მან იბერიაში გამოგზავნა ჯარი და მისი სამეფოს დიდი ნაწილი გააუკაცრიელა. მიუხედავად ამისა, ცოლი მაინც ვერ წაართვა“.

კასტელის მესამედაც აღუბეჭდავს ხორეშან დედოფლის სახე, ამჯერად მეუღლესთან ერთად. პირმოქუფრულნი შემოგვყურებენ თეიმურაზი და ხორეშანი, ერთიმეორეს მისჭდობიან და თითქოს გვამცნობენ უსიტყვოდ, რომ არანაირ ძალას ამქვეყნად არ ძალუძს მათი გაყრა.

კასტელის მიერ ლაკონიურად აღნიშნულ ამბავს ყველაზე ვრცლად მოგვითხრობს XV საუკუნის იტალიელი ისტორიკოსი ბართოლომეო ფერო თავის თხზულებაში „თეათინელთა მისიონების ისტორია“ (რომი, 1704წ). ავტორი ეყრდნობა იმ კათოლიკე მისიონერთა რელაციებს, ირანსა და საქართველოში რომ მოღვაწეობდნენ XV საუკუნის პირველ ნახევარში და სისტემატურად მოახსენებდნენ ვატიკანს იქაური მოვლენების შინაარსს.

ფეროს მიხედვით, დავით მეფემ დატოვა ანდერძი, რომ მისი შვილი თეიმურაზი გაეგზავნათ შაჰ-აბასის კარზე, „ამ უძლიერესი ხელმწიფის“ მეურვეობის ქვეშ. კახეთის ტახტის მემკვიდრე ჯერ ყმაწვილი იყო და ქვეყანას ვერ გაუძღვებოდა. სამეფოს განაგებდა დაქვრივებული ქეთევანი, მშვენიერი და კეთილგონიერი ქალი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი ძაძებით შეიმოსა და ლამის მონაზვნის ადათ-წესებით ცხოვრობდაო.

იტალიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ღვიძლი შვილივით მიიღო თეიმურაზი და თვალყურს ადევნებდა მის აღზრდა-განათლებას. კახეთის ტახტის მემკვიდრეს წვრთნიდნენ ყველაფერში, რასაც უნდა დაემშვენებინა მომავალი მეფე. რასაკვირველია, საგანგებო ყურადღება ექცეოდა სამხედრო საქმესა და ვარჯიშს. გარდა ამისა, თეიმურაზს სრულყოფილად შეასწავლეს თურქული და სპარსული ენები (ბერძნული ადრევე სცოდნია). ასე გაირბინა ორიოდე წელიწადმა და კახეთში დაბრუნების დროც დადგა.

დამშვიდობებისას შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, რომ მამობრივი რჩევა-დარიგება მიეცა კახეთის მომავალი მეფისათვის და არც მისი პირადი ცხოვრება დავიწყებია.

შაჰმან შეახსენა თეიმურაზს, რომ მეფის ქორწინება უფრო პოლიტიკური მოტივებით უნდა იყოს ნაკარნახევი, ვიდრე გრძნობებით. შენი სამეფოს კეთილდღეობა ვისაც მოითხოვს, ცოლად ის შეირთეო, — ასე არიგებდა შაჰ-აბასი თეიმურაზს. ვინც გინდა, ის შეირთე, ოღონდ ქართლის მეფის დას ნუ შეირთავო! (ბართოლომეო ფერო რატომღაც „დარეჯანის“ სახელით გვაცნობს ხორეშანს და, ამასთან ერთად, მხედველობიდან გამორჩენია, რომ ხორეშანი იყო მეორე ცოლი თეიმურაზისა).

ხორეშანი, სახელგანთქმული თავისი მშვენებით, თურმე თვით სეფიანთა ხელმწიფეს ჩავარდნოდა გულში და მორიგ ცოლად ეწადა თავისი ჰარამხანის კიდევ უფრო დასამშვენებლად.

ფერო ამტკიცებს, რომ შაჰ-აბასმა კატეგორიულად აუკრძალა თეიმურას ცოლად შერთვა ხორეშანისა და მკაცრად გააფრთხილა, ჩემს ბრძანებას თუკი არ დაემორჩილები, იცოდე, შავი დღე დაგადგებაო.

იტალიელი ისტორიკოსი არ გვაუწყებს თეიმურაზის პასუხს, მაგრამ საფიქრებელია, რომ კახეთის ახალგაზრდა მეფე მორჩილად დაუკრავდა თავს სეფიანთა ირანის დიდ ხელმწიფეს და პირობას დასდებდა, თქვენს ბრძანებას უყოყმანოდ შევასრულებო.

ფეროს სიტყვით, სამშობლოში დაბრუნებულ თეიმურაზს აღტაცებითა და ზეიმით შეეგებნენ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ გულმოდგინედ შეუდგნენ სადედოფლოს ძებნას. მითქმა-მოთქმა აქებდა და ადიდებდა ქართლის მეფის ულამაზეს დას.

შაჰ-აბასის მიერ დადებული ტაბუ თუმცა ბორკავდა თეიმურაზს, მაგრამ მისი გული მაინც აღიგზნო ტრფობით. თავის მხრივ, კახეთის სამეფოს დიდებულნი დღენიადაგ აგულიანებდნენ მეფეს და არწმუნებდნენ: „ამ ქალს ვერავინ შეედრება ვერც სილამაზით და ვერც გვარიშვილობით. მოჩვენებითი საფრთხე ნუ შეგაშინებს! ბოლოს და ბოლოს, შაჰს მრავალი ცოლი ჰყავს, თავის ჰარამხანაში ხორეშანზაე უკეთესნიც მოეპოვება. ეჭვიც არ გვეპარება, რომ გულმოწყალედ შეურიგდება მის დაკარგვას და წყენას არ შეიმჩნევს. მით უმეტეს, რომ სწორედ შენ შეირთავ ცოლად ამ ქალს და შენ ხომ შვილივით უყვარხარ!“

თეიმურაზს ისიც შეახსენეს, რომ ლუარსაბ მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა. ასე რომ, თეიმურაზისა და ხორეშანის ვაჟიშვილს ქართლის ტახტზეც ექნებოდა უფლება. ორი სამეფოს გაერთიანება კი მტრისათვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოქმნიდა.

თეიმურაზს ჭკუაში დაუჯდა დიდებულთა რჩევანი, თავისი საწადელი შეატყობინა ლუარსაბს და იოლად მიაღწია მიზანს, ვინაიდან ქართლის მეფეს, რა თქმა უნდა, ქრისტიანი თეიმურაზი ერჩივნა სიძედ. ხორეშანსაც არ დაუყოვნებია თანხმობა და ორივე სამეფოში ლხინი ლხინს გადაება.

იტალიელი ისტორიკოსის მიხედვით, შაჰ-აბასს ფრიად აღელვებდა მშვენება ხორეშანისა და ადვილი წარმოსადგენია ის ტკივილი, რაც მომხდარმა ამბავმა მიაყენაო. არჩეული ქალი წაართვეს და პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს!

ხელმოცარულმა ხელმწიფემ აღარ იცოდა, როგორ გაექარვებინა ჯავრი. წერილი გაუგზავნა თეიმურაზს, საყვედურობდა უმადურობას და ემუქრებოდა: ჩემი ბრძანება რომ არაფრად ჩააგდე, ახლა ჩემს ულმობელ რისხვას იგემებო.

მაგრამ ბუნებით ამაყი თეიმურაზი, დატყვევებული მშვენიერი ხორეშანის სიყვარულით, ნაკლებად ფიქრობდა მომავალ საფრთხეზე და იმედი ჰქონდა, ორი სამეფოს გაერთიანებული ძალებით ყიზილბაშებს უთუოდ გავუმკლავდებიო.

ფერო აღნიშნავს, რომ ისპაანს გახიზნულმა ქართველმა დიდებულებმა კიდევ უფრო ააბრიალეს შაჰის გულში დანთებული ცეცხლი. სეფიანთა ხელმწიფეს მოახსენეს, თეიმურაზმა დაკარგა თავის ქვეშევრდომთა მხარდაჭერა და სიყვარული, ტირანის გასაძევებლად თქვენს დახმარებას მოუთმენლად ელოდებიანო. სთავაზობდნენ თავის ერთგულ სამსახურს და განუწყვეტლივ მოუწოდებდნენ, რომ შური ეძია თეიმურაზზე.

შაჰ-აბასმა სასწრაფოდ შეუთვალა ქართველ მეფეებს, ჭკუაზე მოდით და „განრისხებული სულის დასამშვიდებლად“ ხორეშანი უმალვე ისპაანს გამომიგზავნეთ, თორემ ორივე სამეფოს ავაოხრებ და თავბედს გაწყევლინებთო. ამაო იყო ხელმწიფის მოლოდინი.

ქართლ-კახეთის მეფეები აშკარად ეურჩებოდნენ ირანის მბრძანებელს და ომის თადარიგს იჭერდნენ. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ქართველ დიდებულთაგან ზოგი ირანს გაიქცა, ზოგმაც მთებსა და მეზობელ მხარეებს შეაფარა თავი.

თეიმურაზის მიერ ელჩად გაგზავნილმა ქეთევან დედოფალმა აუხსნა სეფიანთა ირანის მბრძანებელს, ჩემი შვილი მოაჯადოვა ხორეშანის მშვენებამ და ხელმწიფის ურჩობაც სიყვარულმა აიძულაო. ახლა ცხარე ცრემლით ქვითინებს, მაგრამ ჩვენი რჯული ნებას არ აძლევს, რომ თავისი ცოლი სხვას, თუნდაც ხელმწიფეს დაუთმოსო.

მაგრამ ქეთევან დედოფლის შუამდგომლობამ არ გასჭრა.

ლუარსაბ მეფე მორჩილად ეახლა საქართველოში შემოჭრილ შაჰ-აბასს და შენდობა ითხოვა. თავს იმართლებდა, თქვენი ხვაშიადი წინასწარ რომ მცოდნოდა, ჩემს დას არავითარ შემთხვევაში თეიმურაზს არ მივათხოვებდიო.

## სიმღერები ქართველ ფერიაზე

ახლა სხვა ევროპულ წყაროებსაც გადავავლოთ თვალი.

იტალიელი პიეტრო დელა ვალე, თანამედროვე და თითქმის თანადამხვდური ზემოხსენებული ამბებისა, მოგვითხრობს, რომ თავისი სამეფოდან თეიმურაზის გაძევებისა და სასტიკი დევნის მიზეზი, მითქმა-მოთქმის თანახმად, იყო მისი მეორე ცოლი, დაი ლუარსაბისა, ვისი უფროსი დაც უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა შაჰ-აბასის ჰარამხანაში და ყველაზე საყვარელ ცოლებს მიეთვლებოდა (იგულისხმება ლელა ბატონიშვილი).

დელა ვალეს სიტყვით, თეიმურაზმა ცოლად შეირთო ხორეშანი სეფიანთა ხელმწიფის ნება-სურვილის წინააღმდეგ და ამ ქორწინების შემდეგაც შაჰი ჯიუტად მოითხოვდა ხორეშანის წარგზავნას ისპაანში, მაგრამ თეიმურაზმა თავაზიანად მოუბოდიშა: ქრისტიანული რჯული და პირადი ღირსება ნებას არ მაძლევს, ჩემი ცოლი სხვას დავუთმოო.

ფრანგი ჟან შარდენი გვაუწყებს, რომ ლუარსაბის დის, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ასულის მშვენება მრავალგზის იყო ხოტბაშესხმული სპარსელ პოეტთა მიერ. 1673 წლით დათარიღებულ ჩანაწერში ფრანგი მოგზაური აღნიშნავს, რომ „ქართველ ფერიაზე“ გამოთქმულ სიმღერებს ირანში დღესაც მღერიანო (ე.ი. ზემოთ აღწერილი ამბებიდან 60 წლის შემდეგ).

შარდენი გადმოგვცემს, რომ შაჰ-აბასმა ზედიზედ ორი ელჩი გაუგზავნა ლუარსაბს ხორეშანის ხელის სათხოვნელად. პირველი მათგანი ტკბილი სიტყვით გაისტუმრეს, ხოლო მეორეს განუცხადეს, ხორეშანი დაქვრივებულ თეიმურაზზე არის დანიშნულიო. გაწბილებულმა შაჰმა მესამე ელჩიც წარგზავნა საქართველოში, მრავალგვარი დაპირებითა თუ მუქარით შეეცადა თავისი სურვილის ხორცშესხმას. ამავე დროს თეიმურაზსაც აფრთხილებდა, ლუარსაბის დის ცოლად შერთვა არ გაბედოო. მაგრამ ქართლის მეფემ ცივი უარი სტკიცა მესამე ელჩსაც და არც თეიმურაზმა ათხოვა ყური სეფიანთა ხელმწიფის გაფრთხილებას.

როგორც ვხედავთ, დელა ვალესა და შარდენის ცნობები, არსებითად, ემთხვევა ბართოლომეო ფეროს თხზულებაში დამოწმებულ ინფორმაციას.

## საბაბი ომისა

მაშასადამე, მშვენიერი ქართველი ქალისადმი შაჰ-აბასის უიმედო სიყვარულმა მოუტანა ენით უთქმელი ვაებანი საქართველოს? აგერ კასტელის, როდესაც ხორეშანს ხატავდა, მყისვე აგონდება მშვენიერი ელენე, ვისი გულისთვისაც გაჩაღდა ტროის ათწლიანი ომი და ირან-საქართველოს ომიც ამდენ ხანს გასტანს.

მშვენიერი ელენე და მშვენიერი ხორეშანი, კასტელიმ „ახალი ელენე“ რომ უწოდა... ერთობ მომხიბლავი პარალელია!

შაჰ-აბასი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური უცხო არ იქნებოდა მისთვის. ცხადია, უყვარდა ქალებიც და კიდევაც ხელეწიფებოდა თავის საბრძანებელში რჩეულთა შორის რჩეულის ამორჩევა თავისი მრავალრიცხოვანი ჰარამხანისათვის. მიუხედავად ამისა, საფიანთა ხელმწიფის დრამატულ სიყვარულზე შექმნილი ლეგენდის გადმოცემისას, თავად ევროპელ ავტორებს არ ავიწყდებათ მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და გზას გვიკაფავენ თვალწარმტაცი ლეგენდის ბურუსიდან თავის დასაღწევად.

პიეტრო დელა ვალე, რომელიც პირადად იცნობდა და არაერთხელ შეხვედრია სეფიანთა ირანის სახელმოხვეჭილ ხელმწიფეს, სკეპტიკური თვალით უყურებს ხორეშანისადმი მისი ტრფობის ამბავს და თვალთმაქცობად მიაჩნია უზომო აღშფოთება შაჰისა ხელმოცარული მიჯნურობის გამო.

იტალიელი მოგზაურის სიტყვით, აბასი მაინცდამაინც ახალგაზრდა აღარ იყო (1612 წელს, როდესაც ეს ამბები ხდებოდა, იგი 41 წლისა გახლდათ), რომ სიყვარულის ცეცხლი ასე მოჰკიდებოდა და ქალიც იმდენად არ დაკარგავდა ჭუას, ხანში შესული და მრავალცოლიანი, რჯულით მაჰმადიანი შაჰ-აბასი უფრო შეჰყვარებოდა, ვიდრე ქრისტიანი თვისტომი — 23 წლის თეიმურაზი, ვის ხელთაც იქნებოდა ერთადერთი ცოლი და ერთადერთი დედოფალიო.

დელა ვალეს არა სჯერა, რომ შაჰ-აბასს მართლაც მიეპოვებოდა ხორეშანის წერილები, ვითომდა მჭევრმეტყველი საბუთი მისი სიყვარულისა სეფიანთა ხელმწიფისადმი.

იტალიელი მოგზაური დაასკვნის, რომ შელახული თავმოყვარეობა შაჰისა წარმოადგენდა მხოლოდ საბაბს ომის გასაჩაღებლად. მან მოიფიქრა ყველაზე მზაკვრული რამ — ქრისტიანი მეფისაგან ცოლის დათმობა მოეთხოვაო. დელა ვალეს აზრით, შაჰ-აბასი უთუოდ დარწმუნებული იყო, რომ თეიმურაზი არ შეასრულებდა შეუწყნარებელ მოთხოვნას, თუნდაც ამგვარი ურჩობა თავისი სამეფოსა თუ სიცოცხლის ფასად დაჯდომოდაო.

შარდენსაც ძალზე ეუცხოვა შაჰ-აბასი გახელებული მიჯნურის როლში. ფრანგი მოგზაურის სიტყვით, შაჰი ამტკიცებდა, ქალსაც ვუყვარვარ, თავისი მეგობრის მეშვეობით წერილებს მიგზავნიდა და პირობა ჰქონდა მოცემულიო. შემდეგ შარდენი მოგვითხრობს ყიზიბლაშთა ლაშქრობას საქართველოზე და დასძენს: „ხელმწიფე ამ ომს უყურებდა, როგორც სამიჯნურო ინტრიგას“, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ სიყვარულში გამარჯვებულ მეტოქესთან ანგარიშის გასწორება როდი იყო შაჰის ნამდვილი მიზანი, არამედ — საქართველოს დაპყრობა. თავის სამიჯნურო მარცხს საბაბად იყენებდაო.

საბაბი იყო ხორეშანი ანუ „ახალი ელენე მშვენიერი“; ხოლო მიზეზი, ალბათ, სხვაგან უნდა ვეძიოთ.

***თამაზ ნატროშვილი***




**იყიდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა ქალაქის ცენტრში**

**თამარ მეფის გამზ. 16/18**

ფართი $165^2$მ, სარდაფით $75^2$მ, ეზოთი, მანქანის სადგომით.

შეიძლება გამოდგეს როგორც საოფისედ ისე საცხოვრებლად ან სასტუმრო სახლადაც. ფასი შეთანხმებით.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ტ.: 95-60-95, 93-57-73, მობ.: 8 (99) 57-86-85**


CMYK

# თვითმფრინავები მუმიებმა ააფეთქეს?



ფილიპინელი ცრუმორწმუნე აბორიგენები თვითმფრინავების კატასტროფებს ავ სულებს აბრალებენ. მათი თქმით, თურმე, უბედურების მიზეზი ბენგეტის მთიან პროვინციაში მცხოვრები იბალოების ტომი ყოფილა, რომელსაც გაუხსნია გამოქვაბულები, სადაც ხის სარკოფაგებში მათი წინაპრების მუმიები ესვენა. იბალოების ტომს ეს მანილის ნაციონალური მუზეუმის დაკვეთით გაუკეთებია, რათა სპეციალისტებს ტომის კულტურული მემკვიდრეობა შეესწავლათ.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუმია, აპო ანო, ახლახან მუზეუმიდან კვლავ გამოქვაბულში გადაიტანეს. პროცესიას ათასობით მტირალი ადამიანი მიჰყვებოდა.

ტომის უხუცესთა თხოვნით ნაციონალური მუზეუმის ხელმძღვანელობამ გამოქვაბულს სარკმლიანი რკინის კარები შეაბა, რათა ტურისტებმა მუმიები არ შეაწუხონ.

ბოლო დროს მუმიების ირგვლივ ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ტომის უხუცესებს აფიქრებინა, რომ ბუნებაში ზებუნებრივი მოვლენები დაიწყო მას შემდეგ, რაც აპო ანოს მუმია გამოქვაბულიდან გაიტანეს. თავსხმა წვიმები რამდენიმე თვე გაგრძელდა. ბუნების ასეთი ფენომენი იმ მიდამოებში არასოდეს შეუნიშნავთ. ტომის უხუცესები იმასაც შიშობენ, რომ გამოქვაბულებიდან უძველესი უკურნებელი სნეულებანი გავრცელდება.

რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა წიგნი, რომელშიც აღწერილია ის უბედურებანი, რაც ფილიპინებს დაატყდა თავს გამოქვაბულიდან მუმიების გატანის შემდეგ. დღეს იბალოს ტომი ნანობს, რომ ფილიპინების ხელისუფალთ ნება დართო დაერღვიათ წინაპართა სიმშვიდე.

***პოსლედნიე ნოვოსტი №17***

**ტესტი**

# ვინა ხარ შენ?

**საკუთარი პიროვნების დასადგენად სწორად უპასუხეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეულ კითხვას პასუხთა 7 ვარიანტი აქვს. თქვენ ირჩევთ შესაფერის ერთ ვარიანტს.**

**1) როგორ დადიხართ?**
ა. ზომიერი ტემპით, როცა საჭიროა, ჩქარა
ბ. ძალიან ჩქარა
გ. ნელა
დ. აუჩქარებლივ
ე. ჩქარა და მყარად
ვ. მშვიდად, აუღელვებლივ
ზ. ძალიან ნელა

**2) როგორი ხმა გაქვთ?**
ა. მაღალი და წკრიალა
ბ. ძლიერი და ენერგიული
გ. მკივანა, თუმცა არასოდეს მსაყვედურობენ
დ. ჩახლეჩილი, ჩახრინწული
ე. სასიამოვნო
ვ. მაღალი და ექსპრესიული

**3) როგორ იცვამთ?**
ა. კონსერვატულად
ბ. ელეგანტურად
გ. უჩვეულოდ, ექსტრავაგანტურად
დ. თავისუფალი სტილით
ე. პროვოკაციულად
ვ. უბრალოდ და აკურატულად
ზ. ვცდილობ, მოდას არ ჩამოვრჩე

**4) როგორი თვალები გაქვთ?**
ა. დიდი, გრძელწამწამებიანი
ბ. მრგვალი და ნათელი
გ. ღრმად ჩამჯდარი
დ. ძალიან ღია
ე. პატარა, მოყავისფრო
ვ. დიდი, ცისფერი (მწვანე) თვალები
ზ. ნუშისებური, თაფლისფერი ან ყავისფერი

**5) სახის ფორმა**
ა. მრგვალი
ბ. კვადრატული
გ. ფართო ყვრიმალებით
დ. გულისებური
ე. სამკუთხედი, წვეტიანი ნიკაპით
ვ. ოვალური და ვიწრო
ზ. მაღალი ყვრიმალებით

**6) რა არ მოგწონთ საკუთარ გარეგნობაში?**
ა. სახე
ბ. ფეხები
გ. მხრები
დ. მკერდი
ე. სახის კანი
ვ. თეძოები და მუცელი
ზ. თმა

**7) როგორი თმა გაქვთ?**
ა. სწორი, აბრეშუმისებური
ბ. გრძელი, ცხიმიანი
გ. მუქი, ტალღოვანი
დ. სასიამოვნო, ოდნავ ხვეული
ე. ხუჭუჭი
ვ. რბილი და ლამაზი
ზ. ხშირი, ტალღოვანი

**8) ცხვირი**
ა. სწორი და მახვილი
ბ. პაჭუა
გ. ფართო ნესტოებით
დ. ძალიან პატარა
ე. კეხიანი
ვ. პატარა და აბზეკილი
ზ. ოდნავ მონგრეული

**9) თქვენი აღნაგობა**
ა. გამხდარი
ბ. შთამბეჭდავი, გამართული
გ. ათლეტური
დ. პატარა და სუსტი
ე. სწორი პროპორციებით
ვ. მრგვალი
ზ. ფართო

**10) ტუჩები**
ა. პატარა და თხელი
ბ ფართო, პუტკუნა
გ. ძალიან მოპუწკული
დ. მკვეთრი კონტურებით
ე. გველისებური
ვ. მოღიმარი
ზ. მსხვილი, მრგვალი

**11) სახის კანი**
ა. ცხიმიანი
ბ. მშრალი
გ. ნორმალური
დ. ხშირად იქერცლება
ე. მუწუკების გარეშე
ვ. სუფთა და დახვეწილი
ზ. დელიკატური

**პასუხთა უმრავლესობა ა** — მოღიმარი, თავაზიანი და ერთგული ხართ. მიუხედავად პასუხისმგებლობის გრძნობისა, გირჩევნიათ, პირველი ნაბიჯი სხვამ გადადგას. თუ ნებისმიერ წვრილმანს პრობლემად არ გადააქცევთ, გაცილებით ლამაზი იქნებით.

**პასუხთა უმრავლესობა ბ** — გიყვართ თავგადასავლები, არც ოპტიმიზმი გაკლიათ. თაყვანისმცემლებს ანდამატივით იზიდავთ და პასუხიმგებლობასაც გაურბიხართ. მიმზიდველი გარეგნობის მიუხედავად, ჭამის კონტროლი არ გაწყენდათ. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ფიზიკურ ვარჯიშებს.

**პასუხთა უმრავლესობა გ** — ენერგიული, ჯიუტი და ამბიციური ბრძანდებით. საკუთარი თავისა და ტუალეტისადმი გადამეტებული ზრუნვა ხანდახან პედანტურობაში გადადის, ამიტომ ეგოისტის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

**პასუხთა უმრავლესობა დ** — ჭკვიანსა და წინდახედულს არც თავისუფლება და სიდინჯე გაკლიათ. ორიგინალური ხედვის წყალობით საწინააღმდეგო სქესის ყურადღებას იქცევთ. თქვენზეა ნათქვამი — არსად დაიკარგებაო.

**პასუხთა უმრავლესობა ე** — ავანტიურიზმი და პროვოკაცია თქვენთვის უცხო ხილი არ არის. გარეგნობითაც გამოირჩევით. გაღიზიანებთ ზედმეტად დინჯი, დუნე ადამიანები. ენერგიულსა და სულსწრაფს, ცხოვრებაში შეცდომებიც მოგდით, თუმცა მტკიცე ნებისყოფის წყალობით პრობლემებს თავს ართმევთ.

**პასუხთა უმრავლესობა ვ** — ამბიციური არა ხართ. მშვიდად მიჰყვებით მოვლენებს. გიყვართ სისუფთავე და უბრალოება, არც ზომიერების გრძნობას ღალატობთ. ხმაურიან საზოგადოებასა და სკანდალებს გაურბიხართ. თქვენ თავმოყვარეობას თუ შეეხნენ, დაუნდობელი ხდებით, გარეგნობასაც მაცდურად იყენებთ.

**პასუხთა უმრავლესობა ზ** — დელიკატური, თავნება პიროვნება ბრძანდებით. მოქმედებთ სიტუაციის შესატყვისად. სიხარბისა და ცბიერების შემოტევებიც გაქვთ. თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობა და სიდინჯე სხვათა გაღიზიანებას იწვევს. გაჭიანურებულმა დისკომფორტმა შესაძლებელია თავიც კი დაგაკარგვინოთ.

# მოგზაურობა სულეთში

***მაია კეკელიას ცხოვრება 1992 წლის 17 თებერვალმა ძირფესვიანად შეცვალა. გვესაუბრება მისი ტყუპისცალი და ხათუნა, რომლის დამსახურებაცაა, დღეს მაია რომ ცოცხალია.***

— იმ ღამეს მაია მეგობართან — ნატასთან დარჩა. თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ რაღაც გასაჭირი ადგა და მისკენ გავეშურე. ჩემი შიში ნაწილობრივ გამართლდა — მომისამძიმრეს. მაგრამ ვგრძნობდი, ცოცხალი იყო. მეუბნებოდნენ, — გარდაცვალებიდან ექვსი საათი გავიდა, გვამური ლაქები გაუჩნდება და სასწრაფოდ უნდა გავუკეთოთ ბალზამირებაო. ამის უფლება არ მივეცი. ყველა ექიმი სიკვდილს ადასტურებდა. არ ვნებდებოდი — ტყუპები ვართ, ხანდახან შინაგანი ხმით ვსაუბრობთ და ვიცი, ჩემი და ცოცხალია-მეთქი. მაიას კარდიოგრამა ლარივით სწორი იყო, მხოლოდ ერთ ადგილზე აჩვენა მოძრაობა. ხავსივით ჩავეჭიდე ამ ერთ ხაზს... ოთახში მაიასთან მარტო დავრჩი და ჩხუბი დავუწყე, — არა გრცხვენია, გინდა, მარტო დამტოვო-მეთქი? თითქოს მიპასუხა, — ცოცხალი ვარო. რესპუბლიკური საავადმყოფოდან ხნიერი ექთანი მოვიყვანე. მან ენცეფალოგრამა გადაუღო და მითხრა: შენი და ცოცხალია, დამარხვა არც კი იფიქროთო. ამის შემდეგ ოცდაცამეტი დღე და ღამე უსმელ-უჭმელი ვიჯექი მაიას გვერდით და ვუყურებდი — მის სხეულზე იეროგლიფები და რაღაც ნიშნები ჩნდებოდა. განსაკუთრებით მკვეთრად შუბლზე აჩნდა ნიშანი: წრეში ჩახატული მაკენ-დავითის ვარსკვლავი, მასში — ჯვარი და წრის გარეთ — ციფრი 5. ამ ხნის განმავლობაში თვალს მხოლოდ რამდენიმე წუთით ახელდა ხოლმე, თანაც ჯერ ძველი ქართულით მეტყველებდა, დროსაც ძველი სტილით ამბობდა, შემდეგ სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა — ლათინურად, პოლონურად, ინგლისურად, თანამედროვე ქართულით, რუსულად და როგორც შემდგომ ამიხსნა, ორიონის თანავარსკვლავედის მცხოვრებთა ენაზე.



მაია კეკელია

**— ტრანსის დროს თუ წინასწარმეტყველებდა მაია?**

— იწინასწარმეტყველა უამრავი მოვლენა მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოსთან დაკავშირებით კი ამბობდა, — შავი ზღვა განითლდება, საშინელება მოდის, ტანკები, რკინის კაცები (იგი აფხაზეთის მოვლენებით ახდა). თანაც უცხო, დარბაისელი ქალის ხმით ლაპარაკობდა. — ქართველო ხალხო, ძაღლსა და კატასავით ნუ დაჭამთ ერთმანეთს. მიწა იმისთვის არ მოგეცით, რომ გაანადგუროთ. მე მოვალ ცეცხლით და მახვილით და თუ საქართველოს არ გაუფრთხილდებით, დაგსჯითო. მერე ამ მუქარას იმედი ცვლიდა — საქართველო გაბრწყინდება, დიდი გვირგვინი დაედგმებაო.

ტრანსიდან გამოსვლის შემდეგ მაიამ კოპები შეკრა და მომმართა, — ქალბატონო, თქვენ ძალიან საინტერესო ორგანიზმი გქონიათო და ის დაავადებები ჩამომითვალა, რაც მაწუხებდა. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ვერავის გვცნობდა და ვიღაცას ეჩხუბებოდა — ეს ჩემი ოჯახი არ არის და რატომ გამომიშვითო. მერე ნელ-ნელა ვასწავლეთ ჭამა, სმა, სიარული და „ჩვენკენ“ მოვაბრუნეთ.

...ამის შემდეგ მაიას სხვადასხვა უნარი გაუჩნდა — წინასწარმეტყველებასთან ერთად (რომელსაც მაქსიმალურად ერიდება), მესამე თვალის მეშვეობით შეუძლია „წაიკითხოს“ სხვა ადამიანის ფიქრები, დაინახოს, რა ხდება მის ორგანიზმში, განსაზღვროს, რომელი ორგანოა დაავადებული. ეს ყველაფერი მე საკუთარ თავზე გამოვცადე — სად რა მტკიოდა და როგორ, დაზუსტებით და დაწვრილებით ამიწერა.

— საიქიოში მისვლამდე, — გვიამბობს მაია, — ის გზა გავიარე, რასაც კლინიკურ სიკვდილგადატანილი ადამიანები აღწერენ — გვირაბი, სინათლე, ისევ სიბნელე და მერე — საიქიო. იქ „მეგზური“ დამხვდა, რომელმაც ჯერ ჯოჯოხეთი მიჩვენა, სადაც გეენის ტბას ოხშივარი ასდის და არაადამიანური ხმები ისმის. ტბის გარშემო პატარა ჯოჯო-კაცუნები დადიან. ჩემი თვალით დავინახე, როგორ ჩაათრიეს მათ ერთი ქალი ტბაში. სასუფეველი არის ნამდვილი ნეტარება, საოცრად ფერადოვანი სამყარო. იქ აუარება ხალხი ტრიალებს, რომელთაც ის ტანსაცმელი აცვიათ, რითაც განისვენეს. ეს ყველაფერი ასტრალში ხდება. იქაურობა დაყოფილია 5 საფეხურად. პირველზე არიან იძულებით გარდაცვლილნი, მეორეზე — ისინი, ვისაც კარგიც ჩაუდენია და ავიც, მესამე საფეხურზე — სამართლის მსახურნი ბინადრობენ, მეოთხე — მეცნიერების საფეხურია. იქ, სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილი შევნიშნე(?!), მეხუთე საფეხურზე სააქაოს წმინდანად შერაცხულნი არიან. ეს ყველაფერი ჩემმა მეგზურმა მითხრა. მერე პირობითად — ეკრანის წინ დამაყენეს და დაბადებიდან რა ცხოვრებაც გავიარე, მაჩვენეს. შემდეგ სამ უხუცესთან მიმიყვანეს — ეს სულები საიქიოს სამართალს სჯიან. ამის შემდეგ მეგზურმა ერთ ადგილამდე მიმაცილა და მითხრა, — მეტი გაყოლის უფლება აღარ მაქვსო. გამოჩნდა 13 საფეხური, ზემოთ, მეცამეტე საფეხურზე იყო იესო ქრისტე, მის უკან — დიდი ჯვარი მოჩანდა, შემდეგ იდგნენ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, მათ შორის კი მარიამ ღვთისმშობელი. დედა-ღვთისამ მიმიხმო და მითხრა, — მე უნდა მემსახუროო. შემდეგ წინ დამიყენა კანგადაცლილი, გაქრილი ადამიანი და მასწავლა — ეს ეს ორგანოა, ეს დაავადება აქედან გამომდინარეობსო და ა.შ. შენს ხალხს უნდა უმკურნალოო.



**„დედამიწა არ სულდგმულობს კოსმოსის გარეშე“ (ორიონული დამწერლობა)**

**— კიდევ რა ნახე საიქიოში?**

— გავიგე, რომ სამყაროში არის 13 გალაქტიკა და ყველას აქვს თავისი „მზე“. მე კავშირი მაქვს ორიონის თანავარსკვლავედთან, რომელთაც თავისი დამწერლობა მასწავლეს. ჩემი „კოსმოსური“ მასწავლებელიც მყავს. ამ თანავარსკვლავედში დედამიწიდან გადასახლებული 5 ცივილიზაციაა — ატლანტიდელთა, აცტეკების, ეტრუსკების, შუმერებისა და ცივილიზაცია იონი. სიცოცხლეა მარსზეც — მესამე თვალის მეშვეობით ნანახი მაქვს მათი მიწისქვეშა ლაბორატორიები.

**— პლანეტების აღლუმი გამოიწვევს თუ არა დედამიწაზე კატაკლიზმებს?**

— პლანეტების აღლუმის შემდეგ მოსალოდნელია მზის აფეთქება. ეს იქნება მიზეზი ენერგეტიკული ქარიშხლის, მიწისძვრების, ვულკანების ამოფრქვევის, მეწყერის, ცუნამის და ა.შ. პლანეტები ზემოქმედებას ახდენენ დედამიწაზე. ასე ხდება 1000 წელიწადში ერთხელ. ასე იყო მესიის მოვლინებამდეც. ამასთან, დედამიწა უახლოვდება მზეს, რაც გამოიწვევს ადამიანის ბიოენერგეტიკული ველის ცვალებადობას.

**— როგორ ფიქრობთ, ახლა არის მოსალოდნელი მესიის მოსვლა?**

— დიახ და ისიც ვიცი, რომ ჩვენ იმ ქვეყანაში ვართ, სადაც სასწაული მოხდება და ცდება ის, ვინც საქართველოდან გარბის.

**— გმადლობთ**

P.S. ადამიანის გონებისთვის ბევრი რამაა შეუცნობელი და მიუწვდომელი. ცნობისმოყვარეობა კი უმრავლესობას აიძულებს, იქექონ მისტიკურ ლიტერატურაში... ამ ბოლო დროს ისე მომრავლდნენ მკითხავები, წინასწარმეტყველები, ექსტრასენსები, კოსმოსენსები, რომ ძნელია ჭეშმარიტების გარჩევა სიცრუისგან. ამ შემთხვევაში ალბათ მხოლოდ ინტუიციას უნდა მივენდოთ.

ინტერვიუს წერისას სახარებისეული სიტყვები ამეკვიატა, ბოლო ჟამის შესახებ რომ მიგვანიშნებს: „და მრავალნი ცრუწინასწარმეტყველნი აღდგენ და აცდუნებდნენ მრავალთა...“ (მათე 24,11). საუბრისასვე შემამჩნია მაიამ, რომ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, თუმცა გავითვალისწინე ის, რომ დღევანდელ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ანომალური მოვლენების თემა, გავითვალისწინე და... ინებეთ.

***მანოლი ლილუაშვილი***


**ფირმა «გარანტი»**

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 877-43-85-69

შტამპების და
ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

**სამშენებლო კომპანია „საქმშენორგმექტექსი“**
სააგარაკე ვილებისა და სახლების მშენებლობა ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის სრული კეთილმოწყობით.
ვაწარმოებთ ევრორემონტებს გასაღების ჩაბარებით. ვამზადებთ ასევე თანამედროვე დიზაინის ფინურ კოტეჯებს ადგილზე მიტანით და დამონტაჟებით.
სამუშაოები სრულდება საქართველოს ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი ანგარიშსწორებით.
თბილისი, ჭავჭავაძის 17ა III სართ
ტ: 25-09-60 (11-19 სთ.); 53-51-99; 899-54-41-19

# მეოთხე ქართველი ბუნდესლიგაში, პირველი–შოტლანდიაში

ჰოლანდიური „ბრედასა“ და საქართველოს ნაკრების ფორვარდი არჩილ არველაძე მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგაში წელს დაბრუნებული ყოფილი სუპერკლუბის „კიოლნის“ ღირსებას დაიცავს. გამომდინარე იქიდან, რომ არველაძეს კონტრაქტი „ბრედასთან“ წელს დაუმთავრდა და თავისუფალ აგენტად იქცა, გერმანელებს ქართველი თავდამსხმელის გადასაბირებლად არანაირი თანხის გადახდა არ მოუწევთ. არველაძისა და „კიოლნის“ კონტრაქტი სამწლიანია, მისი პირობები კი, ჯერჯერობით, უცნობია. ამრიგად, არჩილ არველაძე ლევან კობიაშვილის, ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის შემდეგ, მეოთხე ქართველი იქნება, ვინც გაისად გერმანიის უპირველეს დივიზიონში მოსინჯავს ძალებს. ჩვენ კი დავძენთ, რომ ამავე კლუბში 6 წლის წინ არჩილის უფროს ძმას, რეზოსაც უასპარეზია.



უფროსმა არველაძემ „კიოლნში“ 7 შეხვედრა ჩაატარა და გერმანელებს 1 გატანილი გოლით დაამახსოვრა თავი.

როგორც იქნა, გამოძებნა ახალი კლუბი საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, რომელიც იტალიის „რეჯანას“ დატოვების შემდეგ, ერთხანს თბილისის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა, შემდეგ კი —„დინამოში“. ნემსაძემ შოტლანდიის პრემიერლიგის კლუბ „დანდისთან“ გააფორმა კონტრაქტი, რომელიც 1 ივლისიდან შევა ძალაში.

ამასობაში კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა შოთა არველაძე, რომელზეც ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს —„ვალენსიას“ დაუდგამს თვალი. „ვალენსია“ ამჟამად „აიაქსზე“ ათი თავით ძლიერი გუნდია, ესპანეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატების შედარება კი არც შეიძლება. ასე რომ, თუ შოთა ესპანეთში გადაბარგდა, ეს მასაც წაადგება და ქართულ ფეხბურთსაც.

# „დინამო“ უმწვრთნელოდ დარჩა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი ყველაზე უიღბლო გამოდგა უპირველესი ქართული კლუბისათვის, ეროვნული ჩემპიონატისა და თბილისის „დინამოს“ ერთობლივი არსებობის ისტორიაში. თბილისელთა ბატონობას შინაურ ასპარეზზე ბოლო მოეღო. „დინამო“ თასისათვის ბრძოლას გამოეთიშა, ჩემპიონობას კი ქუთაისის „ტორპედო“ უმიზნებს. ყოველივე ამას კი ისიც დაემატა, რომ კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი მოულოდნელად დატოვა ოთარ კორღალიძემ, რომელმაც „დინამოში“ მუშაობისას ბევრს ვერაფერს მიაღწია. ორიოდე დღეში კორღალიძეს ყოფილი თანაშემწე გია გეგუჩაძეც მიჰყვა. ამჟამად გუნდი, ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ არის დარჩენილი, კლუბის პრეზიდენტს მერაბ რატიანს კორღალიძის საქმის გამგრძელებელი სავარაუდო კანდიდატურები ჯერ არ დაუსახელებია. ქვეყნის უძლიერეს კლუბში მუშაობას ახალი მწვრთნელი ალბათ ახალი სეზონიდან დაიწყებს.

# „ნოუ კამპი“ ჩემპიონთა ლიგას თეთრი ცხვირსახოცებით დაემშვიდობა



## ბაიერნი–რეალი 2:1 (0:2)
## ბარსელონა–ვალენსია 2:1 (1:4)

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების დასრულებამდე ერთადერთი მატჩი დარჩა — ყველაზე მთავარი მატჩი, რომელიც გაარკვევს, ესპანეთის რომელ ქალაქში დაიდებს ბინას ერთი წლით ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — მადრიდსა თუ ვალენსიაში. ნახევარფინალური წყვილების გამოვლენისას, სპეციალისტთა უმრავლესობა „ბაიერნისა“ და „ბარსელონას“ ფინალს წინასწარმეტყველებდა. საბოლოოდ ორივე ეს კლუბი ფინალს მიღმა აღმოჩნდა. მადრიდში 0:2 დამარცხების შემდეგ, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე „ბაიერნი“ პირველივე წუთიდანვე გააფთრებით მიაწყდა „რეალის“ კარს, კარსტენ იანკერმა სწრაფი გოლიც გაიტანა და ყველას რომ ეგონა „ბაიერნი“ „რეალის“ განადგურებას იწყებდა, სწორედ მაშინ შეიქმნა მომენტი, რომელმაც გერმანელთა იმედი საბოლოოდ დაასამარა. „ბაიერნის“ ქომაგებს დიდხანს და მწარედ ემახსოვრებათ ნიკოლა ანელკა, ფრანგი, რომელიც „რეალმა“ 40 მილიონად იყიდა და, რომელზეც მთელი წელი იმას ამბობდნენ, ლორენცო სანსმა წყალს გაატანა ამდენი ფულიო. სუპერკლუბები ტყუილად არავის ყიდულობენ — მით უმეტეს, ასეთ ფასად. სულ რომ არაფერი გაეკეთებინა ანელკას მთელი სეზონის მანძილზე, „ბაიერნის“ კარში გატანილი ორი გოლი — ჯერ შინ და შემდეგ სტუმრად, უღირდა „რეალს“ იმ ფულად, ერთი წლის წინ „არსენალს“ რომ გადაუხადა. ანელკას თავურმა გერმანელები უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდო და მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში „ბაიერნი“ დაწინაურდა, ჰიტცფელდის გუნდმა მეტი ველარაფერი შეძლო და ფინალის საგზური „სამეფო“ კლუბს დაუთმო.

მორიგ სასწაულს მოელოდნენ „ბარსელონასაგან“. სტუმრად 1:4 წაგების შემდეგ კატალონიელთა გულშემატკივრებს რევანშის იმედი ჰქონდათ. ჰექტორ რაულ კუპერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია. ყოველ შემთხვევაში, ვან გაალთან დუელი არგენტინელმა პირწმინდად მოიგო. ოთხშაბათს „ნოუ კამპზე“ „ბარსელონა“ წვალობდა, „ვალენსია“ ფეხბურთს თამაშობდა. ანგარიში კი ვერაფერზე მეტყველებს, „ბარსამ“ ორივე გოლი იმ დროს გაიტანა, როცა ფინალისტის ბედი გარკვეული იყო. „კამპ ნოუს“ ტრიბუნებზე თეთრი ცხვირსახოცები ფრიალებდა, „ბარსელონას“ უსახური თამაშის გმობისა და პროტესტის ნიშნად.

მაშ ასე, 24 მაისს პარიზი „რეალსა“ და „ვალენსიას“ უმასპინძლებს. ენა ვერავის მოუბრუნდება სათქმელად, ფინალში ღირსეულები ვერ მოხვდნენო. თავად განსაჯეთ — „სამეფო კლუბმა“ „ბაიერნი“ და „მანჩესტერი“ გაამწარა, კუპერის ბიჭებმა — „ლაციო“ და „ბარსელონა“. ფინალის შედეგის პროგნოზირება ყოველთვის ურთულესი საქმეა, ახლა მით უმეტეს, ერთი ქვეყნის კლუბებმა რომ უნდა გაარკვიონ კონტინენტის უძლიერესი გუნდის ვინაობა.

# ბაჯოს „ნაპოლიში“ ელიან



ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან ალბათ იტალიის სერიაB-ს კლუბ „ნაპოლის“ ღირსებას დაიცავს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბაჯო მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს მილანის „ინტერს“, სადაც მან არცთუ წარმატებული ორი სეზონი გაატარა და, ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ფეხბურთელს მიწვევები აქვს აგრეთვე იტალიური „ვიჩენცასაგან“ და რამდენიმე იაპონური და ავსტრალიური კლუბისაგან. საბოლოო გადაწყვეტილებას იგი რამდენიმე კვირაში მიიღებს. ბაჯო არ გამორიცხავს იმას, რომ შეიძლება საერთოდ დაანებოს ფეხბურთს თავი.

# მსოფლიო კრივში გადატრიალება მზადდება

ნიუ-იორკის გენერალურმა პროკურორმა ელიოტ შპიცერმა გადაწყვიტა, გადატრიალება მოახდინოს მსოფლიო კრივში. მას დაგეგმილი აქვს საკუთარი იდეები სენატის განსახილველად წარადგინოს, რათა შემდგომში ოფიციალური სახე მიეცეს და დაკანონდეს. შპიცერის აზრით, მოკრივეთა მომავალი სულაც არ უნდა იყოს დამოკიდებული მათ კორუმპირებულ პრომოუტერებზე. ამისათვის კი საჭიროა, შემუშავდეს მთელი მსოფლიოს პროფესიონალ მოკრივეთა ერთიანი რეიტინგი, ისეთი, როგორიც ჩოგბურთშია. თუ ეს მოხდა, თავისთავად გაირკვევა, ვის ვისთან მოუწევს ბრძოლა და რა ტიტულისათვის. პრომოუტერთა ჩარევა საჭირო აღარ იქნება. პროკურორს დაგეგმილი აქვს, ცვლილებები შეიტანოს მსაჯობის წესებშიც. კერძოდ, რეფერი ვალდებული უნდა იყოს გამოაცხადოს ყოველი რაუნდის გამარჯვებული, რათა ბრძოლის ბოლოს აღარ შეიქმნას ისეთი გაუგებრობები, ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის პირველ ბრძოლას რომ ახლდა. შეგახსენებთ, რომ მაშინ მსაჯებმა ყაიმი დააფიქსირეს, რაც კრივში უიშვიათესი შემთხვევაა.

# შაკილ ო'ნილი საუკეთესოა



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრი, შაკილ ო'ნილი მრავალწლიანი კარიერის მანძილზე პირველად დაასახელეს NBA-ს ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ. გამოკითხვა ჩატარდა 122 ჟურნალისტსა და სპორტულ კომენტატორს შორის, მათგან 121(!)-მა შაკილი საუკეთესოდ დაასახელა, მხოლოდ ერთმა მიაკუთვნა პირველობა ფილადელფიელ სტივ აივერსონს. „კიდევ კარგი, რომ გამოკითხვა ანონიმურია, თორემ იმ ჟურნალისტს, რომელმაც საუკეთესოდ აივერსონი მიიჩნია, არათუ აივერსონის უპირატესობის, არამედ საკუთარი ჭკუათმყოფლობის დადასტურება მოუწევდა. შაკილ ო'ნილს ამჟამად NBA-ს ვერც ერთი ვარსკვლავი ვერ შეედრება“, — ასეთი განცხადება გააკეთა „ლეიკერსის“ პრეზიდენტმა ჯერი უესტმა. მეორე ადგილზე „მინესოტას“ მოთამაშე კევინ გარნეტი გავიდა, მესამეზე — ალონზო მოურინგი „მაიამიდან“. შეგახსენებთ, რომ პრიზი, რომელიც პირველად დაისაკუთრა „ლეიკერსის“ ლიდერმა, ყველაზე საპატიო ინდივიდუალურ ჯილდოდ ითვლება NBA-აში.

# ტაისონი ლუისს ქუჩაში საჩხუბრად იწვევს

მაიკ ტაისონმა, რომელიც ფრიად აღაშფოთა ლენოქს ლუისის სიტყვებმა, სადაც მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ყოფილი ჩემპიონი „ჩამოწერილ მოკრივედ“ მოიხსენია, გადაწყვიტა თავისებურად გაუსწორდეს ენაგრძელ ბრიტანელს. „რკინის მაიკმა“ ქუჩურ ჩხუბში გამოიწვია ლენოქს ლუისი და ინტერნეტის საშუალებით ასეთი სიტყვებით მიმართა: „ერთი ერთზე ვიჩხუბოთ, ქუჩაში, ყოველგვარი პირადი მცველების, ოფიციალურობისა და კორესპონდენტთა გარეშე, მე შენ ცხვირ-პირს დაგამტვრევ“. ტაისონი მიხვდა, მსოფლიოს ჩემპიონი ქუჩაში ჩემთან არ იჩხუბებსო და ყოველი შემთხვევისათვის დაამატა — „თუ გინდა, რინგზეც იმავე ბედს გაზიარებო“. ტაისონისა და ლუისის შესაძლო შეხვედრას მოუთმენლად ელის კრივის მთელი სამყარო. მანამდე კი „რკინის მაიკი“ 24 ივნისს ამერიკელ ლუ სევარეზეს უნდა ეჩხუბოს.

ამასობაში, მაიკ ტაისონს ისევ პრობლემები შეექმნა პოლიციასთან. მას ბრალს სდებს ვინმე ვიქტორია ბიანკო, რომელიც ლას-ვეგასის ერთ-ერთ კლუბში მუშაობს სტრიპტიზიორად. „დაზარალებულის“ ვერსიით, ტაისონს მისთვის მუშტი დაურტყამს და უხამსი სიტყვებით მიუმართავს, მას შემდეგ, რაც გოგონამ „რკინის მაიკი“ საცეკვაოდ გამოიწვია.

ინციდენტის ადგილზე მისულ პოლიციელებს ტაისონის მიერ ქალის ცემის მტკიცებულება ვერ აღმოუჩენიათ. ბიანკო იძულებული შეიქნა, მეორე დღეს პოლიციის განყოფილებაში წასულიყო და საჩივრის განცხადება დაეწერა. პოლიცია საქმეს იძიებს, თუმცა ბრალდებული ჯერ არ დაუკითხავთ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ვიქტორიამ პროვოკაციის მიზნით გამოიწვია საცეკვაოდ ყოფილი ჩემპიონი, თუმცა თუ ქალის ცემა დაუმტკიცდა, ტაისონს ეს გარემოება არ უშველის.

# ოლიმპიური ჩირაღდანი აანთო

საბერძნეთში ოლიმპიური ჩირაღდანი აანთეს, რომელმაც 100 დღე უნდა იმოგზაუროს ავსტრალიამდე და შემდეგ თავად მწვანე კონტინენტზე. ცერემონია საბერძნეთის უძველეს ქალაქსა და ოლიმპიადის სიმბოლოდ ქცეულ ქალაქ ოლიმპიაში გაიმართა. როგორც წესი, ოლიმპიური ცეცხლი მზის სხივებისა და სარკეების გამოყენებით ინთება, თუმცა ამჯერად ეს არ მოხერხდა ღრუბლიანი ამინდისა და შემდეგ წვიმის გამო. ჩირაღდანი სანთლის მეშვეობით აანთეს. თუმცა ეს ერთადერთი უსიამოვნო მოულოდნელობა როდი გახლდათ საზეიმო ცერემონიისა. დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის მიერ ბოლო წამს მიღებულმა გადაწყვეტილებამ ოლიმპიური ესტაფეტის პირველი წევრის შეცვლის შესახებ. დაგეგმილი იყო, რომ ეს პატივი წილად ბერძნული წარმოშობის ავსტრალიელ გოგონას — იანა სულალესს უნდა ხვდომოდა, თუმცა საბერძნეთში ავსტრალიელი ტყუილად ჩავიდა და ესტაფეტა ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრის — კევინ გოსპერის ქალიშვილმა — 11 წლის სოფიამ ჩაიბარა. დამკვირვებლები კი ამას საბერძნეთის წინააღმდეგ ქმედებად თვლიან — 2004 წლის ოლიმპიადის ორგკომიტეტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, შესაძლოა ოლიმპიადა სადმე სხვა ქვეყანაში გაიმართოს და არა საბერძნეთში, როგორც აქამდე იყო დაგეგმილი. თავად ოლიმპიური კომიტეტის წევრები ამ აზრს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.



რაც შეეხება ოლიმპიურ ჩირაღდანს, იგი თვითმფრინავით იმოგზაურებს კუნძულ გუამამდე, შემდეგ კი 27.000 კმ-ს გაივლის ოკეანეთის გასწვრივ. ესტაფეტაში 11.000 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის, ინვალიდებიც, რომლებიც ინვალიდთა ეტლებით გადაადგილდებიან. ცნობილი შეიქნა, რომ ამერიკელები სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან ვერც ერთ პირდაპირ ტელეტრანსლაციას ვერ იხილავენ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ტელეკომპანია NBC-მა, რომელსაც 705 მლნ $ აქვს გადახდილი ოლიმპიადის ტელეტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად. მიზეზი, რის გამოც ამერიკელებს ვიდეოჩანაწერებით მოუწევთ დაკმაყოფილება, მეტად მარტივია — ამერიკას და ავსტრალიას შორის დროში სხვაობა 18 საათია.

# ჯიმ კურიეს კარიერა დასრულდა



თანამედროვეობის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა ჩოგბურთელმა ჯიმ კურიემ თავისი სპორტული კარიერა დასრულებულად გამოაცხადა. 13 წლის მანძილზე კურიეს ოთხჯერ აქვს მოგებული „დიდი მუზარადის“ ტურნირები, საერთო ჯამში კი 23 დიდი ტურნირის გამარჯვებულია — ეს კი მეოთხე მაჩვენებელია ამჟამად მოთამაშე ჩოგბურთელთა შორის. 506 მოგებულ მატჩში ჯიმ კურიემ 50 მლნ $-ზე მეტი გამოიმუშავა, 58 კვირის მანძილზე ფლობდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს. სპორტული კარიერის დასრულების მიზეზად ხელის ტრავმა იქცა, რომელიც ამერიკელმა 1997 წელს მიიღო ერთ-ერთ ვარჯიშზე. ამის გამო ჩოგბურთელმა წამყვანი პოზიციები დაკარგა, ანდრე აგასის მსგავსად საჩოგბურთო „მწვერვალზე“ დაბრუნება ველარ შეძლო და აქტიურ სპორტთან გამომშვიდობება გადაწყვიტა.

***მოამზადა მათე კბილაძემ***


მსოფლიო სპორტი

**ახალი სიტყვა**

ქართულ სპორტულ პრესაში, ყოველ ხუთშაბათს და კვირას

გაზეთი – „მსოფლიო სპორტი“

– ოპერატიული ინფორმაცია, ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების ***ყველა ლიგის ცხრილები, ტოტალიზატორის გზამკვლევი,*** ინტერვიუები და სხვა

გაზეთის ფასი 15 თეთრი


# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს ორ სვლაში.



შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლa5!




*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

CMYK

## სამცვინიანი გენიოსი



ჩიკაგოს ერთ-ერთი კლინიკის ექიმებმა გამოკვლევა ჩაუტარეს 20 წლის შირლი ჯერმეინს, რომელიც აუტანელ თავის ტკივილს უჩიოდა. რაოდენ დიდი იყო მედიკოსების გაკვირვება, როდესაც აღმოაჩინეს, რომ გოგონას თავის ქალაში ერთდროულად სამი თავის ტვინი ნორმალურად ფუნქციონირებდა! მაგრამ როცა ექიმებმა ყოველმხრივ შეისწავლეს შირლი და ტესტები ჩაუტარეს, კიდევ უფრო მეტად გაოცდნენ. მისი გონებრივი განვითარების დონე, ე.წ. IQ 386-ის ტოლია. ეს წარმოუდგენელი ციფრია, რადგან ჩვეულებრივ ადამიანებში ეს დონე 100-საც ვერ აღწევს. გოგონას უნიკალური მახსოვრობა აქვს: ბიბლია ზეპირად ისწავლა ორ დღეში. მეტიც, შირლი შესანიშნავად ფლობს აინშტაინის ფარდობითობის თეორიას და დამოუკიდებლად შეუძლია ატომური ბომბის აგება.

— გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მისი გონებრივი პოტენციალი ბევრად აჭარბებს ერთად აღებულ აინშტაინისა და არისტოტელეს პოტენციალს — განაცხადა ექიმმა სტივ ბრაუნმა.

***უიქლი უორლდ ნიუზი №25***

## დედოფლის ხელის ხლება აკრძალულია



ბრიტანეთში დიდი ხმაური ატყდა იმის გამო, რომ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა სერიოზულად დაარღვია სამეფო კარის ეტიკეტი, როცა კანბერაში ელისაბედ -ის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე... მის უდიდებულესობას ხელი შეახო.

სხვათა შორის, ამგვარი შეცდომა მწვანე კონტინენტის მთავრობის მეთაურს სხვა დროსაც მოსვლია. ახლანდელი ავადმოსაგონარი მიღება სწორედ იმ დარბაზში მიმდინარეობდა, სადაც 1992 წელს პრემიერმა პოლ კიტინგმა ხელი შეაშველა დედოფალს...

ტელევიზია რამდენიმე დღის მანძილზე უჩვენებდა ამ მომენტის ვიდეოჩანაწერს. თავად ჰოვარდმა უარი თქვა ფაქტის კომენტირებაზე, მხოლოდ ის ბრძანა, — ძალზე სასიამოვნოა, ასეთი დიდი ყურადღება რომ დაუთმეს ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენასო.

***ვოკრუგ სვეტა №15***

## მეტრს 205 წელი შეუსრულდა...

სიგრძის საზომი, მეტრი, საფრანგეთის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მოუგონიათ. განხორციელდა ფრანგების ლოზუნგი — „შევქმნათ ყველაფერი ახალი ყველა დროისათვის“ — და რევოლუციური საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ სიგრძის ერთიან ერთეულად „ერთი მეტრი“ დაამტკიცა. ფრანგებმა პირველად პარიზის მერიდიანი გაზომეს. „მეტრი“ ბერძნულად ზომას ნიშნავს. პირველი მეტრი დამზადებულ იქნა პლატინისა და ირიდიუმის შენადნობისაგან. ასეთი შენადნობი ნაკლებად ზიანდება სხვადასხვა ზემოქმედებისგან. 1875 წელს მეტრის კონფერენციაზე, რომელსაც ჩვიდმეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი, ზომისა და წონის საერთაშორისო ბიურო შეიქმნა. დიდია ამ კონვენციის მნიშვნელობა: პირველად, საერთაშორისო დონეზე, მოილაპარაკეს ერთიანი საზომის შემოღების შესახებ.

ბოლშევიკებმა „მეტრი“ უყოყმანოდ აღიარეს — ისიც ხომ რევოლუციური წარმოშობისაა. 1918 წელს საბჭოთა რუსეთის ერთი პირველი დეკრეტი იყო მეტრის კონვენციის აღიარება. ამიერიდან უარი თქვეს თავიანთი არშინით ეზომათ.

მეტრის მომავალი ლაზერის სხივმა გამოაზრწყინა. სიზუსტის ძიებაში არჩევანი წყალბადის გენერატორის გამოსხივებაზე გაკეთდა. მიიღეს არნახული სიზუსტე. ლაზერის „მოსვლით“ მეცნიერები არ დაკმაყოფილდნენ. ზომისა და წონის საერთაშორისო ბიურომ კვლავ ძიებას მიჰყო ხელი — მეტრის ერთეული სინათლის სიჩქარით უნდა განისაზღვრებოდესო. გავიდა დრო. პარიზში ზომისა და წონის გენერალურმა კონფერენციამ ახლებურად განსაზღვრა სიგრძის ერთეული: „მეტრი არის გზის სიგრძე, რომელსაც გაივლის სინათლე ვაკუუმში დროის ინტერვალით, რომელიც ტოლია 299 792 458-ისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაახლოებით წამის ერთი მესამიათასედისა.

ასეთი გახლავთ 205 წლის „მეტრის“ თავგადასავალი.

***კომსომოლსკაია პრავდა №60***

## რას მიირთმევდნენ ფარაონები?



ფარაონების მენიუს პაპირუსები და აკლდამის მოხატულობები გვაცნობენ. ლხინის დროს ფარაონებსა და მის სტუმრებს მოცეკვავენი, მასხარები და მუსიკოსებიართობდნენ. მსახურებს ღვინითა და ლუდით სავსე თასები შემოჰქონდათ. ფარაონის ნებისმიერი ტრაპეზი ღვინით ან ლუდით იწყებოდა. ფარაონის ცოლებს ამ სასმელებს დილით, საწოლში მიართმევდნენ. სუფრაზე უხვად იყო საგანგებოდ ნასუქი კამეჩის ხორცი და ნილოსის ქორჭილა. ფარაონები დიდი სიამოვნებით მიირთმევდნენ ხახვიან და თევზიან ღვეზელებს. ბოსტნეულობიდან უპირატესობას ანიჭებდნენ ნიორს, ხახვს, ბოლოკსა და კიტრს. კერძები მზადდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ნიგვზის ზეთით. არც ერთი სადილი არ ჩაივლიდა ინდისხურმის გარეშე, რომელსაც ხან ამარილებდნენ, ხან თაფლით გაჟღენთილს მიირთმევდნენ. ფინიკსაც რომ სიამოვნებით აგემოვნებდნენ, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ძველი ეგვიპტის მონეტებზე გამოსახულია ფინიკის პალმა, როგორც მთავარი „მარჩენალი“. ფარაონები ყოველდღე პირს თაფლით ჩაიკოკლოზინებდნენ ხოლმე. დესერტად კი თაფლიან რძეს მიირთმევდნენ.

სუფრას ამშვენებდა ყურძენი, ნესვი, საზამთრო და მიწის თხილი.

ერთადერთი რამ, რაც აკრძალული ჰქონდათ ფარაონებს, ეს პარკოსანი მცენარეების კერძები იყო.

***ლიზა №16***

## უიღბლო იღბლიანი

იაპონელმა ჰირო კონოკამ, როცა ჩათვალა, ჩემი ღირსება უიმედოდ შელახულიაო, თავის მოკვლა გადაწყვიტა. ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა, ახლა 51 წლის ბიზნესმენი ჯანსაღი და საღ-სალამათია. საქმე ის არის, რომ თვითმკვლელობის 97 ცდა ჰირო კონოკასთვის უშედეგო აღმოჩნდა. ბატონმა კონოკამ მორიგი თვითმკვლელობის აქტისას მთელი მუჭა საძილე აბი დალია, მაგრამ ოთხდღიანი კომის შემდეგ ჩიტივით იყო. მაშინ გადაწყვიტა თავისი მდიდრული ბინის ფანჯრიდან გადახტომა, უფრო გარანტირებული შედეგი იქნებაო — თქვენც არ მომიკვდეთ, მხოლოდ ფეხი მოიტეხა. შემდგომმა სამმა ნახტომმაც ვერ გაისტუმრა საიქიოს. იმდენად დიდი იყო სიცოცხლესთან განშორების სურვილი, რომ საბრალო შვიდჯერ შეუვარდა მანქანას, ვენები გადაიჭრა, კიდევ რამდენჯერმე მოიწამლა თავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის დახრჩობაც სცადა.

ყოველი „ოპერაციის“ შემდეგ საწყალი ერთსა და იმავე ამბავს უამბობდა ექიმებს — მისი ოთხი ქალიშვილიდან ერთ-ერთი ვილაც მაწანწალას გაჰყოლია ცოლად.

***მეგაპოლის-ექსპრესი №17***

## მაიმუნისგან მხოლოდ დარვინი წარმოიშვა!



თანამედროვე მეცნიერების ბოლო მიღწევები მკვლევარებს ხშირად ჩიხში აქცევს. ასევე მოხდა ბრიტანელი გენეტიკოსების უკანასკნელი აღმოჩენის დროსაც. მათ დაადგინეს, რომ ნეანდერტალელი და თანამედროვე ადამიანის დნმ-ის მოლეკულებს საერთო არა აქვთ.

ინგლისელების ეს სენსაციური აღმოჩენა აბათილებს დარვინის თეორიას, ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის შესახებ. ცნობილია, რომ ნეანდერტალელები, რომლებიც პითეკანტროფების შემდეგ (200 000 წლის წინ) გაჩნდნენ, ბოლო დრომდე ადამიანის წინაპრებად ითვლებოდნენ — ისინი კლიმატური ცვლილებებისა და შრომის ახალი პირობების შედეგად, 40 000 წლის წინ, ჰომოსაპიენსად გადაიქცნენ. ეს თუ ასეა, მაშინ ჩვენ და ჩვენ წინაპრებს ერთნაირი გენეტიკური კოდი, ანუ დნმ-ის მსგავსი მოლეკულები უნდა გვქონდეს. თუ ასეთი მსგავსება არ აღმოჩნდა, მაშინ, სად ვეძებოთ 160 000 წელი — ადამიანის განვითარების ჯაჭვში ამოვარდნილი მნიშვნელოვანი რგოლი?

ბრიტანელი გენეტიკოსების აღმოჩენის შემდეგ დედამიწაზე ადამიანის გაჩენა, მეცნიერული თვალსაზრისით, აუხსნელია.

***თაიმსი №16***

## მოჭადრაკეებო, იყავით ფხიზლად!...

ამას ნამდვილად არ ელოდა ჭადრაკის მეფე გარი კასპაროვი! იგი, ნიუ-იორკში, ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის 30 ბავშვს ეთამაშებოდა. მსოფლიო ჩემპიონმა 29 მოწინააღმდეგეს იოლად მოუგო, მხოლოდ ერთთან დაამთავრა თამაში ყაიმით. ეს გახლდათ 12 წლის გოგონა ვიქტორია ცასკი. ვიქტორიას შინ კომპიუტერიც კი არა აქვს და ამიტომ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად თელ-ავივიდან ჩავიდა. რაც შეეხება შედეგს, ამაზე გოგონამ თქვა, — თამაში შუაღამემდე გაგრძელდა და ძალიან დავიღალე, თორემ კასპაროვს მოვუგებდიო.

პატარას შედეგით აღფრთოვანებულმა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა ნორჩ მოჭადრაკეს პერსონალური კომპიუტერი აჩუქა.

***შტერნი №17***

## „გასულიერებული“ ბრინჯი

ბრინჯი, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებული მარცვლეული კულტურაა. იგი ნესტისა და სითბოს მოყვარულია და ამიტომ უფრო ხარობს სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. აქ თხუთმეტი ათასწლეულის წინ დაიწყეს ბრინჯის მოყვანა და დღესაც აზიელების კვების ძირითადი პროდუქტია.

აღმოსავლეთის ხალხებისთვის ბრინჯის მარცვალი მთელი ფილოსოფიის, რელიგიის, ადათ-წესების და დღესასწაულების განუყოფელი ნაწილია. მაგალითად, ბავშვს ბრინჯის სარწყავ ჭურჭელს ჩუქნიან, ბრინჯს აყრიან ახალდაქორწინებულებს, ბრინჯს ჩაატანენ ხოლმე მიცვალებულს. ზოგიერთები ბრინჯში სულიერ არსებას ხედავენ. ქალები ბრინჯის მოსავლის აღებისას დანას სახელოში მალავენ, რომ ბრინჯის სული არ შეშინდეს.

ჩინურ მედიცინას საფუძვლად უდევს „ინისა“ და „იანის“ (დადებითისა და უარყოფითის) ერთიანობის უნივერსალური პრინციპი. ამ ორი საწყისის თანაფარდობა იდეალურ მდგომარეობაში სწორედ ბრინჯშია. ამიტომ ჩინელები მას ძალზე სასარგებლო საკვებად მიიჩნევენ.

მეცნიერები უპირატესობას ყავისფერ ბრინჯს ანიჭებენ. ბრინჯის ქატო მდიდარია B1, B2, PP ვიტამინებით და ფოსფოლიპიდებით, რომელიც ლიპოტროპული თვისებებით ხასიათდება.

ბრინჯის დამუშავების შემდეგ სასარგებლო ნივთიერებების ნაწილი იკარგება.

***ლიზა №14***

## გონიერი მანქანა კაცობრიობას დაღუპავს



კომპიუტერული ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარება და „ზეგონიერი“ მანქანების შექმნა — ეს არის ბოროტება, რომელიც დაღუპავს კაცობრიობას. ამგვარი პირქუში გაფრთხილება მისცა ადამიანებს ბილ ჯოიმ, ამერიკული კომპიუტერული ინდუსტრიის ერთ-ერთმა წამყვანმა სწავლულმა. მისი აზრით, ეს საშიშროება ატომურ ბომბზე არანაკლებ რეალურია.

ჯოი კორპორაცია „სან მაიკროსისტემზ“-ის ერთ-ერთი დამაარსებელია, წამყვანი სწავლული, რომელიც იუნიქსის „საოპერაციო სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფა „ჯავას“ ტექნოლოგიების სათავეებთან იდგა. იყო აგრეთვე თანათავმჯდომარე საგანგებო საპრეზიდენტო კომისიისა, რომელიც ეწეოდა მომავალი საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგნოზს.

„ჩვენ ახალ ასწლეულში შევაბიჯეთ მოქმედების გეგმის გარეშე, ისე რომ, ვერ ვაკონტროლებთ სიტუაციას და არა გვაქვს მისი შეჩერების შესაძლებლობა, —წერს მეცნიერი, — გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ ვდგავართ ბოროტების სრულყოფილებამდე მიყვანის ზღურბლზე, რომლის პოტენციალიც მნიშვნელოვნად აჭარბებს მასობრივი განადგურების იარაღს“.

მეცნიერმა განსაზღვრა ტექნოლოგიის განვითარების სამი მიმართულება, რომელიც განსაკუთრებით საშიშია კაცობრიობისათვის. ეს არის, პირველ რიგში, კომპიუტერთა ახალი თაობის შემუშავება, რაც მომავალი სამი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით მილიონჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე დღეს არსებულია.

მსგავსი სამუშაო გზას უხსნის „მოაზროვნე რობოტების“ შექმნას, რომელსაც ექნება თვითსრულყოფის უნარი. მეორე — ეს არის გენეტიკა, რომლის მიღწევებიც შეცვლის ბიოლოგიური სიცოცხლის თავად სტრუქტურას. ადამიანს შეეძლება შექმნას რაღაც ისეთი, რაც პირისაგან მიწისა აღგვის სიცოცხლის ყველა ფორმას.

მესამეც, ლაპარაკია ნანოტექნოლოგიებზე, რომელიც გზას უხსნის ახალი ობიექტებისა და საგნების შექმნას. პერსპექტივაში ეს საშუალებას იძლევა, შეიქმნას მანქანები, რომლებსაც ხელოვნური ინტელექტი და მიკროსკოპიული ზომა ექნებათ.

სამივე ტექნოლოგიას ერთი საერთო თავისებურება აქვს, რაც არ ახასიათებს მაგ. ატომურ იარაღს: მათ კომპიუტერული ვირუსის მსგავსად, ექნებათ თვითწარმოქმნის უნარი.

კაცობრიობის წინაშე მდგარი საშიშროების თავიდან აცილება, ამერიკელი მეცნიერის აზრით, შესაძლებელია საერთაშორისო დიალოგის გაშლის გზით.

***მირ ნოვოსტეი №16***

## ასოციაცია



**თარაზულად:** 7. სკოლა, ლექტორი; 8. თოჯინა, თეატრი; 10. ვანდამი, „კობრა“; 11. კოქტეილი, შოკოლადი; 12. მერიდიანი, გრძედი; 17. რქაწითელი, თითა; 18. პასპორტი, ყრილობა; 19. არისტოკრატია, საუკეთესო; 20. პიანინო, თითი; 21. ტრიბუნა, ლოცვა; 25. სოფელი, ოჯახი; 26. დიუმა, „ქალბატონი ბოვარი“. 27. ალაზანი, ფოთი; 30. ხატი, ხახული; 33. ბრონქი, სუნთქვა; 34. კიპლინგი, ლორდი; 35. ისტორიკოსი, ფოლკლორი; 36. ენძელა, მთა.

**შვეულად:** 1. ქარხანა, ფაბრიკა; 2. საყვირი, სალამური; 3. ბრონქიტი, ყური; 4. დენთი, ტყვია; 5. სახურავი, ტელევიზია; 6. ზომა, შაბლონი; 9. ალყა, ლენინგრადი; 13. დიფთერია, ციება; 14. გენერალი, ჟუკოვი; 15. მოწვევა, მასპინძელი; 16. ბანდიტი, ზღვა; 22. უკრაინა, მინსკი; 23. ნათურა, შლაპა; 24. ცეცე, კოლო; 28. ანანასი, კივი; 29. ვაშა! იაპონია; 31. „არიელი“, „ტაიდი“; 32. ელექტროდი, კათოდი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. ტანკი; 6. ქუსლი; 9. ბანდა; 10. ტიბეტი; 14. ქილია; 15. კენტი; 17. ბელი; 19. ოსლო; 21. გრიფიტი; 23. იანვარი; 24. რეზიუმე; 28. ეპარქია; 30. ნევა; 33. ფირი; 34. რეალი; 35. ენდრო; 36. სცენა; 39. ტანძია; 40. რიტმი; 41. ტყვია.

**შვეულად:** 1. ჯინი; 2. ოქმი; 3. ნეაპოლი; 5. ალანია; 7. ლაისტი; 8. მატროსი; 11. ჰიდრა; 12. რენტა; 13. აბორიგენი; 16. კონცეფცია; 18. ოფიცერი; 20. კვახი; 22. მაზრა; 25. სპილო; 26. დიანა; 27. ავიაცია; 29. პიანინო; 31. ნეპალი; 32. არმაზი; 37. ფოიე; 38. ლატი.

## №18 (187) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 558 რესპონდენტი ჰყავდა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 181-მა ქალმა და 369 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის (იყო) ყველაზე პროფესიონალი ქართველი სამართალდამცავი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქართველი სამართალდამცავებიდან ყველაზე პროფესიონალი ლავრენტი ბერია ყოფილა. მკითხველთა 66-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. **6,91** საშუალო ქულით ლავრენტი ბერია პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა დაახლოებით 5-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით.

შემდეგ ადგილზე ალექსი ინაურია, საშუალო ქულაა 6,55. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა (1,27) სწორედ ინაურმა დაიმსახურა; რაც შეეხება პრეზიდენტ შევარდნაძეს, რესპონდენტთა 11-ს მიაჩნია იგი ყველაზე პროფესიონალ სამართალდამცავად. მითხველთა დაახლოებით 3-მა კი მინიმალური — 1 ქულით შეაფასა ედუარდ შევარდნაძე. 5,73 საშუალო ქულით საქართველოს პრეზიდენტი პროფესიონალ სამართალდამცავთა შორის მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, იგორ გიორგაძე, კახა თარგამაძე და შოთა კვირაია, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლები პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. რაც შეეხება კახა თარგამაძეს — №1 ქართველ პოლიციელს, მკითხველთა 19-მა მიაკუთვნა მას მინიმალური — 1 ქულა, მაქსიმალური კი მხოლოდ 1,45-მა დაუწერა. 3,12 საშუალო ქულით კახა თარგამაძე მეშვიდე ადგილზეა.

ყველაზე მეტი მინიმალური (23,9) და ყველაზე ცოტა მაქსიმალური ქულა (0,55) შოთა კვირაიამ დაიმსახურა და რეიტინგშიც 2,78 საშუალო ქულით ბოლო ადგილს დასჯერდა.




საპრიზოს ზუსტად 5 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 31 წლის **კობა ჭიკლაური,** 38 წლის **ავთანდილ შიხიაშვილი,** 44 წლის **მარინა ჩხაიძე,** 56 წლის **თეიმურაზ ვარდოსანიძე** (ოთხივე თბილისიდან) და 33 წლის ზესტაფონელი **ვალერი ჯაგიევი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 23 მაისს, 17 საათზე.

## №19 (188) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№19 (188) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 10 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №19 (188) —
**ცოდნა**
**თქვენი აზრით, რისი ცოდნაა დღეს ყველაზე აუცილებელი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

**№19 (188) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები | |
| 2 | ბიზნესი | |
| 3 | საკუთარი ერის წარსული, ისტორია | |
| 4 | ბიბლია | |
| 5 | ადამიანებთან ურთიერთობა | |
| 6 | მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები (სიახლეები) | |
| 7 | კანონმდებლობა | |
| 8 | უცხო ენები | |

**დამატებითი კითხვა**

**თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა გია არსენიშვილი იმას, რაც ვაჟა ლორთქიფანიძემ ვერ შეძლო?**

| შეძლებს | ვერ შეძლებს | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

**დამატებითი კითხვის შედეგები**

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ზურაბ ჟვანია, ვაჟა ლორთქიფანიძე

**ნ.ჟ.** (ინაუგურაციაზე) — ბატონი ედუარდი ეკლის გვირგვინით რომ გამოვიდეს, უფრო ეფექტური არ იქნება?!

***გ. აბულაძე თბილისი***

**ნ.ჟ.** — მე, რომ პირველი ლედი გავხდები...
**ნ.შ.** — ბატონო, ბატონო?!

***მაყვალა წილოსანი, თბილისი***

**ნ.ჟ.** — დეიდა ნანული, თუ შეიძლება მასწავლეთ რეცეპტი, თვეში 10 ლარად თქვენსავით სოლიდურად რომ გამოვიყურებოდე.

***პაატა ნაზღაიძე. რუსთავი***

აშკარაა, რომ:
მარცხნივ — მამათელის ცოლია,
მარჯვნივ — ევროპელის ცოლი.

***ხაშური***

**ნ.ჟ.** — თქვენებრ ლამაზს ვირჩევ ფარჩას,
მანერების ვსწავლობ ფლობას,
ხუთიოდე წელი დამრჩა
საქართველოს დედოფლობას.
**ნ.შ.** — (გულში) გაპატიებს შენ უფალი...
ერთად ორი დედოფალი?!

***რუსლან შარია, სოხუმი***

**ნ.ჟ.** — 30 წლის წინ ხომ იყავი შენ ჩემხელა?
**ნ.შ.** — კი, ვიყავი!
**ნ.ჟ.** — 30 წლის მერე ხომ ვიქნები მე შენხელა? (თუ ზურიკოს გეგმები გამართლდა)
**ნ.შ.** — კი იქნები.
**ნ.ჟ.** — აბა რა განსხვავებაა ჩვენს შორის?
**ნ.შ.** — არაფერი!

***ნანა გვაზავა-შუბლაძისა, თბილისი***



ნანული შევარდნაძე და ნინო ჟვანია

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 152 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ნ.შ.** (ფიქრობს) — ხო, მიდი, მიდი, გამიშალე ხელები. ოხ, ედუარდ, ედუარდ, მოიცა, მოდი სახლში, არ გამიბლატავა ეს ჟვანიები?

***თორნიკე მეუნარგია, თბილისი***

**ნ.ჟ.** — ქალბატონო ნანული, ძაღლის საჭმელი 12 დოლარი ღირს, რომელიც ერთი კვირაც არ ჰყოფნის. პენსიონერმა 12 ლარი მთელი თვე როგორ იმყოფინოს?
**ნ.შ.** — ადამიანი ძაღლი ხომ არ არის, ეყოფა!

***პენსიონერი, თბილისი***

**ნ.ჟ.** — ქალბატონო ნანული, კაბა შევიძინე, სიყმაწვილიდანვე რომ ვოცნებობდი.
**ნ.შ.** — მწვანე?

***თემურ ჯაბანიშვილი, თიანეთი***

**ნ.ჟ.** — საქმე იმაშია, რომ არიელშიც ვცადე ზურიკოს ჩალბობა, მაგრამ მაინც ვერ გავათეთრე.
**ნ.შ.** — მე ერევნის ხსნარში ჩავალბე და შედეგს შენც კარგად ხედავ.

***მანონი (ბ), თბილისი***

**ნ.ჟ.** — ჩემი ზურიკო ისეთი სექსუალურია, ისეთი რომ...
**ნ.შ.** — რა დროს ეგეთებია, ამ გაგანია სიცხეში ქაა...

***მ. გურგენიძე, თბილისი***

პოლიტიკური ოჯახის დედამთილი და რძალი.

***დათა, თბილისი***

**ნ.ჟ.** — ქალბატონო ნანული, ხედავთ ზურიკო როგორ მომწიფდა საპრეზიდენტოდ?!
**ნ.შ.** — ზუსტად მომწიფებულის მოკრეფა უყვარს ედუარდს!

***დ. გალორი, თბილისი***

**ნ.შ.** — ისე, ჩემო ნინო, უფრო გრძელი კაბა უნდა ჩაგეცვა. რას ჰგავს ეს?!
**ნ.ჟ.** — იცით, ქალბატონო ნანული, ზურაბს მხოლოდ ასეთ ფორმაში მოვწონვარ და ჩემით ამაყობს.

***თამუნა, თბილისი***



თურმე სპილოებსაც ჰქონიათ დაკრძალვის ცერემონია. ეს უზარმაზარი ცხოველები მკვდარი ძმის ან დის ძვლებს შეაგროვებენ და წუთიერი დუმილით პატივს სცემენ მის ხსოვნას. ერთი წუთის შემდეგ კი გამგმირავ ხმებს გამოსცემენ.

## იცით თუ არა, რომ...

რომის 266 პაპიდან 33 მოკლულ იქნა.

***

მეხის დარტყმის შემდეგ გაცილებით მეტი ადამიანია დაღუპული, ვიდრე წყალდიდობის, მიწისძვრის ან ვულკანის შედეგად.

***

მამაკაცებს 6-ჯერ მეტი შანსი აქვთ დაეცეთ მეხი, ვიდრე მანდილოსნებს.

***

ყოველ წელს დედამიწაზე 20.000.000 ადამიანი იღუპება შიმშილით.

***

მიხო შვილს არითმეტიკაში ავარჯიშებს:

— რამდენია, ბიჭო, სამჯერ სამი?

— 33!

— ყოჩაღ, აბა, ცხრაჯერ ცხრა რამდენი იქნება?

— 99!

— გადამრევს ეს მამაძაღლი! შე ვირიშვილო, აქ რომ ეგეთი მაგარი ხარ, სკოლაში რაღა ჯანდაბა გემართება, ჰა?!





— არსადაც არ წავალ... ახლა ჩვენი ჯერია!





## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**


„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *ქუთაისი, წყალტუბო, რუსთავი, მცხეთა, დუშეთი, ჟინვალი, კასპი, გორი, ქარელი; ხაშური; სურამი; ზესტაფონი; თერჯოლა, სამტრედია, ხონი, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, გურჯაანი, თელავი, წნორი, ახმეტა, -* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (20) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)***

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№19 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 18 მაისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



შეადგინა რამაზ ალანია



## ყაყაფორიზმები

ობლის კვერი ცხვა, ცხვა, ბოლოს კი შუქი გაითიშა და გამოსაცხობი დარჩა.

ძაღლი ყეფს, კორუფცია მიდის (გრძელდება).

***კობა ხატისაშვილი***

## ანეკდოტი

სტადიონზე მაყურებლებმა „ტალღა“ გააკეთეს და... სვანი დაიხრჩო.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.